სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბაკურ ლაშხია

საერობო მმართველობა და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში (1918-1920)

ისტორიის დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ისტორიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი **ბეჟან ხორავა**;
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი **ლევან ჯიქია**

თბილისი – 2024

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 2

თავი I. სამაზრო და საქალაქო მმართველობა სამეგრელოში (1918-1919 წწ.) 8

§1. საერობო რეფორმის მომზადება საქართველოში 8

§2. საერობო ხმოსანთა არჩევნები სენაკის მაზრაში (1918 წ.) 17

§3. საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში (1918 წ.) 23

§4. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ახალ სენაკში (1919 წ.) 38

§5. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ფოთში (1919 წ.) 45

§6. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ზუგდიდში (1919 წ.) 46

§7. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ყულევში (1919 წ.) 48

თავი II. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში 50

§1. მზადება საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის 50

§2. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები ზუგდიდის მაზრაში 62

§3. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სენაკის მაზრაში 86

§4. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები ქ. ფოთში 145

§5. სამეგრელოს რეგიონში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები 147

თავი III. სამაზრო, საქალაქო და სათემო მმართველობა სამეგრელოში (1919-1920 წწ.) 152

§1. საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში (1920 წ.) 152

§2. სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში არსებული წვრილი სასოფლო-საერობო ერთეულები და მათი ფუნქციები 186

§3. სენაკისა და ზუგდიდის მაზრების ერობების საქმიანობის ანგარიში (1918-1919 წწ.) 188

§4. კერძო საკუთრების კონფისკაცია სენაკის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში და ქ. ფოთში (1919-1920 წწ.) 194

დასკვნა 202

ბიბლიოგრაფია 205

დანართები 218

შესავალი

თემის აქტუალობა: რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას ყირიმის ომში (1853-1856) განცდილმა მარცხმა არა მხოლოდ დაანახა ძირეული საშინაო რეფორმების აუცილებლობა, არამედ განსაზღვრა მისი მიმართულება და ხასიათი. ამ რეფორმებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, რადგანაც მას კონკურენცია უნდა გაეწია ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისათვის და ევროპაში ძალთა ბალანსი არ დარღვეულიყო. ამიტომ, აუცილებელი იყო რუსეთის მოდერნიზება მომხდარიყო. რუსეთის მოდერნიზაციის გზაზე განსაკუთრებული ადგილი 1861 წლის *„საგლეხო რეფორმას“* უჭირავს. მიუხედავად აღნიშნული რეფორმის არა ერთი ნაკლოვანებისა, სწორედ იგი გახდა სხვა ბურჟუაზიული რეფორმების გატარების კატალიზატორი. ერთ-ერთ ასეთ რეფორმას საერობო სისტემის დანერგვა წარმოადგენს. საერობო რეფორმა რუსეთის იმპერიის 34 გუბერნიასა და 1 ოლქში 1864 წლის იანვარს (ძველი სტილით) გატარდა. რაც შეეხება საქართველოს, აქ 1867 წლიდან 1918 წლამდე საერობო სისტემის ჩამოყალიბების არაერთი მცდელობა იყო, თუმცა ყოველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, შესაძლებელი გახდა საერობო რეფორმის განხორციელება. საერობო ინსტიტუტების მთავარი ფუნქცია ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების მოგვარება უნდა ყოფილიყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეს შესაძლებლობა რეალობად აქცია. გამონაკლისი არც სენაკისა და ზუგდიდის მაზრები იყო, სადაც საერობო ხმოსანთა არჩევნები ჩატარდა. რომლის შემდეგადაც საერობო დაწესებულებებმა ფუნქციონირება დაიწყო. ზუგდიდისა და სენაკის მაზრების საერობო სისტემა გამართულად ფუნქციონირებდა და მათზე დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად ასრულებდა. ისინი ადგილობრივ დონეზე წყვეტდნენ ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორებიც იყო: სწავლა-განათლება, გზების მოწესრიგება, ადმინისტრაციის მოწყობა და მისი კონტროლი, სასამართლოს მოწყობა და უფასო იურიდიული დახმარება, მიწის რეფორმა, სამედიცინო დაწესებულებებისა და აფთიაქების შექმნა, სასურსათო კრიზისთან ბრძოლა, ერობის ბანკის დაარსება, საფოსტო, სასოფლო გზების დაქსელვა და ასე შემდეგ.

საერობო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ისტორია სამეგრელოში (სენაკის მაზრა, ზუგდიდის მაზრა, ქ. ფოთი, ქ. ყულევი) სრულყოფილად დღემდე არ არის შესწავლილი. ამის გარეშე კი საქართველოში თვითმმართველობის ისტორია 1918-1921 წლებში შესწავლილად ვერ ჩაითვლება. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში, ათეულობით საარქივო დოკუმენტის შესწავლის შედეგად, გაანალიზებულია სამეგრელოში (სე-

ნაკის მაზრა, ზუგდიდის მაზრა, ქ. ფოთი, ქ. ყულევი) საერობო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესი.

დამფუძნებელი კრების იდეას საფუძველი ჯერ კიდევ 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ჩაეყარა და მალევე გახდა პოპულარული. მისი პრაქტიკული მომწიფება კი თვითმპყრობელობის დამხობის პერიოდიდან დაიწყო. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი მრავალპარტიულ ორგანოს წარმოადგენდა, მაგრამ ის არ იყო არჩეული. ამ გარემოებას კი სათავისოდ იყენებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოწინააღმდეგეები. პარიზის სამშვიდობო კონფერენციას[1] საქართველოს საკითხი უნდა განეხილა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე დელეგაცია გაეგზავნა ხელისუფლებას, რომელსაც მაღალი ლეგიტიმაცია ექნებოდა.

1919 წლის 14-16 თებერვალს დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სენაკისა და ზუგდიდის მაზრებშიც, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. სამეგრელოში (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები) საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსამზადებელი ეტაპი, საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, არჩევნებთან დაკავშირებული სირთულეები, არჩევნების შედეგები და სხვა, დღემდე არ არის სრულფასოვნად შესწავლილი. ცხადია, ცალკეული პუბლიკაციები საერთო სურათს ვერ ცვლის. წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ყველა ეს საკითხი მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი.

კვლევის მიზანი: კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საარქივო პირველწყაროების ანალიზის შედეგად, ისეთი საკითხების დეტალურად შესწავლა და წარმოჩენა, როგორებიცაა:

- საერობო ხმოსანთა არჩევნები სენაკის მაზრაში;
- საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში;
- თვითმმართველობების არჩევნები ქ. ახალ სენაკში, ქ. ფოთში ქ. ზუგდიდი და ქ. ყულევში;
- საერობო დაწესებულების მიერ განხორციელებული პროექტები სენაკის მაზრაში;
- საერობო დაწესებულების მიერ განხორციელებული პროექტები ზუგდიდის მაზრაში;

[1] პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 1919 წ. 18 იანვარს გაიხსნა. აღნიშნული კონფერენცია პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა მოკავშირე სახელმწიფოებმა მოიწვიეს დამარცხებული მხარისათვის სამშვიდობი პირობების დასადგენად. 1919 წლის 7 მაისს კონფერენციაზე დაუშვეს გერმანია და მისი მოკავშირე სახელმწიფოები. 1919 წლის 14 მარტს საქართველოს დელეგაციამ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აუცილებლობის მემორანდუმი წარადგინა. 1921 წლის 10 იანვარს, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურედ ცნო.

- დამფუძნებელი კრების არჩევნები სენაკის მაზრაში;
- დამფუძნებელი კრების არჩევნები ზუგდიდის მაზრაში.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1918-1920 წლებს.

კვლევის მეთოდები: სადოქტორო ნაშრომის კვლევისას გამოყენებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აპრობირებული მეთოდები, მათ შორის: შინაარსობრივი ანალიზის, შერჩევის, ისტორიულ-შედარებითი, კრიტიკული ანალიზის, ფაქტების ნამდვილობის დადგენის, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: საერობო ხმოსანთა არჩევნების შესახებ სამეგრელოში (სენაკის მაზრა, ზუგდიდის მაზრა, ქ. ფოთი, ქ. ყულევი) მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა, თუმცა საკითხი მხოლოდ ზოგად ჭრილშია განხილული. საკვლევ თემას ეხება ბადრი ძაგანიას დისერტაცია *„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სენაკის მაზრაში 1918-1921 წლებში“.* ნაშრომში ასახულია სენაკის მაზრასა და ქალაქ ახალ სენაკის თვითმმართველობის ჩამოყალიბება და აღნიშნული ორგანოს პრაქტიკული საქმიანობა. თუმცა, მასში ყურადღება არ არის გამახვილებული უშუალოდ საარჩევნო პროცესზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ის, რა დარღვევები ახლდა თან და რა შედეგით დასრულდა. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია: საერობო ხმოსანთა არჩევნები სენაკის მაზრაში; საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში; თვითმმართველობის არჩევნები ქ. ახალ სენაკში; დადგენილია მიზეზი, თუ რატომ გახდა ზუგდიდის მაზრაში ხელახალი არჩევნების ჩატარება გარდაუვალი; თვითმმართველობის არჩევნები ქ. ფოთში, ზუგდიდში და ყულევში; ასევე, თუ რატომ გახდა ზუგდიდის მაზრაში ხელახალი არჩევნების ჩატარება გარდაუვალი; დადგინდა სენაკის, ზუგდიდის მაზრებში და ქ. ფოთში რის საფუძველზე და რა მიზნით ახდენდნენ საერობო მმართველობები კერძო მესაკუთრეთა უძრავი ქონების კონფისკაციას. აქვე განხილულია საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში, რაზეც სრულფასოვანი კვლევა დღემდე არ არსებობს.

სადისერტაციო ნაშრომში, საარქივო მასალების, პერიოდული პრესის მასალებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად, დეტალურად არის განხილული საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში; დადგენილია და აღწერილია ყველა პროცედურული დარღვევა, რომელიც დაფიქსირდა უშუალოდ არჩევნების მიმდინარეობისას; კრიტიკულად არის შესწავლილი ყველა სტატისტიკური მონაცემი, სადაც არჩევნების შედეგები არის ასახული, რის შედეგადაც დადგენილია არა ერთი უზუსტობა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომში პირველად არის შესწავლილი საერობო მმართველობა და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში (სენაკის მაზრა, ზუგდიდის მაზრა, ქ. ფოთი, ქ. ყულევი). აღნიშნული საკითხის გარშემო მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის გამართვისას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის უკეთ გააზრებისათვის, საერობო ხმოსანთა და საქართველოს დამფუძნებელი კრების ისტორიის სრულფასოვნად შესასწავლად. ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენისას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და დანართისაგან. აქედან პირველი თავი მოიცავს შვიდ პარაგრაფს, მეორე თავი – ხუთ პარაგრაფს, ხოლო მესამე თავი – ოთხ პარაგრაფს.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა: საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები, პერიოდული პრესის მასალები და სამეცნიერო ლიტერატურა.

საკვლევი თემის სრულფასოვნად შესასწავლად უმნიშვნელოვანესია საარქივო დოკუმენტები. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენენ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების დეტალებს. მაგალითისთვის განვიხილავთ საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს:

ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 469. ამ საქმეში დაცულია დოკუმენტები, სადაც ასახულია სენაკის მაზრის საერობო არჩევნების (1918 წ.) შედეგების სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული საარქივო დოკუმენტის კრიტიკულად შესწავლის შედეგად, გამოვავლინეთ არაერთი უზუსტობა, მაგალითად, უზუსტობა ფიქსირდება მე-4, მე-5 საარჩევნო უბნებისა და სენაკის მაზრის შეჯამებულ მონაცემებში, ასევე ქ. ახალ სენაკის საარჩევნო უბნის მონაცემებში აღმოჩენილია დარღვევა, რომელიც საარჩევნო დებულებისათვის კრიტიკულ შეუსაბამობას წარმოადგენს.

ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმეები 469, 907, 908. აღნიშნულ საქმეებში დაცულია მასალები ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში (1918 წ.) ექვსივე საარჩევნო უბნიდან მიღებული შედეგების სტატისტიკური მონაცემების შესახებ. დასახელებულ მასალებში გამოვავლინეთ არაერთი უზუსტობა, კერძოდ, უზუსტობა გვხვდება ობუჯის, ახუთის, წალენჯიხის I, წალენჯიხის II, ხობის საარჩევნო უბნების და მთლიანად ზუგდიდის მაზრის სტა-

ტისტიკურ მონაცემში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცალკეულ დოკუმენტებში ეს მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს. მსგავს შემთხვევას ვხვდებით ზუგდიდის II საარჩევნო უბნის სტატისტიკურ მონაცემებში. ყველა ეს უზუსტობა სადისერტაციო ნაშრომში გასწორებულია.

ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 998. დასახელებულ საქმეში ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნების (1920 წ.) სტატისტიკური მონაცემებია აღწერილი. აღნიშნული საარქივო მასალის კრიტიკულად შესწავლის შედეგად გამოვავლინეთ არაერთი უზუსტობა, მაგალითად, უზუსტობაა ჯვარის, დარჩელის, ცაიშის, ჭაქვინჯის, ნოჯიხევის, საჯიჯაოს, წალენჯიხის I, ზუგდიდის I, ზუგდიდის II, ხობის საარჩევნო უბნებისა და მთლიანად ზუგდიდის მაზრის სტატისტიკურ მონაცემებში. დასახელებული ყველა უზუსტობა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გასწორებულია.

ფონდი 1834, ანაწერი 2, საქმე 66. დასახელებულ საქმეში ასახულია ზუგდიდის მაზრის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული საარქივო მასალის კრიტიკულად შესწავლის შედეგად გამოვავლინეთ არაერთი უზუსტობა, მაგალითად, ერთსა და იმავე დოკუმენტში ორი განსხვავებული მონაცემია მოყვანილი ზუგდიდის მაზრაში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის შესახებ. ასევე, ამ დოკუმენტებში არასწორად არის დათვლილი ბათილად გამოცხადებული ბიულეტენები. აღნიშნული უზუსტობები წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გასწორებულია.

სამეცნიერო ლიტერატურა. საკვლევი თემისათვის მნიშვნელოვანი მასალა არის დაცული თედო ღლონტის წიგნში *„ერობა საქართველოში“*. აღნიშნულ პუბლიკაციაში კრიტიკულად არის შესწავლილი რუსეთში შექმნილი 1864 და 1890 წლების საერობო დებულებები. ასევე მეფის რუსეთის დამოკიდებულება საერობო სისტემის მიმართ. გარდა ამისა, ნაშრომში ასახულია ის ბერკეტები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა საერობო სისტემის დასასუსტებლად. ბოლოს ავტორი აღწერს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ქართული რეალობისათვის საერობო სისტემის დანერგვის აუცილებლობა და რომელი დებულება იქნება ოპტიმალური საქართველოსათვის **(ღლონტი, 1915).**

როგორც უკვე აღინიშნა, საკვლევ თემას ეხება ბადრი ძაგანიას ზემოთ დასახელებული სადისერტაციო ნაშრომი. მასში განხილულია თვითმმართველობები ძველ საქართველოში და ასევე აღწერილია ქართველების „ბრძოლა“ მეფის რუსეთის წინააღმდეგ, რათა საქართველოშიც დანერგილიყო საერობო სისტემა. ნაშრომში ასახულია სენაკის მაზრასა და ქალაქ ახალ სენაკის თვითმმართველობის ჩამოყალიბება და აღნიშნული ორგანოს პრაქტიკული საქმიანობა. თუმცა, ნაშრომში ყურადღება არ არის გამახვილებული უშუალოდ საარჩევნო პროცესზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ის, რა დარღვევები ახლდა თან და რა შედეგით დასრულდა არჩევნები (**ძაგანია, 2002).**

ირაკლი ირემაძის ნაშრომი *„პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“,* დიდწილად საარქივო დოკუმენტების ფოტო მასალების ერთობლიობას წარმოადგენს (**ირემაძე, 2018).** საკვლევი საკითხის შესასწავლად მნიშვნელოვანია ირაკლი ხვადაგიანის ნაშრომი: *„ერობა. თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში. 1918“*. მასში დეტალურადაა შესწავლილი და აღწერილი რუსეთში ერობის შექმნის და ჩამოყალიბების პროცესი, ასევე ის გზა, რომელიც გაიარა საერობო რეფორმის ჩამოყალიბებამ საქართველოს რეალობაში. მკვლევარს მოტანილი აქვს მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული საერობო არჩევნების შედეგებზე, მათ შორის სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში. თუმცა, მათში გაპარულია არაერთი სტატისტიკური უზუსტობა, რომლებიც ჩვენს მიერ გასწორებულია (**ხვადაგიანი, 2018**).

საერობო არჩევნებს ეხება ირაკლი ირემაძის წიგნი *„ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“*. აღნიშნული ნაშრომი დიდწილად საარქივო დოკუმენტების ფოტო-მასალების ერთობლიობას წარმოადგენს. ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტატისტიკური უზუსტობა. აღნიშნული უზუსტობებიც წარმოდგენილ დისერტაციაში გასწორებულია (**ირემაძე, 2018).** საკვლევ საკითხს ეხება ოთარ ჯანელიძის წიგნი *„26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ“*. ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი საქართველოში მიმდინარე პროცესები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მის დაკარგვამდე. აღნიშნულ ნაშრომში გვხვდება გარკვეული ფაქტობრივი შეცდომები, რომლებიც წარმოდგენილ დისერტაციაში, ასევე გასწორებულია **(ჯანელიძე, 1990)**.

თავი I. სამაზრო და საქალაქო მმართველობა სამეგრელოში

§1. საერობო რეფორმის მომზადება საქართველოში

1860 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს (1855-1881), *„თავად-აზნაურთა საკრებულოებში“* გაერთიანებულმა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების წარმომადგენლებმა *„საერობო რეფორმის“* პროექტი წარუდგინეს **(ხვადაგიანი, 2018:** 17**)**. საერობო სისტემის იდეას, საიმპერატორო კარზე დიდი სკეპტიციზმით უყურებდნენ. მიუხედავად ამისა, 1864 წლის 1 იანვარს იმპერატორ ალექსანდრე II-ისათვის სრულებით მისაღები აღმოჩნდა პიოტრ ვალუევის[2] (მას ამ დროისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა) მიერ შემუშავებული *„საგუბერნიო და სამაზრო საერობო (სათემო) დაწესებულებების დებულება“* **(კიკვიძე, 1959:** 31).

აღნიშნული დებულების თანახმად, ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, ქვეყანა ორსაფეხურიანი, *სამაზრო* და *საგუბერნიო* ხდებოდა. ერობის პრეროგატივაში შედიოდა: *საკუთარი ინფრასტრუქტურის დაფინანსების განკარგვა; საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მოწყობა-შეკეთება; სახალხო განათლების, სამეურნეო ცხოვრების და ვაჭრობის განვითარების ადმინისტრირება; ჯანდაცვის და სანიტარული სისტემის, გზების, კომუნიკაციების, საქველმოქმედო და კულტურული ინიციატივების განვითარება; სასურსათო მომარაგების პრობლემების მოწესრიგება; სადაზღვევო სისტემა*. ერობა, ადგილობრივ დონეზე, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაცემულ (დელეგირებული) გარკვეულ (სამოქალაქო და სამხედრო) ფუნქციებსაც ასრულებდა. მის მოვალეობაში, ასევე ადგილობრივი გადასახადების განსაზღვრა და გაწერა შედიოდა. ამავდროულად ვალდებული იყო თვითმმართველობის შესახებ ცნობები ცენტრალური ხელისუფლებისათვის წარედგინა. მასვე ევალებოდა საერობო არჩევნების ორგანიზება **(ნიკოლაძე, 1960:** 569-570; **გურული, 2021:** 165; **ვანიშვილი, 1989:** 180-181). ერობის ფინანსურ გარანტიას მის განკარგულებაში არსებული ქონება და მის მიერ გაწერილი ადგილობრივი საერობო გადასახადები წარმოადგენდა. იგი თავად აფასებდა და განსაზღვრავდა ქონების გადასახადებს.

ერობის ამ მოდელს მთელი რიგი ხარვეზები გააჩნდა. მათ შორის უმთავრესი, ქონებრივი ცენზი და მისი ვიწრო სამეურნეო-კულტურული პროფილი იყო. პარალელურად არჩევნებში მონაწილეთათვის წოდებრივი შეზღუდვაც არსებობდა. არსებული საარჩევნო სისტემის თანახმად, ერობა სამი წოდებისაგან: *თავად-აზნაურობისგან, ვაჭარ-მრეწველე-*

[2] **პიოტრ ვალუევი** (1815-1890) – რუსი პოლიტიკოსი და მწერალი. ალექსანდრე II–ის საიმპერატორო კარზე მას 1861-1868 წ.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის, ხოლო, 1872-1877 წ.წ. სახელმწიფო ქონების მინისტრის თანამდებობები ეკავა. 1877 წელს დაინიშნა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ. 1881 წლის ოქტომბერში ვალუევი ალექსანდრე III–მ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ბისგან და გლეხებისაგან კომპლექტდებოდა. საერობო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ. თუ ქალი ქონებრივი თვალსაზრისით შეძლებული იყო, მას შეეძლო არჩევნებში მონაწილეობის საკუთარი უფლება უახლოესი მამაკაცი ნათესავისათვის გადაეცა **(თუმანიშვილი, 1881**: 34-36; **ღლონტი, 1915:** 23-27**; ძაგანია, 2002:** 43-44; **ხვადაგიანი, 2018:** 19-21**)**. საერობო რეფორმის ზემოხსენებული ნაკლოვანებების მიუხედავად, აღნიშნული რეფორმა შეიძლება დადებითად შეფასდეს, როგორც პირველი წინგადადგმული ნაბიჯი სრულყოფილი საერობო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

რუსეთის საიმპერატორო კარი საერობო რეფორმას მთავარ პრობლემად აღიქვამდა, ამიტომ ყველანაირად ცდილობდა მის შეზღუდვას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1890 წლის 12 ივნისს საერობო რეფორმის ახალი დებულების მიღება **(Положение о губернских и.., 1890)**. ამ დებულების თანახმად: *თავად-აზნაურთა ხვედრითი წილი ხმოსნებს შორის ნახევარზე მეტი იყო*. პარალელერად ხმოსანთა არჩევის კრიტერიუმები შეიცვალა. საერობო წარმომადგენლობაში თავად-აზნაურთა პროცენტული მაჩვენებლის ხელოვნურად გაიზარდა. ყოველივე ზემოთ ხსენებულმა ერობას წოდებრივი ხასიათი გაუძლიერა. *გამკაცრდა ადმინისტრაციისა და გუბერნატორთა ზემოქმედების მექანიზმები. ერობათა გამგეობის თავმჯდომარე და წევრები სახელმწიფო მოხელეებად გამოცხადდნენ, რაც თავისთავად მათ ადმინისტრაციის ნაწილად გარდაქმნას გულისხმობდა. სამაზრო ერობის ხმოსნების არჩევნებში პირდაპირ მონაწილეობას მხოლოდ მსხვილი თავად აზნაურობა იღებდა. ხმის მიცემის უფლება სასულიერო პირებს, გლეხკაცობას, ამხანაგობებს, ვაჭრებს, მრეწველებს და ებრაელებს სრულიად ჩამოერთვათ* **(რუსთა, 1902:** 2-3; **ღლონტი, 1915:** 36-43; **ვანიშვილი, 1989:** 184**)**.

საერობო რეფორმის აღნიშნულ პროექტს კრიტიკული სტატიით გამოეხმაურა გაზეთი *„ცნობის ფურცელი“*. სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ *„ამ პროექტს აღარ ჰქონდა ის მნიშვნელობა, როგორიც წინამორბედს. პროექტი თითქმის უარყოფდა თვითმმართველობის პრინციპებს. საერობო გამგეობისა და საერობო კრების ნაცვლად, რომელთა წევრებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევდა, პროექტის თანახმად უნდა დაწესებულიყო საგუბერნიო და სამაზრო საერობო საკრებულოები. საგუბერნიო საერობო საკრებულოს თავმჯდომარეობდა გუბერნატორი, მისი წევრები იქნებოდნენ სხვა და სხვა საგუბერნიო დაწესებულებების უფროსები და მოწვეული პირები; სამაზრო საკრებულოს თავმჯდომარეობდა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ამგვარად საერობო დაწესებულებას თითქმის სრულიად ჩამოერთვა საზოგადოებრივი ხასიათი და თვითმმართველობის ნაცვლად ნახევრად ადმინისტრაციული ორგანო იქმნებოდა.* სტატიაში ასევე მოყვანილია კიევის გენერალ-გუ-

ბერნატორის მიხაილ დრაგომიროვის[3] კომენტარი, რომელიც აღნიშნავდა: *„ახალ პროექტს არ ძალუძს მოაწესრიგოს საერობო საქმე, ადმინისტრაციამ უკვე დაამტკიცა თავისი სისუსტე ამ მხრით; დასავლეთ გუბერნიების სამეურნეო საქმე აწეწილ-დაწეწილია და მის გასწორებას საზოგადოება უფრო მოახერხებს ვიდრე ადმინისტრაციული კომიტეტები“.* გაზეთში აღწერილია ჟურნალ *„ვესტნიკ ევროპის“*[4] სტატია, რომლის მიხედვითაც *„უმჯობესი იქნება იმპერიის იმ ადგილებმა, სადაც ერობა არ არსებობს, კიდევ მოიცადონ და შეინარჩუნონ ახლანდელი წესი, ვიდრე ასეთი დამახინჯებული დაწესებულება მიიღონ“* **(ერობის ახალი, 1901:** 1**)**. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი საერობო სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

საქართველოში როდესაც ცნობილი გახდა რუსეთში საერობო თვითმმართველობის პრეცედენტის დაშვების შესახებ, გაჩნდა სურვილი მსგავსი საერობო სისტემა აქაც შექმნილიყო. ამ მიზნით 1867 წელს თბილისის გუბერნიაში პირველი შუამდგომლობა საერობო სისტემის დანერგვის შესახებ აღიძრა, მაგრამ ეს მოთხოვნა ხელისუფლებამ არ მიიღო **(ძაგანია, 2014:** 53**)**. 1871 წელს თბილისში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II ჩამოვიდა. ამ დღეს საერობო რეფორმის მომხრეებმა იმპერატორის წინაშე, საქართველოში საერობო სისტემის დანერგვის საკითხი წამოაყენეს. მათ ეს ყველაზე საჭირო და გამოსადეგ რეფორმად მიაჩნდათ. მაგრამ მაშინდელმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს რომ: *„ერობა მიწაწყალს დაგვიბეგრავს“*, ამიტომ ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა **(ნიკოლაძე, 1897:** 29**)**.

1870 წლიდან 1880 წლამდე საერობო რეფორმის მომხრეები ქართულ პრესაში ერობის მხარდამჭერ სტატიებს ეტაპობრივად აქვეყნებდნენ, რითაც ისინი საერობო რეფორმის გატარების აუცილებლობას უწევდნენ პროპაგანდას **(ხვადაგიანი, 2018:** 39**)**. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა *მოსახლეობისათვის აეხსნათ ის დადებითი შედეგები, რისი მოტანაც საერობო სისტემის დანერგვას შეეძლო.* ყოველივე ეს მათ საკმაოდ წარმატებით მოახერხეს, ამის ნათელი მაგალითია სამეგრელოდან გაგზავნილი წერილი, რომელიც აღწერს საერობო რეფორმისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას: *ერთადერთი რამ, რასაც შეეძლო გლეხობის გადარჩენა, იყო საერობო სისტემის დანერგვაა, რადგანაც ერობა შექმნიდა „სამეურნეო სკოლებს“ და მას შეეძლო გადასახადის შემცირება. ერობის დროს უადგილ-მამულო გლეხს გადასახადი არ ექნებოდა გადასახდელი. მათი*

[3] **მიხაილ დრაგომიროვი** – რუსი გენერალი და სამხედრო მწერალი, დაიბადა 1830 წლის 20 ნოემბერს, გარდაიცვალა 1905 წლის 28 ოქტომბერს. 1889 წელს დრაგომიროვი გახდა კიევის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი და კიევის, პოდოლსკისა და ვოლჰინიას გენერალ-გუბერნატორი. აღნიშნული თანამდებობა 1903 წლამდე ეკავა.

[4] ჟურნალი ***„ვესტნიკ ევროპი“*** გამოიცემოდა მოსკოვში. ჟურნალი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებთან ერთად რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მნიშვნელოვან მოვლენებს, უცხო ქვეყნების ისტორიასა და პოლიტიკურ ცხოვრებას აშუქებდა.

ნატვრა იყო ერობას ჰქონოდა ისეთივე დანიშნულება საქართველოში, როგორიც მას რუსეთში ჰქონდა **(ანთიმოზი, 1875:** 3**)**. ხოლო, ნიკო ნიკოლაძე ერობის საკითხს ასე გამოეხმაურა: *„ერობის ყველაზე მეტი უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვავლევინებს, ჩვენ პატრონად ჩვენვე გვხდის, მარტო ეს, – ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ!“* **(სკანდელი,[5] 1871:** 1**)**.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საერობო რეფორმის გატარების აუცილებლობის პროპაგანდა ახალ, აქტიურ ფაზაში გადავიდა. საერობო რეფორმების მხარდამჭერები ღიად აცხადებდნენ, რომ რუსეთის ძველებური ბატონყმობის მარწუხებიდან დახსნა ყველაზე მეტად ერობას შეეძლო. ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი ერობის ფუნქციონირებისა, მთავრობის მიერ დანიშნული ჩინოვნიკები იყვნენ. ამიტომ *„აუცილებლობას წარმოადგენდა, ადგილობრივ საზოგადოებას თავად ედევნა თვალ-ყური თავის საქმეებზე. თავად ამოერჩია თავისი კეთილ-სინდისიერი მოხელეები და სწორედ მათთვის ჩაებარებინა სამაზრო საქმეების მართვა-გამგეობა. ერობაზე, ასევე, უარყოფითად მოქმედებდა ერობის ხმოსნების არჩევის წესი. საერობო კრებებში ადგილობრივი მამულის მეპატრონეებს უფრო მეტი ხმა ჰქონდათ, ვიდრე გლეხებს“* **(თუმანიშვილი, 1881:** 27-42**)**.

საქართველოში საერობო რეფორმის განსახორციელებლად თბილისის გუბერნიაში უფრო აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ 1896 წელს გაზეთ *„ივერიაში“ ნინია თუბალაურის* სტატია დაიბეჭდა, სადაც იგი აღნიშნავდა: *„როგორც ვიცით თბილისში უკვე არის ერობის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაში ჯერ ხმაც არ ისმის ამის შესახებ. შესაძლოა ისინი ფიქრობენ, რომ ჯერ თბილისელებმა მოითხოვონ და მერე ჩვენც მოგვენიჭება ეს წყალობაო, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა: რადგანაც ზოგიერთ უვიცებს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი სულ სხვადასხვა ტომების, სხვადასხვა კულტურის ხალხად მიაჩნიათ, ამიტომ ადვილად შეიძლება თბილისს მიეცეს ერობა და ქუთაისს არა.* ამიტომ იგი ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლებს მოუწოდებდა, მიებაძათ თბილისისათვის და ერობის პროექტი შეემუშავებინათ **(თუბალაური, 1896:** 3**)**.

1897 წელს ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოში საერობო მმართველობის შემოღების საკითხი აქტიურად დაისვა **(ერობა და იმერეთის, 1897:** 1-2), მაგრამ სამწუხაროდ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების შუამდგომლობა, *საქართველოში საერობო რეფორმის გატარების შესახებ,* არ დააკმაყოფილა. 1901 წლის 30 სექტემბერს ამიერკავკასიის ექიმთა მეორე კრება გაიხსნა. რომელსაც 150-

[5] **ნ. სკანდელი – ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ნიკოლაძის** ფსევდონიმი.

მდე ექიმი დაესწრო. აღნიშნულმა კრებამ 4 ოქტომბერს ქუთაისის ექიმთა საზოგადოების წარმომადგენლის დიმიტრი ნაზაროვის მოხსენება მოისმინა, ამიერკავკასიაში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ და ერთხმად დაადგინა, *ეშუამდგომლა მთავრობის წინაშე საქართველოში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ,* **(სხვა და სხვა, 1901:** 868**)** მაგრამ მთავრობამ აღნიშნული შუამდგომლობაც უარყო.

1905 წლის 28 აგვისტოს, ქალაქ ზუგდიდში, სალომე მიურატის სასახლეში, ზუგდიდის მაზრის საერობო სათათბიროს საარჩევნო ყრილობა გაიხსნა. ყრილობა ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა გრიგოლ კონსტანტინეს ძე დადიანმა **(Дадянь, 1904:** 166**)** გახსნა. მას მაზრის თავადაზნაურობა და მესაკუთრე გლეხები ესწრებოდნენ. გრიგოლ კონსტანტინეს ძე დადიანმა საზოგადოებას სამაზრო საერობო საბჭოსათვის 36 ადამიანის არჩევა სთხოვა. 1905 წლის 30 აგვისტოს სამაზრო საბჭო მოიწვიეს. თავმჯდომარის გრიგოლ დადიანის მოთხოვნით საბჭოს წარმომადგენლებად ექვთიმე ბერიშვილი, ვასილ ალშიბაია და მელიტონ გობეჩია აირჩიეს. აღნიშნული საბჭო საერობო რეფორმის დებულების განხილვას შეუდგა. გადასახადების ინსპექტორმა პოდობედოვმა განაცხადა: *თუ მიიღებდნენ 1864 წლის დებულებას უცვლელად, იანვრისათვის უკვე იქნებოდა ერობა შემოღებული, ხოლო თუ მას შეცვლიდნენ ან დაუმატებდნენ რამეს, მაშინ პროცესი უფრო გაჭიანურდებოდა.* საბჭომ საორიენტაციოდ 1864 წლის დებულება აირჩია. თუმცა, საჭიროდ ჩათვალა მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებების შესამუშავებლად 10 კაციანი კომისია შემდეგი შემადგენლობით აირჩიეს: იონა მეუნარგია (კომისიის თავმჯდომარე), ტ. ჯგუშია, ვასილ ალშიბაია, მელიტონ გობეჩია, ნიკო ბუკია, ერასტო ქუთელია, ანტონ თავბერიძე, ლევან აფაქიძე, ი. ა. პოდობედოვი და თავადი ლევან ჩიჩუა.

აღნიშნულმა კომისიამ ზუგდიდის მაზრის ერობის შესაქმნელად პროექტი შეიმუშავა. 4 სექტემბერს ზემოხსენებული კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი განიხილეს. განხილვისას, ხანგრძლივი კამათი ქონებრივი ცენზის საკითხმა გამოიწვია. კომისიის პროექტში ქონებრივი ცენზი სრულიად გაუქმებული იყო. თავმჯდომარე თავადი ლევან აფაქიძე, პოდობედოვი, თავადი ლევან მხეიძე, თავადი პეტრე ანჩაბაძე და სხვები ქონებრივი ცენზის საჭიროებაზე საუბრობდნენ და თავიანთ ამ მოსაზრებას ასაბუთებდნენ იმით, თითქოს *„უცენზობა უწესობას გამოიწვევდა“*. ქონებრივი ცენზის სრულად გაუქმების მომხრეები იყვნენ: ვასილ ალშიბაია, მელიტონ გობეჩია, პ. კაკულია, ი. შანავა, ს. ჭანტურია და სოფლის წარმომადგენელთა უმრავლესობა. მათ განაცხადეს, რომ: *„თვით დედაზრი თვითმმართველობისა ის არის, რომ რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა ხალხისამ მიიღოს მონაწილეობა, და ცენზის დაწესება კი ამის საშუალებას ართმევს ღარიბებს“*. პ. კაკულიამ მოიყვანა მაგალითად *„ქალაქები, სადაც ცენზიანი ხმოსნები სრულებით არ იცავდნენ უცენზო ღარიბ-*

თა უბნის ინტერესებს“. საბოლო ჯამში კომისიამ დიდი უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება *ქონებრივი ცენზი სრულიად გაეუქმებინა*.

მელიტონ გობეჩიამ და ვასილ ალშიბაიამ მოითხოვეს, ერობის შემოღებამდე *„სიტყვის, კრების, ბეჭდვის და კავშირების“* თავისუფლება. ვინაიდან, თუ ეს თავისუფლება არ იქნებოდა, ვერც ერობის არჩევნები იქნებოდა სამართლიანი და მისაღები. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდა ყველა გარდა პოდობედოვისა და თავადი აფაქიძისა, რომლებმაც ამ საკითხზე მსჯელობა აკრძალეს, ვინაიდან აღნიშნული საკითხი მათ კომპეტენციაში არ შედიოდა. ყოველივე ამან საბჭოს წევრების პროტესტი გამოიწვია. საბოლოო ჯამში, კრებამ გადაწყვეტილება მიიღო: *„მიეღოთ 1864 წლის დებულება ყველა იმ ცვლილებით, რაც კომისიის პროექტში იყო აღნიშნული“* **(ერობის შემოღება, 1905:** 2-3**)**.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და *„შავმა რეაქციამ“* ყოველგვარი ოცნება ერობის შემოღების შესახებ ფეხქვეშ გათელა. 1907 წელს საერობო სისტემის დანერგვის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა, რადგან 1907 წლისათვის საერობო ხარჯთაღრიცხვის 3-წლიანი გეგმა უნდა შეედგინათ. ყოველივე ზემოთ ხსენებულისათვის კი საჭირო იყო საერობო სისტემის დამტკიცება **(1908 წლის, 1907:** 1-2**)**. 1907 წლის დეკემბერში *სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიამ ერთხმად დაადგინა, რომ კავკასიაში ერობა ყოფილიყო შემოღებული* **(ახალი ამბები. ერობა, 1907:** 2**)**.

1909 წლის ივლისში გამოქვეყნდა მანიფესტი, რომელშიც საუბარი იყო საერობო სისტემის დამკვიდრების აუცილებლობაზე, მაგრამ ეს პროექტი სახელმწიფო საბჭომ მიუღებლად ცნო, აღნიშნული გადაწყვეტილება კი *„ხალხის უკულტურობითა და სიღარიბით“* ახსნა **(ძველი, 1909:** 3-6**)**.

1916 წლის 26 აპრილს, თბილისში საერობო თათბირი გაიმართა, რომელსაც 143 წარმომადგენელი ესწრებოდა.[6] თათბირზე გლეხობის წარმომადგენლები არ დაუშვეს, რამაც საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ მიუღებლად მიაჩნდათ *„რამდენიმე მოხელის, თავადაზნაურობის და ზოგიერთი ქალაქების წარმომადგენლების აზრის საზოგადოებრივ აზრად წარმოჩენა“*. აღნიშნულ თათბირზე დამსწრე საზოგადოებაც თვალის ასახვევად იყვნენ მოწვეულნი, რათა მთავრობას ეთქვა: *„რომ ისინი ისეთ საერობო სისტემას ქმნიდნენ როგორსაც ხალხი თხოულობდა“* **(საერობო, 1916:** 1; **ამიერ კავკასიის ერობა და საერობო, 1916:** 2; **ფედერალისტები, 1916:** 1; **ერობა და საერობო, 1916:** 2**).** თუმცა, მეფის რუსეთმა საქართველოსათვის მსგავსი დამახინჯებული ფორმის საერობო სისტემაც კი ვერ გაიმეტა.

[6] მათგან: რუსი – 60, ქართველი – 38, სომეხი – 24 და აზერბაიჯანელი – 21.

მეფის რუსეთის მიერ საერობო სისტემის განაპირა მხარეებში არ დანერგვას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა: *„რუსეთის ბიუროკრატიისათვის ერობათა თვითმმართველობების არსებობა დიდ საფრთხეს წარმოადგენდა“* **(ირემაშვილი, 1919:** 14-16**)**. შესაბამისად, მთავრობა ყველანაირი საშუალებით ცდილობდა თავიდან მოეშორებინა უმთავრესი „კონკურენტი“, ან ისე შეეკვეცა მისი უფლებები, რომ ძალაუფლება მაინც ბიუროკრატიის ხელში დარჩენილიყო. 1864 წლის დებულება, მთავრობის აზრით, მეტად „დემოკრატიული“ იყო. სწორედ ამიტომ აღნიშნული დებულება 1890 წლის „წოდებრივი“ დებულებით ჩაანაცვლა, მაგრამ მთავრობა არც ამ დებულებით იყო კმაყოფილი. ამიტომაც ციმბირის, დასავლეთ გუბერნიების, კავკასიის და სხვების სისტემატურ შუამდგომლობას *ერობის შემოღების აუცილებლობის შესახებ*, უყურადღებოდ ტოვებდა. მიზეზად კი მოსახლეობის *თვითმმართველობათათვის ჯერ კიდევ მოუმზადებლობა* სახელდებოდა **(ობჩელი[7], 1917:** 1**)**.

1917 წელს რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა იმპერიის ნგრევა გამოიწვია. რუსეთში ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომელიც რეფორმებისთვის მზაობას აცხადებდა. 1917 წლის 11 მაისს სოციალ-დემოკრატიული საოლქო ყრილობა გაიხსნა. აღნიშნულმა ყრილობამ გამოაქვეყნა რეზოლუცია *„ერობის და ქალაქის თვითმმართველობანი“*, სადაც აღნიშნული იყო: *ყრილობამ საჭიროდ ცნო შემოღებულ ყოფილიყო ქალაქის თვითმმართველობა იმ დაბებში, რომელსაც ქალაქის სახე ჰქონდა. ამიერკავკასიაში ერობა უნდა ყოფილიყო შემოღებული. საქმის დასაჩქარებლად დროებით შესაძლებელი იყო ამიერ-კავკასიის არსებული დაყოფით ესარგებლათ – როგორსაც წარმოადგენდა გუბერნია, მაზრა და სხვა. წვრილი საერობო ერთეულის შექმნისას გათვალისწინებული იყო მცხოვრებთა ეროვნული განსხვავება. ამავდროულად ყოველ ორგანიზაციას უნდა შეეშუშავებინა მუნიციპალური პლატფორმა. იგი ადგილობრივ პირობათა მიხედვით შესწორებულ-შევსებული უნდა ყოფილიყო. ამ საქმეში სახელმძღვანელო პრინციპი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა და დასავლეთ ევროპის ამხანაგობის პრაქტიკა იქნებოდა* **(სოციალ-დემოკრატიული, 1917:** 2**)**.

1917 წ. 13 ივნისს ნოე რამიშვილმა *„ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან“* არსებულ სათათბიროს წარუდგინა მოხსენება, სადაც საუბარი იყო კავკასიაში საერობო სისტემის შემოღების აუცილებლობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სათათბირომ შემდეგი დადგენილება მიიღო: *„შემოღებულ იქნას ამიერ-კავკასიაში ერობა რუსეთში არსებულ ერობათა საფუძველზე. არჩევნები მოხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. შემოღებულ იქნება წვრილი საერობო ერთეული.* **(ერობა, 1917:** 3;

[7] **3. ობჩელი – ვარლამ ამირანის ძე ბურჯანაძე** (1877-1941) პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

ერობა კავკასიაში, 1917: 1**)**. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა პეტროგრადიდან ბორის ვესელოვსკისაგან დეპეშა მიიღო, სადაც ის იტყობინებოდა, რომ *ჩამოყალიბდა საგანგებო სათათბირო მისი თავმჯდომარეობით, რომელსაც საერობო რეფორმის პროექტის შექმნა დაევალა* **(ერობა კავკასიაში, 1917:** 2**)**.

ზემოხსენებულმა სათათბირომ ამიერკავკასიის საერობო სისტემის პროექტი შექმნა, რომლის მიხედვითაც *ადგილობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ხასიათის საქმეები და მათი მართვა-გამგეობა ერობათა ხელში გადადიოდა. ერობათა უფლება-მოვალეობა განისაზღვრებოდა იმ წესებით, რომლითაც შიდა გუბერნიებში არსებული ერობები მოქმედებდნენ. მისი კომპეტენცია ადგილობრივი პირობების მიხედვით ფართოვდებოდა. იგი იქნებოდა საგუბერნიო ან საოლქო, სამაზრო და სასოფლო. მათგან საგუბერნიო და სამაზრო ერობა დაარსდებოდა ახალ ადმინისტრაციულ საზღვრებში, ხოლო წვრილ საერობო ერთეულში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, დასახლებული უნდა ყოფილიყო ერთი ეროვნების ადამიანებით, რიცხვით 10-15 000-მდე. ერობის არჩევნები უნდა მომხდარიყო პროპორციული ხმის მიცემის სისტემით. ხმის მიცემა უნდა მომხდარიყო წერილობითი სახით. ამავე წესითვე ტარდებოდა სასოფლო ერობის არჩევნები* **(ამიერ-კავკასიის, 1917:** 3**)**.

1917 წლის 27 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი, რომელიც ამიერკავკასიაში ერობის დამკვიდრებას ეხებოდა. ეს დებულება მთელს ამიერკავკასიაზე ვრცელდებოდა **(დეკრეტი, 1917:** 3; **ჩხენკელი, 1917:** 3**)**. აღნიშნულის პარალელურად კი, საქართველოს „ეროვნულმა საბჭომ“, ერობის რეფორმის შესახებ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც: *„დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნა საქართველოში სამსაფეხურიანი ერობა. ა) მცირე საერობო ტერიტორიული ერთეული, ადგილობრივ პირობების მიხედვით, ბ) სამაზრო და გ) საგუბერნიო, ანუ საოლქო. ერობა აგებულ უნდა იქნას საყოველთაო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირ, თანასწორ, ფარულ და პროპორციულ საარჩევნო უფლებაზე. მას უნდა მიენიჭოს არა მარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ სახელმწიფო მმართველობის უფლებები ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით. ერობის დაუყოვნებლივ შემოღებაზე ზრუნვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიენდო“* **(ეროვნული ყრილობის, 1917:** 3; **საქართველოს ეროვნული, 1917:** 1**)**.

გამომდინარე იქიდან, რომ *„საქართველოს ეროვნული საბჭო“*, თეორიულად მაინც ექვემდებარებოდა ამიერ-კავკასიის ხელისუფლებას, ამიტომ ერობების საკითხი განსახილველად ამიერ-კავკასიის კომისარიატს წარედგინა. აღნიშნული საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელმაც 1917 წლის დეკემბერში შეადგინა *„დროებითი დებულება ამიერ-კავკასიის საერობო დაწესებულებათა შესახებ“*. იგი 187 მუხლისაგან შედგებოდა. დებულების თანახმადაც ერობას ევალებოდა: *„სახელმწიფო გადასახადების მოკ-*

რება; სახალხო განათლების განვითარება; განსახლება; საზოგადოებრივი დაზღვევისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარება; შრომის დაცვა; გზების მართვა და განვითარება; კომუნიკაციების – ფოსტა–ტელეგრაფის განვითარება; გარემოს დაცვა; ბუნებრივი რესურსების მართვა; სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლა; სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის განვითარება; წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოებების მოწყობა; სამაზრო სტატისტიკის წარმოება; უსაფრთხოების დაცვა და წესრიგი; სასამართლო საქმიანობის და *ორგანიზაციული უზრუნველყოფა* **(ერობის საქმეა, 1918:** 2; **ხვადაგიანი, 2018:** 261-262**)**.

დებულების თანახმად, საერობო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა 20 წლის საქართველოს ორივე სქესის მოქალაქეს. საარჩევნო პროცესის ხელმძღვანელობა და საარჩევნო სიების შედგენა დაევალათ მაზრის და თემის საარჩევნო კომისიებს. საერობო კრების ხმოსნობის კანდიდატებს საზოგადოებრივი ჯგუფები ასახელებდნენ, ხოლო, საგუბერნიო ხმოსნები აირჩეოდნენ სამაზრო კრების ხმოსანთა წრიდან **(ბენდიანიშვილი, 2001:** 183**)**.

1918 წლის 10 თებერვალს *„სეიმი“* მუშაობას შეუდგა. მათ სასწრაფო წესით ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისია შექმნეს. 18 თებერვალს ერობის შემომღები ინსტრუქტორის სამდივნო დაარსდა. სამაზრო საერობო კომისიების მოწყობა სწორედ ამ ორგანომ დაიწყო. მთავარი საერობო ინსტრუქტორის თანამდებობაზე *ბიქტორ თევზაია,* მის თანაშემწედ – *ტიტე მარგველაშვილი,* ხოლო მდივნად – *ალანია* დაინიშნა. **(ერობის გარშემო. სამაზრო, 1918:** 2; **ჯანელიძე, 2002:** 85**)**.

მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საკითხი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებას **(ჟორდანია, 1990:** 89-90; **პაპუაშვილი, 2013:** 11-13; **რამიშვილი, 2012:** 536; **ჯანელიძე, 2002:** 105**)**.

ამდენად, საერობო რეფორმა, რომელიც მეფის რუსეთმა იმპერიის განაპირა მხარეებში დანერგა, არასრულფასოვანი იყო და მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდებოდა. რაც შეეხება საქართველოს, მეფის რუსეთის მესვეურებმა აქ რეფორმის შეკვეცილი ფორმით გატარებაზეც კი უარი განაცხადეს, მიზეზი ხალხის რეფორმისთვის მოუმზადებლობა სახელდებოდა. რეალობა, ცხადია, სულ სხვა იყო – მეფის ხელისუფლება შეკვეცილი ფორმით საქართველოში რეფორმის განხორციელებაშიც კი გარკვეულ საფრთხეს ხედავდა, რადგან მას არ სურდა საქართველოში ისეთი სისტემა დანერგილიყო, სადაც თავისუფლების ნაპერწკალი იქნებოდა.

§2. საერობო ხმოსანთა არჩევნები სენაკის მაზრაში (1918 წ.)

საქართველოში საერობო არჩევნები 3 ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი 1918 წლის ივლისიდან-დეკემბრამდე მიმდინარეობდა,[8] მეორე ეტაპი – 1919 წლის იანვრიდან-ოქტომბრამდე წარიმართა,[9] ხოლო მესამე ეტაპი 1920 წლის იანვარ-აგვისტოში გაიმართა.[10] 1918 წლის მარტიდან სენაკის, ქუთაისის, გორის, თბილისის და სხვა მაზრებში, ერობის ფუნქციონირებისათვის პრაქტიკული მუშაობა დაიწყო. მაზრების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საერობო კომისია და ინსტრუქტორები აირჩიეს. განსაკუთრებულად, აქტიური მუშაობა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა, სადაც საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციები რეფორმისათვის სრულად მობილიზდნენ **(ერობის, 1918:** 2**)**. სამწუხაროდ, გაზაფხულში ოსმალეთის ფრონტზე არსებულმა მძიმე მდგომარეობამ და ამავდროულად შიდა უწესრიგობამ, სახელდობრ – ბოლშევიკთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა **(ჯიშკარიანი, 1964:** 18**)** და კრიმინალური დაჯგუფებათა თარეშმა, საერობო არჩევნების ჩატარება შეუძლებელი გახადა.

1918 წლის 22 ივლისიდან სენაკის მაზრაში საერობო არჩევნებისათვის მზადება დაიწყო. მთელი მაზრა 6 საარჩევნო უბნად დაიყო. პარალელურად აირჩიეს კომისია, რომელიც მაზრაში საერობო არჩევნებს ხელმძღვანელობდა **(ერობის გარშემო, 1918:** 2**)**. 1918 წლის 28 ივლისს სენაკის მაზრის საერობო არჩევნები დაინიშნა. აღნიშნულ არჩევნებში სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა (**ახალი ამბები. საერობო, 1918:** 2).

- № 1 – სოციალისტური ბლოკი: (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია);
- № 2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- № 3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (**ხვადაგიანი, 2018:** 160-175).

---

[8] საერობო არჩევნების პირველი ეტაპი საქართველოს 12 მაზრაში ჩატარდა: თბილისის მაზრაში საერობო არჩევნები 14 ივლისიდან 15 ნოემბრამდე მიმდინარეობდა; სენაკის მაზრა – 4 აგვისტო; ოზურგეთის მაზრა – 18-20 აგვისტო; თელავის მაზრა – 20 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე; ქუთაისის მაზრაში – 22 აგვისტოდან 26 ოქტომბრამდე; შორაპნის მაზრა – 1-15 სექტემბერი; სიღნაღის მაზრა – 15 სექტემბერი; გორის მაზრა – 15 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე; დუშეთის მაზრა – 15-26 ნოემბერი; ზუგდიდის მაზრა – 1 დეკემბერი; რაჭის მაზრა – 8 დეკემბერი; ლეჩხუმის მაზრა – 15 დეკემბერი.

[9] საერობო არჩევნები მეორე ეტაპი საქართველოს 7 მაზრაში ჩატარდა: გუმისთის მაზრაში საერობო არჩევნები იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა; კოდორის მაზრა – თებერვალი; სამურზაყანოს მაზრა – თებერვალ-მარტი; გუდაუთის მაზრა – 13 მარტიდან 21 მაისამდე; ბორჩალოს მაზრა – 8-21 ივნისი; თიანეთის მაზრა – ივლისიდან 3 აგვისტომდე; ახალციხის მაზრა – 26 ოქტომბერი.

[10] საერობო არჩევნების მესამე ეტაპი საქართველოს 2 მაზრაში გაიმართა: ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები 25 იანვარს ჩატარდა; ახალქალაქის მაზრა – 4 ივლისიდან 23 აგვისტომდე.

სოციალისტური ბლოკის შექმნას გაზეთი *„საქართველო“* შემდეგი სტატიით გამოეხმაურა: *„დასავლეთ საქართველოში საერობო არჩევნებში სოციალისტური პარტიები თითქმის ყველგან ბლოკს ქმნიან ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ და ერთი საარჩევნო სიით გამოდიან“* **(ქრონიკა. საერობო, 1918:** 2**)**. 1918 წლის 28 ივლისს სენაკის მაზრაში და ქალაქ ფოთში ჩანიშნული საერობო არჩევნები, ადგილზე წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზების გამო, ერთი კვირით, *28 ივლისიდან 4 აგვისტომდე გადაიდო* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 901: 31; **ახალი, 1918:** 3; **ქრონიკა, 1918:** 3**)**.

1918 წლის 4 აგვისტოს სენაკის მაზრაში საერობო ხმოსანთა არჩევნები ჩატარდა. არჩევნებისათვის სენაკის მაზრა, კვლავ 8 საარჩევნო უბნად დაიყო. ქალაქები ახალ სენაკი[11] და ფოთი ცალკე საარჩევნო უბნებს წარმოადგენდნენ. საარჩევნო უბნების მიხედვით არჩევნების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი საარჩევნო უბანი: თეკლათი, ჭალადიდი, ძველი სენაკი, ნოსირი, გეჯეთი. არჩევნებში მონაწილეობა 1 013 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 762 ხმა (75,22%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 251 ხმა (22,78%).

მეორე საარჩევნო უბანი: უშაფათი, ფოცხო, ლეძაძამე, ნოქალაქევი, ეკი. არჩევნებში მონაწილეობა 750 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 686 ხმა (91,42%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 64 (8,48%) ხმა.

მესამე საარჩევნო უბანი: აბედათი, ჯოლევი, ლეხაინდრაო, ბანძა, ნახუნავო. არჩევნებში მონაწილეობა 1 577 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1 064 ხმა (67,47%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 513 ხმა (32,53%).

მეოთხე საარჩევნო უბანი: სენაკის, სამიქაო, აბაშა, ონტოფო. საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 8 003 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 343 ამო-

[11] სენაკმა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი 1917 წელს მიიღო **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1019: 5**)**.

მრჩეველმა მიიღო, რაც რეგისტრირებული მოსახლეობის 29%-ს შეადგენდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1 554 ხმა (66,32%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 786 ხმა (33,68%).

მეხუთე საარჩევნო უბანი: ნაესაკოვო, კვათანი, მარანი, სუჯუნა. არჩევნებში მონაწილეობა 5 059 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 3 389 ხმა (67%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 442 (28,3%) ხმა.[12]

მეექვსე საარჩევნო უბანი: მარტვილი, თამაკონი, სალხინო, ნაგვაზავო, კიწია, კინჩხა. არჩევნებში მონაწილეობა 3 257 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1 385 ხმა (42,52%); საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 226 (6,95%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 646 (50,53%) ხმა.

ქალაქი ახალი სენაკში: არჩევნებში მონაწილეობა 596 ამომრჩეველმა მიიღო.[13] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 269 ხმა (45%); საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 296 ხმა (49%); საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 34 ხმა (6%).[14]

ქალაქი ფოთი: არჩევნებში მონაწილეობა 2 029 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედე-

---

[12] განსხვავებული ცნობებია მოყვანილი გაზეთებში (**ვინ გაიმარჯვა სენაკის, 1918**: 3; **ვინ გაიმარჯვა, 1918**: 2), რომელთა მიხედვითაც, მე-5 საარჩევნო უბანში, სოციალისტურმა ბლოკმა – 3 700 ხმა და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 725 ხმა მიიღო.

[13] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დოკუმენტის მიხედვით, ქ. ახალ სენაკში არჩევნებში მონაწილეობა 596 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმების დაჯამებით კი მივიღე 599 (269+296+34=599). პოლიტიკურ პარტიებს მიუღიათ იმაზე მეტი ხმა ვიდრე არჩევნებში ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს.

[14] განსხვავებული ცნობებია მოყვანილი, გაზეთებში (**ვინ გაიმარჯვა, 1918**: 2; **ვინ გაიმარჯვა სენაკის, 1918**: 3). მათი მონაცემებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ – 297 ხმა და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 35 ხმა მიიღო.

რალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1245 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 784 ხმა **(ვინ გაიმარჯვა, 1918:** 2; **ვინ გაიმარჯვა სენაკის, 1918:** 3**)**.

სენაკის მაზრა: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 55 500 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 16 624 ამომრჩეველმა მიიღო. შესაბამისად, ამომრჩეველთა აქტივობამ 29,95 % შეადგინა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი: (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 10 354 (62,21%) ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 306 (7,85%) ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 4 726 (28,42%) ხმა[15] **(სეა სცა,** ფ. 1863, ა. 1, ს. 469: 159).

აღნიშნული დოკუმენტური მასალის კრიტიკულად შესწავლის შედეგად გამოვლენილ იქნა არა ერთი უზუსტობა: 1. ქალაქ ახალ-სენაკის საარჩევნო უბანზე, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა 596 ამომრჩეველმა მიიღო, თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების დათვლის შედეგად (269+296+34=599) დადგინდა, რომ საარჩევნო ყუთში იმაზე მეტი ბიულეტენი აღმოჩნდა, ვიდრე არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი იყო, რაც საარჩევნო დებულებისათვის კრიტიკული შეუსაბამობას წარმოადგენს. 2. მე-4 საარჩევნო უბანზე, დოკუმენტის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა 2 343 ამომრჩეველმა მიიღო, თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების დაანგარიშების შედეგად დადგინდა (1554+786=2340), რომ არჩევნებში მონაწილეობა არა 2 343 ამომრჩეველმა არამედ 2 340 მიიღო. 3. მე-5 საარჩევნო უბანზე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა: დოკუმენტის თანახმად არჩევნებში მონაწილეობა 5 059 ამომრჩეველმა მიიღო, თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების დაჯამების შედეგად (1554+786=4831) დადგინდა რომ, არჩევნებში მონაწილეობა არა 5 059 არამედ 4 831 ამომრჩეველმა მიიღო. ზემო აღნიშნული უზუსტობები ხელის შემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ დავინახოთ რეალურად თუ როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრაში ჩატარებული არჩევნების შედეგად 38 ხმოსანი აირჩიეს. თითოეულ საარჩევნო უბანში ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: **პირველი საარჩევნო უბნიდან** 5 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკიდან (საქარ-

[15] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, შედეგების გადაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ სენაკის მაზრაში, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 4 726, არამედ 4736 (34+251+64+513+786+1442+1646=4 736) ხმა მიიღო.

თველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 4 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი.

მეორე საარჩევნო უბნიდან 5 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკიდან (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 5 ხმოსანი.

მესამე საარჩევნო უბნიდან 5 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 3 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.

მეოთხე საარჩევნო უბნიდან აირჩიეს – 6 ხმოსანი: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 4 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.

მეხუთე საარჩევნო უბნიდან 6 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 4 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.

მეექვსე საარჩევნო უბნიდან 6 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 3 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმოსანი.

ქალაქ ახალ სენაკში 1 ხმოსანი აირჩიეს – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან.

ქალაქ ფოთში 4 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკიდან: (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბლოკიდან) – 2 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – 2 ხმოსანი[16] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 469: 159**)**.

[16] განსხვავებული მონაცემია მოყვანილი ირაკლი ხვადაგიანის ნაშრომში. აღნიშნული მონაცემების თანახმად: სენაკის მაზრაში საერობო არჩევნებში 38 ხმოსანი აირჩიეს, მაგრამ თითოეულ საარჩევნო ოლქში გაყვანილი ხმოსნების რაოდენობის დაანგარიშებით გამოვიდა 39 ხმოსანი /I ოლქი – 5 ხმოსანი, II ოლქი – 5 ხმოსანი, III ოლქი – 5 ხმოსანი, IV ოლქი – 6 ხმოსანი, V ოლქი – 6 ხმოსანი, VI ოლქი 6 ხმოსანი, ქალაქი ფოთი – 4 ხმოსანი, ქალაქი ახალი სენაკი – 2 ხმოსანი/(**ხვადაგიანი, 2018,** 162). საარქივო მასალის კვლევის შედეგად დაზუსტდა, რომ ქალაქ ახალ სენაკში აირჩიეს არა 2, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ გამოცემაში არის აღწერილი, არამედ 1 ხმოსანი.

სენაკის მაზრაში ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 22 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია – 3 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 10 ხმოსანი;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმოსანი;
- უპარტიო – 1 ხმოსანი[17] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1068: 25**)**.

არჩევნების შედეგად სენაკის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარედ იოსებ სალაყაია აირჩიეს (1919 წელს იოსებ სალაყაია აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, შესაბამისად ზემო ხსენებულ თანამდებობაზე ის ისიდორე მალანიამ ჩაანაცვლა), მოადგილედ – გრიგორ ცეკვაშვილი, წევრები: პეტრე ქავთარაძე და აკაკი ფიჩხაია **(სენაკის გამგეობა, 1918:** 1; **ხორავა, 2021:** 186**)**.

მიუხედავად არჩევნების გადადებისა, ბევრმა ამომრჩეველმა მაინც ვერ შეძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რაც ანარქიით იყო განპირობებული. ბოლშევიკები, რომლებიც კრიმინალურ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ, ხალხს ატერორებდნენ და არჩევნებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში ფიზიკური ანგარიშსწორებით, ზოგ შემთხვევაში – ლიკვიდაციითაც კი ემუქრებოდნენ. აღნიშნული ფაქტის გამო არჩევნების ჩატარება შეუძლებელი გახდა მარტვილის საარჩევნო ოლქში **(ვინ გაიმარჯვა, 1918:** 2**)**. ბოლშევიკების არაერთი მცდელობა სენაკის მაზრაში საერობო არჩევნები ჩაშლილიყო, უშედეგოდ დასრულდა. არჩევნებში სოციალისტურმა ბლოკმა გაიმარჯვა.

ამდენად, სენაკის მაზრაში ჩატარებული საერობო არჩევნების შესწავლის შედეგად გამოვავლინეთ არაერთი კანონდარღვევა მათ შორის: ქ. ახალ სენაკში ჩატარებულ არჩევნებში, საარჩევნო ყუთში იმაზე მეტი ბიულეტენი აღმოჩნდა ვიდრე ამომრჩეველი იყო მისული. ეს კი საარჩევნო დებულების უხეში დარღვევა იყო. აღნიშნული დარღვევის საფუძველზე ქ. ახალ სენაკის არჩევნების შედეგები აუცილებლად უნდა გაუქმებულიყო;

[17] განსხვავებული მონაცემებია მოტანილი ალექსანდრე ბენდიანიშვილის ნაშრომში. რომლის თანახმადაც: სენაკის მაზრაში საერობო კრების არჩევნებში გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკმა, მათ მიიღეს 12 ადგილი. სოციალისტ-რევოლუციონერებმა საერობო კავშირში გაიყვანეს 6 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატებმა კი – 3 ხმოსანი (**ბენდიანიშვილი, 2001,** 188). აღნიშნულ მონაცემებში არაერთი უზუსტობაა. არასწორად არის მოყვანილი ზემო ხსენებული სოციალისტური ბლოკის სტატისტიკური მონაცემები, ვინაიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ – 22 ხმოსნის და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ – 3 ხმოსნის გაყვანა შეძლო და არა 12-ის, როგორც ეს ნაშრომში არის აღნიშნული. არასწორად არის აღწერილი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მონაცემები, ხოლო უპარტიოთა მიერ გაყვანილი ხმოსანი ნაშრომში საერთოდ არ არის ნახსენები. ამავდროულად უნდა ავღინიშნოთ ის გარემოებაც, რომ სენაკის მაზრის საერობო არჩევნებისათვის გასაზღვრული იყო 38 ხმოსნის კვოტა, აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილი მონაცემების დაჯამების შედეგად მივიღეთ 21, რაც თავისთავად არასწორია.

დადგინდა, რომ მე-5 საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა არა 5 059 არამედ 4 831 ამომრჩეველმა მიიღო. შესაბამისად გაუგებარია 228 ბიულეტენს რა ბედი ეწია; ყოველივე ზემოხსენებულს ემატება მარტვილის საარჩევნო ოლქში ჩაშლილი არჩევნები. აღნიშნული დარღვევები ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ, სენაკის მაზრაში ჩატარებული საერობო არჩევნების შედეგების სრულფასოვანი შესწავლისათვის. მიუხედავად აღნიშნული დარღვევებისა იმდენად დიდი იყო სოციალისტური ბლოკის უპირატესობა, რომ მათი გამარჯვება გარდაუვალი იყო.

§3. საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში (1918 წ.)

ზუგდიდის მაზრაში არსებული ანარქიის გამო, საერობო არჩევნებისათვის მზადება შეფერხდა. 1918 წლის ნოემბერში მაზრაში მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, რამაც შესაძლებელი გახადა წინასაარჩევნო სამუშაოები ჩატარებულიყო **(ერობა, 1918:** 2**)**. ამავე თვეს, ზუგდიდის მაზრის საერობო საარჩევნო კომიტეტი ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა კომიტეტმა მაზრა 6 საარჩევნო უბნად დაყო: ზუგდიდის პირველი, ზუგდიდის მეორე, წალენჯიხის პირველი, წალენჯიხის მეორე, ხობის და ქალაქი ზუგდიდის.[18]

1918 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები დაინიშნა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 4; **ტუღუში, 2012:** 131**)**. წინა საარჩევნო პერიოდში, ზუგდიდის სამაზრო საერობო საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე *ვ. კობახიძე იასონ ნიკიფორეს მუჯირით*[19] ჩანაცვლდა. მდივნად *გიორგი ანჯაფარიძის* კანდიდატურა წარადგინეს **(სტატისტიკური ცნობები, 1918)**. წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი, შემდეგ საარჩევნო უბნებად იყო დაყოფილი: წალენჯიხის, ჯვარის, ჯგალის, ფახულანის, ლიის, ჭალეს, ობუჯის.

წალენჯიხის საარჩევნო უბანი: წალენჯიხის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 3 160 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 035 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 629 ხმა; სა-

[18] მცხეთა, კასპი, ხაშური, ჭიათურა, საჩხერე, შორაპანი, ონი, სამტრედია, ხონი, ზუგდიდი, ოჩამჩირე და გუდაუთა 1917-1918 წლებში თვითმმართველი ქალაქები გახდნენ **(ბენდიანიშვილი, 20001:** 182**)**.

[19] **იასონ მუჯირი** (1877-1928) – ექიმი და საზოგადო მოღვაწე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ზუგდიდის მაზრის ცხოვრებაში. იყო ქ. ზუგდიდის ხმოსანი, ერობის პრეზიდიუმის წევრი, მაზრის დელეგატი, სამაზრო პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრი. პარალელურად იასონი და მისი მეუღლე (ნინუცა თოლორაია) იყვნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების წევრები. მის მიერ იქნა აღმოჩენილი და მოქმედებდა სამკურნალო წყლები: ცაისში, სქურში, საჰაერო სამკურნალო ადგილები – ჯაკონია, ოხაჩქუე და თეკანაში.

ქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 67 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 339 ხმა.

ჯვარის საარჩევნო უბანი: ჯვარის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 200 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 392 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 26 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 32 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 334 ხმა.

ჯგალის სარჩევნო უბანი: ჯგალის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 530 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 243 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 2 237 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 4 ხმა.

ფახულანის საარჩევნო უბანი: ფახულანის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 130 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 553 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 484 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 69 ხმა.

ლიის საარჩევნო უბანი: ლიის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 233 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 223 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 109 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 38 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 76 ხმა.

ჭალეს საარჩევნო უბანი: ჭალეს საარჩევნო უბანში საარჩევნოს სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 128 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 395 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-

ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 378 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 17 ხმა.

ობუჯის საარჩევნო უბანი: ობუჯის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 235 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 404 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 244 ხმა;[20] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 49 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 113 ხმა.

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი: რეგისტრირებული იყო 12 616 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 5 252 ამომრჩეველმა მიიღო.[21] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 4 105 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 188 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 952

[20] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ობუჯის ოლქში სოციალისტურმა ბლოკმა არა თუ 244, არამედ 242 ხმა მიიღო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანურ (მექანიკურ) შეცდომასთან, რის დადასტურებასაც რამდენიმე მაგალითით ვეცდები: დოკუმენტური მასალის თანახმად ობუჯის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 404 ამომრჩეველმა მიიღო, ხოლო თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების დაჯამებით (244+49+113=406) 406 ხმა მივიღეთ. მაგრამ თუ ჩემს მიერ მოყვანილ ჰიპოთეზას მივყვებით და ჩავთვლით რომ სოციალისტურმა ბლოკმა მიიღო 242 ხმა მაშინ დოკუმენტის შედეგები სწორდება 242+49+113=404. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, რატომ უნდა ჰქონდეს მაინც და მაინც სოციალისტურ ბლოკს 2 ხმით ნაკლები და არა სხვა წარმოდგენილ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას? აღნიშნული ჩემი მოსაზრება დასტურდება შემდეგი მაგალითებით: 1. სტატისტიკური მონაცემების თანახმად სოციალისტურმა ბლოკმა 4 105 ხმა მიიღო. თუ დავაჯამებთ თითოეულ საარჩევნო უბანზე სოციალისტური ბლოკის მიერ მიღებულ ხმებს (629+26+2237+484+109+378+244=4107) მივიღებთ 4 107 ხმას. ხოლო თუ 244 ჩასწორდება 242-ით, ამ შემთხვევაში ბალანსი აღდგება. 2. თუ რატომ არ შეიძლება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას მიეღო 2-ით ნაკლები ხმა, ამის დადასტურებაა, წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემი რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ პარტიას 188 ხმა აქვს მიღებული (67+32+2+38+49=188). თუ ამ პარტიას ექნებოდა 49 ხმის ნაცვლად 47 ხმა მიღებული საბოლოო შედეგი ვერ მიიღება. 3. თუ რატომ არ შეიძლება საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას 2-ით ნაკლები ხმა მიეღო, ამის დადასტურებაა, წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემი რომლის მიხედვითაც, აღნიშნულ პარტიას 952 ხმა აქვს მიღებული (339+334+4+69+76+17+113=952). თუ ამ პარტიას ექნებოდა 113 ხმის ნაცვლად 111 ხმა მიღებული საბოლოო შედეგი ვერ მიიღება. **4.** სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 5 245 ამომრჩეველმა მიიღო 4105+188+952=5245. თუ სოციალისტურ ბლოკს 244 ხმა ექნებოდა ეს შედეგიც ვერ მიიღება. შესაბამისად დგინდება, რომ სოციალისტურმა ბლოკმა არა 244 არამედ 242 ხმა მიიღო.

[21] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, წალენჯიხის I თითოეულ საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლის სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად 1035+392+2243+553+223+395+404=5245, ასევე მთლიანად წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე სამივე პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით 4105+188+952=5245 დადგინდა, რომ წალენჯიხის I საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა არა 5 252 არამედ 5 245 ამომრჩეველმა მიიღო (**მანი, 1918**: 4). ზემოხსენებული მონაცემი სწორედ არის აღწერილი, აღნიშნული მასალის თანახმად: წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე სოციალისტურ ჯგუფს 5 245 ხმა აქვს მიღებული.

ხმა (**სეა სცა, ფ.** 1863, ან. 1, ს. 907, **ფ. 9; სეა სცა, ფ.** 1863, ან. 1, ს. 469, ფ. 151; **მანი, 1918**: 4.).[22]

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი შემდეგ საარჩევნო უბნებად იყო დაყოფილი: ლესიჭინეს, ლეწურწუმეს, ახუთის, ჭოღის, ნაფიჩხოვოს, კირცხის, ჩხოროწყუს და მუხურის.

ლესიჭინეს საარჩევნო უბანი: ლესიჭინეს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 133 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 304 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 77 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 227 ხმა.

ლეწურწუმეს საარჩევნო უბანი: ლეწურწუმეს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 061 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 268 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 21 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 236 ხმა.

ახუთის საარჩევნო უბანი: ახუთის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 410 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 254 ამომრჩეველმა მიიღო.[23] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1 144 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 104 ხმა.

ჭოღის საარჩევნო უბანი: ჭოღის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 610 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 517 ამომრჩეველმა მიი-

---

[22] ამ მონაცემებში ცდომილებაა. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ 959 ხმა მიიღო. თითოეულ საარჩევნო უბანზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების 339+334+4+69+76+17+113=952 შედეგად დადგინდა რომ წალენჯიხის I საარჩევნო უბანში, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 959 არამედ 952 ხმა მიიღო.

[23] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, ახუთის საარჩევნო უბანზე სამივე პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად 1144+1+104=1249, ასევე მთლიანად წალენჯიხის II საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4 311 ამომრჩეველმა, 304+268+1249+517+96+618+690+569=4311, დადგინდა რომ ახუთის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა არა თუ 1 254 არამედ 1 249 ამომრჩეველმა მიიღო.

ღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 79 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 22 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 416 ხმა.

ნაფიჩხოვოს საარჩევნო უბანი: ნაფიჩხოვოს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 261 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 96 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 10 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 74 ხმა.

კირცხის საარჩევნო უბანი: კირცხის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 669 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 618 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 173 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 36 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 409 ხმა.

ჩხოროწყუს საარჩევნო უბანი: ჩხოროწყუს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 675 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 690 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 167 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 70 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 453 ხმა.

მუხურის საარჩევნო უბანი: მუხურის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 899 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 569 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 394 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 32 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 143 ხმა.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 11 718 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 4 311 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 2 065 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 184 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 062 ხმა (**მანი**, **1918**: 4).[24]

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი შემდეგ საარჩევნო უბნებად იყო დაყოფილი: ნიკოსიას (თანამედროვე – რუხი), ცაიშის, დარჩელის, კოკის, კახათის, აბასთუმნის, შამგონას, ანაკლიის, ნარაზენის და ოირემე-დავითიანის.

ნიკოსიას საარჩევნო უბანი: ნიკოსიას საარჩევნო უბანში საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 149 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 560 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 244 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 310 ხმა.

ცაიშის საარჩევნო უბანი: ცაიშის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 615 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 396 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 169 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 64 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია –163 ხმა.

დარჩელის საარჩევნო უბანი: დარჩელის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 533 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 381 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 16 ხმა; საქართ-

[24] აღნიშნულ პუბლიკაციაში მითითებული მონაცემის თანახმად, წალენჯიხის II საარჩევნო უბანზე, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ 262 ხმა მიიღო. თითოეულ საარჩევნო უბანზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების 227+236+104+416+74+409+453+143=2062 შედეგად დადგინდა, რომ წალენჯიხის II საარჩევნო უბანში, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 262 არამედ 2 062 ხმა მიიღო.

ველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 63 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 302 ხმა.

კოკის საარჩევნო უბანი: კოკის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 589 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 289 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 106 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 53 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 130 ხმა.

კახათის საარჩევნო უბანი: კახათის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 337 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 495 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 150 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 345 ხმა.

აბასთუმნის საარჩევნო უბანი: აბასთუმანს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 000 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 401 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 60 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 341 ხმა.

შამგონას საარჩევნო უბანი: შამგონას საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 566 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 194 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 29 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 48 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 117 ხმა.

ანაკლიის საარჩევნო უბანი: ანაკლიის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 121 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 217 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 47 ხმა; საქართველოს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 28 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 142 ხმა.

ნარაზენის საარჩევნო უბანი: ნარაზენის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 200 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 231 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული სია) – 20 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 211 ხმა.

ოირემე-დავითიანის საარჩევნო უბანი: ირემე-დავითიანის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 228 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 17 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 207 ხმა.

ზუგდიდის პირველ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 13 110 ამომრჩეველი.[25] არჩევნებში მონაწილეობა 3 392 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 858 ხმა (**მანი**, **1918**: 4);[26] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 266 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2268 ხმა.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი შემდეგ საარჩევნო უბნებად იყო დაყოფილი: ყულიშკარის, კორცხელის, ჭაქვინჯის, ძველი ხიბულის, ახალი ხიბულის, რიყის, ჭკადუაშის, ლედგებიეს, ს. ზუგდიდის.

ყულიშკარის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 580 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 377 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევო-

[25] აღნიშნული მონაცემი არასრულია, არ არის მოყვანილი ოირემე-დავთიანის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული ამომრჩეველთა რიცხვი. აღნიშნული მონაცემი საარქივო მასალებში არ იძებნება.

[26] ამ მონაცემის თანახმად, ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე, სოციალისტურმა ბლოკმა 848 ხმა მიიღო. თითოეულ საარჩევნო უბანზე სოციალისტური ბლოკის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების 244+169+16+106+150+60+29+47+20+17=858 შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის I საარჩევნო უბანში სოციალისტურმა ბლოკმა არა 848, არამედ 858 ხმა მიიღო.

ლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 128 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 27 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 222 ხმა.

კორცხელის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 634 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 346 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 67 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 275 ხმა.

ჭაქვინჯის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 470 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 360 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 40 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 72 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 248 ხმა.

ძველი ხიბულის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 528 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 138 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 85 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 48 ხმა.

ახალი ხიბულის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 093 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 194 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 59 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 135 ხმა.

რიყეს საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 600 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 258 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 79 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 179 ხმა.

ჭკადუაშის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 003 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 333 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 29 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 34 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 270 ხმა.

ლედგებიეს საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 606 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 242 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 98 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 144 ხმა.

ს. ზუგდიდის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 660 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 200 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 90 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 103 ხმა.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 10 174 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 448 ამომრჩეველმა მიიღო (**სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 907, ფ. 9; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 469, ფ. 150).[27] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 675 ხმა (**სეა სცა, ფ.** 1863, ან. 1, ს. 907, ფ. 9; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 469, ფ. 150);[28] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 149 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 624 ხმა.

---

[27] ამ მონაცემებში ცდომილებაა, აღნიშნულ დოკუმენტების მიხედვით ზუგდიდის II საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 2 440 ამომრჩეველმა მიიღო. თითოეულ საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების 377+346+360+138+194+258+333+242+200=2448 და ამავდროულად მთიანად ზუგდიდის II საარჩევნო უბანში სამივე პოლიტიკური პარტიის მიღებული ხმების დაჯამების 675+149+1624=2448 შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არა 2 240 არამედ 2 448 ამომრჩეველმა მიიღო.

[28] აქაც ცდომილებაა, აღნიშნულ დოკუმენტების მიხედვით ზუგდიდის II საარჩევნო უბანზე, სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 667 ხმა მიიღო. მთლიანად თითოეულ საარჩევნო უბანზე სოციალისტური ბლოკის მიერ მიღებული ხმების დაჯამებით 128+67+40+85+59+79+29+98+90=675 დადგინდა, რომ ზუგდიდის II საარჩევნო უბანზე სოციალისტურმა ბლოკმა არა 667 არამედ 675 ხმა მიიღო.

ხობის საარჩევნო უბანი შემდეგ საარჩევნო უბნებად იყო დაყოფილი: დიდინეძის, ხეთის, ხორგის, ხობის, ქარიატის, ნოჯიხევის, ხორშის, ზანის, ქვალონის, საჯიჯაოს, რედუტ-კალეს. დიდინეძის საარჩევნო უბანი: დიდინეძის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 889 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 628 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 46 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 71 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 511 ხმა.

ხეთის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 711 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 055 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 892 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 163 ხმა;

ხორგის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 090 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 868 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 606 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 132 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 130 ხმა.

ხობის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 571 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 268 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 236 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 30 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმა.

ქარიატას საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 549 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 304 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 145 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 113 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 46 ხმა.

ნოჯიხევის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 763 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 460 ამომრჩეველმა მიიღო. სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 418 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 19 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 23 ხმა.

ხორშის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 811 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 580 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 269 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 96 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 215 ხმა.

ზანის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 241 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 338 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 236 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 33 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 69 ხმა.

ქვალონის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 603 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 753 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 351 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 53 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 349 ხმა.

საჯიჯაოს საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 330 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 421 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 227 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 192 ხმა.

რედუტ-კალის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 367 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 138 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოცი-

ალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 66 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 72 ხმა.

ხობის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 15 625 ამომრჩეველი.[29] არჩევნებში მონაწილეობა 5 813 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 3 492 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 712 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 609 ხმა.

ქალაქი ზუგდიდის საარჩევნო უბანი: საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 485 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 787 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 446 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 255 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 86 ხმა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, **ზუგდიდის მაზრაში** ჩატარებული საერობო არჩევნების შედეგები ასე გადანაწილდა: საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 65 728[30] ამომრჩეველი,[31] არჩევნებში მონაწილეობა 21 995 (33,823%) ამომრჩეველმა მიიღო.[32] პოლიტიკურ პარტიათა შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფე-

[29] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ხობის თითოეულ საარჩევნო უბანზე საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩევლების სტატისტიკური მონაცემის დაჯამებით 1889+2711+1090+571+549+1763+1811+1241+1603+1330+367=14925 დადგინდა, რომ ხობის საარჩევნო უბანზე, საარჩევნო სიის მიხედვით არა 15 625 არამედ 14 925 ამომრჩეველმა მიიღო.

[30] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩეველთა სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით 12612+11718+13110+10174+14925+2485=65024 დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში არჩევნებში რეგისტრირებული არა 65 728 არამედ 65 024 ამომრჩეველი იყო.

[31] განსხვავებული მონაცემები აქვს მოყვანილი გონელ არახამიას, აბესალომ ტუღუშს, რომელთა მიხედვით ზუგდიდის მაზრაში 65 723 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული (**არახამია, ტუღუში,** 2015: 140). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში არა 65 723, არამედ 65 024 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული.

[32] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, სათითაოდ ზუგდიდის მაზრაში მონაწილე ამომრჩეველთა, სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად 5245+4311+3392+2448+5813+787=21996 დადგინდა, რომ მთლიანად ზუგდიდის მაზრაში, ერობის არჩევნებში მონაწილეობა არა 21 995 არამედ 21 996 (33,827%) ამომრჩეველმა მიიღო.

დერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 11 633 (53,7%) ხმა;[33] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 754 (7,88%) ხმა;[34] საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 8 608 (39,13 %) ხმა.[35]

ზუგდიდის სამაზრო ერობაში 30 ხმოსანი აირჩიეს. საარჩევნო უბნების მიხედვით, ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკური პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

- **წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანში** 6 ხმოსანი აირჩიეს. სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 5 ხმოსანი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი.
- **წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში** 5 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 3 ხმოსანი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.
- **ზუგდიდის პირველ საარჩევნო უბანში** 6 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 2 ხმოსანი. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 4 ხმოსანი.
- **ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანში** 5 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმოსანი.
- **ხობის საარჩევნო უბანში** 7 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-

[33] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, სათითაოდ ზუგდიდის მაზრის ერობის არჩევნებში სოციალისტური ბლოკის (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა 4105+2065+858+675+3492+446=11641 რომ სოციალისტურმა ბლოკმა არა 11 633, არამედ 11 641 (52,923%) ხმა მიიღო.

[34] აღნიშნული მონაცემის პროცენტულ მაჩვენებელში ცდომილებაა, პროცენტის დაანგარიშების შედეგად დადგინდა 1754x100:21996=7,974%, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ არა 7,88% არამედ 7,974% მიიღო.

[35] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, სათითაოდ ზუგდიდის მაზრის ერობის არჩევნებში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიერ მიღებული ხმების, სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა 952+2062+2268+1624+1609+86=8601, რომ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ ზუგდიდის მაზრაში არა 6 608 არამედ 8 601 (39,102%) ხმა მიიღო.

ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 4 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმოსანი. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.

- **ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანში** 1 ხმოსანი აირჩიეს: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 1 ხმოსანი **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 907: 9; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 5; **მანი, 1918:** 4; **ხვადაგიანი, 2018:** 168-169**)**.
- **ზუგდიდის მაზრაში** ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) – 17 ხმოსანი;[36] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 12 ხმოსანი[37] **(ირემაძე, 2019:** 128**)**.

1919 წლის 4 იანვრის, 10 საათზე აირჩა ზუგდიდის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: გამგეობის თავმჯდომარე – *ლეო შენგელაია* (ლეო ქიაჩელი)[38] – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია **(თოფურია, 1984:** 184; **პროვინცია. ზუგდიდი, 1919:** 3-4**)**, წევრები – *ვასო ქავთარაძე* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), *შოთა დადიანი* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ნიკო ბერიძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ლავრენტი კოდუა* (სა-

[36] სოციალისტურმა ბლოკმა სამაზრო ერობაში, გაიყვანა 17 ხმოსანი, აქედან: საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ – 9, ხოლო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ – 8 ხმოსანი.

[37] განსხვავებული მონაცემები აქვს მოყვანილი გონელ არახამიას, აბესალომ ტუღუშს (**არახამია, ტუღუში,** 2015: 140). ასევე იდენტური მონაცემი აქვს მოტანილი აბესალომ ტუღუშს სხვა პუბლიკაციაში (**ტუღუში,** 2015:131). ამ მონაცემებით, ზუგდიდის მაზრაში პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმოსნების რაოდენობა ასე იყო გადანაწილებული: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 17 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 10; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 12 ხმოსანი. აღნიშნულ მონაცემებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გაყვანილი ხმოსნები რაოდენობა არასწორად არის მითითებული. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არა 10, არამედ 1 ხმოსნის გაყვანა შეძლო. ასევე განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ალექსანდრე ბენდიანიშვილს, რომლის თანახმადაც: ზუგდიდის მაზრაში საერობო კრების არჩევნებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ – 9, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ – 8, ეროვნულ-დემოკრატებმა – 1 და სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 10 ხმოსნის გაყვანა მოახერხეს (**ბენდიანიშვილი, 2001:** 189). მასში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შედეგი არასწორად არის მოტანილი. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზემო ხსენებულმა პარტიამ გაიყვანა 12 ხმოსანი და არა 10, როგორც ეს ნაშრომში არის აღნიშნული.

[38] **ლეო მიხეილის ძე შენგელაია** (1884-1963) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1907 წლის 7 მაისიდან მან ფსევდონიმად ლ. მიხაძე აირჩია, რომელიც მალევე ჩაანაცვლა ლეო ქიაჩელით. იგი იყო საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი.

ქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). ყრილობის თავმჯდომარედ *კალისტრატე კობახიძე* /საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია/ აირჩიეს, მის თანაშემწეებად – *მაქსიმე ვეკუა* /საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია/ და *დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჩხოლარია* /საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია/ მდივანი – *ბაგრატ კონსტანტინეს ძე უგულავა* /საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია/ **(მანი. ზუგდიდის, 1919:** 3**)**.

ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას საარჩევნო დებულების რაიმე სახით დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. გარდა წალენჯიხის ერთი რაიონისა, სადაც საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) პარტიის წარმომადგენლებმა არჩევნების შედეგის გაუქმება მოითხოვეს. მაგრამ მათ საარჩევნო დებულების დარღვევის ვერც ერთი საბუთი ვერ წარადგინეს, ამიტომ, საარჩევნო კომისიამ აღნიშნული არჩევნები კანონიერად ჩათვალა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 6**)**. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული არჩევნები, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით მიმდინარეობდა, რომელშიც *„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ“* გაიმარჯვა. საერობო არჩევნების მეორე ეტაპი 1919 წლის თებერვალ-მარტში აფხაზეთში, ხოლო ივნისივლისსა და ოქტომბერში – ბორჩალოს, თიანეთის და ახალციხის მაზრებში ჩატარდა.

§4. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ახალ სენაკში (1919 წ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში, საქალაქო არჩევნები 1918 წლის 28 დეკემბრიდან 1920 წლის 21 მარტამდე მიმდინარეობდა. 1918 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულება დაამტკიცა. დებულების თანახმად: ქალაქის საბჭოს ხმოსნები ორი წლის ვადით ირჩეოდნენ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა იმ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც შესრულებული ჰქონდა 20 წელი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ *„ბერ-მონაზვნებს და იმ პირებს, რომლებიც კანონის მიხედვით აღიარებულნი იყვნენ შეურაცხადად, ყრუ-მუნჯებად, ასევე, სასამართლოს მიერ სასჯელმისჯილ პირებს“* და ა.შ. **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 471: 51-54: **ხვადაგიანი, 2021:** 249-255**)**. საქალაქო არჩევნები საქართ-

ველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყველა ქალაქში[39] უნდა ჩატარებულიყო. ამ დროისათვის სამეგრელო 4 – ქალაქს აერთიანებდა: ახალ სენაკს, ზუგდიდს, ყულევს და ფოთს.

1919 წლის 26 იანვარს ქალაქ ახალ სენაკში საქალაქო არჩევნები ჩატარდა. არჩევნების შედეგად: საქალაქო საბჭოში, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ – 12 ხმოსანი. ხოლო, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ ერთიანობაში – 8 ხმოსნის გაიყვანა შეძლო (რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა პოლიტიკურმა სუბიექტმა ცნობილი არ არის) **(ეროვნულ-დემოკრატიული, 1919:** 2; **საქართველოს რესპუბლიკის, 1919:** 36; **ახალ-სენაკის, 1919:** 1-2**)**.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა გაზეთ *„საქართველოში“*, სადაც ეს შედეგი დიდ და ნამდვილ გამარჯვებად აღიქვეს. მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც მათ წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების, ფედერალისტების და ესერების ბლოკი იბრძოდა **(ეროვნულ-დემოკრატიის, 1919:** 1**)**, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეს სიხარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, რადგანაც აღნიშნული არჩევნების მიმდინარეობისას აღმოჩნდა არა ერთი დარღვევა. მათ შორის: სენაკის განაპირა მხარეს მცხოვრებ 1 000-ზე მეტ მოქალაქეს, არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცათ; პირადი ბარათები ყველა მოქალაქისათვის არ აღმოჩნდა დამზადებული. ხოლო, აღნიშნული ბარათის არ მქონე მოქალაქეები სარჩევნო უბნებზე არ დაუშვეს; ამავდროულად ადგილი ჰქონდა კიდევ სხვა არაერთ დარღვევას. შესაბამისად, აღნიშნული არჩევნები ქუთაისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა **(ქ. სენაკის, 1919:** 2**)**.

1919 წლის 18 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ზემო ხსენებული არჩევნების კანონიერების საკითხი განიხილა და იგი ბათილად გამოაცხადა **(სენაკის თვითმმართველობის, 1919:** 2**)**. ხელახალი არჩევნები იმავე წლის 30 მარტს დაინიშნა. 1919 წლის 30 მარტს **ქალაქ ახალ სენაკში** ჩატარდა საქალაქო არჩევნები. საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული 2 250 ამომრჩეველი იყო **(არჩევნების გარშემო, 1919:** 3**)**. არჩევნებში მონაწილეობა 931 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ 41,37 % შეადგინა. პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმები ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 569 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 170 ხმა; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 97 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 95 ხმა.

[39] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ამ დროისათვის აერთიანებდა სულ 34 ქალაქს, მათ შორის: ყოფილი თბილისის გუბერნიის 14 ქალაქი; ქუთაისის გუბერნიის – 12; სოხუმის ოლქი – 4; სოჭის ოლქი – 3; ზაქათალას ოლქი – 1.

ქალაქ ახალ სენაკის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 12 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმოსანი; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი (**არჩევნები, 1919:** 3; **ახალი ამბები, 1919:** 3).

აღნიშნული არჩევნების კანონიერებაც ეჭვქვეშ დადგა. სწორედ ამიტომ, 1919 წლის 1 აპრილს სამსონ იოთომის ძე გამყრელიძემ საჩივარი გააგზავნა ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე, რომელიც ეხებოდა ქალაქ ახალი სენაკის არჩევნებს. საჩივრის მიხედვით, 1919 წლის 30 მარტს ქალაქ ახალ სენაკის ხმოსანთა არჩევნები უკანონო იყო და უნდა გაუქმებულიყო, რადგან:

- **ა.** 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქალაქის საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულების **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 84: 28-43) მე-8 მუხლის თანახმად: *„საარჩევნო სიებს ქალაქის გამგეობა ადგენდა“.* აღნიშნული არჩევნებისათვის კი სრულიად უკანონოდ შემდგარმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც *„არჩევნებისათვის რუსეთის დამფუძნებელი კრებისთვის შედგენილი საარჩევნო სიით უნდა ეხელმძღვანელათ“.* ეს უკანასკნელი კი ოცისთავის და ასისთავის მიერ იყო შესწორებული. აღნიშნული შესწორების შემდეგ სრულიად დაირღვა ზემოხსენებული მე-8 მუხლი.
- **ბ.** ზემოხსენებულ კომისიას არ ჰქონდა უფლება, საარჩევნო სიების შედგენაზე რაიმე სახის მსჯელობა ჰქონოდა, რადგანაც ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდა. შესაბამისად, დებულების მე-8 მუხლი დაირღვა.
- **გ.** კომისია იმ პირებისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომელიც საარჩევნო დებულების მე-15 მუხლში აღნიშნულნი იყვნენ. ამ არჩევნებისათვის კი – საარჩევნო სიის შესადგენად კომისია *„ოცის და ასის თავების“* შემადგენლობით ჩამოყალიბდა. ამის შესახებ საარჩევნო დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი და არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებს არ ჰქონდათ მსგავსი რამ დადასტურებული. შესაბამისად, *უკანონოდ შემდგარი კომისიის მიერ მიღებული დადგენილება უკანონო იქნებოდა.*
- **დ.** საარჩევნო დებულების მე-14 მუხლის ძალით, კანდიდატების სიები უნდა წარედგინათ ქალაქის მოურავთან, არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. კანდიდატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ხმოსანთა საერთო რიცხვს, რომელიც ასარჩევი იყო. ამ არჩევნებისათვის კი – ხმოსანთა კანდიდატების სიები

გვიან წარადგინეს. *„ერთი სია, სახელდობრ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არჩევნებამდე 7 დღით ადრე, ხოლო დანარჩენი სამივე პოლიტიკური პარტიის სია არჩევნებამდე 8 დღით ადრე წარადგინეს. რიცხვი ამ კანდიდატების არ უნდა ყოფილიყო 20-ზე მეტი. ზედმეტნი კი – ამოშლილი უნდა ყოფილიყვნენ. რაც არავის არ მოუხდენია“.* საარჩევნო სიები არჩევნებამდე 7 დღით ადრე საყოველთაოდ უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში არჩევნებისათვის ეს არ ყოფილა შესრულებული, რადგანაც ერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სია მხოლოდ შვიდი დღით ადრე შევიდა. ყოველივე ზემოთ ხსენებული საარჩევნო დებულების მე-14 მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

- **ე.** თარიღი აღნიშნულ საკანდიდატო სიებზე იყო უკანონო. *„სიების მიმღებს არ ჰქონდა აღნიშნული, რომელი სია რომელ საათზე იყო შემოსული. იმავე დროს რამდენიმე სიაზე თარიღი აღნიშნული იყო წითელი მელნით, ნომრები კი – შავი მელნით. ამიტომ შეუძლებელი იყო მსჯელობა მასზე, თუ რომელი სია იქნა პირველად მიღებული“.* ესეც წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას.
- **3.** არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიამ ხმის მიცემის უფლება მისცა ისეთ პიროვნებებს, რომლებიც საარჩევნი სიაში არ იყვნენ შეყვანილნი. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ეხელმძღვანელა ორი სიით. ერთი შესწორებული ოცი და ასისთავების მიერ და მეორე კი – რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის შედგენილი საარჩევნო სიით. ეს კი საარჩევნო დებულების მე - 8, 9, 10, 11 და სხვა მუხლების უხეში დარღვევა იყო.
- **ზ.** საარჩევნო დებულების მე-13 მუხლის მოთხოვნით, *„არჩევნები უნდა ჩატარებულიყო დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე“.* კომისიამ ეს დებულება, როგორც ეს საარჩევნო ოქმიდან ნათლად გამოჩნდა, რამდენჯერმე დაარღვია და არჩევნების მსვლელობა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვიტა. პირველი ასეთი შეწყვეტა 10 საათიდან 11 1/2 საათამდე გაგრძელდა, როგორც ეს ოქმში არის აღნიშნული. ხოლო საარჩევნო პროცესის მეორეჯერ შეწყვეტა საერთოდ არ არის ასახული საარჩევნო ოქმში. ამას ემატება ამავე ოქმში აღნიშნული გარემოება, *„კომისია ჯერ კიდევ 10 საათზე თავმჯდომარის ამხანაგს ირჩევდა“.* დებულების თანახმად კი, თავმჯდომარის არჩევა უნდა მომხდარიყო წინა დღით. ოქმიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საარჩევნო კომისიამ ნახევარ დღეზე მეტი სხდომებს და კამათს მოანდომა, რითაც კომისიამ ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდა.

- **თ.** არჩევნების მიმდინარეობისას, საარჩევნო ყუთში ამომრჩევლები კონვერტებს თავად აგდებდნენ. ეს კი საარჩევნო დებულების მე-20 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 3-20**)**.

1919 წლის 29 აპრილს ქუთაისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივარი და ქალაქ ახალ სენაკში ჩატარებული არჩევნები გააუქმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 26-27; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 116**)**. 1919 წლის 12 მაისს ახალი სენაკის ქალაქის გამგეობამ ახალი არჩევნები 1919 წლის 22 ივლისს, კვირას დანიშნა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 37**)**.

ქალაქ ახალი სენაკის ხმოსანთა არჩევნებში შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა მიიღეს მონაწილეობა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 40**)**. 1919 წლის 10 ივნისს ახალი სენაკის ქალაქის გამგეობამ მიიღო, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო №1). სიაში იყვნენ შემდეგი პირები: *დავითაია ლუკა კონსტანტინეს ძე; ფიჩხაია აკაკი ალექსის ძე; ანჯაფარიძე ანდრო მაქსიმეს ძე; მაღნარაძე გიორგი ისიდორეს ძე; მალანია ისიდორე მათეს ძე; გეგენავა ლავრენტი ტარიელის ძე; ნოდია მიხეილი ზოსიმეს ძე; მელია სიმონი დავითის ძე; გამსახურდია რაჟდენი გიორგის ძე; კანკავა გრიგორი ბიტუს ძე; ლამახუა ვლადიმერ გიორგის ძე; ხოფერია ვლადიმერ დიმიტრის ძე; ქობალავა დათიკო კოსტას ძე; ანჯაფარიძე კოლია აქვსენტის ძე; კალანდარიშვილი ფლორენცია მიხეილის ასეული; კეკელია სამუელ ანტონის ძე; ჭოჭუა გრიგორი ვასილის ძე; შენგელია პავლე; სილოგავა თომა; ქაჯაია გიორგი* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 50**)**.

1919 წლის 11 ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქ ახალი სენაკის გამგეობამ მიიღო, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო № 2). სიაში იყვნენ: *ჯაკობია გიორგი პავლეს ძე; გეგენავა ნესტორი (შალვა) მურზაყანის ძე; ჩხეტია ალექსანდრე მიხეილის ძე; ფულარია ევგენი ალექსისი ძე; გეგენავა მურზაყანი ეგნატეს ძე; ჩხეტია იპოლიტე მიხეილის ძე; მუსერიძე ალექსანდრე ივანეს ძე; ლორთქიფანიძე ალექსანდრე გიორგის ძე; ფრანგიშვილი ივანე მარკოზის ძე; ალავიძე ნიკოლოზი პავლეს ძე“* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 51**)**.

1919 წლის 11 ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქ ახალი სენაკის გამგეობამ მიიღო, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს სოცი-

ალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო № 3). სიაში იყვნენ: *ქავთარაძე პეტრე პავლეს ძე*[40]*; ხარბედია ბიქტორი მიხეილის ძე; კობახიძე აქვსენტი ნიკოლოზის ძე; კიზირია ისაკ დიმიტრის ძე; კოკაია ლიუდოვიკ კოსტას ძე; ცაავა ლევან კოსტას ძე; კუჭავა კოსტა დავითის ძე; ადამია თეოფანე ბეგოს ძე* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 52**)**.

1919 წლის 11 ივნისს, საღამოს 2 1/2 საათზე, ქალაქ ახალი სენაკის გამგეობამ მიიღო, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო № 4). სიაში იყვნენ: *ხოფერია ბესარიონ ლუკას ძე, დგებუაძე პეტრე მიხეილის ძე, გამზარდია გიორგი ვასილის ძე, გეგელაშვილი დავითი პეტრეს ძე, ღვამიჩავა მიხეილ მაქსიმეს ძე, ძიძიგური გრიგოლ პავლეს ძე, ვერულაშვილი მელქისედეკ, იოსელიანი რაჟდენ სამსონის ძე, გვათუა იოსებ ნიკოლოზის ძე, ქაჩიბაია სამსონ ქაიხოსროს ძე, კოკაია კონდრატე ბაგრატის ძე, კალანდარიშვილი შალვა მათეს ძე, ჟვანია დავითი დიმიტრის ძე, ჯობავა ლეონტი საბას ძე, კინწურეიშვილი იასონ ერისტუს ძე, ცხადაია ელიზბარ თადეოზის ძე, დუდუჩავა მურზა ლომიკიას ძე, მისაბიშვილი მაქსიმე ჯარვას ძე, ცომაია დიმიტრი მიხეილის ძე, სალაყაია თედოტი პავლეს ძე* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 53**)**.

1919 წლის 18 ივნისს, დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის მოწვევით ქალაქის გამგეობაში გამოცხადდნენ 22 ივნისს ჩასატარებელი საქალაქო არჩევნების კომისიის წევრები. კომისიის სხდომა ქალაქის გამგეობაში გაიმართა. სხდომას ესწრებოდა: ქალაქის თავი *ჰოლიკარპე ლორთქიფანიძე*, მის მიერ მოწვეული: *აპალონ ძიგუა* და *ივლიანე ჯონდის ძე კოკაია*; საკანდიდატო სიებზე ხელის მომწერები: *ერმილე ალექსის ძე ჭეიშვილი, მოსე გიგოს ძე ქადარია, არტემი ღვამბერია* და *ილია ხაჟომია.* მოწვეულთაგან *ვერა ცომაია* არ გამოცხადდა. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ *არტემ ღვამბერია* აირჩიეს, მდივნად – *ილია ხაჟომია* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 54**)**.

1919 წლის 22 ივნისს ქალაქ ახალი სენაკის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: კომისიის თავმჯდომარე – *ჰოლიკარპე ლორთქიფანიძე, არტემი ღვამბერია, იულონ კოკაია, ერმილე ჭეიშვილი, აპოლონ ძუგუა, მოსე ქადარია* და *ილია ხაჟომია*. საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა დილის 9 საათიდან საღამოს 21 საათამდე. საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 3 011 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 832 ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა 23 ½ % შეადგენდა.[41] პოლიტი-

[40] **პეტრე ქავთარაძე** (1889-1966) – ქართველი ნევროპათოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი.

[41] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა. პროცენტული მაჩვენებლის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქ ახალ სენაკის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა, მოსახლეობის არა 23 %, არამედ 27.6 % მიიღო (832X100:3011=27,63).

კურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 400 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 80 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 110 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 242 ხმა[42] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 55; **პროვინციის ცხოვრება, 1919:** 4**)**.

არჩევნების შედეგად, ახალი სენაკის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 9 ხმოსანი: *ლუკა კონსტანტინეს ძე დავითაია, აკაკი ალექსის ძე ფიჩხაია, ანდრო მაქსიმეს ძე ანჯაფარიძე, გიორგი ისიდორეს ძე მაღნარაძე, ისიდორე მათეს ძე მალანია, ლავრენტი ტარიელის ძე გეგენავა, მიხეილი ზოსიმეს ძე ნოდია, სიმონი დავითის ძე მელია, რაჟდენ გიორგის ძე გამსახურდია*. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი: *გიორგი პავლეს ძე ჯაკობია და ნესტორი მურზაყანის ძე გეგენავა*. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმოსანი: *პეტრე პავლეს ძე ქავთარაძე, ბიქტორ მიხეილის ძე ხარბედია, აქვსენტი ნიკოლოზის ძე კობახიძე*; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი: *ბესარიონ ლუკას ძე ხოფერია, პეტრე მიხეილის ძე დგებუაძე, გიორგი ვასილი ძე გამზარდია, დავითი პეტრეს ძე გეგელაშვილი, მიხეილ მაქსიმეს ძე ღვამიჩავა, გრიგორი პავლეს ძე ძიძიგური.* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 56; **ახალსენაკი, 1919:** 2**)**. ქალაქ ახალი სენაკის ქალაქის თავი *პოლიკარპე ლორთქიფანიძე* გახდა, მოადგილე *ლავრენტი გეგენავა.* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 58, 63).

ამრიგად, ქალაქ ახალ სენაკის თვითმმართველობის არჩევნების გარშემო განვითარებული მოვლენები წარმოადგენს უპრეცედენტო შემთხვევას, როდესაც არჩევნების შედეგები სასამართლომ ორჯერ გააუქმა. ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით ხელახალი არჩევნები დაინიშნა. აღნიშნულ არჩევნებში კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

---

[42] განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ირაკლი ხვადაგიანს, რომელიც, როგორც ჩანს ეყრდნობა 1919 წლის 24 ივნისის საგაზეთო პუბლიკაციას (**ახალსენაკი, 1919:** 2). ამ მონაცემებით, ქალაქ სენაკის საქალაქო არჩევნებში 835 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 406 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 80 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 110 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 392 (**ხვადაგიანი, 2021:** 152). აღნიშნულ მონაცემებში არაერთი უზუსტობაა. როგორც ირ. ხვადაგიანი აღნიშნავს, არჩევნებში მონაწილეობა 835 ამომრჩეველმა მიიღო, ხოლო მის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად (406+80+110+392=988) მივიღეთ 988. შესაბამისად, შეუძლებელია ხმა მიეცა იმაზე მეტ ამომრჩეველს ვიდრე მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. ასევე არასწორად არის მითითებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ არა 406, არამედ 400 ხმა, ხოლო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არა 392, არამედ 242 ხმა მიიღო.

§5. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ფოთში (1919 წ.)

1919 წლის 9 თებერვალს ქალაქ ფოთის საქალაქო არჩევნები გაიმართა. ქალაქი ფოთი 5 საარჩევნო უბნად დაიყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ ქალაქ ფოთის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებად შემდეგი პირები წარადგინეს: *საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე; ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე; კორძაია ალექსანდრე ბეგლარის ძე; კიღურაძე ლავროსი პავლეს ძე; ხოფერია კონსტანტინე (გრიშა) ალექსანდრეს ძე; ინწკირველი ამბროსი ნესტორის ძე; ნოდია ვანო მარკოზის ძე; ქუთათელაძე პეტრე იორდანეს ძე; ტუღუში ლავრენტი მაქსიმეს ძე; პაიჭაძე სოლომონ გიგოს ძე; მეგრელიძისა ლუდმილა იზმაილის ასული; ქადიეშვილი მარგარიტა ვასილის ასული; სამოსანე* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) *არისტარხი ივანეს ძე; გოგიბერიძე სიმონ კონსტანტინეს ძე; ჯაკობია თომა მანუჩარის ძე; კომახიძე ვანო არსენის ძე; ცხადაია ერმილე თეიმურაზის ძე; სვანიძე აპოლონ ლუარსაბის ძე; მახარაძე ნიკო სიმონის ძე; ჟვანია ნიკოლოზ ერასტოს ძე; ლოლუა გიორგი (ჯოდო) კინტირიას ძე; ნადარეიშვილი სიმონ (გუჯუ) ივანეს ძე; ნოდია ივანე (ბანძღი) რომანოზის ძე; ვაშაკიძე ბესარიონ მიხეილის ძე; იმნაძე ვანო გაბრიელის ძე; ჯიბლაძე კოლია გაბრიელის ძე; კოხრეიძე იოსებ ივანეს ძე; ცანავა ალექსანდრე (ალექსი) გაბრიელის ძე; ჯაიანი კირილე ივანეს ძე; დოლიძე გიორგი ზურაბის ძე და შოთაძე ირაკლი გიორგის ძე* **(საარჩევნო, 1919:** 3-4**)**.

საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 8 144 ამომრჩეველი **(საქართველოს პარლამენტის, 1919:** 3; **არჩევნების გარშემო, 1919:** 3**)**, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3 959 ამომრჩეველმა. აქტივობამ შეადგინა 48,61 %. პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმება ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 864 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 721 ხმა; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 282 ხმა;[43] საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 88 ხმა; უპარტიოები – 4 ხმა.[44]

ქალაქ ფოთში 31 ხმოსანი აირჩიეს. არჩეული ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმება ასე

[43] განსხვავებული მონაცემი არის ასახული ერთ-ერთ იმჟამინდელ საგაზეთო პუბლიკაციაში, რომლის თანახმადაც: საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას – 281 ხმა აქვს მიღებული (**ფოთი, 1919:** 3). აღნიშნული საკითხის დამატებითი შესწავლის შედეგად დადგინდა რომ, ფოთის საქალაქო არჩევნებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ მიიღო არა 281, არამედ 282 ხმა. ასევე არაზუსტია იმავე პერიოდის სხვა საგაზეთო პუბლიკაციის მონაცემი, რომლის თანახმადაც: საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას – 228 ხმა აქვს მიღებული (**ფოთის, 1919:** 2). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ, ფოთის საქალაქო არჩევნებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა 228, არამედ 282 ხმა მიიღო.

[44] განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ირაკლი ხვადაგიანს, რომლის თანახმად, ქალაქ ფოთში უპარტიოებს 41 ხმა აქვთ მიღებული (**ხვადაგიანი, 1921:** 145). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უპარტიოებმა ქალაქ ფოთში 4 ხმა მიიღეს და არა 41.

გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 22 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი **(უკანასკნელი, 1919:** 2; **ფოთის, 1919:** 2; **ფოთი, 1919:** 3; **საქართველოს რესპუბლიკის, 1919:** 36**)**.

1919 წლის 4 მარტს ქალაქ ფოთის საბჭოს თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი – *ლავროსი პავლეს ძე კიღურაძე* აირჩიეს, მის მოადგილედ ასევე სოციალ-დემოკრატი – *არისტარხ სამსონაძე,* ხოლო მდივნად უპარტიოთა წარმომადგენელი – *სოლომონ ჰორფირის ძე ოსიძე.* ქალაქის თავად – *ალექსანდრე ბეგლარის ძე კორძაია* აირჩიეს. ხოლო, გამგეობის წევრებად: *გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია* (იგი ამავდროულად ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობას იკავებდა), *ამბროსი ნესტორის ძე ინწკირველი და პეტრე იორდანის ძე ქუთათელაძე* აირჩიეს. ოთხივე ზემოთ ხსენებული პიროვნება იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 102-108; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1080: 6; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1411: 12, 26, 34, 43, 50, 55 63, 112; **ახალი ამბები. ფოთის, 1919:** 3; **ხვადაგიანი, 2021:** 145; **ხორავა, 2021:** 187**)**.

ამდენად, ქალაქ ფოთის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საარჩევნო დებულების სრული დაცვით. საარჩევნო პროცესიის მიმდინარეობისას არანაირ კანონ-დარღვევას, რომელსაც შეეძლო რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე, ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამარჯვებით დასრულდა. შესაბამისად არჩეული ხმოსნების უმრავლესობას, სწორედ აღნიშნული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

§6. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ზუგდიდში (1919 წ.)

1919 წლის 9 თებერვალს ქალაქ ზუგდიდის საქალაქო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საბჭოს აღნიშნული დადგენილება გაუქმდა და არჩევნების ჩატარება გადაწყდა დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ **(ზუგდიდის საქალაქო, 1919:** 2**)**.

არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 16 მარტს. მასში ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა:

- № 1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
- № 2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- № 3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია;
- № 4 – უპარტიოთა ჯგუფი;

- № 5 – საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია;
- № 6 – ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი.

ქალაქ ზუგდიდში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 234 ამომრჩეველი.[45] მათგან არჩევნებში მონაწილეობა 1 293 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ, კი 39,98 % შეადგინა **(ხვადაგიანი, 2021:** 148**)**. მიღებული ხმები, პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 391 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 432 ხმა; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 310 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 109 ხმა; ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი – 51 ხმა.

ქალაქ ზუგდიდის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რიცხვი პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 6 ხმოსანი: *ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ლეო ქიაჩელი); გიორგი ნესტორის ძე ჭედია; იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი, ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა; ანტონ (მამია) მაქსიმეს ძე ანჯაფარიძე და მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა*. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი: *ილია ილიას ძე დადიანი; იონა მიხეილის ძე მეუნარგია; ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე დარასელია; გრიგოლ მიხეილის ძე შელია; ვლადიმერ კონსტანტინეს ძე წულეისქირი და ეგნატე მახარიას ძე ნადარაია.* საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმოსანი: *კალისტრატე ასლანგერის ძე კობახიძე; სოკრატ ივანეს ძე კეშელავა; მელქისედექ ისიდორეს ძე კობახიძე; ნიკოლოზ საბას ძე ბუკია და ანდრია ბესარიონის ძე დგებუაძე.* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი: *მიხეილ ივანეს ძე ბერულავა და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე.* ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი – 1 ხმოსანი: *ტროფიმე გიორგის ძე ჯოხთაბერიძე* **(ზუგდიდის ქალაქის, 1919:** 2-3**)**. ქალაქ ზუგდიდის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს *გიორგი ჭედია* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1426: 16-19**)**.

აღნიშნულ არჩევნებში, სხვა არჩევნებისაგან განსხვავებით, ყველაზე მეტმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა. საარჩევნო პროცესი დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით წარიმართა. რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პოლიტიკური პარტიების მხრიდან, ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, ამ შემთხვევაში გამარჯვების მოპოვება არა მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, არამედ ოპოზიციამ, კონკრეტულად კი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შეძლო. მაგრამ

[45] განსხვავებული მონაცემი არის ასახული საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი კრების მასალებში, რომლის მიხედვით: ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო სიაში რეგისტრირებულია 3 553 ამომრჩეველი (**საქართველოს პარლამენტის,** 1919: 3).

ხმები ისე გადანაწილდა, რომ გამარჯვებულმა და მეორე ადგილზე გასულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ ერთი და იმავე რაოდენობის (ექვს-ექვსი) ხმოსნების გაყვანა შეძლეს.

§7. თვითმმართველობის არჩევნები ქ. ყულევში (1919 წ.)

1919 წლის 8-10 ივნისს ქალაქ ყულევში (რედუტ-კალის) საქალაქო არჩევნები ჩატარდა. 8 ივნისს, 9 საათსა და 24 წუთზე საარჩევნო კომისიამ რედუტ-კალის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნების არჩევნები გახსნილად გამოაცხადა. საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: თავმჯდომარე – *ივანე სოლომონის ძე ნანეიშვილი,* მდივანი – *იოსებ შარვანის ძე შონია*; წევრები: *კირილე სპირიდონის ძე კვინჩია, ამბაკო ივანეს ძე მალანია, ვლადიმერ პეტრეს ძე აფაქიძე და თეოფანე გიტოს ძე გვასალია.* მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო პროცესი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ 22 საათსა და 22 წუთზე საარჩევნო პროცესი შეჩერებულად გამოაცხადა, რის შემდეგადაც საარჩევნო ყუთი დალუქეს. 9 ივნისს 9 საათსა და 10 წუთზე საარჩევნო კომისიამ საარჩევნო პროცესი კვლავ განაახლა, რომელიც 18 საათსა და 15 წუთზე შეწყდა. 10 ივნისს 9 საათსა და 5 წუთზე საარჩევნო პროცესი კვლავ განახლდა და მთელი დღე მიმდინარეობდა.

აღნიშნული არჩევნების მიმდინარეობისას დაცული იყო ყველა მუხლი *„ქალაქთა და საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულების“*, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკის“* 1918 წლის, 21 დეკემბრის № 23-ში. საარჩევნო სიის მიხედვით ქალაქ ყულევში რეგისტრირებული იყო 392 ამომრჩეველი. საარჩევნო ყუთის გახსნის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 253 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ 64,54 % შეადგინა. ქალაქ ყულევის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რიცხვი პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 15 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმოსანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ყულევში ჩატარებული არჩევნები განსხვავებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ აქ ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ არა პოლიტიკურ პარტიებს, არამედ ხმოსნებს და ამისთვის თეთრ და შავ ბარათებს (კენჭებს) იყენებდნენ. შესაბამისად, ქალაქ რედუტ-კალის ქალაქის ხმოსნების შედეგები ასე გადანაწილდა: საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, თეთრი ბარათი – 252, შავი ბარათი – 1; ბუკია ბარნაბა კონსტანტინეს ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2; ალექსანდრია კონსტანტინე მაჯის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2; სამურკასოვი იოსებ ივანეს ძე, თეთრი

ბარათი – 246, შავი ბარათი – 7; ნადარაია პეტრე ივანეს ძე, თეთრი ბარათი – 249, შავი ბარათი – 4; შონია იოსები შარვანის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2; შონია ვლადიმერი შარვანის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2; კვინჩია ექვთიმე სპირიდონის ძე, თეთრი ბარათი – 250, შავი ბარათი – 3; მალანია სუმო გვაჩის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8; ცომაია პლატონ გაიოზის ძე, თეთრი ბარათი – 242, შავი ბარათი – 11; ბერაია იოსები კონსტანტინეს ძე, თეთრი ბარათი – 246, შავი ბარათი – 7; მანია გაბრიელი ივანეს ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6; ბუკია მუხრანი ტაგუს ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6; ვეკუა ივლონ ხახუს ძე, თეთრი ბარათი – 246, შავი ბარათი – 7; სიჭინავა ესტატე ბეჩუნის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8; ჭითანავა მარკოზი თამუას ძე, თეთრი ბარათი – 243, შავი ბარათი – 10; ჯალაღონია სუმო დავითის ძე, თეთრი ბარათი – 243, შავი ბარათი – 10; ალექსანდრია ნესტორი ბახვას ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6; ალექსანდრია თემრაზი (ტექსტში ასეა - ბ. ლ.**)** ბახვას ძე, თეთრი ბარათი – 248, შავი ბარათი – 5; სიჭინავა ალექსი დავითის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8; გარუჩავა ანტონი იაგორას ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2. ქალაქის თავად მიხეილ ალექსანდრეს ძე საბახტარაშვილი აირჩიეს **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 135-136; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 946: 78; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1426: 21; **ხვადაგიანი, 2021:** 151; **ხორავა, 2021:** 187**)**.

ამრიგად, ქალაქ ყულევში ჩატარებული არჩევნები სრულიად განსხვავდებოდა სხვა ყველა არჩევნებისაგან. სხვა არჩევნებში თუ მოსახლეობა ხმას აძლევდა პოლიტიკურ პარტიებს და ხმოსნები პარტიების მიერ მიღებული ხმების შესაბამისად აირჩეოდნენ, ამ შემთხვევაში წარდგენილი იყვნენ უშუალოდ ხმოსნები, ამომრჩევლებს ჰქონდათ თეთრი და შავი ბარათები (თეთრი თანხმობის ნიშანი იყო, შავი უარყოფის) რომლითაც გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ. უშუალოდ საარჩევნო პროცესმა, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩაიარა.

თავი II. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში

§1. მზადება საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის

1917 წლის ოქტომბერში **(სურგულაძე, 1972:** 515**)** რუსეთში მომხდარი კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად კავკასია რუსეთს ჩამოშორდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა საქართველოს მომავლის გასარკვევად ეროვნული ყრილობის მოწვევა გადაწყვიტეს. 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობა შეიკრიბა, რომელიც აკაკი ჩხენკელმა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა **(ქართული, 1917:** 2-3**)**. ყრილობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. აღნიშნულ ყრილობაზე, დელეგატების რაოდენობასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ციფრები სახელდება. პაატა სურგულაძე ნაშრომში *„ქართული პარლამენტის სათავეებთან“* აღნიშნავს რომ: *„ეროვნული ყრილობა საქართველოს ყველა ერობის, წოდების, პარტიის ინტერესებს ასახავდა. მისი 350-მდე დელეგატი წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიებს (67), ქალაქის თვითმმართველობებს (33), საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებს (89), მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს (15), კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს (35), თავად-აზნაურობას (20), ქართულ ჯარს (20), მასწავლებელთა კავშირს (9), კოოპერატორებს*[46] *(8), ქართულ პრესას (9), ვაჭრობა მრეწველობას და საბანკო უწყებას (26), ქართულ საზოგადოებრიობას სხვადასხვა ქვეყანაში (6), საკათალიკოსო საბჭოს (1), ქართველ მაჰმადიანებს და ქართველ კათოლიკეებს (7), საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს (3), აფხაზებს (2), სხვადასხვა დაწესებულებებს (8*) **(სურგულაძე, 1991:** 13**)**. ავტორს დამოწმებული აქვს გაზეთი *„ერთობა“* (1918, 20 ნოემბერი, № 51) და გრიგოლ ურატაძის ნაშრომი (*„საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ.“*).

აღნიშნულ გაზეთში მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება; გრიგოლ ურატაძე დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ *„ეროვნულ ყრილობაზე გამოცხადდა 324 დელეგატი გადამჭრელი 2, ხოლო 19 სათათბირო ხმით“* **(ურატაძე, 1939:** 89-90). თუმცა, თუ დავაჯამებთ ურატაძის მიერ ჩამოთვლილი დელეგატების რაოდენობას, მივიღებთ, რომ ეროვნულ ყრილობას არა 324, არამედ 358 დელეგატი დაესწრო. ამასთან, ურატაძეს მოყვანილი მონაცემები არანაირი ლიტერატურით არა აქვს დამოწმებული. რაც შეეხება პაატა სურგულაძეს, ის მექანიკურად იმეორებს გრიგოლ ურატაძის მიერ დასახელებულ სტატისტიკურ მონაცემებს. ანალოგიურად გრიგოლ ურატაძის მიერ დასახელებულ სტატისტიკურ მონაცემებს იმეორებენ მკვლევრები: აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული **(სილაგაძე,**

[46] კოოპერატივი.

გურული, 1998: 27), აგრეთვე ბონდო კუპატაძე (**კუპატაძე, 2009:** 107). იგივე სტატისტიკური მონაცემები გვხვდება გუგული კუკულაძის ნაშრომშიც (**კუკულაძე, 2016: 55**), რომელსაც დამოწმებული აქვს გაზეთი, *„ერთობა“* (1917, № 153). არადა, აღნიშნულ გაზეთში მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება. იგი 1917 წლის 23 სექტემბერს დაიბეჭდა, შესაბამისად, მასში 1917 წლის 19 ნოემბრის მოვლენები ვერ იქნებოდა აღწერილი.

განსხვავებული მონაცემებია შოთა ვადაჭკორიას ნაშრომში. მისი განმარტებით, *„სამანდატო კომისიას კანონიერად 329 მანდატი უცნია, ხოლო 19 დელეგატისათვის სათათბირო ხმა მიუცია: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები – 67, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო – 15, ქალაქთა თვითმმართველობები – 33, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტები – 39, ქართული ჯარი – 20, კოოპერატივები – 20, პროფესიონალური კავშირები – 8, მასწავლებელთა კავშირი – 9, ქართული პრესა – 9, კულტურულ–საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები – 35, ვაჭარ მრეწველები და ბანკირები – 26, ამიერ-იმიერის თავადაზნაურობა – 20, ქართული კოლონიები – 8, საკათალიკოსო საბჭო – 1, სხვადასხვა დაწესებულებანი – 8, ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკეები – 7, საქართველოში მცხოვრები ებრაელები – 3, აფხაზები – 2“* **(ვადაჭკორია, 1998:** 27**)**. ავტორს დამოწმებული აქვს გაზეთი, *„ერთობა“* (1917 წ. 23 ნოემბერი), მაგრამ აღნიშნულ გაზეთში მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება. მოყვანილი სტატისტიკური მონაცემის დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ყრილობას არა 329, არამედ 330 დელეგატი დაესწრო. შესაბამისად, შეუძლებელია ყრილობას იმაზე მეტი დელეგატი დაესწროს, ვიდრე სამანდატო კომისიას კვოტა ჰქონდა გაცემული.

სრულიად განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ალექსანდრე ბენდიანიშვილს, რომლის მიხედვითაც *„ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სულ 348 დელეგატი. აქედან 67 ხმა ჰქონდათ ინტერპარტიულ საბჭოში შემავალ პარტიებს, 15 – მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს, 33 – საქალაქო თვითმმართველობებს. 39 – საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებს, 20 – ქართული ჯარის წარმომადგენლებს, 20 – კოოპერატივებს, 8 – პროფესიულ კავშირებს, 9 – მასწავლებელთა კავშირს, 9 – ქართული პრესის მუშაკებს, 9 – კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 35 – ვაჭარ-მრეწველებსა და ბანკირებს* **(ბენდიანიშვილი, 2001:** 77-78**)**. ამ მონაცემებში არაერთი უზუსტობაა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ყრილობას 348 დელეგატი დაესწრო, ხოლო მის მიერ მოტანილი მონაცემების დაჯამებით ვღებულობთ 264. ამავდროულად ნაშრომში არასწორად არის მოყვანილი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებისა და ვაჭარ-მრეწველებისა და ბანკირთა მონაცემები. ასევე ქართული კოლონიების, საკათალიკოსო საბჭოს, სხვადასხვა დაწესებულებების, ქართველი მაჰმადიანების და კათოლიკეების, საქართვე-

ლოში მცხოვრები ებრაელების და აფხაზების მიერ წარმოდგენილი დელეგატების სტატისტიკური მონაცემები საერთოდ არ არის აღწერილი.

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამანდატო კომისიამ კანონიერად 329 მანდატი ცნო, 19-ს კი სათათბირო ხმა გადაეცა. ორგანიზაციების მიხედვით დელეგატები ასე გადანაწილდნენ: *ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები – 67, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო – 15, ქალაქთა თვითმმართველობები – 33, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტები – 39, ქართული ჯარი – 20, კოოპერატივები – 20, პროფესიონალური კავშირები – 8, მასწავლებელთა კავშირი – 9, ქართული პრესა – 9, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები – 35, ვაჭარ მრეწველები და ბანკირები – 26, ამიერ-იმიერის თავადაზნაურობა – 20, ქართული კოლონიები – 6, საკათალიკოსო საბჭო – 1, სხვადასხვა დაწესებულებანი – 8, ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკეები – 7, საქართველოში მცხოვრები ებრაელები – 3, აფხაზები – 2* **(ვენე, 1917:** 2-3; **ჭანტურია, 2005:** 30-31**)**. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დგინდება, რომ სამანდატო კომისიამ კვოტა 329 დელეგატზე გასცა, მაგრამ სხდომას 328 დელეგატს დაესწრო.

ეროვნულმა ყრილობამ თავდაპირველად დაადგინა დღის წესრიგი: *„1. თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი. 2. მოხსენება თავად-აზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანიზაციის ქონების შესახებ. 3. მიმდინარე საკითხი /ერობის შემოღება, ჯარის ნაციონალიზაცია, სკოლების ნაციონალიზაცია, მართვა-გამგეობისა და ადმინისტრაციის ნაციონალიზაცია, სასურსათო პრობლემა, ეროვნული საბჭოს არჩევა/*. **(ეროვნული, 1917:** 2; **ქართული, 1917:** 2-3; **საქართველოს ეროვნული ყრილობა, 1917:** 1**)**.

მუშაობის ნაყოფიერებისა და წამოჭრილი საკითხის მაღალპროფესიონალურად გადაწყვეტის მიზნით შეიქმნა შემდეგი სექციები: 1. ეროვნული საკითხის სექცია – თავმჯდომარე *ივანე გობეჩია*; 2. საერობო რეფორმის – *მიხეილ მაჩაბელი*; 3. ჯარის ნაციონალიზაციის – *იოსებ გედევანიშვილი*; 4. სკოლა და უნივერსიტეტი – *ივანე ჯავახიშვილი*; 5. ადმინისტრაციის – *გრიგოლ გიორგაძე*; 6. იუსტიციის – *შალვა მესხიშვილი*; 7. საფინანსო – *ნიკო ნიკოლაძე*; 8. სასურსათო – *ილ. ქარცივაძე*; 9. თავად-აზნაურთა ქონების საკითხი – *აკაკი ჩხენკელი* **(ბენდიანიშვილი, 2001:** 78; **ვადაჭკორია, 1998:** 28; **ქართული ეროვნული, 1917:** 2-3**)**. 1917 წლის 22 ნოემბერს, ეროვნულმა ყრილობამ აირჩია *„საქართველოს ეროვნული საბჭო“*[47] **(გურული, 2003:** 52:**)**, რომლის შემადგენლობასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს:

[47] 1918 წლის 8 ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

პაატა სურგულაძე თვლის, რომ *„ყრილობამ აირჩია საბჭო 60 კაცის შემადგენლობით“* **(სურგულაძე, 1991:** 14**)**. მას დამოწმებული აქვს გაზეთი, *„ერთობა“,* (1918 წ. 21 ნოემბერი, № 252) და გრიგოლ ურატაძის პუბლიკაცია (**ურატაძე, 1939:** 93). აღნიშნულ გაზეთში მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება, რაც შეხება გრიგოლ ურატაძის ნაშრომს, მასში, მართალია, ასევე დასახელებულია ციფრი – 60, თუმცა არ ასახელებს წყაროს, საიდანაც მოტანილია ეს რიცხვი.

ცალკეულ პუბლიკაციებში ვხვდებით შემდეგ ნარატივს: *„საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა – 66 წევრი. 61 კანდიდატი და 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით. ეროვნულ საბჭოში წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: სოციალისტ-ფედერალისტები – 10 კაცი, რადიკალ-დემოკრატები – 1 კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერები – 7 კაცი, ეროვნულ-დემოკრატები – 9 კაცი, უპარტიონი – 2 კაცი, ალიონელები*[48] *– 4 კაცი, სოციალ-დემოკრატები – 28 კაცი, სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარის) წარმომადგენლები – 3 კაცი, ზაქათალას ოლქი (საინგილო) – 1 კაცი, და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი – 1 კაცი* **(სილაგაძე, გურული, 1998:** 33; **გურული, 2003:** 52; **კუპატაძე, 2009:** 107**)**. ამ მონაცემების წყაროდ მითითებულია – **სეა სცა,** ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე, 124, ფურცელი 5-7.

ზემომოყვანილი მონაცემის თანახმად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში 66 წევრი აირჩიეს: მათგან 61 კანდიდატი, ხოლო 6 სათათბირო ხმით. შესაბამისად, 61+6 არ შეიძლება 66-ის ტოლი იყოს. ასევე, წარმოდგენილი მონაცემები არასრულია; მას აკლია საბჭოში მიერ არჩეული 2 დელეგატი, კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. ასევე ნახსენები არ არის აფხაზეთის ოლქიდან 2 დელეგატი.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუგული კუკულაძე აღნიშნავს: *„ეროვნულ საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა – 25 (წევრით), სოციალისტ-ფედერალისტებიდან აირჩიეს – 10 დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატებიდან 9 დეპუტატი, ესერებიდან – 6 დეპუტატი, რევოლუციონერ-დემოკრატებიდან*[49] *– 1 დეპუტატი, უპარტიოები – 2 დეპუტატი და სამუსულმანო საქართველოს 3 წარმომადგენელი* **(კუკულაძე, 2016:** 57-58**)**. ავტორს დამოწმებული აქვს გაზეთი, *„საქართველო“* (1917, № 260). აღნიშნული მონაცემი არაზუსტია. მასში არასრულადაა წარმოდგენილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დელეგატების რაოდენობა (სახელი და გვარები). ნახსენები არ არის *„ალიო-*

[48] 1917 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული სხდომის დღიურიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ სხდომაზე *„ალიონის“* ჯგუფის წარმომადგენელმა პავლე საყვარელიძემ გამოთქვა სურვილი, შესულიყვნენ ინტერპარტიულ საბჭოში „მენშევიკებისაგან“ დამოუკიდებლად. კრებამ თანხმობა განაცხადა „ალიონის“ ჯგუფის ცალკე წარმომადგენლობის მიღებაზე ეროვნულ საბჭოში.

[49] აღნიშნულ დასახელებაში ცდომილებაა, მსგავსი პოლიტიკური პარტია საერთოდ არ არსებობდა ქართულ რეალობაში. აქ უნდა იყოს საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია.

ნი“ – 4 დეპუტატი; სოხუმის ოლქის წარმომადგენელი – 2 დეპუტატი; ზაქათალას ოლქიდან – 1 დეპუტატი; ქართველი ოსებიდან – 1 დეპუტატი; კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი.

დიმიტრი შველიძის მსჯელობით, *ყრილობამ, 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობა – 67 წევრი და 61 კანდიდატი. პარტიული კუთვნილების მიხედვით: 26 – სოციალ-დემოკრატი, 10 – სოციალისტ-ფედერალისტი, 9 – ეროვნულ-დემოკრატი, 7 – სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 – ალიონელი, 1 – რადიკალ-დემოკრატი, 2 – უპარტიო, 3 – სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარა) წარმომადგენელი, 2 – სოხუმის ოლქიდან (აფხაზეთი), 1 – ზაქათალის ოლქიდან (საინგილო), 1 – საქართველოს ოსთა წარმომადგენელი* (**შველიძე, 2018:** 148-149). ავტორი ეყრდნობა მკვლევარ ნონა ჭანტურიას მონაცემებს (**ჭანტურია, 2005.** იხ. აგრეთვე: **ვადაჭკორია, 1998; სილაგაძე, გურული**, **1998**). დამოწმებულ ლიტერატურაში არ არის აღნიშნული რომ, ეროვნულ საბჭოში სოციალ-დემოკრატიული პარტია – 26 დელეგატით იყო წარმოდგენილი. დ. შველიძის მიერ მოყვანილი მონაცემები არასრულია. ნაშრომში ყრილობის მიერ არჩეული კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი არ არიან დაფიქსირებულები.

ასევე არაზუსტია შოთა ვადაჭკორიას მიერ მოტანილი ციფრები: *„საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში შემდეგი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იქნენ შეყვანილნი: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) – 25 კაცი; სოციალისტ-ფედერალისტები – 10 კაცი; ეროვნულ-დემოკრატები – 9 კაცი; სოციალისტ-რევოლუციონერები – 6 კაცი; „ალიონის“ ჯგუფი – 4 კაცი; რადიკალ-დემოკრატები – 1 კაცი; უპარტიო – 2 კაცი; აჭარა – 3 კაცი. აღნიშნულ შემადგენლობას ემატებოდა სოხუმის ოლქისთვის – 2, ხოლო ზაქათალას ოლქისა და ქართველი ოსებისათვის თითო ადგილი. ასევე ეროვნულ საბჭოში კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი დამატებით იქნენ შეყვანილნი“* **(ვადაჭკორია, 1998:** 30-31**)**. ავტორს დამოწმებული აქვს: **სეა სცა,** ფონდი 1823, ანაწერი 1, საქმე 1, ფურცელი 36, თუმცა აღნიშნულ საარქივო მასალაში მსგავსი ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება.

ოთარ ჯანელიძის მიხედვით, *„საქართველოს ეროვნული ყრილობა 60 წევრისაგან შედგებოდა. 25 – სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), 10 – ფედერალისტი, 9 ეროვნულ-დემოკრატი, 7 – ესერი და სხვა* **(ჯანელიძე 2013: 559)**. აღნიშნული მონაცემები არასრულია. ამასთან, ო. ჯანელიძე არ უთითებს ამ ინფორმაციისს დამადასტურებელ წყაროს. ასევე არასრულია ალექსანდრე ბენდიანიშვილის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, *„ეროვნულ საბჭოში შევიდა 25 – სოციალ-დემოკრატი, 10 – სოციალისტ-ფედერალისტი, 9 – ეროვნულ-დემოკრატი, 6 – სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 – ალიონი, 1 – რადიკალ-დემოკრატი, 2 – უპარტიო ინტელიგენტი, 3 – აჭარის წარმომადგენელი, 2 – სოხუმის ოლქი, 1 – ზაქათალას*

ოლქი და 1 ცხინვალის რაიონიდან **(ბენდიანიშვილი 2001:** 79-80**)**. ამავე დროს მასში არ არიან ნახსენები კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე და კაკი (ირაკლი) წერეთელი, რომლებიც ეროვნული საბჭოს წევრებად ერთხმად იყვნენ არჩეულნი.

ამრიგად თითქმის ყველა პუბლიკაციაში აღნისნულია, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო 66 დელეგატისაგან შედგებოდა, მათგან 61 კანდიდატი, ხოლო 6 სათათბირო ხმით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საარქივო მასალაში და პრესაში (გარდა გაზეთ *„საქართველოში“* (1917, 25 ნოემბერი, № 260) გამოქვეყნებული სტატიისა, სადაც აღნიშნული არის, რომ ეროვნულ საბჭოში აირჩიეს 67 დელეგატი (**ეროვნული საბჭოს,** 1917: 1. თუმცა იმავე მასალაში მოყვანილი კანდიდატების რაოდენობის დაანგარიშებით მათი რიცხვი 60 გამოვიდა – **ბ. ლ.**) აღნიშნული მონაცემები იდენტურია, 61+6 არ შეიძლება 66 ის ტოლი იყოს, ამიტომ დიდი ალბათობით საქმე გვაქვს მექანიკურ შეცდომასთან. ან ეროვნულ საბჭოში აირჩიეს 67 დელეგატი, ან კანდიდატების და სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატების რაოდენობა არასწორად არის დაფიქსირებული **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 2: 5; **სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 124: 3-7; **სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 9: 27; **ვენე, 1917:** 2-3; **ეროვნული საბჭოს, 1917:** 1**)**.

საქართველოს ეროვნული საბჭო შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 28 დელეგატი: *ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ვლადიმერ ჯუღელი, დავით ონიაშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ანდრია ჭიაბერაშვილი, გერასიმე მახარაძე, პეტრე გელეიშვილი, რაჟდენ არსენიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, ნიკოლოზ ელიავა, მინადორა ტოროშელიძე, კონსტანტინე საბახტარაშვილი, სიმონ ჯაფარიძე, გრიგოლ ურატაძე, ალექსანდრე ფარნიევი, გრიგოლ გიორგაძე, ევტროპი როგავა, მიხეილ კლიმიაშვილი, ვიქტორ თევზაია, ერმილე სირბილაძე* და *ნოე ხომერიკი*.

„ალიონი“ – 4 დელეგატი: *პეტრე ქავთარაძე, ივანე გომართელი, ნიკოლოზ ქარცივაძე* (ამ დელეგატის სახელი და გვარი გადახაზულია ფანქრით და კითხვის ნიშანია დასმული, მის გასწვრივ კი წერია შალვა ბარამიძე) და *პავლე საყვარელიძე*.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 9 დელეგატი: *ნიკოლოზ ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, იოსებ დადიანი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, სპირიდონ კედია* და *გრიგოლ ვეშაპელი*.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 6 დელეგატი: *კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჩერქეზიშვილი, იოსებ გობეჩია* და *ივანე გობეჩია* (ივანე ლორთქიფანიძე ფანქრით არის მიწერილი).

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 10 დელეგატი: *გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი (დიტო) უზნაძე, იესე ბარათაშვილი, იასონ ბაქრაძე, სვიმონ (სისიკო) მდივანი და ალექსანდრე წერეთელი* /სამსონ დადიანი ფანქრით არის მიწერილი. სამსონ დადიანი, თავდაპირველად ეროვნული საბჭოს კანდიდატთა შორის ირიცხებოდა, მაგრამ 1918 წლის 2 თებერვლის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ის საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი გახდა, ხოლო კანდიდატთა შორის მისი ადგილი შალვა ნუცუბიძემ დაიკავა/ **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 124: 14**)**.

დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 2 დელეგატი: *კონსტანტინე აფხაზი და კონსტანტინე მაყაშვილი*.

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 დელეგატი: *დავით ჩიქოვანი*.

სამაჰმადიანო საქართველო – 3 დელეგატი: *ჯამალ-ბეგ ხიმშიაშვილი, მამედ-ბეგ აბაშიძე და რეჟებ-ბეგ ნიჟარაძე.*

ზაქათალას ოლქი – 1 დელეგატი: *რაფაელ ივანიცკი* **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 5: 35**)**.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო – 1 დელეგატი: გიორგი გაგლოევი **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 124: 3-7; **სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 5: 34-35**)**.

გარდა ამისა *გრიგოლ გიორგაძის* წინადადებით, საბჭოში ერთხმად აირჩიეს *კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე და კაკი (ირაკლი) წერეთელი* **(ვენე, 1917:** 2-3).

გარდა ზემომოყვანილი სტატისტიკური მონაცემებისა უნდა იყოს ორი დელეგატი აფხაზეთიდან, მაგრამ ამ ორ დელეგატის სახელი და გვარი ცალკე არც საარქივო მასალაში და არც პერიოდიკაში არ არის ასახული. შესაძლებელია, ისინი ცალკე არ იყვნენ წარმოდგენილები და რომელიმე პოლიტიკური პარტიის კვოტით იღებდნენ მონაწილეობას. ასევე, შესაძლებელია მათ საერთოდ არ მიიღეს ეროვნულ საბჭოში მონაწილეობა. ყოველი შემთხვევისთვის ეს საკითხი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

1917 წლის 26 ნოემბერს ეროვნულმა საბჭომ პოლიტიკური ორგანო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩია. იგი 15 ადამიანისაგან შედგებოდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – 8 ადამიანი: *ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ალექსანდრე ფარნიაშვილი*[50]*, ჰაიდარ აბაშიძე; პავლე საყვარელიძე* („ალიონი“); საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარ-

[50] განსხვავებული მონაცემი არის გაზეთ *„საქართველოს“* (1917, 28 ნოემბერი, № 262) მასალაში, რომლის მიხედვით, აღმასრულებელ კომიტეტში ალექსანდრე ფარნიაშვილის ნაცვლად კონსტანტინე გვარჯალაძის კანდიდატურა არის აღნიშნული (**ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი, 1917**: 3).

ტიიდან – 2 ადამიანი: *გიორგი გვაზავა და გრიგოლ ვეშაპელი*; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – 2 ადამიანი: *კოტე დავითის ძე მესხი* და *ივანე გობეჩია*; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – 2 ადამიანი: *გრიგორ რცხილაძე* და *იოსებ გედევანიშვილი*; სამაჰმადიანო საქართველოდან – 1 კაცი: *მემედ აბაშიძე* (დროებით) **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 8: 1; **ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი, 1917:** 3 **გურული, 2021:** 520**)**.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად: *„ეროვნულ საბჭოს ევალებოდა საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა“* **(ეროვნული საბჭოს, 1917:** 1; **ვენე, 1917:** 2-3; **გურული, 2021:** 513**)**. დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, ასევე, 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7 მუხლი: *„დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო“* **(სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 54-1: 1; **საქართველოს დამოუკიდებლობის, 1918:** 4**)**. შესაბამისად, ეროვნული საბჭო ანუ საქართველოს პარლამენტი მიჩნეული იყო დროებით სტრუქტურად, რომელსაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმო სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის.

დამფუძნებელი კრების არჩევას საქართველოში ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა – საშინაო და საგარეო. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი მრავალპარტიული იყო და ამავდროულად მას ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა, ფორმალურად ის მაინც არ იყო დემოკრატიული არჩევნების წესით არჩეული. ამ გარემოებას კი მუდამ სადემაგოგოდ იყენებდნენ საქართველოს რესპუბლიკის და დემოკრატიის მოწინააღმდეგეები. რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, ახლო მომავალში უნდა შეკრებილიყო საერთაშორისო საზავო კონფერენცია, სადაც საქართველოს საკითხიც განიხილებოდა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე დელეგაცია გაეგზავნა ხელისუფლებას, რომელსაც მაღალი ლეგიტიმაცია ექნებოდა **(დამფუძნებელი, 1919:** 1; **გომართელი, 1919:** 1-2; **მაცაბერიძე, 2022:** 15**).**

1918 წლის 24 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-12 კრებაზე მთავრობის გადადგომის გადაწყვეტილება მიიღეს. სანამ არ შეიკრიბებოდა დამფუძნებელი კრება, მანამდე მის მოვალეობას დროებითი მთავრობა შეასრულებდა, რომელიც იმავე დღეს, მე-13 კრებაზე აირჩა **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 51: 3-5). 1918 წლის 22 ნოემბერს[51] საქართველოს

[51] აღნიშნული მონაცემები განსხვავებულად აქვს მოყვანილი ოთარ ჯანელიძეს: *„1918 წ. 20 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება“* (**ჯანელიძე, 1990:** 11). საარქივო მასალების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელი კრების დებულება მიიღო არა 1918 წლის 20 ნოემბერს, არამედ 1918 წლის 22 ნოემბერს.

რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დამტკიცებული დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების თანახმად, დამფუძნებელი კრება 130 წევრისაგან შედგებოდა. მათი *საქართველოს ორივე სქესის მოქალაქეები, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით და პროპორციული წარმომადგენლობის წესის სრული დაცვით ირჩევდა* **(ბენდიანიშვილი, 2001:** 136**)**.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს 20 წლის ორივე სქესის მოქალაქეებს. უშუალოდ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა პირს, რომელიც შესაბამისი უბნის საარჩევნო სიაში იყო ჩაწერილი **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 84: 28-43; **ჯონსი 2018:** 45; **ჯანელიძე, 2000:** 20; **არახამია, 2015:** 144**)**. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების შესაბამისად, არჩევნების ჩატარება ევალებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ირჩევდა საქართველოს პარლამენტი. მასში თითო წარმომადგენელი ყველა პოლიტიკური პარტიიდან და ჯგუფიდან შედიოდა. დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია დაკომპლექტებული იყო შემდეგი წევრებისაგან:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან: *ალექსანდრე ლომთათიძე; სილიბისტრო ჯიბლაძე; მელიტონ რუსია; გიორგი ცინცაძე; ოლღა სოლოღაშვილი; ვიქტორ ჟღენტი; ილია ფირცხალაიშვილი; სარდიონ თევზაძე.*
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან: *არჩილ ჯაჯანაშვილი, თედო ღლონტი;*
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან: *გიორგი გვაზავა და იასონ ლორთქიფანიძე;*
- დამოუკიდებელი, ეროვნულ-დემოკრატებიდან: *გრიგოლ ვეშაპელი.*
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია: *იოსებ გობეჩია და ილია თევზაძე.*
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია: *ალექსანდრე ახმეტელი*;
- ალიონი: პეტრე ქავთარაძე;
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – *დაშნაკცუთიუნი*: *დავით დავითხანოვი*;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი: *კოტე მაყაშვილი;*
- თათრების ბლოკი: *აბდულ-რახიმ ახმედოვი;*
- კადატების: ოლუხანოვი **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 74: 2**)**.

სამაზრო საარჩევნო კომისიას ერობის გამგეობა აკომპლექტებდა. სამაზრო კომისიაში თითო წარმომადგენელი ყველა პოლიტიკური პარტიიდან და ჯგუფიდან შედიოდა. იმ ქალაქებში, რომლის მაცხოვრებელთა რიცხვი 2 000-ს აღემატებოდა, ცალკე მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია არსდებოდა. ხსენებულ კომისიას ირჩევდა ქალაქის საბჭო თავისი წრიდან, მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის. სოფლის საზოგადოების კომისიას, სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია ადგენდა, საზოგადოებაში მოქმედი პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების შესაბამისად. კომისიაში შედიოდა შვიდი (7) წევრი. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება ევალებოდა სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიას. აღნიშნული კომისია შედგებოდა ხუთი (5) წევრისაგან. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩევლებს საარჩევნო ბარათებს აძლევდნენ სამი დღის განმავლობაში, ქალაქში დილის ცხრა (9) საათიდან საღამოს ცხრა (9) საათამდე და სოფლებში კი – დილის რვა (8) საათიდან საღამოს რვა (8) საათამდე.

უშუალოდ საარჩევნო პროცესი კი ასე მიმდინარეობდა: ამომრჩეველი წარუდგენდა პირადობის მოწმობას საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომელიც საარჩევნო სიაში აღნიშნავდა, რომ ეს ამომრჩეველი უკვე გამოცხადდა ხმის მისაცემად. ამომრჩეველი კომისიისაგან კონვერტს იღებდა საარჩევნო ბარათის მოსათავსებლად. როდესაც კონვერტს მიიღებდა ამომრჩეველი, იგი მიდიოდა მოფარებულ ადგილზე და იქ ათავსებდა საარჩევნო ბარათს (ბიულეტენს) კონვერტში. შემდეგ ის ბრუნდებოდა საარჩევნო ყუთთან და დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს გადასცემდა, რომელიც მის თვალწინ კონვერტს საარჩევნო ყუთში ათავსებდა.

საარჩევნო ბარათი კანონიერად არ ჩაითვლებოდა იმ შემთხვევებში, თუ იგი ცარიელი, ან ხელმოწერილი იყო ამომრჩევლის მიერ; კონვერტში ერთზე მეტი ბიულეტენი აღმოჩნდებოდა და მათი შინაარსი ერთი და იგივე არ იქნებოდა. თუ ერთ კონვერტში რამდენიმე ერთი და იმავე შინაარსის ბარათი აღმოჩნდებოდა, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლებოდა. მთავრობამ დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად 4 მილიონი მანეთი გამოყო **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 84: 28-43**)**.

1919 წლის 2 იანვარს პარლამენტის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საჭიროდ მიიჩნია, *„რაც შეიძლება მალე მოწვეულ იყო დამფუძნებელი კრება“.* მათი აზრით, წინასაარჩევნო სამუშაოების გათვალისწინებით: *„დამფუძნებელი კრების არჩევნები შესაძლებელი იყო 1919 წლის 14 თებერვალს ჩატარებულიყო“* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 5: 1-2**)**. საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა გაიზიარა მთავრობის წინადადება და არჩევნების თარიღად 14-16 თებერვალი გამოაცხადა **(ირემაძე, 2016:** 8**)**.

1919 წლის 10 იანვარს, იმისათვის რომ, არჩევნები 1919 წლის 14 თებერვალს ჩატარებულიყო, საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებულ საარჩევნო დებულებაში შეიტანა მთელი რიგი შესწორებები, კერძოდ, ცვლილებები შეეხო შემდეგ მუხლებს: 30-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 36-ე, 39-ე, 40-ე, 41-ე, 43-ე, 49-ე, 50-ე, 54-ე და 61-ე. აღნიშნული მუხლების ფორმულირება შემდეგნაირი გახდა:

- **მუხლი 30**: *„ამომრჩეველი, რომელიც არ იყო შეყვანილი საარჩევნო სიაში, მას უნდა მიემართა განცხადებით უბნის საარჩევნო კომისიისათვის, სიის გამოქვეყნებიდან 5 დღის ნაცვლად 3 დღის მანძილზე“*;
- **მუხლი 32**: *„საარჩევნო სია შედგენისთანავე საქვეყნოდ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული არჩევნების დაწყებამდე 40 დღის ნაცვლად 24 დღით ადრე“*;
- **მუხლი 33**: *„საარჩევნო სიის გამოქვეყნებიდან ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელს შეეძლო გამოეხატა პროტესტი 10 დღის ნაცვლად 3 დღის მანძილზე“*;
- **მუხლი 36**: *„30-ე მუხლში აღნიშნულის ვადის გათავებიდან არათუ 3 დღის, არამედ 2 დღის გასვლის შემდეგ, საყოველთაოდ გამოქვეყნდებოდა დამატებითი საარჩევნო სია“*;
- **მუხლი 39**: *„პროტესტის და საჩივრის გადატანა საოლქო სასამართლოს-საადმინისტრაციო განყოფილებაში ხდებოდა 10 დღის ნაცვლად 3 დღის განმავლობაში“*;
- **მუხლი 40**: *„საქალაქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილება აღნიშნულ პროტესტებს და საჩივრებს განიხილავდა 5 დღის ნაცვლად 2 დღეში“*;
- **მუხლი 43**: *„საკანდიდატო სია ამომრჩეველთა ჯგუფს უნდა წარედგინა ცენტრალურ კომისიისათვის 30 დღის ნაცვალ 20 დღით ადრე არჩევნების დაწყებამდე“*;
- **მუხლი 50**: *„პოლიტიკურ პარტიათა მიერ წარმოდგენილი საკანდიდატო სიები, რომელიც აკმაყოფილებდნენ კანონის მოთხოვნას, გამოიფინებოდა კომისიის შენობაში არა უგვიანეს ნაცვლად 23 დღის 14 დღეში არჩევნების დაწყებამდე“*;
- **მუხლი 54**: *„საარჩევნო ბარათების ნიმუშს ცენტრალურ საარჩევნო კომისია აცხადებდა საყოველთაოდ არა უგვიანეს 35 დღის ნაცვლად 30 დღეში არჩევნების დაწყებამდე“*.

გაუქმდა 35-ე, 37-ე, 38-ე და 86-ე მუხლები. დებულების 90-ე მუხლს დაემატა შემდეგი დაზუსტება: თუ დანიშნულ დროს არჩევნები ვერ ჩატარდებოდა ერთ ან რამდენიმე საარჩევნო უბანში, ცენტრალური კომისია ნიშნავდა ამ ადგილებში ახალ არჩევნებს პირველი

არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 6 თვისა იმავე საკანდიდატო სიებით, რომელიც მიღებული იყო პირველ არჩევნებში **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 401: 14-15; **სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 127: 27; **კანონი, 1919:** 1-2**)**. თუ როგორ მოხდებოდა ხმების მიხედვით კანდიდატების რაოდენობის განსაზღვრა, ყოველივე ამას დებულების 87-ე მუხლი განსაზღვრავდა ხმების დათვლის კოეფიციენტის გამოანგარიშების საშუალებით. ანუ, თითოეული საკანდიდატო სიის მიერ მთელ რესპუბლიკაში მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გაყოფილიყო თანდათანობით ერთზე, ორზე, სამზე, ოთხზე და ა. შ. მსგავსი გაყოფის შედეგად მიღებული რიცხვიდან გამოცალკევდებოდა ყველაზე დიდი ნაწილები 130-დან **(ჯიქია, 2018:** 100-101**)**.

1919 წლის 3 იანვარს, საქართველოს პარლამენტის 77-ე კრების სხდომაზე, მიუხედავად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დიდი წინააღმდეგობისა, დამფუძნებელი კრების არჩევნების დღედ 14-16 თებერვალი დაინიშნა (ახალი სტილით) **(სეა სცა,** ფ. 1836, ან. 1, ს. 400: 3-6; **საქართველოს, 1919:** 3**)**. 1919 წლის თებერვლისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დასაშვებად მიიჩნია მოძრავი ყუთების გამოყენება მთაგორიან, მიუვალ და შორს მდებარე უბნებისთვის. ყოველ ცალკეულ შემთხვევებში თავად კომისია (არანაკლებ კომისიის სხდომის ორი მესამედის) იღებდა გადაწყვეტილებას მოძრავი ყუთის დაშვების შესახებ **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 127: 12-13**)**.

1919 წლის 13 თებერვალს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, მობილიზაციით ფრონტზე გაწვეული გვარდიელები საარჩევნო უფლებას არ კარგავდნენ. მათ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიიღება იმ უბნებში, სადაც გარკვეული მიზეზის გამო არჩევნების ჩატარება გადაიდო. სამაზრო საარჩევნო კომისიას დაევალა, დაედგინა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ ფრონტზე. მათვე უნდა შეედგინათ ცალკე სია, სადაც იქნებოდა ჩაწერილი მათი გვარი, სახელი და მამის სახელი. აღნიშნული სია კი შეინახებოდა დამატებითი არჩევნებისათვის **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 127: 18-19**)**.

საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ჯგუფს უფლება ჰქონდა, საარჩევნო კომისიისათვის 130 კაციანი დეპუტატობის კანდიდატების სია წარედგინა. დამფუძნებელი კრების არჩევნების მარათონში ჩაერთნენ არა მხოლოდ დიდი პოლიტიკური პარტიები, არამედ მანამდე ყველასათვის უცნობი პარტიებიც, რომელთა უმეტესობაც სახელდახელოდ წინასაარჩევნოდ შეიქმნა **(ბენდიანიშვილი, 2001:** 144**)**.

1919 წლის იანვარში საარჩევნო კომისიამ, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, 15 პოლიტიკური სუბიექტი დაამტკიცა:

№1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;

№2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;

№3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია;

№4 – სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი;

№5 – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია;

№6 – საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო;

№7 – საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია;

№8 – საქართველოს ეროვნული პარტია;

№9 – საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია;

№10 – შოთა რუსთაველის ჯგუფი;

№11 – დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი;

№12 – ბორჩალოს მაზრის მუსულმანები;

№13 – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - რსდმპ;

№14 – ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა;

№15 – საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი **(ჯანელიძე, 2018:** 211**)**.

ამდენად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე თხუთმეტი პოლიტიკური სუბიექტი დარეგისტრირდა, ამ პარტიებს ჯამში საარჩევნო სიაში 600 კანდიდატი ჰყავდათ წარმოდგენილი, მათგან 26 ქალი იყო. ზემოთ ხსენებული პარტიებიდან ყველაზე მეტი 130 ადამიანისაგან შემდგარი საარჩევნო სია, *„საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ“*, ხოლო ყველაზე მცირე ხუთ-ხუთი კანდიდატისაგან შემდგარი სია *„საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭომ“* და *„ბორჩალოს მაზრის მუსულმანებმა“* წარადგინეს **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 17: 64-75; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 73: 1-6; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 75: 1-3; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 77: 1-2; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 86: 1-13; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 87: 2-5; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 80: 4-7, 43-44; **ირემაძე, 2018:** 31**)**.

§2. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის მაზრა. დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის 46 საარჩევნო უბნად დაიყო (ქალაქი ზუგდიდი ცალკე საარჩევნო უბანს წარმოადგენდა). **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 88: 12**)**. ესენია: *წალენჯიხა; ჯვარი; ჯგალი; ფახულანი; ლია; ჭალე; ობუჯი; ლესიჭინე; ლეწურწუმე; ახუთი; ჭოღა; ნაფიჩხოვო; კირცხი; ჩხოროწყუ; მუხური; ნიკოსია; ცაიში; დარჩელი; კოკი; კახათი; აბასთუმანი; შამგონა; ანაკლია; ნარაზენი; ოირემე–დავითიანი; ყულიშკარი; კორცხელი; ჭაქვინჯი; ხიბულა; ახალი ხიბულა; რიყე; ჭკადუაში; ლედგებიე; ზუგდიდი; დიდი ნეძი; ხეთა; ხორგა; ხობი; ქარიატა; ნოჯიხევი; ხორში; ზანა; ქვალონი; საჯიჯაო; რედუტ-კალე; ქალაქი ზუგდიდი*. **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 88: 13; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 63).

ქვალონის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს შეიკრიბა ქვალონის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ისიდორე ფარულია,* მდივანი – *ი. გვასალია,* წევრები: *ბათუ ბახტაძე, ჩანთა ალანია, ისიდორე ჟვანია, გრიგოლ ხუროძე* და *ბასა გრიგოლავა.* კომისიამ ამომრჩეველთა წინაშე განმარტა არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის აუცილებლობის წესი. შემდეგ მათ გამოიტანეს საარჩევნო ყუთი და დილის 9 საათიდან არჩევნები დაიწყო. 16 თებერვალს, 18 საათზე ქვალონის საუბნო საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო ბიულეტენების დათვლა დაიწყო. საარჩევნო სიის მიხედვით, ქვალონის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 603 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 783 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ქვალონის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 486 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 56 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 226 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 3-4**)**.

ჭაქვინჯის საზოგადოება. 1919 წლის 23 იანვარს ჩამოყალიბდა ჭაქვინჯის საზოგადოების საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *მიხა მაჭავარიანი;* მდივანი – *ლავრენტი კვარაცხელია*, წევრები: *ძაკუ ხუნჯუა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *ალმასხან ჯიქია* და *დავითი ხასია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 5**)**. 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ჭაქვინჯის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტენების დათვლა დაიწყო. საარჩევნო სიის მიხედვით, ჭაქვინჯის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 470 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 410 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა.

- ჭაქვინჯის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 193 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 87 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 97 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 33 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 127-128).

ნარაზენის საზოგადოება: 1919 წლის 23 იანვარს ჩამოყალიბდა ნარაზენის საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *სპირიდონი ბიგვავა,* მდივანი – *ზაქარია კოდუა*, მოლარე – *ბესო თოდუა*. კომისიის წევრები: *სამსონ თოდუა, გიორგი ნანავა, პეტრე ბიგვავა* და *ისაია თოდუა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 6-7**)**. 1919 წლის 16 თებერ-

ვალს, 20 საათზე ნარაზენის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტენების დათვლა დაიწყო. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 690 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 523 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა.

- ნარაზენის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 46 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 16 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 420 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 41 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 126**)**.

ხორშის საზოგადოება: 1919 წლის 24 იანვარს ჩამოყალიბდა ხორშის საზოგადოების საარჩევნო უბნის კომისია შემდეგი შემადგენლობით: *ბეგო ნორაკიძე, ალექსანდრე ბუხუა, ეთიმე ბუკია* (ტექსტში ასეა - ბ. ლ.), *ნესტორ გვასალია, მასწავლებელი სამხარაძე* და *ნიკო ტაბაღუა*. 4 თებერვალს *ბეგო ნორაკიძე* და *ნესტორ გვასალია* ჩანაცვლდა *ბესარიონ გიორგის ძე გვასალიათი* და *ვარლამ შაფათავათი*. იმავე დღეს თავმჯდომარედ *ბესარიონ გვასალია* აირჩიეს. ხორშის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1 811 ამომრჩეველი. აქედან არჩევნებში მონაწილეობა 1 559 ამომრჩეველმა მიიღო.

- ხორშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 076 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 16 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 260 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 207 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 8, 17**)**.

ხეთის საზოგადოება: 1919 წლის 23 იანვარს ჩამოყალიბდა ხეთის საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *პარმენ ზოსიმეს ძე კუკავა,* მდივანი – *არსენა პავლეს ძე გაბრავა*, მოლარე – *ვლადიმერ ბეჟანის ძე ნაჭყებია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), წევრები: *სოფიო კობახიძე, მაქსიმე გაბუს ძე ლატარია, ნიკიფორე კვიკვინია* და *გრიგოლ კუტალია* (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 9). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ხეთის საუბნო საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 2 718 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 420 ამომრჩეველმა მიიღო. ხეთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 131 ხმა;

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 254 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 14 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 12-93**)**.

ლეწურწუმეს საზოგადოება: 1919 წლის 27 იანვარს ჩამოყალიბდა ლეწურწუმეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ივანე თოდუა, მიხაილ გულუა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *დიმიტრი წურწუმია, ლ. წურწუმია* და *ვ. წურწუმია*. აღნიშნულ კრებაზე საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საარჩევნო ყუთი 14 და 15 თებერვალს განეთავსებინათ ლეწურწუმეს კანცელარიაში, ხოლო კვირას 16 თებერვალს კი გადაეტანათ სოფელ ჯუმითში **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 13-14). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ლეწურწუმეს საზოგადოების საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული იყო 1 661 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 372 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაუქმებულა. ლეწურწუმეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 195 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 166 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 136).

ჩხოროწყუს საზოგადოება. 1919 წლის 23 იანვარს ჩამოყალიბდა ჩხოროწყუს საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *თადეოზი ვეკუა,* კომისიის წევრები: *ლავრენტი გობეჩია, გრიგოლ ვახანია, ტროფიმე მაფორია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *იასონ კვარაცხელია, ივლონ კვერკველია* და *ის. ქვარცხავა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 15). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ჩხოროწყუს საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული იყო 1 675 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 939 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა.

- ჩხოროწყუს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 589 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 130 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 150 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 70 **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 138**)**.

კახათის საზოგადოება. 1919 წლის 4 თებერვალს ჩამოყალიბდა კახათის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ვლადიმერ კაკულია,* მდივანი – *გიორგი ალშიბაია,* მოლარე – *მიხეილ დარასელია,* წევრები: *სოგრატე კეზუა, ბათლომე ყოლანდარია, თადა ფიფია, დიონოზი მოსია* და *იონა ჯიქია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 18).1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე კახათის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 388 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 737 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 3 ბიულეტენი გააბათილა, მათგან ორი ცარიელი იყო და ერთში აღმოჩნდა ორი ბიულეტენი, რომელზეც ამომრჩეველს მხარდაჭერა ჰქონდა დაფიქსირებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისთვის.

- კახათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 480 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 49 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 186 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 19 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 19).

ლიის საზოგადოება. 1919 წლის 12 თებერვალს ჩამოყალიბდა ლიის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ივლიანე ბერიშვილი, ძვაძვალა სამუშია, ალექსანდრე ბერიშვილი, დიტო ხვიჩავა, კოსტა ზიყვას ძე სამუშია* და *აკაკი ხუბუტია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 20). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ლიის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 233 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 536 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ლიის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 286 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 61 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 181 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 32**)**.

ახუთის საზოგადოება. 1919 წლის 13 თებერვალს შეიკრიბა ახუთის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ილია გოგია*, მდივანი –

სვიმონ ჯალაღონია, მოლარე – *ანდრონიკე ჯოხთაბერიძე*, წევრები: *ალექსანდრე ჰაჰასქირი, ოლიკო ჯალაღონიას ასული* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) და *აკაკი შამათავა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 21). 1919 წლის 17 თებერვალს, დილის 20 საათზე ახუთის საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 600 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 1 316 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის 1 ბიულეტენი სადავოდ მიიჩნია.

- ახუთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 913 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 61 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 68 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 273 **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 22).

საჯიჯაოს საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს შეიკრიბა საჯიჯაოს საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *ნიკო შამათავა,* წევრები: *ლევან თირქია, გიორგი ახალაია, დავით ჯიხაია* და *ბეგლარ ნანეიშვილი*. მათ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათიდან ხმის მიცემის პროცესი დაიწყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 25). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე საჯიჯაოს საუბნო საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 330 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 672 ამომრჩეველმა მიიღო.

- საჯიჯაოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 412 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 27 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 233 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 73).

ლედგებიეს საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს შეიკრიბა სოფელ ლედგებიეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *გიორგი ლაგვილავა,* წევრები: *ვლადიმერ სართანია, იაკობ ბულია* და *გერასიმე სართანია*. კომისიამ ამომრჩეველთა წინაშე განმარტა არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის წესი. 16 თებერვალს, საღამოს 20 საათზე სოფელ ლედგებიეს საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 649 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 351 ამომრჩეველმა

მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ლედგებიეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 193 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 146 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 26-27).

ხორგის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ხორგის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე გობეჩია,* წევრები: *ბოკო ცხომარია, სოლომონ დოლბაია, ჩერიგეზი ბერია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *სამისონ ბერია და გერმანე მირცხულავა*. მათ ამომრჩევლებს არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის წესი განუმარტეს. შემდეგ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 30). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ხორგის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 090 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 039 ამომრჩეველმა. კომისიამ სადავოდ 8 ბიულეტენი მიიჩნია, რომელთაგან 4 სოციალ-დემოკრატებს და 4 ეროვნულ-დემოკრატებს ეკუთვნოდა. მათგან კომისიამ ბათილად 5 ბიულეტენი ცნო. ხორგის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 611 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 113 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 302 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 77).

ქარიატის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ქარიატის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *გიორგი გვაძას ძე ბერაია,* კომისიის წევრები: *პლატონ თედოს ძე ბერაია, სარდიონი ხუტუს ძე კაკაჩია, სილოვანი ნიკოს ძე ბერაია, დავითი ტაგუს ძე წულაია, ალექსანდრე ტაგუს ძე ალექსანდრია* და *ავქსენტი თედოს ძე გურალია*. კომისიის მუშაობას დაესწრნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, კერძოდ, სოციალ-დემოკრატების მხრიდან *ალექსანდრე პეტრეს ძე ბერაია* და ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან *ონიფანტე მარკოზის ძე უჩანეიშვილი*. 16 თებერვალს ქარიატას საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 549 ამომრჩევე-

ლი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 392 ამომრჩეველმა მიიღო. ქარიატის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 266 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 92 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 27 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 28).

ფახულანის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ფახულანის საზოგადოების საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ერასტი ჯერგეს ძე გოგოხია*, წევრები: *ილია შონია, მარია გოგოხია, ვასილი ბოხუა* და *ტრიფონი ბერიშვილი*. მათ ამომრჩევლებს საარჩევნო დებულების მე-9 და მე-10 თავები არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის შესახებ განუმარტეს. შემდეგ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 31). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ფახულანის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 130 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 540 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენები არ გაბათილებულა. ფახულანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 387 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 145 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 80).

წალენჯიხის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს დილის 10 საათზე წალენჯიხის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ივანე ოსიძე*, მდივანი – *პავლე შანავა*, მოლარე – *ვლადიმერ ანთია*, წევრები: *გრიგორი თვალთვაძე, გერასიმე ცანავა, იოსებ მოლაშხია* და *შალვა გვაჯავა*. 16 თებერვალს, 20 საათზე გაიმართა წალენჯიხის საზოგადოების საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ლადო კვარაცხელია* და *კოლია ღვინჯილია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ძაგუ გვაჯავა,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან (ესერები) – *ლევან გობეჩია* და *ბეგი გვაჯავა,* საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ბიკტორ სარია* და *ილარიონ ჟვანია,* საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიიდან – *იაკობ შანავა* და *ვლადიმერ კალანდია*. კომისიაში ვლადიმერ კალან-

დია ჩანაცვლდა ვასილ ჭანიათი. კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 3 160 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 1 142 ამომრჩეველმა მიიღო. წალენჯიხის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 352 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 71 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 438 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 228 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 53 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 33-34).

ჯვარის საზოგადოება. ჯვარის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – მღვდელი *ანტონ ჭანტურია,* წევრები: *ნესტორ შამუგია, იასონ ქანთარია, ნიკოლოზ ჭანტურია* და *პლატონ შამუგია*. 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 2 000 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 393 ამომრჩეველმა მიიღო. ჯვარის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 125 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 69 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 195 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 35).

ზანის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ზანის საზოგადოების საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ბოჯგუა,* მდივანი – *ნესტორ აბურჯანია,* წევრები: *თადეოზ გვაძაბია, კონსტანტინე ბელოვი, გუდუ ბოჯგუა, მიშა ბოჯგუა* და *მიტროფან ბოჯგუა*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაწვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე ზანის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 241 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 486 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ზანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 350 ხმა;

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 59 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 68 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 9 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 38-39).

ჭალეს საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს, ჭალეს საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *იონა სტეფანეს ძე გეთია*, მდივანი – *ა. ბერიშვილი*, წევრები: *ერასტო არქანია, პროკოპი თვალთვაძე, ვასილი უბილავა, მაკარი გეთია* და *დავით უბილავა*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო. 17 თებერვალს ჭალეს საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 128 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 480 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ჭალეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 254 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 159 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 67 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 40-41).

ჭკადუაშის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ჭკადუაშის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *მიხეილ ცაგურია,* მდივანი – *ანტონ ყუფუნია,* წევრები: *პარმენ ეგუტია, ქვაჩალა ბაღათურია, ფარნა ანთია, ბიქტორი ალშიბაია, გუჯული ხორგუანი* და *ანტონი ყუფუნია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე ჭკადუაშის საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 003 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 241 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ იყო გაბათილებული. ჭკადუაშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 41 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 129 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 42-43).

მუხურის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს მუხურის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ფილიპე თოდუა,* მდივანი – *მ. ლემონჯავა,* წევრები: *ისიდორე ჩიქოვანი, ივანე კუხალაშვილი, კოწია შენგელია, ისიდორე ჩიქოვანი*. დილის 10 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 44).საარჩევნო სიის მიხედვით, მუხურის საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1 899 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 593 ამომრჩეველმა მიიღო. მუხურის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 228 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 171 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 188 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 46).

ცაიშის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ცაიშის უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ივლონ ოდიშარია,* კომისიის წევრები: *ანდრია გარდავა, ორესტი ქირია, მიშა ჟორდანია, ძაძუ ქირია, ლევან შამუგია* და *ვასილი პავლეს ძე ქირია*. კომისიის სხდომას შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დაესწრნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *აკაკი სიგუა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *პორფილე დგებუაძე*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *არჩილი გარდავა*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ბეგლარ მეუნარგია* დაესწრო. კრებამ ამომრჩევლების თხოვნა განიხილა, რომლის მიხედვით, ცუდი ამინდის გამო, მესამე დღეს 16 თებერვალს საარჩევნო ყუთი ცაიშის კახათში უნდა გადაეტანათ, რაზედაც თანხმობა მიიღეს **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 50). 1919 წლის 17 თებერვალს, 21 საათზე ცაიშის უბნის საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 615 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 673 ამომრჩეველმა მიიღო.

- ცაიშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 326 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 118 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 152 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 77 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 81-82).

ნოჯიხევის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ნოჯიხევის საზოგადოების საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ივლონი ჯორჯიკია,* წევრები: *ლევან იოსავა, ისლამი დოლბაძე, ანტონ ჩიტაია, კოსტა ქუთელია, მიხა ტურავა და ნესტორ ტურავა*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდეგ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე ხმის მიცემის პროცესი დაიწყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 52). 1919 წლის 16 თებერვალს, 21 საათზე ნოჯიხევის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია (კომისიის ერთი წევრი ნესტორ კოსტავა არ გამოცხადებულა) საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 763 ამომრჩეველი. მათგან, არჩევნებში მონაწილეობა 820 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ნოჯიხევის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 692 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 9 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 34 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 85 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 83).

ნიკოსია რუხის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს რუხის სოფლის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *იაკობ ქარჩავა,* მდივანი – *ს. დგებუაძე,* მოლარე – *ბ. ჯაბურია,* წევრები: *ნიკო თოდუა, ვალიკო ნაჭყებია, ნაფო თოდუა, ნიკო ლეთანძე* და *ანტონ ჯანაშია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 56). 1919 წლის 16 თებერვალს, 21 საათზე, რუხის სოფლის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 922 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 337 ამომრჩეველმა მიიღო. რუხის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 160 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 125 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 45 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 84).

ზუგდიდის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს, 20 საათზე სასოფლო საზოგადოები საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე –

ალექსი შენგელია, მდივანი – *ესპატე გვალია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), წევრები: *დავით ფონია, პიმენ თოდუა, ვლადიმერ (ლადო) გობეჩია, იაკობ ჩილაჩავა და რევაზი ჯგვიშია*. კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა, საარჩევნო ყუთის გახსნისას 66 კონვერტი აღმოჩნდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 45 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 15 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

15 თებერვალს, 20 საათზე **სასოფლო საზოგადოების** საარჩევნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. დათვლის შედეგად 35 კონვერტი აღმოჩნდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 28 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 57-58).

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე **ზუგდიდის საზოგადოების წვრილი სასოფლო საზოგადოების** საარჩევნო საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში ამ დღეს 251 ამომრჩეველმა მონაწილეობა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი ბათილად გამოაცხადა, ვინაიდან შიგნით იყო ორი სხვადასხვა ბიულეტენი (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 124 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 34 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 81 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა.

საარჩევნო სიის მიხედვით, ზუგდიდის აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 943 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 352 ამომრჩეველმა მიიღო. 1 ბიულეტენი გაბათილდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 197 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 39 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 102 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 13 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 86).

ოირემე-დავითიანის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ოირემე-დავითიანის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ევთიმე ფეტელავა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), მდივანი – *ტერენტი ქარჩავა,* წევრები: *სამსონ გულუა, დიმიტრი ქობალია, ეპიფანე კვარაცხელია, დიანოზი ფარცვანია*. მათ ამომრჩეველთ წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდეგ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე არჩევნები დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე ოირემე-დავითიანის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 815 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 495 ამომრჩეველმა მიიღო. ოირემე-დავითიანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 111 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 373 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 59, 88).

შამგონის საზოგადოება.1919 წლის 16 თებერვალს შამგონის სოფლის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შემდეგი შემადგენლობით შეუდგა: თავმჯდომარე – *იოსებ გაბუნია* წევრები: *დავით მესხი, ჩანთა ივარდავა, აკაკი ჩიქავა, იასონ სორდია, ლადიმერ ფარცვანია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *ბესარიონ (ჯოტი) ხვარძივია* (ტექსტში ასე – **ბ. ლ.**). საარჩევნო უბანი სოფელ შამგონაში *ჰილა ფიფიას* და *სამსონ ბულიას* ბინაში იყო. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 340 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 238 ამომრჩეველმა მიიღო. შამგონის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 52 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 51 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 116 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 19 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 63**)**.

დაბა ხობის საზოგადოება. 1919 წლის 16 თებერვალს, 21 საათზე ხობის საუბნო საარჩევნო კომისია მუშაობას შემდეგი შემადგენლობით შეუდგა: თავმჯდომარე – მღვდელი *ნიკო სასანია,* წევრები: *გახუ ხვიჩია, გრიგოლ ალანია, ვ. როყვა, ტერენტი ფაჩულია* და *კ.*

ბებურიძე. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 480 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 389 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. დაბა ხობის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 264 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 71 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 49 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 64-65).

საარჩევნო პროცესის პარალელურად დაბა ხობში შემდეგ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი: 1919 წლის 14-15 თებერვალს ოჯახებში დადიოდა შეიარაღებული მილიციელი იასონ თათარაშვილი და საარჩევნო ბიულეტენებს არიგებდა სიას №1, მსგავს ბიულეტენებს არიგებდნენ ასისთავი *პროკოპი ჭოჭუა* და *ათისთავები*. აღნიშნული კანონდარღვევის შესახებ, ოქმი შეადგინა დაბა ხობის კომისიის თავმჯდომარემ, მღვდელმა ნიკო სასანიამ და ხელს აწერენ კომისიის წევრები: *კ. ბებურიძე* და *გახუ ხვიჩია*. მათ აღნიშნული ოქმი რეაგირებისთვის სამაზრო კომისიას გადაუგზავნეს **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 66**)**.

ხობში მიმდინარე არჩევნების დროს ასევე ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: დაბა ხობში, სადაც მიმდინარეობდა არჩევნები, აქ დროებით მცხოვრები *კიწი ბესარიონის ძე გეგეჭკორი* მოვიდა და ფარულად ხმა მისცა. მდივნის – *ლუკა შონიას* განცხადებით, გეგეჭკორი სიაში შეყვანილი არ იყო იმ მიზეზით, რომ სიის შედგენის დროს ის დაბა ხობში არ ცხოვრობდა. საარჩევნო სიის გამოქვეყნების შემდეგ კ. გეგეჭკორის განცხადება სიაში შეტანის შესახებ, კომისიაში არ შესულა. კომისიამ მიიღო მხედველობაში ის, რომ კ. გეგეჭკორი ცხოვრობდა დაბა ხობში და სიაში შეცდომით გამორჩენილი იყო. ამიტომ კომისიამ დაადგინა: ის შეეყვანათ სიაში და მიცემული ხმა ჩაეთვალათ კანონიერად **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 67).

ლესიჭინეს საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ლესიჭინეს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *იონა შოშის ძე სიჭინავა,* მდივანი – *ვლადიმერ ცხაკაია*, წევრები: *ევგენი სიჭინავა, ლიკა სიჭინავა*. კომისიის სხდომას ასევე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი – *ვლადიმერ ჭანტურია* დაესწრო. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. 16 თებერვალს, საღამოს 17 საათზე ლესიჭინეს საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 133 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 729 ამომრჩეველმა მიიღო. ლესიჭინეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 557 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 18 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 153 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 74-75).

ჭოღას საზოგადოება. 1919 წლის 23 იანვარს ჩამოყალიბდა ჭოღას საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *მელიტონ ჩიქოვანი,* წევრები: *პეტრე შენგელია, თადეოზ შენგელია, იასონ შენგელია, ნესტორ შენგელია, მაქსიმე შენგელია* და *ივანე გოგუა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 79). 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ჭოღას საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 610 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 562 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ჭოღას საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 306 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 238 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 146).

კირცხის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს კირცხის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *რაჟდენ მალანია,* მდივანი – *ა. მალანია,* წევრები: *ბეგლარი იზორია, არსენ სტეფანია* და *ბაგრატ სახურია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე ამომრჩევლების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს, რის შემდეგაც საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე კირცხის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 669 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 567 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. კირცხის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 284 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 27 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 256 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 143-144).

ყულიშკარის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ყულიშკარის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ფილუ როგავა*, წევრები: *ჩანთა როგავა, ნესტორ როგავა, ილიკო ანთელავა, დიმიტრი მაქაცარია, ერასტო მაქაცარია* და *უშა შედანია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**). მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 109**)**. 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე ყულიშკარის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 580 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 679 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ყულიშკარის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 431 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 157 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 87).

ახალი ხიბულის საზოგადოება.1919 წლის 16 თებერვალს ახალი ხიბულის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: თავმჯდომარე – *მიხა ლაშხია,* მდივანი – *ე. ღურწკაია,* წევრები: *ევგენი ღურწკაია, ვასილი ჟიშქარიანი* და *დავითი ლაშხია*. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 093 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 354 ამომრჩეველმა მიიღო. ახალი ხიბულის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 190 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 35 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 129 ხმა.
- არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ხმის მიცემის პროცესს ხელი შეუშალა ცუდმა ამინდმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 89).

კოკის საზოგადოება.1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე მუშაობას კოკის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია შეუდგა – *მიხა იასონის ძე ნარმანიას* ხელმძღვანელობით. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1

589 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 958 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაუქმებულა. კოკის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 179 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 159 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 296 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 324 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 102).

რიყის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს რიყის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *სთეფანე გოგია* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), წევრები: მღვდელი *არსენ ხვინგია, ბიქტორ ვეკუა, ივლონი კვარაცხელია, მაქსიმე დგებუაძე* და *ვლადიმერ ჩხეტია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდეგ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო.16 თებერვალს, 20 საათზე რიყის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ უბანში რეგისტრირებული იყო 600 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 370 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. რიყის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 115 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 221 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 32 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 107-108).

კორცხელის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს სოფელ კორცხელის საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *აქვსენტი ლაგვილავა,* წევრები: *ალექსი ქობალია, აქვსენტი კვარაცხელია, ხარიტონ ლაშხია, პეტრე ქობალია, აკაკი რაფავა* და *პორფილი ივარდავა*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე კორცხელის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 634 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 407 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაუქმებულა. კორცხელის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 116 ხმა;

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 268 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 112-113).

ანაკლიის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ანაკლიის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შედგა: თავმჯდომარე – *ნოე გეგენავა*, წევრები: *თადა ხაბურზანია*, *აქვსენტი ქობულია*, *ბიჭიკო დგებუაძე, გვარდღი ბერანძე* და *პარასკევა მ. კუხალაშვილი*. მათ ამომრჩეველთ წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე ანაკლიის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 927 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 296 ამომრჩეველმა მიიღო. კომისიამ 3 ბიულეტენი გაბათილა, რადგანაც საარჩევნო კონვერტში მოთავსებული ბიულეტენი იყო საერობო არჩევნების. ანაკლიის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 149 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 95 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 9 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 117-118).

ძველი ხიბულის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ძველი ხიბულის საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *რაჟდენ ფიჩხაია,* წევრები: *სოგრატე ღურწკაია, ესტატე ქარცხია, ილარიონ გეგეჭორი, ლავრენტი კეშულარია* და *საჩინო ყურაშვილი*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, საღამოს 21 საათზე ძველი ხიბულის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 511 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 239 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ძველი ხიბულის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 88 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 61 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 83 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 119-120).

დარჩელის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს დარჩელის საზოგადოების საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *იოსებ ახვლედიანი*, წევრები: *ბარდღუ აბსანძე, კალისტრატე ხუფენია, მამანტი ჭიქაშვილი, იონა ქართველიშვილი, იასონი ქირია* და *მიხაილ კონჯარია*. მათ ამომრჩევლის წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს დარჩელის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 555 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 686 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. დარჩელის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 177 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 141 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 343 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 24 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 121-122).

დიდინეძის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს დიდინეძის საზოგადოების საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *მიშა მატეხერია,* მდივანი – *კირილე ქეცბაია,* წევრები: *კალისტრატე ზარანდია, ვასილი ჯგერენაია, კონსტანტინე კუკავა, ადა შანავა* და *ილია ფაჩულია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და 8 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე დიდინეძის საზოგადოების საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 889 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 754 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი ბათილად ცნო. დიდინეძის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 176 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 49 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 525 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 129-130).

ობუჯის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს შეიკრიბა ობუჯის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *იაკობ ფიფია*, წევრები: *შალვა შენგელაია, ანდრო ფიფია, ვლადიმერ შენგელაია, პლატონ მესხია* და *კოსტა ჭანტურია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე, ობუჯის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 235 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 503 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ობუჯის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 171 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 244 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 77 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 131-132).

ნაფიჩხოვოს საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ნაფიჩხოვოს საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *კოსტა კვარაცხელია,* მდივანი – *ეპიფანე ცირდავა*, წევრები: ისლამი გოგუა, *ვარლამი დარასელია* და *ვასილი ფონია*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. 16 თებერვლის, 20 საათზე ნაფიჩხოვოს საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 261 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 443 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ნაფიჩხოვოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 236 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 207 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 139-140).

ჯგალის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს ჯგალის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *პეტრე ქვარცხავა,* მდივანი – *გიორგი ჭანტურია,* წევრები: *მელენტი მგალობლიშვილი*, *ანდრია სალია, ჩაფა კვარაცხელია*, *მარია სოხაძე* და *თედორე წულაია.* მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 16 თებერვალს, 20 საათზე, ჯგალის საუბნო საარჩევნო

კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 2 530 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 1 432 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. ჯგალის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 193 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 21 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 186 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 32 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 141-142).

აბასთუმნის საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს სოფელ აბასთუმნის საარჩევნო საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *მალაქია ჩიხლაძე,* წევრები: *იოსებ არქანია, ალექსანდრე მოლაშხია, ჩანთუ ფარცვანია* და *ვლადიმერ ქორთუა*. მათ ამომრჩეველთა წინაშე არჩევნების თავისუფლების და სისწორის დაცვის წესი განმარტეს. შემდგომ საარჩევნო ყუთი გამოიტანეს და დილის 9 საათზე საარჩევნო პროცესი დაიწყო. 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე აბასთუმნის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 800 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 553 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. აბასთუმნის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 99 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 443 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 147-148).

რედუტ-კალის (ყულევის) საზოგადოება. 1919 წლის 14 თებერვალს რედუტ-კალის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ნესტორ ალექსანდრია,* მდივანი – *ი. შელია*, კომისიის წევრები: *სვიმონ ჯალაღანია, იურა ვეკუა, გაბრიელ მანია და მუხრან ბუკია.* 1919 წლის 16 თებერვალს საარჩევნო პროცესი დასრულდა. საარჩევნო სიის მიხედვით, ყულევის საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 367 ამომრჩეველი. ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 268 ამომრჩეველმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 266 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა

- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 105-106).

1919 წლის 16 იანვარს ქალაქ ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის ხელმძღვანელობით, სამაზრო დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია შედგა, რომელიც შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: თავმჯდომარე – *მიხა ბერულავა,* მდივანი – ანტონ ანჯაფარიძე, მოლარე – *იონა მეუნარგია, წევრები: იასონ მუჯირი, სოკრატ კეშელავა, ბაგატ უგულავა* და *ნიკოლოზ ანთელავა.* საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 2 859 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 236 ამომრჩეველმა მიიღო. 2 ბიულეტენი გაბათილდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 493 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 433 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 57 ხმა;[52]
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 250 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 63; **დამფუძნებელი კრების, 1919:** 3).

1919 წლის 24 თებერვალს **ზუგდიდის სამაზრო** საარჩევნო კომისია მუშაობას შემდეგი შემადგენლობით შეუდგა: თავმჯდომარე – *მიხაილ ბერულავა,* მოლარე – *იონა მეუნარგია, იასონ მუჯირი, სოკრატ კეშელავა* და *ანტონ ანჯაფარიძე.* კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: *ალექსანდრე ჩიქავა* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), *კალისტრატე კობახიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *ლუკა გაგუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). საარჩევნო სიის მიხედვით მთლიანად **ზუგდიდის მაზრაში** რეგისტრირებული იყო 60 289 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 28 028 ამომრჩეველმა მიიღო.[53] კომისიამ 14 ბიულეტენი ბათილად ცნო.[54] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 15 149 ხმა;

---

[52] განსხვავებული მონაცემი არის მოყვანილი გაზეთ *„საქართველოს“* (1919, 19 თებერვალი, № 38) ინფორმაციაში, რომლის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 333 ხმა აქვს მიღებული (**დამფუძნებელი კრების, 1919:** 3). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ არა 333, არამედ 433 ხმა მიიღო. ამავდროულად აღნიშნულ გაზეთში დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირის მიერ მიღებული – 1 ხმა, საერთოდ არ არის ნახსენები**.**

[53] აღნიშნულ დოკუმენტში ცდომილებაა, რადგანაც არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ორი განსხვავებული რაოდენობა 28 027 და 28 028 არის მითითებული. დოკუმენტური მასალების დაჯამებით გაირკვა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 28 028 ამომრჩეველმა მიიღო.

[54] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიამ არა თუ 14 ბიულეტენი არამედ 15 ბიულეტენი ცნო ბათილად: ზუგდიდი – 1, ახუთი – 1, დიდინეძი – 2, ანაკლია – 3, კახათი – 3 და ხორგა – 5.

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 414 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 8 070 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 315 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 57 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 104**)**.
- დანარჩენ პარტიებს ზუგდიდის მაზრაში ხმა არ მიუღიათ.

ზუგდიდის მაზრაში სამაზრო საარჩევნო კომისიამ 28 013 ბიულეტენი კანონიერად ცნო.[55] ხოლო 15 ბიულეტენი ბათილად გამოაცხადა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 66: 101**)**.

1919 წლის 4 მარტს დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის სხდომა შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: *ალექსანდრე ლომთათიძე* (თავმჯდომარე), *ილია ფირცხალაიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მელიტონ რუსია, გიორგი გვაზავა, იოსებ გობეჩია, სარდიონ თევზაძე, დავით დავითხანოვი* და *ოლღა სოლოღაშვილი.* პარტიების წარმომადგენლები: *მ. საყვარელიძე* (სავარაუდოდ მიხეილ დიმიტრის ძე – **გურული, 2021:** 499) *და ლ. ჯაფარიძე.* აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს ზუგდიდის მაზრაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები. კომისიამ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საარჩევნო უბანზე: *„სოფ. ზუგდიდი – სადაც ყოველდღიურად ითვლიდნენ კონვერტებს, დიდი ნეძი, რედუტ-კალე – არჩევნები დამტკიცებულია ვადაზე ადრე“.* კომისიამ ზემოთ ხსენებულ თითოეულ საარჩევნო უბანზე არჩევნები კანონიერად ჩათვალა. საბოლოოდ ჯამში კი *„მთელი ზუგდიდის მაზრის არჩევნები – დამტკიცებულია კანონიერად“* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 46**)**.

1919 წლის 17 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების სამანდატო კომისიამ განიხილა ზუგდიდის მაზრის არჩევნების ოქმები. აღნიშნულმა კომისიამ ყურადღება გაამახვილა ზუგდიდის საზოგადოების არჩევნებზე, სადაც ყოველდღიურად თვლიდნენ კონვერტებს, რომელიც აშკარა კანონდარღვევას წარმოადგენდა. კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც: *„ზუგდიდის საზოგადოების არჩევნები დამტკიცებულ იქნა, მხოლოდ აღნიშნული დარღვევა დეფექტად აღინიშნოს“* (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 17: 9).

საქართველოს დამფუძნებელი კრების სამანდატო კომისიის მიერ ზუგდიდის მაზრის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა შემდეგი: ზუგდიდის მაზრაში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული 63 148 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 29 264 ამომრჩეველმა მიიღო. 17 ბიულეტენი გაბათილდა.

- პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

[55] ზუგდიდის სამაზრო საარჩევნო კომისიას, როდესაც ზუგდიდის მაზრის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები განიხილა, არ აქვს გათვალისწინებული ქ. ზუგდიდში ჩატარებული არჩევნების შედეგები.

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 15 642 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 847 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 8 127 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 565 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 57 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 63**)**.

ამრიგად, მიუხედავად არჩევნების პროცესში არსებული მცირეოდენი დარღვევებისა, აღნიშნული არჩევნები ნამდვილად იყო დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარებული. მასში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

§3. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სენაკის მაზრაში

1919 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადების თანახმად, საერობო გამგეობამ სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისია შეადგინა, რომელიც შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებით *დაკომპლექტდა:* საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელნი*: თავმჯდომარე – ანდრო ანჯაფარიძე, მდივანი – აქვსენტი მახარაძე, მიხეილ ნოდია, და ნიკო ანჯაფარიძე, საქართველოს* სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ცუღუ თოფურიძე, საქართველოს* სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *მოლარე – აქვსენტი კობახიძე* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 94: 17**)**.

1919 წლის 19 იანვარს დამფუძნებელი კრების კომისიაში ახალ სენაკის ქალაქის საბჭომ აირჩია: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან *თავმჯდომარე – ვლადიმერ დიმიტრის ძე ხოფერია და მდივანი – თეოფანე კალანდარიშვილი,* საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ალექსანდრე ჩხეტია,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ექიმი ბიქტორ ხარბედია* და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან *მოლარე – მღვდელი გიორგი გამზარდია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 1, ს. 92: 2-3**)**. სენაკის მაზრა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის 30 საარჩევნო უბნად დაიყო. ესენია: *სეფიეთის; აბაშის; ონტოფოს; კვათანის; ნაესაკოვოს; სამიქაოს; მარნის; ნოსირის; სუჯუნის; თეკლათის; ძველი სენაკის; გეჯეთის; ეკის; ნოქალაქევის; უშაფათის; ლეძაძამის; ფოცხოს; ჯოლევის; აბედათის; ბანძის; ლეხაინდრაოს; ჭალადიდის; ნახუნავოს; მარტვილის; კინჩხის; თამაკონის; ნაგვაზავოს; სალხინოს; კიწიის; ქალაქი ახალი სენაკი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21**)**.

ეკის საზოგადოება. 1919 წლის 29 იანვარს სენაკის მაზრის ორგანიზაციის რწმუნებულმა *ბესარიონ ლევანის ძე გეგენავამ* ეკის საზოგადოების საერთო კრება ჩაატარა. კრება ამავე საზოგადოებაში საარჩევნო უბნების მოწყობას და საარჩევნო კომისიების შექმნას ეხებოდა. კრების თავმჯდომარედ – *პეტრე ელიავა*, მდივნად – *იაკობ ადამია* აირჩიეს. ვინაიდან აღნიშნულ კრებაზე მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლები გამოცხადდნენ, მათ სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან დამოუკიდებლად საარჩევნო კომისია დააკომპლექტეს და საარჩევნო უბნები აირჩიეს.

კომისიამ ეკის საზოგადოება 4 საარჩევნო უბნად დაყო: *საადამიო-საწულეისქირო, უფალის კარი, მაცხოვარის კარი და შუა ეკი*. თითოეულ საარჩევნო უბანზე შემდეგი კომისიის წევრები აირჩიეს: **საადამიო-საწულეისქიროს** საარჩევნო წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსი ადამია*, მდივანი – *იულონ ადამია*, მოლარე – *ალექსი შალვას ძე ადამია, ალექსი წულეისქირი, სოროფა წულეისქირი* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), *გებლარი წულეისქირი* და *ლადო ივანეს ძე ადამია*. **უფალის კარის** საარჩევნო წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სოლომონ თეიმურაზის ძე ვადაქარია*, მდივანი – *ისიდორე ელიავა*, მოლარე – *ვანო არჩაია, ვანო ელიავა, სევერი ხელაია* და *ტარასი ჩიჩუა* (წევრი). **მაცხოვრის კარის** საარჩევნო წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიმიტრი კოდუა*, მდივანი – *იასონ ელიავა*, მოლარე – *ანდრო ბარკალაია, რაჟდენ ქავთარაძე, გარსევან ფარღალავა, ლევან ხახუა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) და *ბათა ფარღალავა*. **შუა ეკის** საარჩევნო წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პეტრე ელიავა,* მდივანი – *იაკობ ადამია,* მოლარე – *ივანე დავითის ძე გუნია, ლაუ გუნია, ნესტორ ზურაბის ძე გუნია, გაბრიელ ნინუა* და *ვასილ გუნია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 3-4**)**.

1919 წლის 14 თებერვალს **საადამიო-საწულეისქიროს**, საარჩევნო უბნის კომისიამ საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დაიხურა. არჩევნების მიმდინარეობისას ისეთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ისეთ ამომრჩევლებს მიენიჭათ, რომლებიც საარჩევნო სიაში შეყვანილი არ იყვნენ. ამ შემთხვევაში კომისიამ იმ გარემოებით იხელმძღვანელა, რომ ეს პირები სიის შესწორების დროს საარჩევნო უბანში არ იმყოფებოდნენ. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 438 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 326 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 126 და მამრობითი სქესის – 200. არჩევნებში მონაწილეობა 112 ამომრჩეველმა არ მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 255 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 68 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 6).

1919 წლის 14 თებერვალს **უფალის კარის** საარჩევნო კომისიამ დილის 8 საათზე საარჩევნო პროცესი გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა. აღნიშნულ საარჩევნო უბანში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ისეთმა პიროვნებამ რომელიც საარჩევნო სიაში შეყვანილი არ იყო. ამ შემთხვევაში საარჩევნო კომისიამ იმ გარემოებით იხელმძღვანელა, რომ ეს პირი სიის შესწორების დროს საარჩევნო უბანში არ იმყოფებოდა და სხვაგან ხმა მიცემული არ ჰქონდა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 307 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 293 ამომრჩეველმა მიიღო. სქესი მიხედვით ამომრჩეველთა რიცხვი შემდეგი იყო: მდედრობითი სქესის – 101 და მამრობითი სქესი – 192. არჩევნებში მონაწილეობა 14 ამომრჩეველმა არ მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. უფალის კარის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 208 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 80 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 5).

1919 წლის 14 თებერვალს **მაცხოვრის კარის** საარჩევნო კომისიამ საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა ისეთმა ამომრჩეველმა მიიღო, რომელიც საარჩევნო სიაში შეყვანილი არ იყო. ამ შემთხვევაში კომისიამ იმ გარემოებით იხელმძღვანელა, რომ ასეთი პირები სიის შესწორების დროს საარჩევნო უბანში არ იმყოფებოდნენ და ხმა სხვაგან მიცემული არ ჰქონდათ. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 379 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 353 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 163 და მათგან მამრობითი სქესის – 190. არჩევნებში მონაწილეობა 26 ამომრჩეველმა არ მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 265 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 81 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 10-11).

1919 წლის 14 თებერვალს შუა ეკის საარჩევნო კომისიას საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა. საარჩევნო პროცესში მონაწილეობა მხოლოდ იმ ამომრჩევლებმა მიიღეს, რომლებიც საარჩევნო სიაში იყვნენ ჩაწერილები. სიის მიხედვით, საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 452 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 412 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 165 და მამრობითი სქესის – 247. არჩევნებში მონაწილეობა 40 ამომრჩეველმა არ მიიღო. არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 20 ხმა;
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 273 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 119 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 9).

ეკის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 576 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 384 ამომრჩეველმა მიიღო. აქედან მამრობითის სქესის იყო – 829 და მდედრობითი სქესის – 555 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 192 ამომრჩეველმა არ მიიღო. ეკის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 001 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 175 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 208 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 4: 7-8).

აბედათის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს აბედათის საზოგადოების საზოგადო საარჩევნო კომისიის კრება ჩატარდა. კრებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების გარდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი *თამარ შელეგია* დაესწრო. კრებამ თავმჯდომარედ *ილია იოსების ძე ანჯაფარიძე* აირჩია, მდივნად – *ერმილე ივანეს ძე გვილავა,* მოლარედ – *მალაქია პავლეს ძე კიკალიშვილი*. აღნიშნულმა კრებამ აბედათის საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად დაყო: *ქვემო აბედათის (პირველი საარჩევნო) უბანი* და *ზემო აბედათის (მეორე საარჩევნო) უბანი*. პირველ საარჩევნო უბანში, არჩევნები *საზოგადო კომისარიატის შენობაში*, ხოლო მეორე საარჩევნო უბანში *გიორგი წულაიას სახლში* უნდა ჩატარებულიყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 2).

1919 წლის 20 იანვარს **ქვემო აბედათის** საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კალისტრატე ბესარიონის ძე მიქავა,* მდივანი – *ილია სტეფანეს ძე ლომია,* წევრები *ბუხუ ხურცილავა, პარმენ პატარაია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *სტეფანე*

ფირცხალავა (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 3). 1919 წლის 14 თებერვალს **ქვემო აბედათის** საარჩევნო უბნის კომისიამ საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა (ამ შემთხვევაში კომისიის წევრთა შორის მოხდა ცვლილება, სოციალისტ-ფედერალისტთა წარმომადგენელი პარმენ პატარაია ჩანაცვლდა ენელე ჯანჯღავათი). არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა ისეთ ამომრჩეველს, რომელიც საარჩევნო სიაში შეყვანილი არ იყო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 10-12). 1919 წლის 20 იანვარს **ზემო აბედათის** საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გერასიმე ზარქუა*, მდივანი – *ერმილე თეიმურაზის ძე მოწაფია,* წევრები: *დავით ზარქუა* და *გიგო ზარქუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 4**)**.

17 თებერვალს **ქვემო აბედათის** საარჩევნო უბნის კომისიამ დილის 8 საათზე საარჩევნო ბიულეტენების დათვლა დაიწყო. საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 682 ამომრჩეველი. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 585 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 269 და მამრობითი სქესის – 316 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 97 ამომრჩეველმა არ მიიღო. აბედათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 520 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 20 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 14, 18**)**.

1919 წლის 14 თებერვალს **ზედა აბედათის** საარჩევნო უბნის კომისიამ საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა. არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ იმ პირებმა მიიღეს, რომლებიც საარჩევნო სიაში იყვნენ შეყვანილნი. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 696 ამომრჩეველი **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 13, 15-16). 16 თებერვალს, 20 საათზე ზემო აბედათის საზოგადოების მე-2 უბნის საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 341 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 116 და მამრობითი სქესის – 225 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 355 ამომრჩეველმა არ მიიღო. ზემო აბედათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 67 ხმა;

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 273 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 13, 17-18).

აბედათის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 378 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 926 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 385 და მამრობითი სქესი – 541 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 452 ამომრჩეველმა არ მიიღო. აბედათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 587 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 21 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 313 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 5: 7**)**.

უშაფათის საზოგადოება. 1919 წლის 16 იანვარს სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოგზავნილი *გრიგოლ ჭაჭუას* ხელმძღვანელობით უშაფათის საზოგადოებაში საარჩევნო კომისია ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – *დომენტი ქუჩულორია,* მდივანი – *თეოფანე შეროზია, წევრები: ამბაკო კოკაია, მაკარი გაბუნია, ირაკლი გოგინავა* და *ვერა გახოკიძის ასული* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 8: 1). 1919 წლის 22 იანვარს უშაფათის სასოფლო საზოგადოების საარჩევნო კომისია შეიკრიბა. აღნიშნულმა კრებამ უშაფათის საზოგადოება 3 წვრილ საარჩევნო ერთეულად დაყო. მათ მიიღეს მხედველობაში, რომ წვრილი საარჩევნო კომისიების შესაქმნელად საჭირო იყო პირი, რომელსაც შესაფერისი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდა. ამასთანავე, წვრილი საარჩევნო კომისიების მოწყობა ზედმეტ ხარჯს მოითხოვდა, ამიტომ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: მთელს საზოგადოებაში იქნებოდა მხოლოდ ერთი საარჩევნო ყუთი, რომელსაც სხვადასხვა ადგილებში გადაიტანდნენ. 14 თებერვალს საარჩევნო ყუთი *უშაფათის სასამართლოს შენობაში*, 15 თებერვალს – *უშაფათ-ლებოგუჩევოს* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) სკოლის შენობაში, 16 თებერვალს კი, *უშაფათ-ლეგოგინაოს სკოლის შენობაში* დაიდგმებოდა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 8: 2-3**)**.

1919 წლის 14 თებერვალს უშაფათის სასოფლო საზოგადოების საარჩევნო კომისიამ დილის 9 საათზე უშაფათის სასამართლოს შენობაში საარჩევნო პროცესი გახსნა. საარჩევნო პროცესი 15 თებერვალს, დილის 8 საათზე, უშაფათ-ლებოგუჩევოს სკოლაში გაგრძელდა, ხოლო 16 თებერვალს საარჩევნო პროცესი უშაფათი-ლეგოგინაოს სკოლის შენობაში წარიმართა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 8: 7-9**)**. 1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე საარჩევნო პროცესი დასრულდა. არჩევნებში მონაწილეობა ისეთ ამომრჩეველს არ მიუღია,

რომელიც საარჩევნო სიაში არ იყო შეყვანილი. სიის მიხედვით 967 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. არჩევნებში მონაწილეობა 803 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 354 და მამრობითი სქესის – 449. არჩევნებში მონაწილეობა 164 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი გააბათილა. 1 ბიულეტენში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 2 ბიულეტენი აღმოჩნდა. საარჩევნო კომისიამ ერთი ბიულეტენი ჩათვალა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 794 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 8: 10).

ნოქალაქევის საზოგადოება. 1919 წელს 16 იანვარს სენაკის მაზრის საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის რწმუნებულმა *ივლიანე პავლეს ძე ჭანტურაიამ* კრება ჩაატარა. აღნიშნულ კრებაზე ნოქალაქევის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გრიგორ ჭუჭუს ძე გაგუა*, მდივანი – *ისიდორე ქუჩუს ძე ჰერტია,* წევრები: *ბესარიონ სტეფანეს ძე მელიქაძე, კაპიტონ სტეფანეს ძე მელიქაძე, დომენტი გიორგის ძე მალანია, ვანო კვაზას ძე ბარქაია, ათანასე ბურდღუს ძე ჯავახია.* კრებამ საზოგადოების ცენტრიდან დაშორების გამო სოფელი ბეთლემი ცალკე საარჩევნო უბნად გამოყო. აქვე მოხდა სოფელ ბეთლემის საუბნო საარჩევნო კომისიის არჩევა: თავმჯდომარე – *ევტროპი თედოს ძე როგავა*, მდივანი – *გრიგოლ ბესარიონის ძე როგავა,* წევრები: *ფარნა ნიკოს ძე ბაღათურია, მელიტონ ხვიჩას ძე ხუბუნაია, გიგო მერაბის ძე ბაღათურია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 6: 1). აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, რადგან სოფელი ბეთლემი მთაგორიან ადგილს წარმოადგენდა, აქ გადასატანი ყუთი დაუშვეს. გადასატანი ყუთი ღამით დიმიტრი როგავას სახლში უნდა შეენახათ.

14 თებერვალს, 8 საათზე საარჩევნო ყუთი სოფელ ბეთლემის სკოლაში დაიდგა. 15 თებერვალს, 8 საათზე, საარჩევნო ყუთი ილიკო ბარკალაიას სახლში დადგეს, სადაც არჩევნები 12 საათამდე მიმდინარეობდა. თორმეტი საათის შემდეგ ყუთი ნესტორ ხამაშურიძის სახლში გადაიტანეს, სადაც საარჩევნო პროცესი 20 საათამდე მიმდინარეობდა, ხოლო 16 თებერვალს საარჩევნო ყუთი ივლიტა დადიანის სახლში დაიდგა. იქ არჩევნები 20 საათამდე მიმდინარეობდა. იმავე დღის 20 საათზე **სოფელ ბეთლემის** საარჩევნო კომისია ბიულეტენების დათვლას შეუდგა. არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ იმ ამომრჩევლებმა მიიღეს, რომლებიც საარჩევნო სიაში იყვნენ შეყვანილნი. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 358 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 277 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 81 ამომრჩეველმა არ მიიღო.

არც ერთი ბიულეტენი არ გაბათილებულა. **ბეთლემის საარჩევნო უბანში** შედეგები შემ-დეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 245 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 32 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 6: 5-6).

1919 წლის 14 თებერვალს **სოფელ ნოქალაქევის საზოგადოების** საარჩევნო უბნის კომისიამ საარჩევნო პროცესი დილის 8 საათზე გახსნა და 16 თებერვალს, 20 საათზე დახურა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ორმა ისეთმა ამომრჩეველმა, რომლებიც სიაში არ იყვნენ ჩაწერილი, რადგან ისინი პოლიტიკური პარტიის რწმუნებულები იყვნენ და, შესაბამისად. მთელი არჩევნების მიმდინარეობის პროცესში საარჩევნო უბანზე იმყოფე-ბოდნენ. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 254 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 766 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 280 და მამრობითი სქესის – 586 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 388 ამომრჩეველმა არ მიიღო. 3 ბიულეტენი გაბათილდა. **ნოქალაქევის საარჩევნო უბანში** შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 674 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 27 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 6: 4, 6).

სოფელ ნოქალაქევის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 612 ამომრჩევე-ლი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 1 043 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწი-ლეობა 569 ამომრჩეველმა არ მიიღო. სოფელ ნოქალაქევის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 919 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 82 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 27 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 6: 3).

კიწიის საზოგადოება. 1919 წლის 25 იანვარს კიწიის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხეილ ბოკიას ძე გადილია*, მდივანი – *ანთიმოზ ზოსიმეს ძე ბოკუჩავა*, მოლარე – *ალექსანდრე სვიმონის ძე ხარბედია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) წევრები: *გიორგი უტუნას ძე გადილია, სოლომონ ზურაბის ძე ჩაჩიბაია*. მათ კიწიის საზოგადოება 6 საარჩევნო უბნად დაყვეს: *ალავერტი, ნოღა, დომაყე-დოშაყი, ლედგებიე, პირველი კიწია და მესამე კიწია და გურძემი*. ამავე დღეს ექვსივე საარჩევნო უბნის კომისია ჩამოყალიბდა. ალავერტიდან წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პლატონ დათას ძე ესართია,* მდივანი – *სვიმონ გიორგის ძე ჩაჩიბაია*, მოლარე – *ბუხუტი ჭანტურაია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *გიორგი თოდუა*.

ნოღის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ანტონი გუგუნავა*, მდივანი – *მელენტი გიგოს ძე ჩაჩიბაია*, მოლარე – *თევდორე ევგენის ძე ხარბედია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *სამსონი სესიას ძე ხარბედია*. **დოშაყეს** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივანე ნიკოს ძე თოდუა,* მდივანი – *აქვსენტი ჟვანია* და მოლარე – *ლეონტი თოდუა.***ლედგებიეს** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კოსტა ნადარაია,* მდივანი – *ლავრენტი თოდუა,* მოლარე – *სოლომონ დათას ძე დგებუაძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ისიდორე ჩაგუნავა.*

პირველი კიწიის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გუდუ ანჯაფარიძე*, მდივანი – *პილა გადილია*, მოლარე – *მიხა იორდანეს ძე კილასონია* და *სოლომონ უტუნას ძე ფარულავა*. **მესამე კიწიის** და **გურძემის** კომისია წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პლატონი დათას ძე ანჯაფარიძე*, მდივანი – *პროკოპი ლევანის ძე ჯაიანი*, მოლარე – *სამსონი სისოს ძე ხარებავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *მიხაილ ხარებავა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 9: 2).

კიწიის საზოგადო კომისია 17 თებერვალს, 21 საათზე საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

ალავერტის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 300 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 234 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 66 ამომრჩეველმა არ მიიღო. ალავერტის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 118 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 116 ხმა.

ნოღას საარჩევნო უბანში სიის მიხედვით, რეგისტრირებული 344 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 286 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 58 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 55 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 226 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

დოშაყეს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 335 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 215 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 120 ამომრჩეველმა არ მიიღო. დოშაყეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 38 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 177 ხმა.[56]

ლედგებიეს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 300 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 268 ამომრჩეველმა მიიღო.[57] არჩევნებში მონაწილეობა 32 ამომრჩეველმა არ მიიღო. ლედგებიეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 98 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 173 ხმა.[58]

პირველი კიწიის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 517 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 349 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 178 ამომრჩეველმა არ მიიღო.[59] პირველი კიწიის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 249 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 94 ხმა;

---

[56] სოფელ დოშაყის საარჩევნო უბანში მიუხედავად თავმჯდომარის და კომისიის წევრების წინააღმდეგობისა, საზოგადოებამ უარი განაცხადა ბიულეტენების კონვერტებში ჩადებაზე, რითაც დაირღვა საერთო წესდება. კონვერტში ჩადებულ მხოლოდ 11 ბიულეტენები იყო. კიწიის საზოგადო საარჩევნო კომისიამ ეს შედეგი, მიუხედავად წესდების დარღვევისა, 13 ხმით 12 ის წინააღმდეგ კანონიერად ცნო.

[57] სოფელ ლედგებიეში 15 ბიულეტენით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე არჩევნებში მოსული ამომრჩეველი იყო ჩაწერილი. კიწიის საზოგადო საარჩევნო კომისია აღნიშნული 15 ხმა კანონიერად ჩათვალა.

[58] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ლედგებიეს საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ლედგებიეს საარჩევნო უბანში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 173, არამედ 170 ხმა მიიღო.

[59] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, საარქივო მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა 517-178=168, რომ პირველი კიწიის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა არა 178, არამედ 168 ამომრჩეველმა არ მიიღო.

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა.

მესამე კიწია-გურძემის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 576 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 276 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 300 ამომრჩეველმა არ მიიღო. მესამე კიწია-გურძემის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 169 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 100 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

კიწიის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 386 ამომრჩეველი.[60] არჩევნებში მონაწილეობა 1 628 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან სქესის მიხედვით: მდედრობითი სქესი – 663 და მამრობითი სქესი – 965 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 744 ამომრჩეველმა არ მიიღო. კიწიის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 727 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 888 ხმა;[61]
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 16 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 9: 3-6**)**.

სალხინოს საზოგადოება. 1919 წლის 23 იანვარს სალხინოს საზოგადო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: *მელიტონ სხულუხია, თედო რატიანი, ფედოსია მებონია, სამსონ ნიკოლოზის ძე ფირცხალავა*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ათანასა ხულორდავა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ვალერიან ჭეიშვილი*. საარჩევნო კომისიამ სალხინოს საზოგადოება 4 საარჩევნო უბნად: *სალხინოს, ნობულევის, კურზუს* და *ბალდის* დაყო.

სალხინოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: თავმჯდომარე – *მარკო-*

---

[60] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, კიწიის თითოეული საარჩევნო უბნის, არჩევნების შედეგების სტატისტიკური მონაცემის დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ კიწიის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული არა 2 386, არამედ 2 372 ამომრჩეველი იყო.

[61] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, კიწიის საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ კიწიის საარჩევნო უბანში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 888, არამედ 883 ხმა მიიღო.

ზი გადილია, მდივანი – *ტრიფონ ბასილაია, საბუ (გიორგი) ბიძღუს ძე ბასილაია*. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *სამსონ სხულუხია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ჟენია გადილია*. **ნობულევის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: თავმჯდომარე – *სანდრო გოცირიძე*, მდივანი – *ლუარსაბ ჭაჭუა* და *რომანოზ კეშილავა,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *მიხა ლაშხია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ლიდია გოგოლაძე*.

კურზუს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: თავმჯდომარე – *მაკრინა ბერულავა*, მდივანი – *გიორგი ბერულავა* და *დათიკო მებონია,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *პეტრე ჯოჯუა,* სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ნიკო ლაშხია.* **ბალდის** უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია: თავმჯდომარე – *ეფრემი შავდია*, მდივანი – *კონსტანტინე გეგელია* და *თეოფანე ბასილაია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ელიზბარ წულაია* და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ალიოშა ახვლედიანი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 11: 1).

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე სოფელ სალხინოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. დათვლის პროცესს საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც დაესწრნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ვარლამ მეგრელიშვილი*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ნესტორი თოდუა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან *ვალერიანე ჭეიშვილი*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ლევან კობახიძე*.

საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას 6 ამომრჩეველს ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა. რადგან მათში 5 დეზერტირი იყო, 1 , *„ღირსება ჩამოხდილი“* (ადამიანი, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა).[62] საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 1 350 ამომრჩეველი. არჩევნებში მო-

[62] საარჩევნო უფლება არა აქვს: 1) ვისაც სასამართლოს მიერ სასჯელი აქვს გადაწყვეტილი, უკეთუ განაჩენი ძალაში შესულია და თუ ახდილი უფლება არ დაბრუნებია; ა) კატორღა მისჯილს სასჯელის მოხდის შემდეგ ათის წლის გასვლამდე; ბ) ვისაც მისჯილი აქვს გადასახლება გამოსასწორებელი სატუსაღო განყოფილება, გამასწორებელი სახლი, სატუსაღო ან ციხე, მდგომარეობის უფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთის წლის გასვლამდე.

ნაწილეობა ორივე სქესის 664 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 686 ამომრჩეველმა არ მიიღო. არჩევნების მიმდინარეობისას 14 თებერვალს, 16 საათზე ადგილი ჰქონდა კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას. რითაც 101 მუხლი დაირღვა.[63] **სალხინოს** საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 206 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 34 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 411 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 13 ხმა.

ნობულევის საარჩევნო უბნის წვრილი საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო პროცესს გარდა კომისიის წევრებისა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი – *თომა კეშელავა* დაესწრო. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 646 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 245 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 401 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 31 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 37 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 172 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

კურზუს საარჩევნო უბნის წვრილი საარჩევნო კომისია, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ისეთ ამომრჩეველს, რომელიც საარჩევნო სიაში შეყვანილი არ იყო. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 950 ამომრჩეველი. კურზუს საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 384 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 566 ამომრჩეველმა არ მიიღო. კურზუს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 172 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 210 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

ბალდის საარჩევნო უბნის წვრილი საარჩევნო კომისია, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო პროცესს გარდა კომისიის წევრებისა, შემდეგი პოლიტიკური

[63] ვინც ძალადობის საშუალებით, მუქარით, უწესობის მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე, ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში, დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

პარტიების წარმომადგენლებიც დაესწრნენ: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ელისე გაგუა* და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ბახვა ხულორდავა*. არჩევნებში მონაწილეობა ისეთ პიროვნებას არ მიუღია, რომელიც საარჩევნო სიაში ჩაწერილი არ იყო. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 957 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 258 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 699 ამომრჩეველმა არ მიიღო. ბალდის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 116 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 115 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 16 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 11: 4-7; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21).

სალხინოს საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 903 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 551 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესი – 345 და მამრობითი სქესი – 1 106 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 352 ამომრჩეველმა არ მიიღო. სალხინოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 525 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 83 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 908 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 35 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 11: 3).

თეკლათის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს, სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ომარი ანჯაფარიძემ თეკლათის საზოგადოებაში არსებული ყველა პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების კრება მოიწვია. აღნიშნულ კრებაზე თეკლათის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *არტემი ღვამბერია,* მდივანი – *ბორისი საჯაია,* მოლარე – *სოლომონ ხარბედია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) *ალყესი თულაძე* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) და *თომა კინწურეიშვილი*. აღნიშნულმა კომისიამ თეკლათის საზოგადოება 6 საარჩევნო უბნად დაყო: *შხეფი, გამოღმა თეკლათი, ისულა და ძონძირი, გოლასკური და ტყირი, რეკა და გაღმა თეკლათი და სახარბედიო.* ამავე დღეს თითოეული საარჩევნო უბნის კომისია ჩამოყალიბდა:

შხეფის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ანდრო კინწურაშვილი, პორფილე კვირკველია, იოსები ჩემია* და *ივლიანე გაბუნია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). **ისულა** და **ძონძირის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გუჯუ ხარჩილავა,* მდივანი – *ბესარიონი ნანავა, იოსებ ხუნწარია, შალვა ჩაჩიბაია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *პაულე ცანავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). **ტყირი** და **გოლასქურის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბეგლარი მიქაძე,* მდივანი – *ბეგლარ კალანდარიშვილი, პიმენი ჯოჯუა, ელიზბარ გალუჩავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ნიკოლოზი პავლეს ძე ალავიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია).

გაღმა თეკლათის და **რეკას** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პორფილე გოგოლი,* მდივანი – *ყარამან მაშავა, ბასა წულეისკირი, ორესტი გეგენავა* და *პორფილე ხურცია.* **სახარბედიოს** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მელიტონ ხარბედია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), მდივანი – *ისაკი ხარბედია, ლავრენტი ხარბედია, კონია ეჯიბია* და *სამსონი ჯვაბავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). **გამოღმა თეკლათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *სამსონ რევაზის ძე ნაჭყებია, პეტრე ივანეს ძე ლოლუა* და *იულონ ნიკოს ძე ლომია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 1-2).

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე **შხეფის** საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 737 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 672 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 65 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 604 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 10 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 49 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 10, 15).

სოფელ **ზედა თეკლათის** და **გამოღმა თეკლათის** საარჩევნო უბნის, წვრილი საუბნო კომისია, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო პროცესს, გარდა კომი-

სიის წევრებისა, შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც დაესწრნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ალფეს ნიკოლოზის ძე თულაძე,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *გაბრიელ ტაიას ძე მირცხულავა* და *კირილე ანტონის ძე ლომია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – 14 თებერვალს მასწავლებელი *მიხაილ პავლეს ძე თათარიშვილი,* 15 თებერვალს – *გიორგი სამსონის ძე გამყრელიძე* და 16 თებერვალს – *ლეონტი ვასილის ძე სორდია*. აღნიშნულ საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 492 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 210 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 282 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 ბიულეტენი გაბათილდა. ზედა თეკლათის და გამოღმა თეკლათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 183 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 10 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 11, 15).

1919 წლის 16 თებერვალს **ისულა** და **ძონძირის** სოფლის საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 645 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 615 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 30 ამომრჩეველმა არ მიიღო. 2 ბიულეტენი გაბათილდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 437;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 104;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 56;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 15 **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 12-15).

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე **ტყირის** და **გოლასკურის** უბნის საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. ამომრჩეველთა სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 860 ამომრჩეველი. საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ისეთ პირებმა, რომლებიც საარჩევნო სიაში ჩაწერილები არ იყვნენ. რადგანაც ისინი არჩევნების მიმდინარეობისას საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ და ამით შესაძლებლობა არ ჰქონდათ სხვა საარჩევნო უბანში ხმა მიეცათ, ამიტომ საარჩევნო კომისიამ მათ ხმის მიცემის ნება დარ-

თო. არჩევნებში მონაწილეობა 737 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 123 ამომრჩეველმა არ მიიღო. 3 ბიულეტენი გაბათილდა. ტყირის და გოლასქურის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 637 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 42 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 43 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 13-15**)**.

გაღმა თეკლათის და **რეკას** საარჩევნო უბნის კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 540 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 400 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 140 ამომრჩეველმა არ მიიღო. გაღმა თეკლათის და რეკას საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 187 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 31 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 172 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 9 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 15-16).

სოფელ **სახარბედიოს** საარჩევნო უბნის კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო პროცესს გარდა კომისიის წევრებისა, შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც დაესწრნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *აქვსენტი ხარბედია,* საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *დოროთე დავითის ძე ხარბედია* და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ვლადიმერ ჭიქაშვილი*. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 365 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 276 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 89 ამომრჩეველმა არ მიიღო. სახარბედიოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 155 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 114 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 14-15).

თეკლათის საზოგადოების საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 3 583 ამომრჩეველი.[64] არჩევნებში მონაწილეობა 2 910 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან სქესის მიხედვით: მდედრობითი სქესი – 1 304 და მამრობითი სქესი – 1 606 ამომრჩეველი. საარჩევნო კომისიამ 7 ბიულეტენი გააბათილა. მათგან, 2 კონვერტი ცარიელი იყო, 3 კონვერტში კი ორ-ორი სხვადასხვა ბიულეტენი იდო. არჩევნებში მონაწილეობა 123 ამომრჩეველმა არ მიიღო. თეკლათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 203 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 91 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 450 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 139 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 15 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 12: 17**)**.

ნაესაკოვოს საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს, ნაესაკოვოს საზოგადოების კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კალენიკე ანდღულაძე, ალექსანდრე კიზირია, იოსე კიზირია, ილარიონ პავლეს ძე კუცია, გრიგოლ ანჯაფარის ძე ჩაჩავა, პროკოფი გიგოს ძე შელია* და *ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჩაჩავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). აღნიშნულმა კომისიამ ნაესაკოვოს საზოგადოება შემდეგ 4 საარჩევნო უბნად დაყო: *ს. ნაესაკოვო; ს. პირველი კოდორი; ს. ტყვირი და ცილორი, სოფლები: გულეიკარი, კეთილარი და მეორე კოდორი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 24: 1-2).

1919 წლის 21 იანვარს სოფელ **ნაესაკოვოს** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გრიგოლ მალაქის ძე ქვილითაია*, მდივანი – *ივანე დიმიტრის ძე ესაკია,* მოლარე – *პავლე საბას ძე რუხაძე, გრიგოლი არშევანის ძე ჩაჩავა და პეტრე გახუნის ძე ქვილითაია.* ამავე დღეს სოფელ **პირველი კოდორის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იოსე ოტიას ძე კიზირია,* მდივანი – *ნიკილოზ გრიგოლის ძე ჩაჩავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), მოლარე – *ილარიონ პავლეს ძე კუცია, ივანე დუტუს ძე მიმინოშვილი და დომენტი გრიგოლის ძე ჩაჩავა.* სოფელ **ცილორის** და **ტყვირის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა:

[64] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, თეკლათის საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ თეკლათის საარჩევნო უბანზე, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული არა 3 583, არამედ 3 639 ამომრჩეველი იყო.

თავმჯდომარე – *პლატონ თედოს ძე გალდავა,* მდივანი – *ნიკო ალექსის ძე ლაზარიშვილი,* მოლარე – *სვიმონ გაბრიელის ძე ძნელაძე, იასონ ზაქარეს ძე მიმინოშვილი* და *აქვსენტი გოტოს ძე ჭანტურია.*სოფელ **მეორე კოდორის, გულეიკარის** და **კეთილარის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პარმენი ანტონის ძე ჩაგანავა,* მდივანი – *ერემია კიმოთეს ძე ჩაგანავა*, მოლარე – *გრიგოლ ივანეს ძე კუცია პროკოფი გიგოს ძე შელია* და *ვალოდია ბესარიონის ძე სანაძე* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 24: 4-11**)**.

1919 წლის 17 თებერვალს **ნაესაკოვოს** საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. სოფელ პირველი კოდორის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 409 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 371 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 211 და მამრობითი სქესის – 198 ამომრჩეველი. საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სადავოდ ცნო. არჩევნებში მონაწილეობა 38 ამომრჩეველმა არ მიიღო. პირველი კოდორის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 191 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 147 (8) ხმა;[65]
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 28 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა.

სოფელ **ნაესაკოვოს** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 664 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 491 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან სქესის მიხედვით, მამრობითი სქესი – 268, მდედრობითი სქესი – 223. არჩევნებში მონაწილეობა 173 ამომრჩეველმა არ მიიღო.

- ნაესაკოვოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 428 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 52 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 2 ხმა.[66]

[65] სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიამ, პირველი კოდორის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ სადავოდ ცნობილი ბიულეტენი კანონიერად ცნო.

[66] სენაკის სამაზრო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგების ოქმში ცდომილებაა. აღნიშნულ ოქმში ნაესაკოვოს საარჩევნო უბნის შედეგები პირველ კოდორის საარჩევნო უბნის არჩევნების შედეგებში აქვთ ჩაწერილი, ხოლო პირველი კოდორის საარჩევნო უბნის არჩევნების

სოფელ **ცილორის** და **ტყვირის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 450 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 353 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 166 და მამრობითი სქესის – 187 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 97 ამომრჩეველმა არ მიიღო.სოფელ ცილორის და ტყვირის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 290 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 58 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა.

მეორე კოდორის, კეთილარის და **გულეიკარის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 669 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 531 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 261 და მამრობითი სქესის – 270 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 138 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო კომისიამ 1 კონვერტი გააბათილა, რადგანაც მასში ორი სხვადასხვა ბიულეტენი იყო. ხოლო კომისიის ერთმა წევრმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1 ბიულეტენი სადავოდ გამოაცხადა.მეორე კოდორის, კეთილარის და გულეიკარის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 491 (2) ხმა;[67]
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 22 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა.

ნაესაკოვოს საზოგადოების საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 2 192 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 746 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 848 და მამრობითი სქესი – 989 ამომრჩეველი. საარჩევნო კომისიამ 1 კონვერტი გააბათილა, ხოლო 2 ბიულეტენი სადავოდ გამოაცხადა.

- ნაესაკოვოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 400 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 19 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 279 ხმა;

შედეგები ჩაწერილი აქვთ ნაესაკოვოს საარჩევნო უბნის არჩევნების შედეგებში. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწერი 2, საქმე 36, ფურცელი 21.

[67] სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიამ, მეორე კოდორის, კეთილარის და გულეიკარის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ სადავოდ ცნობილი ბიულეტენი კანონიერად ცნო.

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 41 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 24: 12-15).

კვათანის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს სენაკის მაზრის საარჩევნო კომისიის რწმუნებულმა, *ლავრენტი ჟუმბურიძემ* კვათანის საზოგადოების საარჩევნო კომისიის სხდომა მოიწვია. 21 იანვარს კვათანის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ლავრენტი გრიგოლის ძე ჟუმბურიძე,* მდივანი – *არისტრახო შარვანის ძე ჭანტურაია,* მოლარე – *ნოე სოფრომის ძე მაშავა, ათანასე მიმინოშვილი, არჩილ სულავა, სევასტი კვაჭანტირაძე* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *ბარნაბა ლაბარტყავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). კომისიამ კვათანის საზოგადოება შემდეგ – 6 სასოფლო საარჩევნო უბნად დაყო: *კვათანი, საჩოჩიო, მაცხოვრის კარი, კაპანა, ნოღო-ხაში, სოფელ საკაჭარავო* და *დაბა აბაშა* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 25: 4).

1919 წლის 20 იანვარს, სოფელ **ნოღო-ხაშის** საარჩევო უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იონა ალმასხანის ძე ცომაია,* მდივანი – *აკაკი ალექსის ძე ცომაია,* მოლარე – *ნესტორი ზურაბის ძე ცომაია, ალექსანდრე ბახვას ძე ჭანტურაია* და *ვასილი საბას ძე ცომაია*. იმავე დღეს **კვათანას** საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იულონ ქორჩილავა*, მდივანი – *ბიქტორ ქორჩილავა*, მოლარე – *რომანოზი შომახია, პავლე ჩიტეიშვილი და ალექსანდრე აბრამია.* 1919 წლის 21 იანვარს სოფელ **საჩოჩიოს** საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ნესტორ ნიკოლოზის ძე რუსია,* მდივანი – *ირაკლი გრიგოლის ძე ჟვანია, დიმიტრი პეტრეს ძე ჩოჩია, პავლე ბიჭიას ძე ჩოჩია* და *გრიგოლ იოსეს ძე ჩაჩავა.* ამავე დღეს **სოფელ მაცხოვრის კარის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ჭანტურაია*, მდივანი – *ბათი ჭანტურაია*, მოლარე – *ვლადიმერ ბეჩუს ძე ჭანტურია, რაჟდენ ჭანტურაია* და *ეფრემი თევდორეს ძე თოფურია*.

სოფელ **საკაჭარავოს** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დავითი ვასილის ძე გოგავა,* მდივანი – *პარმენ კაჭარავა,* მოლარე – *ილიკო კაჭარავა* და *ჯაბა ჩიქოვანი* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). **კაპანას** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსანდრე ტოტოს ძე მესხი,* მდივანი – *სერაპინ ალექსის ძე ცინცაძე, ბესარიონ ერისტოს ძე ცომაია, პიმენ ცომაია* და *ანდრონიკე თოფურია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 25: 2-3, 5-8).

1919 წლის 16 თებერვალს, 20:05 საათზე **კვათანას** საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. სოფელ კვათანას საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 670 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 558 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან 3 კონვერტი ცარიელი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 112 ამომრჩეველმა არ მიიღო. კვათანას საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 551 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

საჩოჩიოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 564 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 308 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 256 ამომრჩეველმა არ მიიღო. საჩოჩიოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 278 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 24 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა.

მაცხოვრის კარის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 457 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 422 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 35 ამომრჩეველმა არ მიიღო. მაცხოვრის კარის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 403 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 16 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა.

სოფელ **კაპანას** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 377 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 317 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 60 ამომრჩეველმა არ მიიღო. სოფელ კაპანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 316 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

სოფელ **ნოღო-ხაშის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 632 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 567 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 65 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნოღო-ხაშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 553 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 ხმა.

სოფელ **საკაჭარაოს** და დაბა **აბაშის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 675 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 436 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 239 ამომრჩეველმა არ მიიღო. სოფელ საკაჭარაოს და აბაშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 323 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 80 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 33 ხმა.

კვათანას საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 375 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 608 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 767 ამომრჩეველმა არ მიიღო. 3 ბიულეტენი გაბათილდა. კვათანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 424 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 129 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 52 ხმა.
- დანარჩენ პარტიებს არცერთი ხმა არ მიუღიათ **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 25: 23**)**.

სუჯუნის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს სუჯუნის საზოგადო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ეროდიონი ფარნაოზის ძე თოფურიძე,* მდივანი – *ნიკოლოზ იოსების ძე ქამუშაძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *მიხაილ ბეგლარის ძე ნოდია, სიმონ იაკობის ძე მატკავა, მიხეილ აზნას ძე ნოდია, ფილიპე ალმასხანის ძე გუნია* და *გრიშა ნოდია.* საარჩევნო კომისიამ სუჯუნის საზოგადოება 4 საარჩევნო უბნად დაყო: *სანოდიო, სახოშტარიო,* დაბა და *გამოღმა ზანათი, გაღმა ზანათი, საგვაზავო* და *საბოკუჩაო, ეწერი* და *წულიკარი.* ამავე დღეს ოთხივე საარჩევნო უბნის კომისია შეიქმნა.

სანოდიოს, სახოშტარიოს, **დაბა** და **გამოღმა ზანათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *ალფესი თაკვარელია, ირაკლი თედოს ძე ნოდია, ივლონ ჭანტურია, გუნია ალექსანდრე* და *ეროდიონ იზრაილაშვილი.* **გაღმა ზანათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *პეტრე ქობალავა, კოლია გუნია, შმაგი ქობალავა, ალექსანდრე დავითაია* და *ალექსი ძაძამია*. **საგვაზავოს** და **საბოკუჩაოს** უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: *პარმენ გვაზავა, დიმიტრი ჭანტურია, იაკობ გვაზავა, მიხაილ ჩიტაია* და *ონიფანტე ბოკუჩავა.*

ეწერის და **წულიკარის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *ლუარსაბ გუგუშვილი, მეთო ჭანტურია, რემა სანაია, ნატალია გუგუშვილი* და *ათანასე კილასონია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 26: 1).

1919 წლის 16 თებერვალს, საღამოს 20:30 საათზე სუჯუნის საზოგადო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

სანოდიოს, სახოშტარიოს, დაბა და **გამოღმა ზანათის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 789 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 138 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 651 ამომრჩეველმა არ მიიღო. საუბნო კომისიამ მოქალაქე კოწია ხოშტარიას, სიმთვრალის გამო, ხმის მიცემის უფლება ჩამოართვა. სანოდიოს, სახოშტარიოს, დაბა და გამოღმა ზანათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 052 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 61 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 2 ხმა.

გაღმა ზანათის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 658 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 652 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 6 ამომრჩეველმა არ მიიღო. გაღმა ზანათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 650 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმა.

1919 წლის 17 თებერვალს (ამ შემთხვევაში კრებამ 16 რიცხვში შეწყვიტა და 17-ში გააახლა მუშაობა) **სუჯუნის** საზოგადო კომისია შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. **საგვაზავოს** და **საბოკუჩაოს** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 642 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 620 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 20 ამომრჩეველმა არ მიიღო. საგვაზავოს და საბოკუჩაოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 613 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

ეწერის და **წულიკარის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 758 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 653 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 105 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი გააბათილა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 536 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 45 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 70 ხმა.

სუჯუნის საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 3 847 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 3 063 ამომრჩეველმა მიიღო.[68] საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი გააბათილა. არჩევნებში მონაწილეობა 784 ამომრჩეველმა არ მიიღო. სუჯუნის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 851 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 113 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 92 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 2 ხმა[69] **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 26: 10; **არჩევნების შედეგები, 1919:** 3).

ონტოფოს საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს ონტოფოს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბათლომე ბესარიონის ძე ნადარეიშვილი, სანდრო ნადარეიშვილი, კოსტა თევდორეს ძე კუხალეიშვილი, ირაკლი ნადარეიშვილი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ბჟალავა, ვასილი საჩინოს ძე გაბუნია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *ამბაკო ბჟალავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). 21 იანვარს, ონტოფოს საზოგადოების საარჩევნო კომისიამ ონტოფოს საზოგადოება 2 საარჩევნო უბნად დაყო: *ონტოფოს პირველი და ონტოფოს მეორე.* ამავე დღეს მოხდა ორივე საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება.

---

[68] აღნიშნულ დოკუმენტში ცდომილებაა, სიტყვიერად წერია *„სამიათას სამოც და სამი“,* ხოლო რიცხვითი მნიშვნელობით 3 061. სუჯუნის საარჩევნო ოლქის არჩევნების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ სუჯუნის საარჩევნო ოლქში დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა 3 063 ამომრჩეველმა მიიღო.

[69] განსხვავებული მონაცემი არის ასახული გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკის“* (1919, 19 თებერვალი, № 39) ინფორმაციაში, რომლის თანახმად, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ – 83 ხმა, ხოლო, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიამ – 1 ხმა მიიღო (**არჩევნების შედეგები, 1919**: 3). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა რომ, სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა 82, არამედ 92 ხმა, ხოლო, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიამ – არა 1, არამედ 2 ხმა მიიღო.

პირველი ონტოფოს საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *არტემი ურუდია, ივლონ ნადარეიშვილი, სტეფანე გოჩოლეიშვილი, ლავრენტი დავითიანი* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *არჩილ ნადარეიშვილი* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). **მეორე ონტოფოს** საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისია შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: თავმჯდომარე – *ბესარიონ ხეცურიანი,* მდივანი – *ბარნაბა ჟვანია,* მოლარე – *ილიკო კაკულია, მოსე ჟვანია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *მიქია კაკულია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 27: 2-5).

პირველი ონტოფოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 696 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 491 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 205 ამომრჩეველმა არ მიიღო. პირველი ონტოფოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 381 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 86 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 20 ხმა.

მეორე ონტოფოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 433 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 342 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 91 ამომრჩეველმა არ მიიღო. მეორე ონტოფოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 257 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 61 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21).

1919 წლის 16 თებერვალს, 21 საათზე **ონტოფოს** საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 129 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 833 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 296 ამომრჩეველმა არ მიიღო. ონტოფოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 638 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 7 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 147 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 41 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 27: 8).

ძველი სენაკის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს ძველი სენაკის საზოგადოებაში საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ სპირიდონის ძე ქუთათელაძე,* მდივანი – *კონსტანტინე ჭუბაბრია, გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია, ნინა თევზაია, ბენედიქტე ექვთიმეს ძე ჩიქობავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *ერმილე სოფრომის ძე ჩიქობავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 28: 1-2). 1919 წლის 23 იანვარს ძველი სენაკის საზოგადოების საარჩევნო კომისიამ ძველი სენაკი ორ საარჩევნო უბნად დაყო: *ძველი სენაკის (საჩიქობავო და სორტა)* და *კოტიანეთის*. ამავე დღეს კოტიანეთის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ტაია მანჯგალაძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), მდივანი – *ბარნაბა გაგუა, არჩილ ხუხია, პარმენ ცაავა, ნიკოლოზ ნემსაძე* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *ანდრო გაგუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

ძველი სენაკის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ფილიპე ქავთარაძე,* მდივანი – *კ. ჭუმბურიძე, ნინა თევზაია, გიორგი ბოკერია, ივანე ჭანტურია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *სევერიანე ჩიქობავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ტატული ხოფერია* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 28: 3, 5-7, 10).ძველი სენაკის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 133 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 726 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 407 ამომრჩეველმა არ მიიღო. 3 ბიულეტენი გაბათილდა. ძველი სენაკის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 502 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 42 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 146 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 28 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 5 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა.

კოტიანეთის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 428 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 303 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მო-

ნაწილეობა 125 ამომრჩეველმა არ მიიღო. კოტიანეთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 189 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 47 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 54 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21).

1919 წლის 17 თებერვალს **ძველი სენაკის** საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, ძველი სენაკის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 561 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 029 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 449 და მამრობითი სქესის – 580 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 532 ამომრჩეველმა არ მიიღო. 2 ბიულეტენი გაბათილდა. 1 ბიულეტენი ცარიელი იყო, მეორე ბიულეტენს (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) კი წითელი ზოლი ჰქონდა, რის გამოც კომისიის უმრავლესობამ ეს ბიულეტენი ბათილად მიიჩნია. ძველი სენაკის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 691 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 89 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 200 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 6 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 28: 9).
- სამიქავოს საზოგადოება:

1919 წლის 20 იანვარს **სამიქავოს** საზოგადო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *ხარიტონ ჯანგვალაძე, ალექსანდრე კვანტალიანი, ლუარსაბ მიქაძე, კოწია გიგინეიშვილი, ბართლომე გაბუნია, კირილე ჯანელიძე* და *გერასიმე შანიძე.* ამავე დღეს აღნიშნულმა კომისიამ სამიქავოს საზოგადოება 6 საარჩევნო უბნად დაყო: *სოფელი მაიდანი; სოფელი სამიქავო; სოფელი გულუხეთი; სოფელი დიდი გეზათი; სოფელი ქოლობანი და პატარა გეზათი; სოფელი გუგუნაყათი.*

სოფელ **მაიდანის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *აკაკი სტეფანეს ძე თოფურია,* მდივანი – *იოსებ შუბლაძე,* მოლარე – *ივანე ხაბურძანია, ერმილე გლახუას ძე ჯანგვალაძე* და *მაქსიმე მიქაძე.* სოფელ

სამიქავოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სამსონ ესტატეს ძე მიქაძე,* მდივანი – *ნესტორ სიმონის ძე მიქაძე,* მოლარე – *ალექსანდრე ანტონის ძე ჩორგოლაშვილი, ნიკო ბასას ძე მიქაძე* და *მიხა ზურაბის ძე ჩორგოლაშვილი.* სოფელ **გულუხეთის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კოლია პეტრეს ძე მასხარაშვილი,* მდივანი – *ილარიონ როსტომის ძე გიგინეიშვილი,* მოლარე – *ილია ერასტის ძე გიგინეიშვილი, პახვალა ზალიკას ძე ფირცხალავა* და *ერმილე ათანასას ძე გიგინეიშვილი.* სოფელ **დიდი გეზათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იოსებ წივწივაძე,* მდივანი – *ევგენი სანიკიძე,* მოლარე – *ნიკიფორე თედორეს ძე პაპავა, ბიქტორ მაკარის ძე გოგავა* და *გედევან ნიკოს ძე ჯიბლაძე*. **სოფელ ქოლობანის** და **პატარა გეზათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პორფილე ნიკოლოზის ძე მიქაძე,* მდივანი – *ლუარსაბ ლუკას ძე მიქაძე,* მოლარე – *ნიკანდრო შენგელია, ილიკო კოსტას ძე ახობაძე* და *იონა ზურაბის ძე მიქაძე*. სოფელ **გუგუნაყათის** წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პეტრე გიორგის ძე სტურუა,* მდივანი – *ივანე გეგელია,* მოლარე – *იოსებ ლეჟავა, რაჟდენ გეგელია* და *ერმილე ნიკოს ძე ფრანგიშვილი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 29: 1-2**)**.

1919 წლის 18 თებერვალს სამიქავოს საზოგადოების საარჩევნო კომისია ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **სოფელ მაიდანის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 787 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 706 ამომრჩეველმა მიიღო. 1 ბიულეტენი ცარიელი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 81 ამომრჩეველმა არ მიიღო. მაიდანის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 701 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა.

სოფელ **სამიქავოს** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 855 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 613 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 242 ამომრჩეველმა არ მიიღო. სამიქავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 600 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 13 ხმა.

სოფელ **გულუხეთის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 371 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 349 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი გააბათილა, რადგან ის კონვერტის გარეშე იყო. არჩევნებში მო-

ნაწილეობა 22 ამომრჩეველმა არ მიიღო. გულუხეთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 275 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 72 ხმა.

სოფელ **დიდი გეზათის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 527 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 490 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 37 ამომრჩეველმა არ მიიღო. დიდი გეზათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 440 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 26 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 24 ხმა.

სოფელ **ქოლობანსა** და **პატარა გეზათის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 657 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 615 ამომრჩეველმა მიიღო. 1 ბიულეტენი ცარიელი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 42 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 613 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმა.

გუგუნაყათის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 182 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 182 ამომრჩეველმა მიიღო. გუგუნაყათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 178 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა.

სამიქავოს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 379 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 955 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი გააბათილა (მათში ერთი ცარიელი კონვერტი და ერთი ცარიელი ბიულეტენი იყო).[70] არჩევნებში მონაწილეობა 424 ამომრჩეველმა არ მიიღო. სამიქავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 808 ხმა;[71]
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 9 ხმა;

[70] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დოკუმენტის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ 3 ბიულეტენი იყო გაბათილებული: ქოლობანი და პატარა გეზათი – 1, მაიდანი – 1 და გულუხეთი – 1.

[71] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დოკუმენტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამიქავოსუბანში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ – 2 807 (701+600+275+440+613+178=2 807) ხმა მიიღო.

- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 99 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 37 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 29: 16-17).

გეჯეთის საზოგადოება. 1919 წლის 22 იანვარს გეჯეთის საზოგადო საარჩევნო კომისიაში შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე გეგენავა,* მდივანი – *ლავრენტი კოსტას ძე მელია,* მოლარე – *ბართლომე სიმონის ძე ალასანია, ივანე კობას ძე გოგია, ალექსანდრე ლუკას ძე გეგენავა, სიმონი სტეფანეს ძე სანიკიძე* და *აპოლონ ზარანდია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30: 1-2). 1919 წლის 26 იანვარს საარჩევნო კომისიამ გეჯეთის საზოგადოება 3 საარჩევნო უბნად დაყო: *საგეგენავოს-საოჩიგავოს – ლადო ჯღამაძის სახლი; საჯღამაიო-სამახარიო – გეჯეთის სკოლის დარბაზი; სოფელი წყემი-გეჯეთი*. ამავე დღეს (26 იანვარს), პირველი საარჩევნო უბნის – საგეგენავო-საოჩიგავოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ესტატე გიგოს ძე ჯღამაძე,* მდივანი – *ევსტაფი მიხეილის ძე თურქია,* მოლარე – *იოსებ გახუს ძე ალასანია, პავლე დუტუს ძე კუპრეიშვილი* და *ლუკა თედოს ძე ჩემია*. მეორე საარჩევნო უბნის – საჯღამაიო-სამახარიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე გეგენავა*, მდივანი – *ლავრენტი მელია, ბათლო ალასანია, სვიმონი სანიკიძე, ივანე გოგია, ალექსანდრე ლუკას ძე გეგენავა* და *ალექსანდრე დიმიტრის ძე გეგენავა.* მესამე საარჩევნო უბნის – სოფელ წყემი-გეჯეთის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ სოგრატეს ძე მელია*, მდივანი – *პლატონი ალექსის ძე ნაჭყებია,* მოლარე – *ჩაგუ რომანოზის ძე ესაკია, იონა ერისტოს ძე კუპრეიშვილი* და *ილარიონ გოგის ძე კუპრეიშვილი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30: 3-7).

1919 წლის 19 თებერვალს გეჯეთის საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **საგეგენავო-საოჩიგავოს** საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 310 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 262 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 48 ამომრჩეველმა არ მიიღო. საგეგენავო-საოჩიგავოს საარჩევნო უბნის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 216 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 19 ხმა;[72]

[72] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სხვა და სხვა დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ გეჯეთის პირველ საარჩევნო უბანში, საქართველოს სოციალ-რევოლუციონერთა პარტიამ 39 ხმა მიიღო. ჩემს მიერ მოყვანილი მონაცემი დასტურდება შემდეგი მასალით – **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30, ფ. 7.

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა;

საჯღამაიო-სამახარიოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 560 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 433 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 127 ამომრჩეველმა არ მიიღო. საჯღამაიო-სამახარიოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 335 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 53 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 37 ხმა.

წყემი-გეჯეთის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 194 ამომრჩეველი (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30, ფ. 4).[73] არჩევნებში მონაწილეობა 170 ამომრჩეველმა მიიღო (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30, ფ. 4).[74] 1 ბიულეტენი გაბათილდა. არჩევნებში მონაწილეობა 21 ამომრჩეველმა არ მიიღო **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30: 9). წყემი გეჯეთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 151 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 17 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა.

გეჯეთის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 062 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 865 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 702 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 109 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 46 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 30: 9**)**.

---

[73] მითითებულ დოკუმენტში ცდომილებაა. სხვადასხვა დოკუმენტური მასალის შეჯერებისა და გეჯეთის საარჩევნო უბანში საარჩევნო უბნის სტატისტიკური მონაცემის დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ წყემი-გეჯეთის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო, არა 194, არამედ 192 ამომრჩეველი. ასევე დოკუმენტურად დასტურდება, რომ გეჯეთის სამივე საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, 1 062 ამომრჩეველი იყო, ხოლო საგეგენავო-საოჩიგავოს და საგეგენავო-საოჩიგავოს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით 310 და 560 ამომრჩეველი. შესაბამისად: წყემი-გეჯეთის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იქნებოდა 1062-(310+560)=192.

[74] მითითებულ დოკუმენტშიც ცდომილებაა, მათ არ აქვთ 1 გაბათილებული ბიულეტენი აღნიშნული, შესაბამისად წყემი-გეჯეთის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა არა 170, არამედ 171 (170+1) ამომრჩეველმა მიიღო.

ფოცხოს საზოგადოება. 1919 წლის 17 იანვარს სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოგზავნილი გრიგოლ ჭოჭუას ხელმძღვანელობით ფოცხოს საზოგადოებაში საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსი მალანია,* მდივანი – *ანტონ სანაია,* მოლარე – *ბაგრატ ღვინჯილია, ბესარიონ ტორჩინავა, სიმონა ჭაავა, სანდრო ბარდღუს ძე სანაია* და *მოსე გაბედავა*. 18 იანვარს საარჩევნო კომისიამ ფოცხოს საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად დაყო: პირველ საარჩევნო უბანი – *სოფელი მოხაში, ფოცხოს ერთკლასიანი სკოლა* და მეორე საარჩევნო უბანი – *სოფელი ფოცხო* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 31: 1-2). 1919 წლის 24 იანვარს სოფელ მოხაშის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ილიკო ყურუა,* მდივანი – *ამბაკო მალანია, მოლარე – სამსონ გაბუნია, ალექსანდრე ღვინჯილია* და *ჩუგუ ტყებუჩავა.* სოფელ ფოცხოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხეილ ივანეს ძე სანაია,* მდივანი – *მიხეილ შამათავა, სამსონ მირცხულავა, სტეფანე გოგია* და *კონსტანტინე მურღულია* (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 31: 5). 1919 წლის 16 თებერვალს ფოცხოს საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

სოფელ **მოხაშის** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 725 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 545 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 180 ამომრჩეველმა არ მიიღო. მოხაშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 476 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 58 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა.

სოფელ **ფოცხოში** საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 666 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 505 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 161 ამომრჩეველმა არ მიიღო. ფოცხოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 463 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 42 ხმა.

ფოცხოს საარჩევნო უბანში რეგისტრირებული 1 391 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 1 050 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 696 და მამრო-

ბითი სქესის – 355 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 341 ამომრჩეველმა არ მიიღო. ფოცხოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 939 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 100 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 31: 7, 13**)**.

ჯოლევის საზოგადოება. 1919 წ. 17 იანვარს სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებულის ი. ჭანტურაიას თაოსნობით, ჯოლევის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ლევან უთუს ძე ყუფუნია*, მდივანი – *კანდრატე ივანეს ძე ყურაშვილი, მოლარე – დომენტი სტეფანეს ძე ცეკვავა, ალექსანდრე ტორჩინავა, დიმიტრი ვახტანგის ძე ყურუა, სოლომონ ბეჩუს ძე კაკულია, სამსონ ცაკვას ძე დიხამინჯია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ალექსი ოთარის ძე კაკუბერი* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 32: 1).

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე სენაკის მაზრის **ჯოლევის** საზოგადოების საარჩევნო კომისია ბიულეტენების დათვლას შეუდგა. 16 თებერვალს, 20:00 საათზე საარჩევნო ყუთი გაიხსნა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 1 156 ამომრჩეველი. მათში სქესის მიხედვით, მდედრობითი სქესი – 447 და მამრობითი სქესი – 709 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 707 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 449 ამომრჩეველმა არ მიიღო. ჯოლევის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 553 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 31 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 123 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 32: 3).

ლეხაინდრავოს საზოგადოება. 1919 წლის 17 იანვარს სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებულის ბარნაბა ძველაიას თაოსნობით, ლეხაინდრავოს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სტეფანე ნაჭყეპია,* მდივანი – *ალექსანდრე კოკაია, ლუკა დავითის ქაჯაია, პავლე დავითის ძე დანელია* და *ლავრენტი კონსტანტინეს ძე გვალია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). საარჩევნო კომისიამ ლეხაინდრავოს საზოგადოება 3 საარჩევნო უბნად დაყო: *სოფელი ნაჯახოვო-ნაგიბეროვო, ონოღია* და *სოფელი ლეხაინდრავო.* სოფელ ნაჯა-

ხოვო-ნაგიბეროვოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იონა კომოთეს ძე კოკაია, ბესარიონ პეტრეს ძე ნაჭყეპია, ალექსანდრე ფახუს ძე ძაგანია, დავით კუპრეიშვილი* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ზოსიმე თადავოზის ძე ჭელია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელ ონოღიის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბესარიონ გიორგის ძე ქაჯაია,* მდივანი – *სიმონა ყარამანის ძე ქაჯაია, ბეგლარ თედოს ძე მიქაია* და *ვასილ დავითის ძე ჯიქია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). სოფელ ლეხაინდრავოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ნესტორ დავითის ძე ბართაია,* მდივანი – *ივანე მეთოდეს ძე ხაინდრავა, ვლადიმერ ჩიხლაძე* და *ლავრენტი კონსტანტინეს ძე გვალია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 33: 1, 9, 17, 20**)**.

1919 წლის 16 თებერვალს, 22:00 საათზე ლეხაინდრავოს საზოგადოების საარჩევნო კომისია (გარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრის, პავლე დავითის ძე დანელიას) საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. ამ პროცესს გარდა, საარჩევნო კომისიის წევრებისა, შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან: *იონა კომოთეს ძე კოკაია, ალექსანდრე ფახუს ძე ძაგანია, ნესტორ ბართაია, ბესარიონ ნაჭყეპია, სიმონ ყარამანის ძე ქაჯაია, ბესარიონ ქაჯაია, ბესარიონ გვილავა, მიხაილ კოკაია, ნესტორ დანელია, ბეგლარ მიქაია, პეტრე ქაჯაია, დიომიდე ძაგანია, დავით ფაღავა*; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან: *დათიკო ლუარსაბის ძე კუპრეიშვილი* და *ვასილი დავითის ძე ჯიქია*. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან: *ზოსიმე ჭელია, პლატონ კოკაია* და *ხუტუტი დანელია* დაესწრნენ.

ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 256 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 832 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 424 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 680 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 143 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: ფ. 21**)**.[75]

[75] მითითებულ დოკუმენტში ცდომილებაა, ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო უბანში 2 ხმა ჩათვლილი აქვთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. უშუალოდ ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს

ონოღიის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 797 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 579 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 218 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 კონვერტი საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო, რადგანაც ის ცარიელი აღმოჩნდა. ონოღიის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 559 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 13 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა.

ლეხაინდრავოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 843 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 706 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 137 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 კონვერტი ბათილად იქნა ცნობილი, რადგანაც ის ცარიელი აღმოჩნდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 703 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმა.

ლეხაინდრავოს საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 2 765 ამომრჩეველი.[76] არჩევნებში მონაწილეობა 2 117 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 946 და მამრობითი სქესის – 1 171 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 779 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 კონვერტი გააბათილა. ლეხაინდრავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 942 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 157 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 33: 6-7**)**.

ჭალადიდის საზოგადოება. 1919 წლის 17 იანვარს ჭალადიდის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონდრატე ჭყო-*

საარჩევნო ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული 2 ხმა არა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას, არამედ საქართველოს ეროვნულ პარტიას ეკუთვნოდა.

[76] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ლეხაინდრაოს თითოეული საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩევლის შედეგების დაჯამების შედეგად დადგინდა რომ, ლეხაინდრაოს საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო არა 2 765, არამედ 2 896 ამომრჩეველი.

ნია, მდივანი – *სამსონ სოფრომის ძე დავითაია, თეოფანე იოსეს ძე დემანია, გიორგი თეოფანეს ძე ჭოჭუა, ბათია დემანია, სამსონ წულაია* და *კოსტა თელია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). ამავე დღეს საარჩევნო კომისიამ ჭალადიდის საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად დაყო: პირველი საარჩევნო უბანი – *პატარა ფოთი, სოფელი საქორქიო, სოფელი საჭოჭუო, სოფელი საღვამიჩაო* და *სოფელი საგვიჩიოსამელიქიო;* მეორე საარჩევნო უბანი – *სოფელი სირიაჩქონი, სოფელი ჭალადიდის მუხური* და *სოფელი საგვიჩიო* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 34: 1-2**)**.

1919 წლის 18 იანვარს პირველი საარჩევნო უბნის – პატარა ფოთის, სოფელი საქორქიოს, სოფელი საჭოჭუოს, სოფელი საღვამიჩაოს და სოფელი საგვიჩიოს-სამელქიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კინტირია ლაზარეს ძე ბაჯალაძე,* მდივანი – *გალაკტიონ ილიას ძე ბაბილუა, კლიმენტი ალექსის ძე წულაია, სილიბისტრო გვილია* და *ნოე ჟვანია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). მეორე საარჩევნო უბნის – სოფელი სირიაჩქონის, სოფელი ჭალადიდის მუხურის და სოფელი საგვიჩიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხა ჭანტურია,* მდივანი – *ანტონ თედოს ძე ჭკადუა, თეოფანე ბერაია, ლადო ხოშტარია* და *ანტონი სამსონის ძე ჭანტურია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 34: 5-6, 13, 17**)**.

1919 წლის 17 თებერვალს, 21:00 საათზე ჭალადიდის საზოგადო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. განიხილა ყველა უბნის საარჩევნო კომისიის ოქმი.

პატარა ფოთის, სოფელ საქორქიოს, სოფელ საჭოჭუოს, სოფელ საღვამიჩაოს და სოფელ საგვიჩიოს-სამელქიოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 445 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 272 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 173 ამომრჩეველმა არ მიიღო. პირველ საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 241 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 15 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 2 ხმა.

სოფელ სირიაჩქონის, სოფელ ჭალადიდის მუხურის და სოფელ საგვიჩიოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 632 ამომრჩეველი. არ-

ჩევნებში მონაწილეობა 432 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 200 ამომრჩეველმა არ მიიღო. მეორე საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 386 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა.

ჭალადიდის საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 067 ამომრჩეველი.[77] არჩევნებში მონაწილეობა 704 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 373 ამომრჩეველმა არ მიიღო. ჭალადიდის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 627 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 55 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 13 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 34: 2-29**)**.

ნაგვაზავოს საზოგადოება. 1919 წლის 25 იანვარს ნაგვაზავოს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სამსონ სიმონის ძე ჯღარკავა,* მდივანი – *ალექსანდრე დიონისეს ძე მონიავა*, მოლარე – *ონისიმე ვასილის ძე ჩიხლაძე, რაჟდენ პეტრეს ძე ჩიქვანაია, ლუკა პეპუს ძე ბერია, ონიფანტე დიმიტრის ძე ჯოლოგავა* და *დოროთე ანტონის ძე ჩიხლაძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). იმავე დღეს ნაგვაზავოს საზოგადოების საარჩევნო კომისიამ ნაგვაზავოს საზოგადოება სამ საარჩევნო უბნად დაყო: *ნაგვაზავო და ნოჯიხევი; ლეციცხვაიე და ქვედა ხუნწი; ზედა ხუნწი და სუხჩი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 35: 1-2).

1919 წლის 26 იანვარს ნაგვაზავო და ნოჯიხევის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *აქვსენტი ანდრის ძე ქიქავა,* მდივანი – *არსენ მოსეს ძე გეგეჭკორი,* მოლარე – *ესტატე ივანეს ძე ახალაია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *იოსებ ნიკოს ძე ჯღარკავა* და *მარკოზ ეს-*

[77] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ჭალადიდის თითოეული საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩევლების მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ჭალადიდის საარჩევნო უბანში რეგისტრირებული არა 1 067, არამედ 1 077 ამომრჩეველი იყო.

ტატეს ძე სურმავა. იმავე დღეს ლეციცხვაიეს და ქვედა ხუნწის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ექვთიმეს ძე მონიავა,* მდივანი – *ილარიონ ზაქარის ძე თოფურია,* მოლარე – *გრიგოლ ნესტორის ძე ბორისოვ-ბერიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) *ერმილე იოსეს ძე ციცხვაია* და *ერმილე მიტოს ძე გედენიძე*. 27 იანვარს ზედა ხუნწის და სუხჩის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ნესტორი ილარიონის ძე ჩხეიძე*, მდივანი – *მიხეილ მოსეს ძე ფარულავა*, მოლარე – *გიორგი ეგნატეს ძე ბერია, ცუღუ ბუხუტის ძე მიქაია* და *იოსებ ბეკოს ძე ჩიქვანი* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 35: 3, 5, 7-8**)**.

1919 წლის 17 თებერვალს ნაგვაზავოს საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

ნაგვაზავოს და ნოჯიხევის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 358 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 813 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 545 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნაგვაზავოს და ნოჯიხევის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 698 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 49 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 65 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

ლეციცხვაიეს და ქვედა ხუნწის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 822 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 467 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 355 ამომრჩეველმა არ მიიღო. ლეციცხვაიეს და ქვედა ხუნწის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 356 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 25 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 83 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 3 ხმა.

ზედა ხუნწი და სუხჩის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 956 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 622 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 334 ამომრჩეველმა არ მიიღო. ზედა ხუნწი და სუხჩის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 414 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 95 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 108 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

ნაგვაზავოს საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 3 136 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 902 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 1 234 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნაგვაზავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 468 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 169 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 256 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 35: 10**)**.

სეფიეთის საზოგადოება: 1919 წლის 20 იანვარს სეფიეთის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: *ანტონ ყარამანის ძე ლაბარტყავა, ტარიელ შარვანის ძე ლაბარტყავა, სოლომონ ეგნატეს ძე რუხაია, ანდრია ივანეს ძე თოფურიძე, ივანე როსტოს ძე ნოდია* (იგი 14 თებერვალს ჩანაცვლდა კალისტრატე ანდრის ძე თოფურიძით, რომელიც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა), *ფილიპე ბეჟუს ძე მაკალათია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), *კალისტრატე ანდრის ძე თოფურიძე* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *კინტირია შახუს ძე ჭანტურია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 1).

1919 წლის 16 თებერვალს **სოფელ სეფიეთის საზოგადოების** საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 809 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 460 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 185 და მამრობითი სქესის – 275 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 349 ამომრჩეველმა არ მიიღო. სეფიეთის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 318 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 27 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 107 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა;

- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 8).

ბანძის საზოგადოება. 1919 წლის 16 იანვარს ბანძის საზოგადოებათა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ისლამი ფაღავა,* მდივანი – *მიხაილ კაჭარავა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), მოლარე – *გრიგოლ ალექსის ძე ფაღავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ალექსანდრე გაბუნია, იასონ ფოჩხუა, იონა გიორგი ძე გაბუნია* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *სილიბისტრო კერძაია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). საარჩევნო კომისიამ ბანძის საზოგადოება 4 საარჩევნო უბნად დაყო: *სოფელი ბანძა; სოფელი ვედიდკარი და მახათი; სოფელი ორქა-მუხურჩა; სოფელი ნაჩილაჩაო-ლეფოჩხუე*. ამავე დღეს ოთხივე საარჩევნო უბნის კომისია შეიქმნა.

სოფელ ბანძის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *აქვსენტი ხაჭაპურიძე,* მდივანი – *ვალოდია ხაინდრავა,* მოლარე – *ნიკოლოზ გაბუნია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), *მიხაილ კოსტას ძე კეკელია* და *მელიტონ გაბუნია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). სოფელი ვედიდკარის და მახათის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ევთიმე ფანცულაია,* მდივანი – *ესტატე კოტია,* მოლარე – *ვალოდია გაბუნია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *გუდუ სართანია* და *ბათუ ცანავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

სოფელი ორქა-მუხურჩას წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ონისიმე მასხულაია,* მდივანი – *პარმენი სტურუა*, მოლარე – *ქუჩუ ჭიჭინავა, დიმიტრი ფაღავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და *ანდრია სართანია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელ ნაჩილაჩაო-ლეფიჩხუეს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მელიტონ ესვანჯია,* მდივანი – *ილიკო ფოჩხუა,* მოლარე – *გრიგოლ კობახიძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), *ნესტორი ვახანია* და *შალვა ხახუბია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 37: 2-4**)**.

1919 წლის 16 თებერვალს, 21 საათზე ბანძის საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **ბანძის საარჩევნო უბანში**, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 350 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 751

ამომრჩეველმა მიიღო.[78] არჩევნებში მონაწილეობა 598 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 ბიულეტენი საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო, რადგანაც ის შევსებული არ იყო. ბანძის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 500 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 62 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 108 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 78 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა.

ვედიდკარის, მახათის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 947 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 341 ამომრჩეველმა მიიღო.[79] არჩევნებში მონაწილეობა 605 ამომრჩეველმა არ მიიღო. 1 კონვერტი საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო, რადგანაც ის ცარიელი აღმოჩნდა. ვედიდკარის, მახათის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 180 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 146 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

ორქა-მუხურჩის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 497 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 368 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 129 ამომრჩეველმა არ მიიღო. ორქა-მუხურჩის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 330 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 33 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

ნაჩილაჩაო-ლეფოჩხუოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 424 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 279 ამომრჩეველმა მიიღო.

---

[78] მონაცემში ცდომილებაა, მასში ასახული არ არის 1 გაბათილებული ბიულეტენი. შესაბამისად ბანძის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა არა 751, არამედ 752 (751+1) ამომრჩეველმა მიიღო.

[79] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დოკუმენტში ასახული არ არის 1 გაბათილებული ბიულეტენი. შესაბამისად ვედიდკარი, მახათის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა არა 341, არამედ 342 (341+1) ამომრჩეველმა მიიღო.

არჩევნებში მონაწილეობა 145 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნაჩილაჩაო-ლეფოჩხუოს საარ-ჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 239 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 34 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

ბანძის საზოგადოება. საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 218 ამო-მრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 741 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 750 და მამრობითი სქესის – 991 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 477 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი ბათილად ცნო. ბანძის საარჩევ-ნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 249 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 74 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 321 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 90 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 37: 8-9).

აბაშის საზოგადოება. 1919 წლის 20 იანვარს სოფელ აბაშის საზოგადო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ტრიფონ გვილავა,* მდივანი – *გრიგოლ დიმიტრის ძე ქოიავა*, მოლარე – *იასონ ქოიავა, კაკო ანჯაფარიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ნიკოლოზ პერტენავა, ისლამ გვილა-ვა* და *თადა ნოდია.* აღნიშნულმა საარჩევნო კომისიამ აბაშის საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად: *საქოიავო* და *საგამსახურდიო* დაყო. ამავე დღეს საქოიავოს წვრილი საუბნო საარ-ჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იაგორა ქოიავა,* მდივანი – *კირილე სიმონის ძე ქოიავა,* მოლარე – *გრიგოლია შავარდენის ძე ქოიავა, სილი-ბისტრო ჯალაღონია* და *არისტარხ ქოიავა.* საგამსახურდიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსი შალამბარია,* მდივანი – *ლევან პერტენავა,* მოლარე – *ევგენი გვილავა, ანთიმოზ ნოდია* და *კოლია თოფუ-რია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 39: 3-4**)**.

1919 წლის 16 თებერვალს, 20 საათზე სოფელ აბაშის საზოგადო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **საქოიავოს საარჩევნო უბანში**, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 708 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 636

ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 72 ამომრჩეველმა არ მიიღო. საქოიავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 610 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა.

საგამსახურდიოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 502 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 356 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 146 ამომრჩეველმა არ მიიღო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კონვერტში ორი ამავე პარტიის ბიულეტენი აღმოჩნდა, რომელიც საარჩევნო კომისიამ ერთ ბიულეტენად ჩათვალა. საგამსახურდიოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 253 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 39 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 45 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 19 ხმა.

აბაშის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 210 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 992 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 431, მამრობითი სქესის – 561 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 218 ამომრჩეველმა არ მიიღო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორი ბიულეტენი რომელიც ერთ კონვერტში იდო, იგი საარჩევნო კომისიამ ერთ ბიულეტენად ჩათვალა. აბაშის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 863 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 51 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 26 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 39: 11-14**)**.

ლეძაძამეს საზოგადოება. 1919 წლის 18 იანვარს, საარჩევნო კომისიის მიერ გამოგზავნილი *გრიგოლ ჭოჭუას* ხელმძღვანელობით ლეძაძამეს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იოსებ ხურცილავა,* მდივანი – *ამბროზი ჯოჯუა, ვლადიმერ დამენია, მელიტონ ძაძამია, თადა გოგია, ერასტი ძაძა-*

მია (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ტარასი არზიანი* /საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია/ **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 57: 1-2**)**.

1919 წლის 17 თებერვალს, 20:00 საათზე ლეძაძამეს საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით, აღნიშნულ საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო 892 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 544 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან, მდედრობითი სქესის – 140 და მამრობითი სქესის – 404 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 348 ამომრჩეველმა არ მიიღო. ლეძაძამეს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 426 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 118 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 57: 3-4).

მარტვილის საზოგადოება. 1919 წლის 21 იანვარს მარტვილის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პეტრე სიმონის ძე ჭალაგანიძე,* მდივანი – *ნოე ლუკას ძე ქუთათელაძე,* მოლარე – *აკაკი მათეს ძე გამისონია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *მიხაილ ქავთარაძე, ისლამი ექვთიმეს ძე კვესელავა, ივანე გიორგის ძე დვალიშვილი* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ნიკოლოზი იულონის ძე ოსიძე* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია). 24 იანვარს მარტვილის საარჩევნო კომისიამ მარტვილის საზოგადოება სამ საარჩევნო უბნად დაყო: *მარტვილი, საელიავო* და *ნალეპსოვო; ნახარებოვო; სოფელი საბატონო ინჩხური, საგეგეჭკორო ინჩხური, საჩიქოვანო ინჩხური* და *ლებარდე*. ამავე დღეს მარტვილის, საელიავოს და ნალეპსოვოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვალიკო მონიავა,* მდივანი – *ი. ქუთათელაძე,* მოლარე – *აქვსენტი ფარულავა* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *ვასილ მასხულია* და *მიხაილ მასხულია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

ნახარებოვოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე ლეონტის ძე გაწერელია,* მდივანი – *გალაქტიონ გრიგოლის ძე გაწერელია,* მოლარე – *ვლადიმერ კაპიტონის ძე გაწერელია* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია), *პეტრე საბას ძე კვესელავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ანდრო თედოს ძე სულავა*. სოფელ საბატონო ინჩხურის, საგეგეჭკორო ინჩხურის, საჩიქოვანო ინჩხურის და ლებარდეს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიმიტრი ივანეს ძე წოწორია,* მდივანი – *კონსტანტინე ჭიჭაღუა,* მოლარე – *კალისტრატე ჭიჭა-*

ღუა, ათანასი ხელაია და *მიხაილ ციცხვაია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 61: 1-3, 7-9**)**.

1919 წლის 17 თებერვალს ლეძაძამის საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **სოფელ მარტვილის, საელიავოს და ნალეპსოვოს საარჩევნო უბანში**, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 016 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 717 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 313 და მამრობითი სქესის – 404 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 299 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 511 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 91 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 114 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

ნახარებოვოს საარჩევნო უბანში, სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 705 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 519 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 204 და მამრობითი სქესის – 315. არჩევნებში მონაწილეობა 186 ამომრჩეველმა არ მიიღო. ნახარებოვოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 443 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 29 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 45 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა.

სოფელ საბატონო ინჩხურის, საგეგეჭკორო ინჩხურის, საჩიქოვანო ინჩხურის და ლებარდეს საარჩევნო უბანში, სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 785 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 307 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 101 და მამრობითი სქესის – 206. არჩევნებში მონაწილეობა 478 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 223 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 80 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა.

მარტვილის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 506 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 543 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 963 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 177 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 200 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 163 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 61: 6**)**.

ნახუნოვოს საზოგადოება. 1919 წლის 25 იანვარს ნახუნოვოს საზოგადო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პლატონ ნიკოს ძე ცანავა,* მდივანი – *ვარლამ გიორგის ძე ჩახავა,* მოლარე – *ივანე ვასილის ძე ჭილაია, იპოლიტე ვლადიმერის ძე ასათიანი, სილიბისტრო კოსტას ძე გაგუა, თედორეს ძე ოდიშარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *გაბრიელ კოსტას ძე ოდიშარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). 26 იანვარს საარჩევნო კომისიამ ნახუნოვოს საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად დაყო: პირველი საარჩევნო უბანი – *სოფლები: ჭაბურაო, ნახუნოვო და წინაკვერკვე;* მეორე საარჩევნო უბანი – *სოფელი სერგიეთი და ბომბოთი.*

ჭაბურაოს, ნახუნოვოს და წინაკვერკვეს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიმიტრი ცანავა,* მდივანი – *ვლადიმერ ქურდია, ლუკა ინავეს ძე სიგუა, თომა ჯანჯღავა* და *ალექსანდრე ოდიშარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელი სერგიეთის და ბომბოთის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსანდრე ჭუბაბრია,* მდივანი – *მიხაილ ჩახავა, კომოთე ვერულია, იონა გაწერელია* და *პლატონ დგებუაძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 62: 1-2, 9-10**)**.

1919 წლის 17 თებერვალს ნახუნოვოს საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **ჭაბურაოს, ნახუნოვოს და წინაკვერკვეს საარჩევნო უბანში** საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 713 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 493 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 202 და მამრობითი სქესის – 291. არჩევნებში მონაწილეობა 220 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 308 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 182 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა.

სერგიეთის და ბომბოთის საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 714 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 484 ამომრჩეველმა მიიღო.

არჩევნებში მონაწილეობა 230 ამომრჩეველმა არ მიიღო. სერგიეთის და ბომბოთის საარ-ჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 361 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 120 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა.

ნახუნოვოს საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 427 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 977 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრო-ბითი სქესის – 621 და მამრობითი სქესის – 356 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 450 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 669 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 302 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 62: 8-10).

კინჩხის საზოგადოება. 1919 წლის 3 თებერვალს კინჩხის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *რაჟდენ პავლეს ძე ჭან-ტურაია* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), მდივანი – *მიხაილ ლუ-კას ძე ჩიხლაძე* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), მოლარე – *ანდრია ანტონის ძე ჩიხლაძე; მელიტონ პეტრეს ძე ჩიხლაძე და ანეპოდისტე მხეიძე*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ასლან ჩიქოვა-ნი*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩიხლაძე*. კინჩხის საზოგადოებაში ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატი-ული პარტიის ორგანიზაცია საერთოდ არ არსებობდა. ამავე დღეს საზოგადო კომისიამ კინჩხის საზოგადოება ოთხ საარჩევნო უბნად დაიყო: *გორდი და ნოღა; კინჩხი; ღვედი; დიდღვაბუნა, ჟუშკი და სუმაჭახუ* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 51: 1-3**)**.

გორდის და ნოღას საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სამსონ კირთაძე,* მდივანი – *ა. ჩიხლაძე, კირილე ჩიხლაძე, გიორგი ჩიხლაძე, ი. სულაბერიძე, გორთა მათეს ძე ბობოხიძე* და *ალექ-სანდრე სულაბერიძე* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 51: 5-9). სოფელ კინჩხის საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდო-მარე – *სევერიან ქაროსანიძე,* მდივანი – *ვლადიმერ ქაროსანიძე, ნესტორ ხურცილავა, ჭიჭი-კო კუხალაშვილი* და *ბაგრატ კინწურაშვილი*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *დავით თევზაძე* და საქართ-ველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ვლადიმერ ჩიხლაძე*.

ღვედის საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ფარნაოზ პეტრეს ძე სულაბერიძე,* მდივანი – *ჯიბილო უგულავა, ყორბა გოდერიძე, გრიგოლ სულაბერიძე* და *ბესარიონ გოდერიძე*. დიდღვაბუნას, ჟუშკის და სუმაჭახუს საარჩევნო უბნის წვრილი საუბნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე (დომენტი) გიორგის ძე დგებუაძე,* კომისიის წევრები – *ივანე გაბრიელის ძე გორგაძე, სოლომონ დავითის ძე გახოკიძე, ერასტო მიქელის ძე ღაჭავა, ბეგლარ გლახას ძე ყურაშვილი, ანტონ ფაილოძე, ბეგლარ კიკაბიძე*. ბიულეტენების დათვლას დაესწრნენ: სოფელ სუმაჭახუს ასის თავი *მელიტონ ჩიხაძე* და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი *ა. ჩაჩუა.*

გორდის და ნოღას საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 200 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 331 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 869 ამომრჩეველმა არ მიიღო. გორდის და ნოღას საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 253 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 73 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

სოფელ კინჩხის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 061 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 819 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 242 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 783 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 31 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

დიდღვაბუნას, ჟუშკის და სუმაჭახუს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 579 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 477 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 102 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 409 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 67 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1.

ღვედის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 500 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 308 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწი-

ლეობა 192 ამომრჩეველმა არ მიიღო. ღვედის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 308 ხმა.

კინჩხის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 340 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 1 935 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან სქესის მიხედვით, მდედრობითი სქესი – 802 და მამრობითი სქესი – 1 133. არჩევნებში მონაწილეობა 1 405 ამომრჩეველმა არ მიიღო. კინჩხის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 753 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 171 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 10 ხმა.
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 51: 4; **სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21).

მარნის საზოგადოება. 1919 წლის 21 იანვარს მარნის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ჩიგოგიძე,* მდივანი – *გიორგი ხაბეიშვილი, მოლარე – კალისტრატე ზამთარაძე, ლუარსაბ სიხარულიძე, ვლადიმერ თელია, ვარლამ კოსტას ძე გოგიშვილი* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ნოე ბახვას ძე დუნდუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 63: 1-2). 1919 წლის 22 იანვარს საარჩევნო კომისიამ მარნის საზოგადოება სამ საარჩევნო უბნად დაყო: *სოფელი პირველი ილორი და სოფელი თხმელარი; სოფელი მეორე ილორი და სოფელი გუგუნაყათი; სოფელი გოუწყნარი და სოფელი ქვშანჭალა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**).

სოფელი პირველი ილორის და სოფელი თხმელარის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პავლე ანაკიძე,* მდივანი – *გიორგი ტალიკაძე, სერაპიონ ახობაძე, გიორგი გოგიშვილი* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ვასილ გლახუაძე* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელი მეორე ილორის და სოფელი გუგუნაყათის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ონიფანტე თელია,* მდივანი – *ივანე ჯანელიძე, კონსტანტინე დუნდუა, თედორე ელიზბარის ძე დუნდუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ელიზბარ გიორგის ძე დუნდუა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელი გოუწყნარის და სოფელი ქვშანჭალას წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ალექსანდრე ყიზილბაში,* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) მდივანი – *რომა-*

ნოზ სურგულაძე, სიმონე ფირცხალავა, ნესტორ ხურცილავა (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *სერგი გრიგოლია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 63: 4).

1919 წლის 17 თებერვალს, 10:00 საათზე მარნის საზოგადო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტენების დათვლა დაიწყო. **სოფელი პირველი ილორის და სოფელი თხმელარის საარჩევნო უბანში** საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 094 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 794 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 380 და მამრობითი სქესის – 414. არჩევნებში მონაწილეობა 300 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 620 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 18 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 152 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 2 ხმა.

სოფელი მეორე ილორის და სოფელი გუგუნაყათის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 1 261 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 857 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 420 და მამრობითი სქესის – 437. არჩევნებში მონაწილეობა 404 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 713 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 125 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 2 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა.

სოფელი გოუწყნარის და სოფელი ქვშანჭალას საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 559 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 411 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 205 და მამრობითი სქესის – 206. არჩევნებში მონაწილეობა 148 ამომრჩეველმა არ მიიღო. გოუწყნარის და სოფელი ქვშანჭალას საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 322 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 17 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 68 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 1 ხმა.

მარნის საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 2 914 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 2 062 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 1 057 და მამრობითი სქესის – 1 005. არჩევნებში მონაწილეობა 852 ამომრჩეველმა არ მიიღო. მარნის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 655 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 40 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 345 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 14 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 4 ხმა (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 63: 5, 12).

თამაკონის საზოგადოება. 1919 წლის 24 იანვარს სოფელ თამაკონის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ესტატე მიშველაძე,* მდივანი – *სამსონ ხვიჩია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), მოლარე – *ბესა ნარუშვილი, ესტატე ოკუჯავა, ერასტო სართანია, ლადო ჯანაშია* და *ნესტორ ადამია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). აღნიშნულმა საარჩევნო კომისიამ თამაკონის საზოგადოება სამ საარჩევნო უბნად დაყო: *პირველი თამაკონი და პირველი ნამიკოლავო; მეორე თამაკონი, მეორე ნამიკოლავო, თარგამეული; გურძემი.* სოფელ პირველი თამაკონის და პირველი ნამიკოლავოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ტერენტი გაბუნია,* მდივანი – *გრიგოლ ჯანაშია, კოსტა ფაცაცია, ბაგრატ გოროზია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ისაკ გოროზია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

სოფელ მეორე თამაკონის, მეორე ნამიკოლავოს და თარგამეულის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ილია ფარცვანია*, მდივანი – *სტეფანე ფარცვანია, იონა ხარგელია, იოსტინე ადამია* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *ვანო ჯღანჯღავა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სოფელ გურძემის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *რომანოზ სოსე-*

ლია, მდივანი – *თედორე აშორდია, სისო მხეიძე, ისიდორე გულორდავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *მიხა კოხია* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 65: 1**)**.

1919 წლის 17 თებერვალს, 9 საათზე თამაკონის საზოგადოების საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **სოფელ პირველი თამაკონის და პირველი ნამიკოლავოს საარჩევნო უბანში** საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 644 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 318 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 64 და მამრობითი სქესის – 254. არჩევნებში მონაწილეობა 326 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 154 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 163 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა.

სოფელ მეორე თამაკონის, მეორე ნამიკოლავოს და თარგამეულის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 954 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 499 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 194 და მამრობითი სქესის – 305. არჩევნებში მონაწილეობა 455 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 332 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 167 ხმა.

სოფელ გურძემის საარჩევნო უბანში სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 575 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 475 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 209 და მამრობითი სქესის – 266. არჩევნებში მონაწილეობა 100 ამომრჩეველმა არ მიიღო. გურძემის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 386 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 85 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა.

თამაკონის საზოგადოებაში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 2 173 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 292 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან მდედრობითი სქესის – 467 და მამრობითი სქესის – 825. არჩევნებში მონაწილეობა 881 ამომრჩეველმა არ მიიღო. თამაკონის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 872 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 415 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 65: 3).

ნოსირის საზოგადოება. 1919 წლის 1 იანვარს სოფელ ნოსირის საზოგადო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გიორგი ბესელია,* მდივანი – *ნიკო დგებუაძე, ყარამან ოდიშარია, გრიგოლ ჯაკობია* და *ანდრია (კოლია) ფაღავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). საარჩევნო კომისიამ ნოსირის საზოგადოება ოთხ საარჩევნო უბნად დაყო: *საოდიშარიო და სასიმონიო; საკილასონიო, საბესელიო, სასოლომონიო, საჩიჩუო, საკირცხალიო და სადუდუჩავო (ვარიეთის უბანი); საკიზირიო და საგამსახურდიო; წყემი.* საოდიშარიოს და სასიმონიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *რაჟდენ ოდიშარია,* მდივანი – *მამანტი ოდიშარია, ვალოდია ალანია* და *ანდრონიკე ოდიშარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). საკილასონიოს, საბესელიოს, სასოლომონიოს, საჩიჩუოს, საკირცხალიოს და სადუდუჩავოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივლონ ფოჩხუა,* მდივანი – *ვარლამ კილასონია, ლავრენტი თორდია* და *ვანო გიგოს ძე ოდიშარია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია).

საკიზირიოს და საგამსახურდიოს წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პორფილე გუდავა,* მდივანი – *ამბაკო კიზირია, ლადიმერ გოგებაშვილი,* და *გაბრიელ მილორავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 64: 10**)**. წყემის წვრილი საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბეგლარ კუპრეიშვილი,* მდივანი – *პავლე ჯალაღანია ლევან ჯალაღანია* და *გიორგი მილორავა* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 64: 1, 3**)**.

1919 წლის 17 თებერვალს ნოსირის საზოგადო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. **საოდიშარიოს და სასიმონიოს საარჩევნო უბანში**, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 478 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 392 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 კონვერტი ბათილად ცნო, რადგან ერთი მათგანი ცარიელი, ხოლო მეორე – პლაკატიანი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 86 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 360 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 25 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

საკილასონიოს, საბესელიოს, სასოლომონიოს, საჩიჩუოს, საკირცხალიოს და სადუდუჩავოს საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 857 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 564 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწი-

ლეობა 293 ამომრჩეველმა არ მიიღო. საკილასონიოს, საბესელიოს, სასოლომონიოს, საჩიჩუოს, საკირცხალიოს და სადუდუჩავოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 529 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 30 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა.

საკიზირიოს და საგამსახურდიოს საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 348 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 251 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 97 ამომრჩეველმა არ მიიღო. საკიზირიოს და საგამსახურდიოს საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 154 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 86 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა.

წყემის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 325 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 261 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 64 ამომრჩეველმა არ მიიღო. წყემის საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 261 ხმა.

ნოსირის საზოგადოებაში რეგისტრირებული იყო 2 008 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 468 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი გააბათილა. არჩევნებში მონაწილეობა 540 ამომრჩეველმა არ მიიღო. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 304 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 141 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 14 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 64: 6).

ქალაქ ახალი სენაკის საზოგადოება. 1919 წლის 16 თებერვალს, 22 საათზე ქალაქ ახალ სენაკის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ხოფერია,* მდივანი – *თეოფანე კალანდარიშვილი* წევრები: *გიორგი გამზარდია, ბიქტორ მიხეილის ძე ხარბედია, ალექსანდრე ჩხეტია*. საარჩევნო კომისია შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ვლადიმერ გიორგის ძე ლაბახუა*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *სიმონ გიორგის ძე ხოფერია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ლუკა კოსტას ძე კოკაია* და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან *ვალერიანე დავითის ძე ტოგინაძის* წინაშე, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა.

ქალაქ ახალ სენაკში საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 3 038 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 1 518 ამომრჩეველმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა 1 520 ამომრჩეველმა არ მიიღო. ორი კონვერტი ცარიელი აღმოჩნდა. საარჩევნო უბანში შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 968 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 402 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 28 ხმა;
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 100 ხმა;
- საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო – 12 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 44: 11**)**.

1919 წლის 20-23 თებერვალს სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიამ (თავმჯდომარე – *ანდრო ანჯაფარიძე* – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; თავმჯდომარის მოადგილე – *ცუღუ თოფურიძე* – საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია; მდივანი – *აქვსენტი მახარაძე* – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; მოლარე – *აქვსენტი კობახიძე* – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; *შალვა კალანდარიშვილი* – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; *მიხეილ ნოდია* – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; *ნიკოლოზ ანჯაფარიძე* – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) დაიწყო საზოგადო საარჩევნო კომისიის მიერ გამოგზავნილი ოქმების განხილვა. აღნიშნულმა კომისიამ კვათანის საარჩევნო ოქმები განიხილა და მათში 3 ცარიელი კონვერტის არსებობა დაადასტურა.

ნაესაკოვოს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების გადამოწმების შემდეგ, სამაზრო კომისიამ, საზოგადოების კომისიის დადგენილება I (კოდორი პირველი) და მე-4 (გულეიკარი, კეთილარი და კოდორი მეორე) საარჩევნო უბნის ხმებში აღმოჩენილი ორი ბიულეტენი ერთი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის და ერთიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შეცვალა (4 ხმით 3-ის წინააღმდეგ) და კანონიერად გამოცხადდა. ვინაიდან ხსენებულ 2-ვე ბიულეტენს ნომერი (№) სიის ემჩნეოდა, შესაბამისად, დებულების 55-ე მუხლს სრულიად აკმაყოფილებდა. სამიქაოს საზოგადოების 1-ელ და მე-5 საარჩევნო უბანში ორი ხმა გაუქმდა. რადგანაც ორივე კონვერტი ცარიელი იყო. მე-3 საარჩევნო უბანში კი ერთი ხმა – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაბათილდა, რომელიც უკონვერტოდ აღმოჩნდა. ნოსირის საზოგადოების პირველ საარჩევნო უბანში ორი ხმა გაბათილდა, რადგან ერთი კონვერტი ცარიელი და მეორე კონვერტში პლაკატი აღმოჩნდა.

სუჯუნის საზოგადოების მე-4 საარჩევნო უბანში ორი ხმა 77 მუხლის შესაბამისად გაბათილდა. თეკლათის საზოგადოებაში 7 კონვერტი გაბათილდა. ორი კონვერტი ცარიელი იყო, სამ კონვერტში ორ-ორი სხვადასხვა ბიულეტენები აღმოჩნდა და ორ ბიულეტენზე გვარის აღმნიშვნელი წარწერა იყო. სამაზრო საარჩევნო კომისიამ განაახლა მუშაობა იმავე შემადგენლობით 21 თებერვალს, დილის 9 საათზე. ძველი სენაკის საზოგადოებაში ორი კონვერტი გაბათილდა. ერთი მათგანი ცარიელი იყო, მეორე კონვერტში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიის ფორმატის სუფთა ქაღალდი იყო. გეჯეთის საზოგადოების ერთი კონვერტი გაუქმდა, რადგანაც ერთ კონვერტში ორი სხვადასხვა სიის ბიულეტენი აღმოჩნდა. ნოქალაქევის საზოგადოების სამი კონვერტი გაუქმდა: ერთ კონვერტში აფიშა იყო, ორ კონვერტში კი სხვადასხვა სიის ბიულეტენები აღმოჩნდა.

უშაფათის საზოგადოების ერთი კონვერტი გაბათილდა, რადგან ის ცარიელი იყო. ბანძის საზოგადოების ორი ბიულეტენი გაბათილდა. რადგანაც ერთი უნომრო და მეორე „უსიო“ იყო. კიწიის საზოგადოების სოფელ დოშაყის საარჩევნო უბანში ამომრჩევლებმა კონვერტებში ბიულეტენების ჩაწყობაზე უარი განაცხადეს. საარჩევნო ყუთში 215 ხმა იყო. სამაზრო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა: *„საიდუმლოების პრინციპის დაუცველობის მიზეზით ყველა ხმა გაბათილებულ იქნა“*. ლედგებიეს საარჩევნო უბანში ზედმეტი 15 ხმა იყო. სამაზრო კომისიამ ხუთი ხმით წინააღმდეგ ორი ხმის ეს 15 ხმა კანონიერად ცნო. ვინაიდან ადვილი წარმოსადგენია, რომ კომისიას ამომრჩევლის სარეგისტრაციო ფურცელში აღნიშვნა გამორჩენოდა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 18-20).

სამაზრო საარჩევნო კომისიის მონაცემებით: **სენაკის მაზრაში 29 საზოგადოებასა და ქალაქ ახალ სენაკის ჩათვლით** რეგისტრირებული იყო 65 183 ამომრჩეველი. არჩევ-

ნებში მონაწილეობა 44 111 ამომრჩეველმა მიიღო.[80] არჩევნებში მონაწილეობა 20 826 ამომრჩეველმა არ მიიღო. სამაზრო საარჩევნო კომისიამ ბათილად 246 ბიულეტენი გამოაცხადა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 35 015 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 528 ხმა;[81]
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 6 204 ხმა;
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 263 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 42 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 19 ხმა;[82]
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 21 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 15 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 36: 21**)**.

1919 წლის 4 მარტს დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის სხდომა შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: *ალექსანდრე ლომთათიძე (თავმჯდომარე), ილია ფირცხალაიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მელიტონ რუსია, გიორგი გვაზავა, იოსებ გობეჩია, სარდიონ თევზაძე, დავით დავითხანოვი და ოლღა სოლოღაშვილი.* პარტიების წარმომადგენლები: *მ. საყვარელიძე და ლ. ჯაფარიძე.* აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს სენაკის მაზრაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიერების საკითხი. კომისიამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საარჩევნო უბანზე: ბანძის საზოგადოება, დოშაყის საზოგადოება და ლედგებიეს საზოგადოება. ბანძის საზოგადოების მიმართ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: გაუქმებული ორი ხმა მიეკუთვნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. დოშაყის საზოგადოებაში: აღმოჩენილი იყო უკონვერტოდ მიცემული ხმები. რაც საზოგადოების კომისიამ ცნო კანონიერად, ხოლო სამაზრო კომისიამ გააბათილა. აღნიშნულის შესახებ კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილება: *„№ 3-ის 41 უკონვერტო ბიულეტენი ცნობილ იქნეს კანონიერად“*. ლედგებიეს საზოგადოებაში *„აღმოჩნდა ხმის მიმცემლებზე 15*

[80] აღნიშნულ მონაცემში გათვალისწინებული არ არის გაბათილებული 246 ხმა. შესაბამისად არჩევნებში მონაწილეობა 44111+246=44357 ამომრჩეველმა მიიღო.

[81] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სენაკის სამაზრო კომისიამ ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო უბანში 2 ხმა მიაკუთვნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას. უშუალოდ ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო ოქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული 2 ხმა არა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას, არამედ საქართველოს ეროვნულ პარტიას ეკუთვნოდა, შესაბამისად სენაკის მაზრაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არა 1 528, არამედ 1 526 ხმა მიიღო.

[82] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სენაკის სამაზრო კომისიამ ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს საარჩევნო უბანში საქართველოს ეროვნულ პარტიის 2 ხმა, მიაკუთვნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას. შესაბამისად დადგინდა, რომ სენაკის მაზრაში საქართველოს ეროვნულ პარტიამ არა 19, არამედ 21 ხმა მიიღო.

კონვერტით მეტი, ეს ხმები სამაზრო კომისიამ ცნო კანონიერად“. აღნიშნულის შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ: საკითხი ღიად დარჩენილიყო და ამაზე განმარტება სამაზრო კომისიას უნდა გაეკეთებინა. სენაკის მაზრის დანარჩენი საზოგადოების არჩევნები კომისიამ დაამტკიცა უდავოდ კანონიერად **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 46).

1919 წლის 8 მარტს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის სხდომა შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: *ივანე გობეჩია (თავმჯდომარე), სილიბისტრო ჯიბლაძე, მ. საყვარელიძე, ილია ფირცხალაიშვილი, მელიტონ რუსია და ალექსანდრე ლომთათიძე.* აღნიშნულ კრებაზე განიხილეს სენაკის მაზრის სოფელ ლედგებიეს ოქმი. კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც *„ლედგებიეს საზოგადოებაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები დამტკიცებულ იქნა“* (წინააღმდეგი იყო მ. საყვარელიძე) (**სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 52).

ამდენად, დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად, სენაკის მაზრაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები შემდეგი სახით შეიცვლება, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ბანძის საარჩევნო უბანში 2 გაბათილებული ხმა დაემატა. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას დოშაყის საარჩევნო უბანზე გაბათილებული 41 ხმა დაემატა. შესაბამისად, **სენაკის მაზრის საარჩევნო უბანზე**, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 65 183 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 44 357 ამომრჩეველმა მიიღო. 203 ბიულეტენი გაბათილდა.[83] პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩევნების შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 35 015 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 528 ხმა;[84]
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 6 245 ხმა;[85]
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 263 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 42 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 21 ხმა;

[83] სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიამ გააბათილა 246 ბიულეტენი. ცენტრალურმა საპარლამენტო საარჩევნო კომისიამ კანონიერად გამოაცხადა ბანძის საარჩევნო უბანში გაბათილებული 2 და დოშაყის საარჩევნო უბნის 41 ხმა. შესაბამისად სენაკის მაზრაში გაბათილდა 246-2+41=203 ხმა მიიღო.

[84] სენაკის მაზრაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 1 526 ხმა ჰქონდა მიღებული, აღნიშნულს დაემატა ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის მიერ კანონიერად ცნობილი 2 ხმა, შესაბამისად მან საბოლოოდ 1526+2=1528 ხმა მიიღო.

[85] სენაკის მაზრაში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას 6 204 ხმა ჰქონდა მიღებული. აღნიშნულს დაემატა ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიის მიერ კანონიერად ცნობილი 41 ხმა, შესაბამისად მან საბოლოოდ 6204+41=6245 ხმა მიიღო.

- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 21 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 15 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 62**)**.

ამრიგად, სენაკის მაზრაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისა, თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ დემოკრატიული პრინციპებით ჩატარებულ არჩევნებად, სადაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

§4. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები ქ. ფოთში

1919 წლის 19 იანვარს ფოთში საქალაქო მთავარი საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია,* თავმჯდომარის მოადგილე – *მიხეილ ბესარიონის ძე სალია,* მდივანი – *პეტრე იორდანის ძე ქუთათელაძე,* მოლარე – *სტეფანე დავითის ძე გაგუა, ლავრენტი მაქსიმეს ძე ტუღუში, მარინე ლუდმილა ისმალის ასული მეგრელიძისა* (ტექსტში ასეა - ბ. ლ.) და *ნინო დიმიტრი გუგუშვილის ასული* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 119: 5-10). საარჩევნო კომისიამ ქალაქი ფოთი 5 საარჩევნო უბნად დაყო. პირველი საარჩევნო უბანი – *აღმოსავლეთით კაპარჭინა და პარკის დამბა, დასავლეთით და ჩრდილოეთით მდინარე რიონი, სამხრეთით ორივე ნაპირით ლაზარევიჩის ქუჩა კაპარჭინიდან რიონამდის*, ამავე უბანს ეკუთვნის რკინიგზის სადგური. არჩევნები ქალაქის გამგეობის დარბაზში ჩატარდა. მეორე საარჩევნო უბანი – *აღმოსავლეთ კაპარჭინა, ჩრდილო-დასავლეთით ლაზარევიჩის, პაცოვის და ველიამინოვის ქუჩა.* არჩევნები მეორე პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში (ნახუტურში) ჩატარდა. მესამე საარჩევნო უბანი – *აღმოსავლეთით პაცოვის ქუჩის გაგრძელება, ფედოროვის დაჩა ველიამინოვის ქუჩამდე, დასავლეთით მდინარე რიონი და სამხრეთით ზღვა.* არჩევნები ახალ-სოფლის სკოლაში ჩატარდა. მეოთხე საარჩევნო უბანი – *დიდი კუნძული ნავსადგურითურთ.* არჩევნები ფოთის სახელოსნო სკოლის დარბაზში ჩატარდა. მეხუთე საარჩევნო უბანი – *ნაბადა.* არჩევნები მოხდება ნაბადის პირველ დაწყებით სასწავლებელში **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 119: 20).

ქალაქ ფოთის საარჩევნო უბანზე საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 8 018 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 3 800 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან საარჩევნო კომისიამ კანონიერად 3 792 ხმა ჩათვალა, ხოლო 8 ბიულეტენი გააბათილა. პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩევნების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 911 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 498 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 73 ხმა;

- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი – 9 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 240 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 8 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 7 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 3 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 41 ხმა;
- ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 63).

1919 წლის 26 თებერვალს დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის სხდომა შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: *ალექსანდრე ლომთათიძე (თავმჯდომარე), სილიბისტრო ჯიბლაძე, იოსებ გობეჩია, გიორგი გვაზავა, ილია ფირცხალაიშვილი, მელიტონ რუსია, სარდიონ თევზაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ოლღა სოლოღაშვილი. პარტიათა წარმომადგენელნი: მ. საყვარელიძე და ლ. ჯაფარიძე.* აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს ქალაქ ფოთში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები და მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც: *„მიცემულ ხმათა და ამომრჩეველთა რიცხვის რაოდენობის საბოლოო გამორკვევა მიენდო მცირე კომისიას, რომელშიც შევიდნენ იოსებ გობეჩია და ილია ფირცხალაიშვილი“* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 38).

1919 წლის 27 თებერვალს დამფუძნებელი კრების ცენტრალური კომისიის სხდომა შედგა. სხდომას ესწრებოდნენ: *ალექსანდრე ლომთათიძე (თავმჯდომარე), იოსებ გობეჩია, გიორგი გვაზავა, ილია ფირცხალაიშვილი, ივანე ლორთქიფანიძე, თევდორე ღლონტი, სარდიონ თევზაძე და ოლღა სოლოღაშვილი. პარტიების წარმომადგენლები: მ. საყვარელიძე და ლ. ჯაფარიძე.* აღნიშნულ სხდომაზე კომისიამ მოისმინა მცირე კომისიის მოხსენება, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გაერკვია მიზეზი, ქალაქ ფოთში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში: *„რიცხვთა რაოდენობის განსხვავების, ყუთთან მისულ ამომრჩეველთა და კონვერტებს შორის“.* მოხსენების შედეგად გაირკვა რომ: *„ხმის მიცემის უფლება ჩამოურთმევიათ მცირეწლოვანთათვის, რომელნიც შეცდომით ყოფილან სიაში შეყვანილნი, რამაც გამოიწვია ხსენებული განსხვავება“.* აღნიშნული მოხსენების შემდეგ, კრებამ ქალაქ ფოთში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები დამტკიცებულად გამოაცხადა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 59: 39**)**.

ამრიგად, ქალაქ ფოთში ჩატარებული არჩევნები, მიუხედავად საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას დაფიქსირებული ხარვეზებისა, შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორც დემოკრატიული პრინციპებით ჩატარებული არჩევნები, რომელშიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

§5. სამეგრელოს რეგიონში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები

სამეგრელოში ისევე როგორც სრულიად საქართველოში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგებს პოლიტიკურ პარტიებში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. საკუთარ უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საარჩევნო კომისიის უმრავლესობას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები შეადგენდნენ. შესაბამისად, ეს ადამიანები დიდ გავლენას ახდენდნენ ამომრჩევლებზე და ხმებსაც არასწორად, მათ სასარგებლოდ ითვლიდნენ. ამავდროულად, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების ფაქტსაც, რომელსაც ასახავდა 1919 წლის 10 თებერვალს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, ხოფერიას გაგზავნილი წერილი შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, სადაც ასახული იყო, რომ ლეხაინდრავოს კომისარმა 4 თებერვალს მოიწვია მიტინგი და სასტიკად აუკრძალა მაცხოვრებლებს აღნიშნული პარტიისთვის ხმის მიცემა. ამ წერილით ის მოითხოვდა ადმინისტრაციის წარმომადგენელი არ ჩარეულიყო საარჩევნო პროცესში **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 94: 25).

სოფლის კომისიების ყრილობების პარტიული მიზნებით მუშაობასა და მათ მიერ სხვა პარტიების მოღალატედ გამოცხადების ფაქტს ასახავს 1919 წ. 3 თებერვალს პარლამენტის წევრ სპირიდონ კედიას მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილი წერილი. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ხობის რაიონის კომისრის მიერ სოფელ დიდინეძში, როდესაც მან მოღალატეები უწოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო ამ ცილისწამების გაბათილების და შეკამათების საშუალება ბანძის კომისარმა თავისი ძალაუფლებით აღუკვეთა პარტიის პროპაგანდისტებს **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 119: 18-19). მიუხედავად ზემოთ ხსენებული დარღვევებისა, გაზეთმა *„საქართველომ“* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანო) და გაზეთმა *„სახალხო საქმემ“* (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო) აღიარეს არჩევნებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამარჯვება.

ამდენად, **სამეგრელოს რეგიონში** ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნები შეგვიძლია ჩავთვალოთ სრულიად ლეგიტიმურად. სამეგრელოში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 136 349 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 77 421 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან 228 ბიულეტენი გაბათილდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

- პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩევნების შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 53 568 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 873 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 14 445 ხმა;
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – *დაშნაკცუთიუნი* – 13 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 068 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 35 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 81 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 58 ხმა;
- ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა – 2 ხმა.

საქართველოს დამფუძნებელი კრებაში 130 დეპუტატი აირჩიეს. პოლიტიკურ პარტიებს შორის მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 109 დეპუტატი;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 8 დეპუტატი;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 დეპუტატი;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 8 დეპუტატი (**ჯანელიძე, 2002:** 123).

დამფუძნებელი კრების შეკრებამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიის 85-ე კანდიდატი, ნიკოლოზ აღდგომელის ძე კაციაშვილი გარდაიცვალა. ამიტომ მისი ადგილი 110-ე კანდიდატმა, ანნა ილიას ასულმა სოლოღაშვილმა დაიკავა **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 17: 5). საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან: *1. ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე, 2. ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, 3. ჩხეიძე ნიკოლოზი (კარლო) სიმონის ძე, 4. წერეთელი ირაკლი გიორგის ძე, 5. რამიშვილი ნოე ბესარიონის ძე, 6. გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე, 7. ხომერიკი ნოე გიორგის ძე, 8. რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე, 9. ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე, 10. არსენიძე რაჟდენი მათეს ძე, 11. ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე, 12. გიორგაძე გრიგოლი ტიმოთეს ძე, 13. მახარაძე გერასიმე თომას ძე, 14. ელიავა ნიკოლოზი ზურაბის ძე, 15. ჩხიკვიშვილი ბენიამინი გრიგოლის ძე, 16. შერვაშიძე ვარლამი ალექსანდრეს ძე, 17. ჯუღელი ვალერიანი ანთიმოზის ძე, 18. ნინიძე კირილე იესეს ძე, 19. ვარდოიანცი მიკიჩ კარაპეტის ძე, 20. ახმეტელაშვილი ვლადიმერი გიორგის ძე, 21. ანდრონიკაშვილი კონსტანტინე მანუელის ძე, 22. კოვალიოვი მიხეილი ანდრიას ძე, 23. ონიაშვილი დავითი ეფრემის ძე, 24. ხოჭოლავა მუხრან-იონა მაქსიმეს ძე, 25. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე, 26. ფარნიევი ალექსანდრე ივანეს ძე, 27. თევზაია ბიქტორი ვასილის ძე,*

28. გვარჯალაძე კონსტანტინე იაგორის ძე, 29. აბაშიძე ჰაიდარი ალიბეგის ძე, 30. გერნშტეინი ერიკ ადოლფის ძე, 31. ერაძე გიორგი პავლეს ძე, 32. ლოსკუტოვი ანდრია ვასილის ძე, 33. სალაყაია იოსები ბეჟანის ძე, 34. გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე, 35. ჯაფარიძე სერგო დავითის ძე, 36. ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა ელეონორა მიხეილის ასული, 37. სალუქვაძე ანანია მაქსიმეს ძე, 38. თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე, 39. ჯიბლაძე ვლადიმერი გიორგის ძე, 40. მამედოვი ჰუსეინი გული-მამედ ოღლი, 41. რუსია მელიტონი ივანეს ძე, 42. ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე, 43. შარვაშიძე ყადირი თანბეგის ძე, 44. პაშალიდი ივანე გიორგის ძე, 45. ჩიხლაძე რაფიელი ალექსის ძე, 46. საყვარელიძე პავლე დავითის ძე, 47. ცაბაძე ვასილი ზაქარიას ძე, 48. ნათაძე ლევანი იასონის ძე, 49. გაგლოევი გიორგი ალექსის ძე, 50. ურატაძე გრიგოლი ილარიონის ძე, 51. დავარაშვილი მოსე რახამის ძე, 52. ჯაფარიძე კონსტანტინე იასონის ძე, 53. ცინცაძე ნოე კონსტანტინეს ძე, 54. ძველაია ბარნაბა პავლეს ძე, 55. გურული ზაქარია დავითის ძე, 56. ჩიქავა ალექსანდრე ჩიტოს ძე, 57. ყიფიანი რუბენი ლუარსაბის ძე, 58. შარაშიძე დავითი გრიგოლის ძე, 59. მგელაძე ვლასა დარისპანის ძე, 60. გონაშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, 61. ტოროშელიძე მინადორა ეფრემის ასული, 62. სურგულაძე სიმონი ელიზბარის ძე, 63. გურჯუა ვასილი გიორგის ძე, 64. ნოდია ვასილი გიორგის ძე, 65. აუშტროვი რუბენი გიორგის ძე, 66. მიქელაძე ოსმანი შავყი ეფენდი, 67. ქუმსიშვილი ნიკოლოზი გიორგის ძე, 68. საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე, 69. პანიევი კონსტანტინე აბგერის ძე, 70. კანდელაკი კონსტანტინე პლატონის ძე, 71. ბადრიძე ილია გიორგის ძე, 72. შარაშიძე ქრისტინე გიორგის ასული, 73. სულაქველიძე აპოლონი ალმასხანის ძე, 74. კოპალეიშვილი ილია ივანის ძე, 75. ჭავჭანიძე ივანე თედორეს ძე, 76. ჭიაბრიშვილი ანდრია იაკობის ძე, 77. ცინცაძე გიორგი იოსების ძე, 78. ჩხეიძე დავითი ანდუყაფარის ძე, 79. ბოლქვაძე ელისაბედი იოსების ასული, 80. ცისკარიშვილი გაბრიელი დიმიტრის ძე, 81. თევზაძე სარდიონი ონისიმეს ძე, 82. ცინცაბაძე გრიგოლი დიმიტრის ძე, 83. ფირცხალაიშვილი ილია გიორგის ძე, 84. კიკვაძე თეოდორე გაბრიელის ძე, 85. კაციაშვილი ნიკოლოზი აღდგომელის ძე 86. ტატიშვილი ივანე ალექსის ძე, 87. კვარაცხელია იოსები ანტონის ძე, 88. წულაძე ვასილი ქაიხოსროს ძე, 89. იმნაიშვილი ნიკიფორე ბესარიონის ძე, 90. ემუხვარი არზაყანი კონსტანტინეს ძე, 91. გომართელი ივანე გედევანის ძე, 92. ბიული პავლე იაკობის ძე, 93. ელიგულაშვილი იოსებ აარონის ძე, 94. კიღურაძე ლავროსი პავლეს ძე, 95. გვარამაძე თავაზ-ყადირ-მამაც-გული ოღლი, 96. რუხაძე ლევანი პორფილეს ძე, 97. ახმეტელაშვილი სიკო გიორგის ძე, 98. შევჩუკი გერასიმე დიმიტრის ძე, 99. ზახაროვი დიმიტრი ვასილის ძე, 100. წულაია პავლე ლუკას ძე, 101. ბერიშვილი პავლე აბრამის ძე, 102. ბაკურაძე ვასილი ზურაბის ძე, 103. კალაძე ერმალოზი თედორეს ძე, 104. ჭელიძე თეიმურაზი სტეფანეს ძე, 105. მურვანიძე გიორგი ექვთიმეს ძე, 106. ფაღავა გიორგი ავქსენტის ძე, 107. მაჭავარიანი იოსები ივანეს ძე,

108. ჟღენტი ლეონტი ალმასხანის ძე, 109. ლორია ფილიპე გლახუნის ძე, 109. ანნა ილიას ასული სოლოღაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით დამფუძნებელ კრებაში 8 დეპუტატი შევიდა: *1. ნიკოლაძე ნიკოლოზი (ნიკო) იაკობის ძე, 2. კედია სპირიდონი მალხაზის ძე, 3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (დატოვა ფრაქცია 1919 წ. 27 მაისს), 4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, 5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, 6. მაჭავარიანი იოსები კონსტანტინეს ძე, 7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, 8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე.*

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სიით დამფუძნებელ კრებაში 8 დეპუტატი შევიდა: *1. ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე, 2. რცხილაძე გრიგოლი სიმონის ძე, 3. ნუცუბიძე ვარლამი (შალვა) ისაკის ძე, 4. ფირცხალავა სამსონი გიორგის ძე, 5. ალექსი-მესხიშვილი შალვა ვლადიმერის ძე, 6. ბარათაშვილი იესე ალექსანდრეს ძე, 7. გედევანიშვილი იოსები კონსტანტინეს ძე, 8. მდივანი სიმონ გურგენის ძე.*

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით დამფუძნებელ კრებაში 5 დეპუტატი შევიდა: *1. შენგელია ლეონი ანდრიას ძე, 2. ნუცუბიძე ილია დავითის ძე, 3. გობეჩია ივანე პავლეს ძე, 4. გობეჩია იოსები პავლეს ძე, 5. ნათაძე გრიგოლი იასონის ძე* **(სეა სცა,** ფ. 1834, ან. 2, ს. 17: 20-21).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში სამეგრელოში დაბადებული შემდეგი პირები აირჩიეს: *ანჯაფარიძე გიორგი ნესტორის ძე; გეგეჭკორი ევგენი პეტრეს ძე; თევზაია ბიქტორი ვასილის ძე; თოფურიძე დიომიდე ალექსანდრეს ძე; კვარაცხელია იოსები ანტონის ძე; ნოდია ვასილი გიორგის ძე; საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე; სალაყაია იოსები ბეჟანის ძე; ჩიქავა ალექსანდრე ხიტუს ძე; ძველაია ბარნაბა პავლეს ძე; ხოჭოლავა (ოდიშელი) მუხრანი მაქსიმეს ძე; ჯიბლაძე ვლადიმერი გიორგის ძე; გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე; კედია სპირიდონი მალხაზის ძე; დადიანი სამსონი პლატონის ძე* (1919 წლის აგვისტოში, დამატებითი არჩევნების დროს, აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად); *შენგელაია ლეონი ანდრიას ძე* და *ლორთქიფანიძე ივანე ნესტორის ძე* (1920 წლის გაზაფხულზე დამფუძნებელი კრების მეორე დამატებითი არჩევნების შედეგად, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სიით მოიპოვა კრების წევრის მანდატი) **(ხვადაგიანი, 2016:** 146-493).

1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა **(თამაზაშვილი, 1919:** 1). დამფუძნებელი კრების უკეთ ფუნქციონირებისათვის შეიქმნა შემდეგი კომისიები: *სამანდატო; სარეგლამენტო; საკონსტიტუციო; საბიუჯეტო-საფინანსო; სარედაქციო; განათლების; სამხედრო; ხელოვნების; იურიდიული; ჯანმრთელობის; საბიბლიოთეკო; შრომის; აგრარული; საპროპაგანდო; სამეურნეო; გარეშე საქმეთა; ადგილობრივი და თვითმმარ-*

თველობის; მომარაგების; გზათა; სარეკომენდაციო; ცენტრალური საარჩევნო; საპენსიო და *ტექნიკური* **(სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 156: 1-4).

ამდენად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები სამეგრელოში სერიოზული დარღვევების გარეშე ჩატარდა. ამომრჩევლებს მიეცა უფლება თავისუფლად გამოეხატათ პოლიტიკური ნება. სამეგრელოში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, არჩევნებში უპირატესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ მოიპოვა. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ არსებობის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი კანონი და დადგენილება მიიღო. სამწუხაროდ, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა დიდხანს ვერ გაგრძელდა.

თავი III. სამაზრო, საქალაქო და სათემო მმართველობა სამეგრელოში (1919–1920 წწ.)

§1. საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში (1920 წ.)

1919 წლის შემოდგომაზე ზუგდიდის მაზრის საერობო კრებაში პოლიტიკური კრიზისმა იმძლავრა. მიზეზი კი მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით სოციალისტურ ბლოკში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გახდა. არსებული მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ კოალიციამ თანამშრომლობის რესურსი სრულიად ამოწურა, ამიტომ იძულებული იყვნენ სოციალური ბლოკი დაეშალათ.

1919 წლის 4 ოქტომბერს ზუგდიდის ერობის მეოთხე ყრილობაზე გამგეობის თავმჯდომარე *ლეო შენგელაიამ* (ლეო ქიაჩელი) უარი განაცხადა არა მარტო, ერობის თავმჯდომარეობაზე, არამედ მის წევრობაზეც კი. მის გადაწყვეტილებას მხარი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა დაუჭირეს. მიუხედავად ამისა, ლეო შენგელაია მაინც დატოვეს ერობის თავმჯდომარედ. აღნიშნულ საკითხზე გამართულმა კამათმა (კამათში დიდად აქტიურობდნენ ესერი – *შალვა მოსიძე* და სოციალ-ფედერალისტი – *მიხაკო კეკელია*) ნათლად გამოაჩინა, რომ ყრილობის მონაწილე პოლიტიკურ ფრაქციებს შორის შეუძლებელი იყო გამგეობის შედგენის საკითხზე, რაიმე სახის შეთანხმების მიღწევა. სწორედ, ამიტომ ყრილობამ ახალი არჩევნების ჩატარება საჭიროდ ჩათვალა **(ტუღუში, 2012:** 131**)**.

1919 წლის 16 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ დაადგინა: *„ვინაიდან ახლანდელი შემადგენლობით ყრილობას არ შეეძლო გამგეობის შედგენა, ეთხოვა მთავრობას მაზრაში ხმოსანთა ახალი არჩევნები დაენიშნა“*. ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამაზრო ერობის ხმოსნების რწმუნების ვადა 1920 წლის 1 იანვარს იწურებოდა. კანონის შესაბამისად კი 100 დღის მანძილზე ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 967: 19). შესაბამისად, 1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში რიგით მეორე საერობო არჩევნები დაინიშნა.[86] მაზრის თავმჯდომარის ლეო შენგელაიას მონაცემებით, ზუგდიდის მაზრა 6 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხის პირველი, წალენჯიხის მეორე, ზუგდიდის პირველი, ზუგდიდის მეორე, ხობის და ქალაქ ზუგდიდის. **(ზუგდიდის საერობო, 1920:** 3**)**.

[86] ამ დროისათვის, ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ზუგდიდის გვარდიელები ქალაქ ზუგდიდიდან ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად იყვნენ გაწვეულნი. ამიტომ მათი საარჩევნო სიაში აღრიცხვა ვერ მოხერხდა. 1919 წლის 30 დეკემბრის დადგენილების თანახმად, აღნიშნული პირების საარჩევნო სიაში შეყვანა სავალდებულო გახდა. შესაბამისად ეს პირები არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ კარგავდნენ **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 34**)**.

1920 წ. 2 იანვარს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ქალაქ ზუგდიდის არჩევნებში *სპირიდონ მალხაზის ძე კედია წარადგინა*. აღნიშნული კანდიდატები *რაჟდენ დგებუაძემ, დიმიტრი ჭედიამ, პავლე შელიამ, ელიზბარ თოდუამ, ელიზბარ შენგელაიამ, ბაგრატ ჯანჯღავამ* და *კახა შენგელიამ* დაასახელა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 38**)**. 1920 წლის 16 იანვარს, უპარტიო ჯგუფმა ქალაქ ზუგდიდის ერობის ხმოსნის კანდიდატად *იოსებ თევდორეს ძე გეგელია* წარადგინა. აღნიშნული კანდიდატი დაასახელეს შემდეგმა პიროვნებებმა: *ანტონ გეგელიამ, ანთიმოზ თოფურიამ, სტეფანე თურმანიძემ, სვიმონ შელიამ, სანდრო ადამიამ, ბეგლარ ხორავამ, ფილუ ძაძამიძემ, ილარიონ ჟიშქარიანმა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) *და ჭოლაძემ* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 43).

1920 წლის 16 იანვარს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ ქალაქ ზუგდიდის ერობის ხმოსნად ექიმი *ანდრია პატარაია* და მის კანდიდატებად *მელქისედექ კობახიძე* და *პეტრე უგულავა წარადგინა*. აღნიშნული კანდიდატი *კალისტრატე კობახიძემ, ჟაკო ადამიამ, მელიტონ თოდუამ, მ. ბუკიამ, იოსებ გეგელიამ, ივანე გეგელიამ, ფილუ ძაძამიძემ, ბეგლარი ხორავამ* და *ილარიონ ჟიშქარიანმა* დაასახელა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 44**)**. 1920 წლის 20 იანვარს, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსნებად *ივანე პავლეს ძე გობეჩია, ივლონ ივანეს ძე ოდიშარია* და *ივანე კედია* წარადგინა (რომელიც 1919 წლის 22 იანვარს პარტიის მოთხოვნით ამოშალეს ხმოსანთა სიიდან **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 39, 45**)**.

1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში დანიშნული სამაზრო, საერობო არჩევნებისათვის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ შემდეგი კანდიდატების სია წარადგინა: **წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი:** *ლეო მიხეილის ძე შენგელაია* (ლეო ქიაჩელი), *იოსებ ანტონის ძე კვარაცხელია,*[87] *სამსონ შონია, პეტრე კიკოს ძე ქვარცხავა, არისტრახ შამუგია, დიმიტრი ჯაბეს ძე სამუშია, ანტონ შონია* და *კუკუსანი ხასია*. **წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი**: *ერასტო დავითის ძე კაჭარავა, მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა, მიხა ლემონჯავა, ანდრუშკა ვეკუა, ტროფინე ნიკოს ძე სიჭინავა, ივანე მალანია* და *პეტრე ბაკუს ძე ბერულავა*. **ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი**: *ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა,*[88] *გიორგი ნესტორის ძე ჭედია, კაჭუ ჩიქოვანი, ალექსი შავას ძე დარასელია, დიანოზი ნესტორის ძე ცხაკაია, მიხა ივანეს ძე შამუგია, კალისტრატე ხუფენია, სტეფანე გურგენიძე, ან-*

[87] **იოსებ კვარაცხელია** (1883-1924) – ქართველი პოლიტიკოსი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ წალენჯიხაში წითელი რაზმის ორგანიზატორი და კომისარი იყო. 1919 წელს დამფუძნებელ კრებაში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს. 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებისას ხელმძღვანელობდა ზუგდიდ-წალენჯიხის რაზმებს.

[88] **ალექსანდრე ჩიქავა** (1882-1924) – ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. 1917 წელს იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის წევრი, 1919 წელს ამავე პოლიტიკური პარტიის სიით აირჩიეს დამფუძნებელ კრებაში, იყო 1921 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების აქტიური მონაწილე, რისთვისაც სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად დახვრიტეს.

ტონი ჯანაშია, მიხა კოდუა და *იასონი გეგენავა.* **ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი**: *იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი, ექვთიმე სართანია, იონა ჩუხუა, ქვაჩალა ბაღათურია, ანტონი ჯანაშია, ბესარიონი ვეკუა, სოგრატი ღურწკაია, სიმონ ადამია, ბაგრატი რაფავა* და *ფილუ როგავა.*

ხობის საარჩევნო ოლქი: *დიომიდე თოფურიძე,*[89] *დიმიტრი ივანეს ძე გვასალია, ნესტორ მიხეილის ძე ადამია, მიხა ივანეს ძე ტურავა, ბოკო კონსტანტინეს ძე ცხომარია, ისლამ კიკოს ძე დოლბაძე, იაგორა გვაძაბია, კოლია გოჯოს ძე კალანდია, ნეკტარი ჭანტურია* და *ლევან გაიოზის ძე ზარანდია.* **ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო ოლქი**: *გიორგი ნესტორის ძე ჭედია* და *ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა* **(საერობო არჩევნები, 1920:** 4).

ზუგდიდის მაზრის თითოეულ საარჩევნო უბანში საარჩევნო პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა. წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი, თავის მხრივ, 7 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხის, ჯგალის, ობუჯის, ჯვარის, ლიის, ფახულანის და ჭალეს. წალენჯიხის საარჩევნო უბანი:

1920 წლის 25 იანვარს **წალენჯიხის სათემო ერობის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ ანთია,* წევრები: *ბეგლარი გვაჯავა* და *სოსრანი მიქავა*. პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *ალექსი ფირცხალავა*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ივანე კალანდია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *გერასიმე ცანავა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ვლ. ჟვანია*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 844 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 476 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 70 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 181 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 117 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 101**)**.

ჯგალის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ჯგალის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პეტრე ქვარცხავა*, წევრები: *გიორგი ჭანტურია, სამსონი კვარაცხელია, გ. კვარაცხელია, მიხაილ ჭანტურია* და *ანდრო სანაია*. სა-

[89] **დიომიდე თოფურიძე** (1871-1937) – ქართველი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი. 1918 წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი იყო. 1919 წელს ჯერ თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად, შემდეგ კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. 1937 წელს მას ე. წ. „ტროიკამ“ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რომელიც იმავე წლის 11 დეკემბერს მოიყვანეს სისრულეში.

არჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან საღამოს 18 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 1 232 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 065 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 162 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ა. 1, ს. 998: 99-100).

ობუჯის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ობუჯის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ლევან მესხია*, წევრები: *სამსონ გითოლენდია და ისაკი ფიფია,* პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *ანდრია ფიფია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *იაკობ ფიფია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ეპია შარტავა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *კოკი შენგელია*. არჩევნებში მონაწილეობა 511 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 291 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 92 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 116 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 12 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 98).

ჯვარის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 23 იანვარს ჯვარის საარჩევნო უბანი 3 საარჩევნო უბნად დაიყო: ჯვარის, ხუდონის და ეწერის. ჯვარის საარჩევნო უბნის წვრილი საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივანე პეტრეს ძე ჭანტურია*, კომისიის წევრები: *კოკუსანი უტუს ძე ხასია, თათაო ზიყაის ძე ეფსაია, ძოკია ბარდღუის ძე გეთია* და *ბაშუ იოანეს ძე ჭანტურია*. არჩევნებში მონაწილეობა 244 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 56 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 76 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 109 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა.

ხუდონის საარჩევნო უბნის წვრილი საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პლატონ გიორგის ძე შაშუგია*, წევრები: *ჭიგვა*

აქუბარდია, გახუ გეთია, იასონი ქანთარია და *ბუთანია ქარდავა*. არჩევნებში მონაწილეობა 84 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის 10 ბიულეტენი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ნომრით იყო გადასწორებული. ხმის მიმცემთაგან *ჯგოტო ქარდავამ* და *ჭონჭა ცანავამ* (დანარჩენი 8 ამომრჩეველი არ გამოცხადდა) განაცხადეს, რომ მათ უნდოდათ ხმის მიცემა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის და რადგანაც ბიულეტენები აღარ იყო, მათ აღნიშნული ბიულეტენები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ გადააკეთეს. ამიტომ, საარჩევნო კომისია მომხრე იყო, აღნიშნული ბიულეტენები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის ჩაეთვალა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 64 ხმა;[90]
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 14 ხმა.

ეწერის საარჩევნო უბნის წვრილი საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ისიდორე ალექსის ძე შამუგია*, წევრები: *ჭუჭუ ფიფია, მიხაილ მანია* და *ვასილი ქარდავა*. არჩევნებში მონაწილეობა 123 ამომრჩეველმა მიიღო:

- პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 15 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 43 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 65 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 91-94).

ჯვარის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 443 ამომრჩეველმა მიიღო.[91] საარჩევნო კომისიამ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 8 ბიულეტენი სადავოდ გამოაცხადა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 77 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 175 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 188 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 87).

---

[90] საარჩევნო კომისიამ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის – 8 ბიულეტენი სადავოდ ცნო.

[91] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, მათ არ აქვთ გათვალისწინებული 8 სადავოდ გამოცხადებული ბიულეტენი, 77+175+188+3+8=451. დადგინდა, რომ ჯვარის საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილეობა არა 443 არამედ 451 ამომრჩეველმა მიიღო.

ლიის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ლიის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ეფთიმე ბერიშვილი*, მდივანი – *ტაია ზარანდია*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *ძვაძვალა სამუშია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ალექსი ბერიშვილი*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ივანე კედია*. არჩევნებში მონაწილეობა 332 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 183 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 120 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 29 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 89).

ფახულანის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ფახულანის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სამსონი შონია*, მდივანი – *ლევანი ნიკოლოზის ძე გერგედავა, დიანოზი გოგოხია*. პოლიტიკური პარტიებიდან: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *მელიტონი ბახვას ძე სამუშია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ბოკო გოგოხია*. საარჩევნო პროცესი დილის 11 საათიდან 19 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 447 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 325 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 13 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 109 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 96).

ჭალეს საარჩევნო უბანი: 1920 წლის 25 იანვარს ჭალეს საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ანტონი შონია*, წევრები: *ვასილი უბილავა* და *ალექსანდრე ბერულავა*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *მიხაილ ბერულავა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**) და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *იონა* (გვარი არ იკითხება). საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 249 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 118 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 128 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 72).

წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 4 058 ამომრჩეველმა მიიღო.[92] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 535 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 473 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 913 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია 137 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

1920 წლის 25 იანვარს **წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი** 9 საარჩევნო უბნად დაიყო: *ჩხოროწყუს, ლეწურწუმეს, კირცხის, ჭოღას, მუხურის, ახუთის, ლესიჭინეს, ხაბუმეს* და *ნაფიჩხოვოს*.

ჩხოროწყუს საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ჩხოროწყუს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ე. ჩუხუა*, წევრები: *იაკობი თოდუა, შალვა ა. პლატონ კაჭარავა*. საარჩევნო კომისია 18 საათზე საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა, დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 412 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 101 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 89 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 219 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 80).

ლეწურწუმეს საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ლეწურწუმეს სამაზრო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *აქვსენტი წურწუმია*, მდივანი – *რ. წურწუმია,* წევრები: *ალექსანდრე პერტაია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *იასონი კვარაცხელია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ნაუ წურწუმია*, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ლავრენტი წურწუმია* და *ლ. წურწუმია*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 21 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 168 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

[92] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, წალენჯიხის თითოეულ საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 844+1232+511+451+332+447+249=4066, რომ წალენჯიხის I საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა არა 4 058 არამედ 4 066 ამომრჩეველმა მიიღო.

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 64 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 99 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 86).

კირცხის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, კირცხის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *არსენ სტეფანია*, მდივანი – *სპირიდონ შენგელაია* და *სარდიონი ჯალაღონია*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ბეგლარი იზორია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *სოლომონ კვირტია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ამბერკი მხეიძე*. არჩევნებში მონაწილეობა 426 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 177 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 29 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 220 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 75).

ჭოღას საარჩევნო უბანი. 1919 წლის 25 იანვარს ჭოღას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ა. შენგელია*, მდივანი *ჯ. ხობელი*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ნ. შენგელია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *თ. შენგელია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ფ. ფაცაცია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *გრ. შენგელია*. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 219 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 106 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 104 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 73**)**.

მუხურის საარჩევნო უბანი.1920 წლის 25 იანვარს, მუხურის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხა ლემონჯავა*, კომისიის წევრები: *თედორე თოლორდავა, პავლე მანჯგალაძე, ივანე კუხალაშვილი, გრიგორი ბასილაძე* და

მელიტონ ჩიქოვანი. ხოლო ტერიტორიული სიშორის გამო სოფელ თაიაში (მუხურის საზოგადოება), ცალკე საარჩევნო უბანი გაიხსნა. შესაბამისად, საარჩევნო ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *თედორე თოლორდავა, ისიდორე ჩიქოვანი*. საარჩევნო პროცესი ორივე საარჩევნო უბანში დილის 10 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა. 18 საათზე ორივე საარჩევნო ყუთი გაიხსნა. ხმების დათვლის შედეგად ორივე საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 566 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 273 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 120 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 167 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 83-84).

ახუთის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს სოფელ ახუთის სამაზრო ერობის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ილია ვეკუა*, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ოლღა შენგელია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *აკაკი შამათავა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ანდრონიკე ჯოხთაბერიძე*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *მიხეილ ჩიტაია*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 21 საათამდე გაგრძელდა. არჩევნებში მონაწილეობა 408 ამომრჩეველმა მიიღო. ბიულეტენების დათვლის შედეგად 2 ბიულეტენით ნაკლები (406) აღმოჩნდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 232 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 86 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 66 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 22 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 85).

ლესიჭინეს საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ლესიჭინეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მალაქია სიჭინავა*, მდივანი – *ნესტორ სიჭინავა*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *პლატონ სიჭინავა*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ევგენი სიჭინავა*. საარჩევნო პროცესი დასრულდა 17 საათ-

ზე. არჩევნებში მონაწილეობა 493 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 277 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 211 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 77).

ხაბუმეს საარჩევნო უბანი. 1920 წელს 25 იანვარს, ხაბუმეს თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მოსე შენგელია*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *გიორგი შენგელია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ისაკი ჩიქოვანი*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *აკაკი შელია*. არჩევნებში მონაწილეობა 490 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 400 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 65 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 25 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 82).

ნაფიჩხოვოს საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ნაფიჩხოვოს თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სერაპიონი დარასელია*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 291 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 161 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 130 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 76).

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 3 471 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 791 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 221 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 234 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 225 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი 1920 წლის 25 იანვრის საერობო არჩევნებისათვის 7 საარჩევნო უბნად დაიყო: *დარჩელის, კახათის, ანაკლიის, ცაიშის, ჯოღეჯიანის* (თანამედროვე – *ინგირი*), *აბასთუმნის* და *კოკის*.

დარჩელის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, დარჩელის თემის ერობის გამგეობამ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის – *ნესტორ აბსანძის* თანდასწრებით დილის 8 საათზე საარჩევნო ყუთი გახსნა. აღნიშნულ პროცესს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *პორფინე სორდია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *იასონ ქირია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ივანე ხაზულია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *პლატონ ვაჩნაძე*. არჩევნებში მონაწილეობა 473 ამომრჩეველმა მიიღო.[93] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 194 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 107 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 145 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 17 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 4-5).

კახათის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 24 იანვარს კახათის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – გამგეობის თავმჯდომარე *ლადო კაკულია*. წევრები: *ემილიანი ხორავა, ისაკი კაკულია, გერასიმე კუდავა, კირილე შედანია* და *საშა გუგუჩია*. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით საარჩევნო ყუთი ორ სხვადასხვა ადგილას დადგეს: ერთი – *შეშის კანცელარიაში* და მეორე – *სალოშუოს კახათის ეკლესიის ეზოს გვერდზე მდგარ ლუკა მარკოზიას სახლში*. 1920 წლის 25 იანვარს საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 991 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 481 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 201 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 54 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 130 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 96 ხმა.

[93] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, დარჩელის საარჩევნო უბანზე მიღებული ოთხივე პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემის დაჯამების შედეგად დადგინდა 194+107+145+17=463, რომ დარჩელის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა არა 473 არამედ 463 ამომრჩეველმა მიიღო - **ბ. ლ.**

მეორე საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესს თავმჯდომარეობდა – გამგეობის წევრი *ემილიანი ხორავა*, საარჩევნო პროცესში ჩართული იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: *ქიბარი ძოძუა, ივანე ნარმანია, მიხეილ დარასელია* და *თეიმურაზ ნორაკიძე*. საარჩევნო პროცესი 20 საათზე დასრულდა. საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 361 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 152 ამომრჩეველმა მიიღო.

- პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 13 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 9 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 82 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 48 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 6-11).

კახათის საარჩევნო უბანზე საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 1352 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 633 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 214 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 63 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 212 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 144 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

დაბა ანაკლიის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს დაბა ანაკლიის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბესარიონ ლაგვილავა*, მდივანი – *ანტონ მეუნარგია*, კომისიის წევრები: *ბიჭიკო დგებუაძე, ლევანი გულუა, შუქრი მაჭახელოული* და *ბესარიონ ხაბურძანია*. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოფელ განარჯიაში (მუხური) მეორე საარჩევნო უბანი გაეხსნათ, რომლისთვისაც ცალკე საარჩევნო კომისია *მელიტონ ჩემინავას* თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა. პირველ საარჩევნო უბანში საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 289 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 115 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 36 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 122 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 16 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 12**)**.

ცაიშის საარჩევნო უბანი. საერობო არჩევნებისათვის ცაიშის საზოგადოება ორ საარჩევნო უბნად დაიყო: *პირველი ცაიშის* და *მეორე ცაიშის* (კახათი).

პირველ (ცაიშის) საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი 1920 წლის 25 იანვარს დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – *არჩილ გალდავა* იყო, მდივანი – *გრიგორი ქირია*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *მიშა ჟურული*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ნიკიფორე ქირია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – გრიგორ ქირია. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 91 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 117 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 98 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 115 ხმა.

მეორე ცაიშის (კახათი) საარჩევნო უბნის ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბიქტორ მაქაცარია*, კომისიის წევრები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *თეიმურაზ ჭიჭინაძე*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ძაძუ ქირია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *გერმანე ჯინჯოლია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ვასილი ქირია*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 93 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 48 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 29 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 40 ხმა.

ცაიშის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 591 ამომრჩეველმა მიიღო[94] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2). პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 184 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 165 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 127 ხმა;

[94] აღნიშნულ მონაცემებში ცდომილებაა, ცაიშის ორივე საარჩევნო უბანში ოთხივე პოლიტიკური პარიის მიერ მიღებული ხმების, სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა 184+165+127+155=631, რომ ცაიშის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა არა 591 არამედ 631 ამომრჩეველმა მიიღო.

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 155 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 13-14).

ჯოღეჯიანის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ჯოღეჯიანის თემში არჩევნები ორ ადგილზე ჩატარდა, პირველი საარჩევნო უბანი – *ჯოღეჯიანი*, მეორე საარჩევნო უბანი – *აბასთუმანი და შამგონა*. ოღეჯიანის საარჩევნო უბანში ქვეკომისია ჩამოყალიბდა, რომლის საარჩევნო უბანს აბასთუმნის და შამგონას ტერიტორია წარმოადგენდა. საარჩევნო კომისიას თავმჯდომარეობდა – *დავით მესხია* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), კომისიის წევრები: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *პეტრე ხუბუა*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *სოლომონ გვასალია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ერმილე ჭკადუა*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 169 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 48 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 35 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 75 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 11 ხმა.

25 იანვრის, 9 საათზე **ჯოღეჯიანის თემის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიმიტრი ქობულია*, კომისიის წევრები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *იაკობ ახალაია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ეპიფანე კვარაცხელია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ვასილი ხარბედია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *იაკობი ჯახია*. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 149 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 43 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 17 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 79 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 10 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 16-19**)**.

ჯოღეჯიანის სარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 318 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 91 ხმა;

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 52 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 154 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

აბასთუმნის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს აბასთუმნის საარჩევნო უბანი ორ საარჩევნო უბნად დაიყო. პირველი – *აბასთუმანი-ხეცერას საზღვარი* და მეორე – *აბასთუმნის ცენტრი*. 24 იანვარს პირველი საარჩევნო უბნის ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პორფირი კოდუა*, წევრები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ალექსი კაკულია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ერმიონე ხუხუნი*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ერასტო კოდუა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან არავინ არ გამოცხადდა. **პირველ საარჩევნო უბანზე** საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა 25 იანვრის დილის 8 საათიდან 20 საათამდე. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 120 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 38 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 24 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 53 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

მეორე საარჩევნო უბანში საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ამბროსი ჩიხლაძე*, წევრები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *იონა კოდუა*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *მალაქია ჩიხლაძე*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ფილიპე კოდუა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან არავინ არ გამოცხადებულა. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა 25 იანვარს დილის 8 საათიდან 20 საათამდე. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 109 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 25 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 82 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 23-24).

აბასთუმნის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 229 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 63 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 26 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 135 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

კოკის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, კოკის თემის ერობის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიანოზ ცხაკაია*, მდივანი – *ბიქტორი ჯინჯორია* და წევრი *ნექტორ დგებუაძე*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: *სოლომონ იოსავა, ს. მანია, ლავრენტი საჯაია* და *დორო კოდუა*. არჩევნებში მონაწილეობა 492 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 154 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 142 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 42 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 154 ხმა.

საარჩევნო კომისიამ 5 ბიულეტენი სადავოდ ცნო. მათგან 4 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბიულეტენი იყო. აღნიშნული ხმა მისცა დარჩელის უბნის კომისრის მილიციელებმა: *დ. კარტოზიამ, ბესა ლომაიამ* და *ალექსანდრე ლომაიამ*, ასევე ადგილობრივი სკოლის ხელსაქმის მასწავლებელმა *ფედოსია ხვარძილას ასულმა*. ესენი ადგილობრივი მცხოვრებლები არ იყვნენ და შესაბამისად სარჩევნო სიაში არ იყვნენ ჩაწერილი. ისინი 12 საათზე გამოცხადდნენ და 16 საათამდე იმყოფებოდნენ საარჩევნო უბანზე და არ დარჩნენ საარჩევნო ყუთის გახსნამდე. ასევე 1 ბიულეტენი, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და იგი ფედოსია გუტოს ასულმა ჩააგდო საარჩევნო ყუთში. აღნიშნული პიროვნება საარჩევნო სიაში ჩაწერილი არ იყო, ამავდროულად იგი საარჩევნო კომისიამ არასრულწლოვანად მიიჩნია. მას მოსთხოვეს ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტი (მეტრიკა ან სხვა რამ), რომლის მოტანასაც ამომრჩეველი დაჰპირდა კომისიას. სანამ აღნიშნულ დოკუმენტს მოიტანდა, მისი ხმა სადავოდ გამოცხადდა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 20-22**)**.

ზუგდიდის პირველ საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა 3 015 ამომრჩეველმა მიიღო.[95] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

[95] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის I თითოეულ საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის სტატისტიკური მონაცემების 463+633+289+631+318+229+492=3055 ასევე მთლიანად ოთხივე

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 015 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 591 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 937 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 472 ხმა[96] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი 10 საარჩევნო უბნად დაიყო: *ახალი ხიბულის, ზუგდიდის, ჭაქვინჯის, ნარაზენის, ყულიშკარის, ჭკადუაშის, რიყეს, კორცხელის, ნიკოსიას* და *ხიბულის*.

ახალი ხიბულის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ახალი ხიბულის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ჯიშკარიანი*, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *სვიმონ ადამია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *იაკი ლომუა*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ფილიპე უგულავა*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 191 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 121 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 23 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 44 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 56-57).

ზუგდიდის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის თემის ერობის საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 21 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 383 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 73 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 83 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 193 ხმა;

პოლიტიკურ პარტიების მიერ ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე მიღებული ხმების დაჯამებით 1015+591+937+512=3055 დადგინდა, რომ ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა არა თუ 3 015 არამედ 3 055 ამომრჩეველმა მიიღო.

[96] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის I თითოეულ საარჩევნო უბანზე საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 17+144+16+155+21+5+154=512, რომ ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა თუ 472 არამედ 512 ხმა მიიღო.

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 34 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 70).

ჭაქვინჯის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს სოფელ ჭალადიდში სამაზრო ერობის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბადა ხუბულავა*, წევრები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *ევგენი შენგელია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *მიხა მაჭავარიანი*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *იასონ ჯიქია*. არჩევნებში მონაწილეობა 340 ამომრჩეველმა მიიღო.[97] საარჩევნო კომისიამ 2 (1 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და 1 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის) ბიულეტენი გააბათილა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 214 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 94 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 18 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 58-60).

ნარაზენის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ნარაზენის თემის სამაზრო ერობის საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 17 საათამდე მიმდინარეობდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – *ბესო თოდუა*, მდივანი – *ა. შენგელაია*, წევრები: *გიორგი ნანავა, სამსონ თოდუა, პეტრე ბიგვავა* და *სპირიდონ ბიგვავა*. არჩევნებში მონაწილეობა 247 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 29 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 11 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 189 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 18 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 63).

ყულიშკარის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ყულიშკარის თემის მაზრის საერობო საარჩევნო პროცესი 20 საათამდე გაგრძელდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – *ი. აბსავა*, წევრები: *უ. შედანია* და *პარმენ მაქაცარია*. პოლიტიკური პარტიების წარმო-

[97] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 998, ფურცელი 2. ცდომილებაა, დოკუმენტის თანახმად, ჭაქვინჯის საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილეობა 338 ამომრჩეველმა მიიღო, დოკუმენტების შესწავლით და მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 340 ამომრჩეველმა მიიღო. აღნიშნულ დოკუმენტში კი არა აქვთ ასახული ბათილად გამოცხადებული ბიულეტენების რაოდენობა.

მადგენლები: *ელ. ესებუა, ფ. მაქაცარია* და *ჩანთა როგავა*. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 187 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 47 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 15 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 77 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 48 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 69**)**.

ჭკადუაშის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ჭკადუაშის მაზრის საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხეილ ცაგურია*, მდივანი – *გიორგი ალშიბაია*, წევრები: *დურუ გულორდავა*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *პარმენ ეგუტია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ფარნა ანთია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *რომანოზ ნაჭყებია*, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ქიშვარდი ალშიბაია*. 18 საათზე ქიშვარდი ალშიბაიამ საარჩევნო პროცესი დასრულებულად გამოაცხადა, ვინაიდან საარჩევნო უბანზე ამომრჩეველი აღარ იყო. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 331 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 91 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 55 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 181 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 55).

რიყის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს რიყის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა თავმჯდომარე – *გრიგორ კუხალაშვილი*, წევრი: *ვლ. ჩეტია*. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: *ბესო ვეკუა* და *იპოლიტე ხვინგია*. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 319 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 107 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 182 ხმა;

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 29 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 65).

კორცხელის საარჩევნო უბანი. კორცხელის საარჩევნო უბანი ორ საარჩევნო უბნად დაიყო: *პირველი საარჩევნო უბანი – კორცხელი* და მეორე – *სოფელი ლედგებიე*. 1920 წლის 25 იანვარს, კორცხელის საარჩევნო უბანზე, კომისარიატის შენობაში, სამაზრო ერობის საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: თავმჯდომარე – *ვ. სართანია*, მდივანი – *ქ. თორდია.* წევრები: *ანდრო თოლორაია, დ. თოლორაია*. ბიულეტენების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 482 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 172 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 23 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 282 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა.

მეორე საარჩევნო უბნის – ლედგებიეს საარჩევნო ქვეკომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *აქვსენტი კვარაცხელია, მდივანი – დათიკო ბერდეხელია*, წევრები: *ალექსი ჯიჭონაია და ალექსი ქობალია.* აღნიშნულ საარჩევნო უბანში, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 650 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 254 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 113 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 140 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 66-68).

კორცხელის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 736 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 285 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 24 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 422 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

ნიკოსიას საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ნიკოსიას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბართლომე ბეჭვაია,* მდივანი –

ს. დგებუაძე და *გ. ჯანაშია*, პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები: *ი. ესართია, ნიკო ლეთანძე* და *მ. ნაჭყებია*. საარჩევნო პროცესი 21 საათამდე მიმდინარეობდა. ბიულეტენების დათვლის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 330 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 119 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 167 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 42 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 52).

ხიბულას საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ხიბულას თემის სამაზრო ერობის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *რაჟდენ ფინჩხაია, ანტონ ქავთარაძე, ნესტორ ქარცხია,* საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *სოგრატ ღურწკაია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *საჩინო ყურაშვილი,* საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ილარიონ გეგეჭკორი* და *ა. ქავთარაძე*. არჩევნებში მონაწილეობა 95 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 22 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 30 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 41 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 62).

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 3 157 ამომრჩეველმა მიიღო.[98] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 108 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 256 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 590 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 203 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2).

[98] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სტატისტიკურ მონაცემში არ არის აღნიშნული ჭაქვინჯის საარჩევნო კომისიის მიერ გაბათილებული 2 ბიულეტენი, შესაბამისად სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 191+383+340+247+187+331+319+736+330+95=3159, რომ ზუგდიდის II საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილეობა არა 3 157 არამედ 3 159 ამომრჩეველმა მიიღო.

ხობის საარჩევნო უბანი 12 საარჩევნო უბნად დაიყო: *ზანის, ხეთის, ნოჯიხევის, ხობის, დიდინეძის, რედუტ-კალის (ყულევის), ხორგის, შუა ხორგის, ქარიატას, ხორშის, ქვალონის, საჯიჯაოს* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 102).

ზანის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ზანის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ტყებუჩავა*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ყ. კ. ბოჯგუა,* საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ვ. ლოლაძე*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ნ. კ. ბერიძე*. არჩევნებში მონაწილეობა 327 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 115 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 64 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 144 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 108**)**.

ხეთის თემის საარჩევნო უბანი 1920 წლის 20 იანვარს ხეთის საზოგადოება ერობის გამგეობამ (გამგეობის თავმჯდომარე – *მიხაილ ტურავა,* წევრები: *დოროტი კიტია, ი. ლატარია*) 8 საარჩევნო უბნად დაყო: *საკვიკვინიო, მუნჩია, ლარჩვა, წინაგოლა, თორსა, დღვაბა, საკუკავო* და *საქირიო* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 125). 1920 წლის 25 იანვარს საკვიკვინიოს საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ერმილე ლომაია*, წევრები: *მიხეილ კვიკვინია, ვალერიანე კობახიძე* და *სილიბისტრო ნაჭყებია*. არჩევნებში მონაწილეობა 161 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 132 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 22 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 7 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 141).

1920 წლის 25 იანვარს, მუნჩიის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *იოსები საბას ძე ბუკია,* პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ტაია ტურავა*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *აპოლონ კობახიძე*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ევგრაფი ოდიშარია*. საარჩევნო პრო-

ცესი დილის 10 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 193 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 148 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 45 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 127, 140).

1920 წლის 25 იანვარს, **ლარჩვას** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *მიხა ტურავა,* წევრები: *პავლე ლატარია, ბესარიონ მეუნარგია* და *ლევანი მიქელაძე*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 254 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 195 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 55 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 128, 139).

1920 წლის 25 იანვარს, **წინაგოლას** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გაიოზ ბუკია,* წევრები: *კირილე ბუკია* და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ვლადიმერ ბუკია.* აღნიშნული საარჩევნო კომისია 21 საათზე შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 130 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 117 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 13 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 129, 138).

1920 წლის 25 იანვარს, **თორსას** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *შაბშე ლატარია*, წევრები: *სპირიდონ ტორჩინა, გრიგოლ იოსების ძე ბუკია* და *ალექსი შელია*. აღნიშნულმა კომისიამ დილის 9 საათზე ამომრჩევლების წინაშე, არჩევნების თავისუფლების და სისწორის წესი განმარტა. საარჩევნო პროცესი 16 საათზე დასრულდა. არჩევნებში მონაწილეობა 113 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 96 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 17 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 130, 137).

1920 წლის 25 იანვარს, **დღვაბის** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *პროფილი ლატარია*, წევრი: *ევთიმე უჩანეიშვილი* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**). საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 52 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 32 ხმა.
2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 20 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 908: 131, 136).

1920 წლის 25 იანვარს, **საკუკაოს** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კირილე კუკავა,* მდივანი – *ალექსანდრე კუკავა* და წევრები: *ბახვა კუკავა, ყარამან კუკავა* და *ივანე ბიგვავა*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 17 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 99 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 75 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 20 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 132, 135).

1920 წლის 25 იანვარს **საქირიოს** საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვარლამ კობახიძე*, წევრები: *ვლადიმერ ქირია* და *ამირან კობახიძე.* საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 195 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 146 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 49 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 133-134).

ხეთის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 1197 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 941 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 241 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 12 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 124).

ნოჯიხევის საარჩევნო უბანი. საერობო არჩევნებისათვის ნოჯიხევის თემი 3 საარჩევნო უბნად დაიყო: *სოფელი ნოჯიხევი, სოფელი გურიფული* და *სოფელი ბია*. 1920 წლის 25 იანვარს **სოფელ ნოჯიხევის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივლონ ჯორჯიკია,* მდივანი – *გერმანე ჯაკონია*, წევრები: *ანტონ ჩიტაია, ვანო ქანთარია* და *ევგენი სიჭინავა*. საარჩევნო პროცესი დილის 10 საათიდან 19 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 204 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი ბათილად გამოაცხადა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 122 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 19 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 58 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 147-148).

1920 წლის 25 იანვარს **სოფელ გურიფულის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *კონსტანტინე (კოსთა) ქუთელია*, მდივანი – *ანდრი გოგია*, წევრები: *ბათო ცხადაია* და *დუტუ სახეიშვილი*. საარჩევნო პროცესი დილის 10 საათიდან 17 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 111 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 105 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 6 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 145-146).

1920 წლის 25 იანვარს ბიის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივლონ შონია*, წევრები: *გიორგი იოსავა, ბესა იოსავა* და *მიხა იოსავა*. საარჩევნო კომისია 20 საათზე შეუდგა საარჩევნო ბიულეტენების დათვლას. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 184 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 108 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 67 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 9 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 143-144).

ნოჯიხევის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა 499 ამომრჩეველმა მიიღო.[99] საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი ბათილად გამოაცხადა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 335 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 86 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 73 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 142).

დაბა ხობის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს დაბა ხობის თემის საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ვლადიმერ თათარაშვილი*, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *კოლია კალანდია*; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *გახუ ხვიჩია* და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ლუკა შონია*. არჩევნებში მონაწილეობა 307 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 164 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 122 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 21 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 103).

დიდინეძის საარჩევნო უბანი. დიდინეძის საზოგადოება ერობის არჩევნების საწარმოებლად 2 საარჩევნო უბნად დაიყო: პირველი საარჩევნო უბანი – *დიდინეძი*; მეორე საარჩევნო უბანი – *ერგეტა-ორულუ*. 1920 წლის 25 იანვარს სოფელ დიდინეძის საუბნო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ავთანდილ კობახიძე*, მდივანი – *ს. ვეკუა,* კომისიის წევრი – *პავლე ხვინგია*. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 18 საათამდე გაგრძელდა. არჩევნებში მონაწილეობა 529 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 214 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 105 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 111 ხმა.

[99] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 998, ფურცელი 2. ცდომილებაა, აღნიშნული მონაცემში, სოფელ ნოჯიხევის საარჩევნო კომისიის მიერ 1 ბათილად გამოცხადებული ბიულეტენი არ არის ასახული. თითოეული საარჩევნო უბნის დოკუმენტების შესწავლით და სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 335+4+86+73+1=499 რომ ნოჯიხევის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა არა 498 არამედ 499 ამომრჩეველმა მიიღო - **ბ. ლ.**

- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 99 ხმა.

1920 წლის 25 იანვარს, ყოფილი დიდინეძის საზოგადოებაში **ერგეტა-ორულუში** საერობო არჩევნები წარიმართა. საარჩევნო პროცესი დილის 9 საათიდან 18 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში 231 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 30 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 201 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 106-107).

დიდინეძის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა 760 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა.

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 244 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 105 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 312 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 99 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 1-2).

რედუტ-კალეს (ყულევის) საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს, ქალაქ რედუტ-კალეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *თეიმურაზ ალექსანდრია*, მდივანი – *ექვთიმე სპირიდონის ძე კვინჩია*, წევრები: *გაბრიელ მანია, ანტონ გარუჩავა* და *ვლადიმერ შონია*. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 423 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 334 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 312 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 22 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 116).

ხორგის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ხორგის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ს. ჟორდანია*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ლევან ანთელავა*, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *პლატონ ბერაია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *გერმანე მირცხულავა*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ვალოდია ბერაია*. არჩევნებში მონაწილეობა 242 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 134 ხმა.

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 25 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 12 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 71 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 113-114).

შუა ხორგის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს შუა ხორგის სამაზრო ერობის ხმოსანთა არჩევნები გაიმართა. საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *სოლომონ დოლბაია*, მდივანი – *ნ. ჭითავა,* წევრები: *დავითი ლიფონავა, პეტრე ნასარაია* და *მიხა ნასარაია*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 245 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 178 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 65 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 109).

ქარიატის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ქარიატის საზოგადოების საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *გიორგი ბერაია*, მდივანი – *სამსონ გერგაია*, წევრები: *სილოვან ბერაია, გრიგოლი ბერაია* და *ალექსანდრე ალექსანდრია*. საარჩევნო პროცესები დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 243 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 115 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 53 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 75 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 110).

ხორშის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ხორშის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დიმიტრი ივანეს ძე გვასალია*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ბეგო ნორაკიძე*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *ფილიპე კემულარია*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *ნიკო თადოს ძე ტაბაღუა* (ტექსტში ასეა – **ბ. ლ.**), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან – *ალექსანდრე გურამის ძე ხუხია*. არჩევნებში მონაწილეობა 784 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 497 ხმა.

- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 65 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 111 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 111 **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 104).

ქვალონის საარჩევნო უბანი. 1920 წლის 25 იანვარს ქვალონის თემის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ივანე ლოლუა*, მდივანი – *კონსტანტინე გაბელია*, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან – *ერმილე ნიკოლოზის ძე ცომაია*, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან – *გრიგოლ იოანეს ძე ხურაძე*, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან – *აქვსენტი შამაის ძე ალანია*. არჩევნებში მონაწილეობა 594 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 309 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 61 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 221 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 3 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 111-112).

საჯიჯაოს სარჩევნო უბანი. 1920 წლის 24 იანვარს, საჯიჯაოს საზოგადოება 3 საარჩევნო უბნად დაიყო. პირველი საარჩევნო უბანი – *სოფელ ზენის სამმართველოს შენობა*; მეორე საარჩევნო უბანი – *სოფელ საჯიჯაოში მაროზია ჭანტურიას სახლი* და მესამე საარჩევნო უბანი – *სოფელ ჯაპი–შაქარში პეტრე კვარაცხელიას სახლი*.

1920 წლის 25 იანვარს, **საჯიჯაოს საზოგადოების და სოფელ ზენის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ისიდორე ქაჯაია*, მდივანი – *გერასიმე არზიანი*, წევრები: *ნიკო შამათავა, ჭუჭუ ჯახია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) და *ვლადიმერ დადიანი* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია). აღნიშნული საარჩევნო კომისია 21 საათზე საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 140 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 6 ბიულეტენი გააბათილა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 41 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 87 ხმა.

1920 წლის 25 იანვარს, **საჯიჯაოს** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ბიქტორი ჭანტურია*, წევრები: *გერასიმე თირქია, პორფილე სალაყაია* (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან), *ლევან თირქია* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და *ნესტორი ზარელუა*. საარჩევნო პროცესი დილის 8 საათიდან 20 საათამდე მიმდინარეობდა. არჩევნებში მონაწილეობა 82 ადამიანმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 39 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 42 ხმა.

1920 წლის 25 იანვარს საჯიჯაოს საზოგადოების **სოფელ ჯაპი-შაქარშის** საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *დავით ჯიხაია*, მდივანი – *ევსტატე ახალაია*, *კვარაცხელია, დიტო თირქია* (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), და *პავლე კვარაცხელია* (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან). საარჩევნო კომისია 21 საათზე საარჩევნო ბიულეტენების დათვლას შეუდგა. არჩევნებში მონაწილეობა 95 ამომრჩეველმა მიიღო. საარჩევნო კომისიამ 2 ბიულეტენი ბათილად ცნო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 21 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 21 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 51 ხმა.

საჯიჯაოს საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა 317 ამომრჩეველმა მიიღო.[100] საარჩევნო კომისიამ 8 ბიულეტენი გააბათილა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 101 ხმა.
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 28 ხმა.
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 180 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 117-123).

ხობის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 5 840 ამომრჩეველმა მიიღო.[101] პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

---

[100] საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 998, ფურცელი 2. ცდომილებაა, აღნიშნული დოკუმენტში არ არის ასახული საჯიჯაოს საარჩევნო კომისიის მიერ 8 ბათილად ცნობილი ბიულეტენი. მთლიანად საჯიჯაოს საარჩევნო უბნებზე არჩევნებში მონაწილეების სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 101+28+180+8=317, რომ არჩევნებში მონაწილეობა თუ 309 არამედ 317 ამომრჩეველმა მიიღო.

[101] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, აქ არ არის ასახული ნოჯიხევის საარჩევნო კომისიის მიერ 1 და საჯიჯაოს საარჩევნო კომისიის – 8 გაბათილებული ბიულეტენი. ხობის თითოეული საარჩევნო უბანზე არჩევნები მონაწილეთა სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა 327+1197+499+307+760+

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 3 445 ხმა;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 855 ხმა;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 146 ხმა;

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 394 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 1-2**)**.

ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი. 1920 წლისა 25 იანვარს ქალაქ ზუგდიდის საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე – *ილია დადიანი*, მდივანი – *ბაკური ივანეს ძე ჩილაჩავა*, კომისიის წევრები: *გიორგი კედია*, *იასონ მუჯირი*, *სოკრუს კეშელავა*, *ნიკოლოზ დარასელია* და პოლიტიკური პარტიებიდან წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – *სვიმონ ცანავა*; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – *ლევან აფაქიძე*; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – *ანტონ ალანია*; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – *ბესარიონ ჯიქია*. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენების დათვლას 21 საათზე შეუდგა. დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 1 241 ამომრჩეველმა მიიღო. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1 კონვერტში ორი ბიულეტენი აღმოჩნდა. შესაბამისად, საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტენი ბათილად ცნო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 542 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 494 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 43 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 162 ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 47-48).

ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 65 728 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 20 782 ამომრჩეველმა მიიღო.[102] შესაბამისად, მოქალაქეთა აქტივობა – 31,61%-ს შეადგენდა. საარჩევნო კომისიამ 19 ბიულეტენი (ჯვარი – 8 ბიულეტენი, ჭაქვინჯი – 2 ბიულეტენი, ნოჯიხევი – 1 ბიულეტენი და საჯიჯაო – 8 ბიულეტენი) გააბათილა. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა:

334+242+245+243+784+594+317=5849, რომ მთლიანად ხობის საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილეობა არა 5 840 არამედ 5 849 ამომრჩეველმა მიიღო.

[102] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის მაზრის თითოეული საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სტატისტიკური მონაცემების 4066+3471+3055+3159+1241+5849=20841, ასევე ზუგდიდის მაზრაში ოთხივე პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების და ბათილი ხმების 10436+2890+5863+1633+19=20841 დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში მონაწილეობა არა 20 782 არამედ 20 841 (31,707%) ამომრჩეველმა მიიღო.

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 10 436 (50.21%) ხმა;[103]
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 890 (13,90%) ხმა;[104]
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 5 863 (28,21%) ხმა (**სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998 ფ. 2);[105]
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 593[106] (7,66%) ხმა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2; **ზუგდიდის საერობო არჩევნები, 1920:** 3).

ზუგდიდის მაზრიდან, სამაზრო ერობაში 30 ხმოსანი აირჩიეს. თითოეულ საარჩევნო უბანში, პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩეული ხმოსნების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

- **ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანში** 6 ხმოსანი აირჩიეს:
  - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 ხმოსანი;
  - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმოსანი;
  - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი;
  - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმოსანი.
- **ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანში** 5 ხმოსანი აირჩიეს:
  - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 ხმოსანი;
  - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმოსანი;
- **ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანში** 1 ხმოსანი აირჩიეს:
  - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 1 ხმოსანი.
- **წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანში** 6 ხმოსანი აირჩიეს:
  - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 4 ხმოსანი;
  - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმოსანი;
  - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი.
- **წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში** 5 ხმოსანი აირჩიეს:

---

[103] აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში ცდომილებაა, 10436x100:20841=50,074%.

[104] აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელში ცდომილებაა, 2890x100:20841=13,866%..

[105] აღნიშნული დოკუმენტის თანახმად საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ – 5 836 ხმა მიიღო, სტატისტიკური მონაცემის დაჯამებით დადგინდა 913+1234+937+1590+43+1146=5863, რომ მთლიანად ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნებზე, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 5 836 არამედ 5 863 (28,132%) ხმა მიიღო.

[106] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, მთლიანად ზუგდიდის მაზრის თითოეული საარჩევნო უბანზე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა 137+225+512+203+162+394=1633, რომ ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა 1 593 არამედ 1 633 (7,835%) ხმა მიიღო.

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 3 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი.
- ხობის საარჩევნო უბანში 7 ხმოსანი აირჩიეს:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 4 ხმოსანი;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 1 ხმოსანი[107] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 2; **ზუგდიდის საერობო არჩევნები, 1920:** 3**)**.

ზუგდიდის მაზრაში არჩეული ხმოსნების მაჩვენებელი, პოლიტიკური პარტიების მიხედვით, ასეთია:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 16 ხმოსანი;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 9 ხმოსანი;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი[108] **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1068: 26).

ზუგდიდის მაზრაში საერობო ხმოსნებად აირჩიეს: **წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი**: *ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ლეო ქიაჩელი); იოსები ანტონის ძე კვარაცხელია; სამსონი შონია; პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა; იოსებ ივლონის ძე დადიანი; ლეო ანდრიას ძე შენგელაია*; **წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი**: *ერასტი დავითის ძე კაჭარავა; მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა; მიხა ლემონჯავა; ივანე პავლეს ძე გობეჩია; კოწია შენგელია.* **ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი**: *ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა; კაჭუ ნესტორის ძე ჩიქოვანი; ანტონი ოდიშარია; ივლონი ივანეს ძე ოდიშარია; ვლადიმერი ბათას ძე კაკულია; მიხეილი კაკულია*; **ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი***: იასონი ნიკიფორის ძე მუჯირი; ევ-*

[107] განსხვავებული ცნობები აქვს მოყვანილი **აბესალომ ტუღუშს**, რომლის მიხედვითაც, *„სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 16 ადგილი, ესერებმა – 9, ეროვნულ-დემოკრატებმა – 5 და ფედერალისტებმა – 2“* (**ტუღუში, 2012:** 132). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში გასაყვანი ხმოსნების კვოტა იყო 30, ხოლო ზემომოყვანილი ცნობების დაჯამების შედეგად მივიღეთ 32. შესაბამისად, მაზრის არჩევნებში სადაც ხმოსნების რაოდენობა უნდა ყოფილიყო 30 შეუძლებელია აერჩიათ 32 ხმოსანი. ასევე, დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 3 ხმოსანი და არა 5 როგორც ეს ზემოხსენებულ წიგნშია აღწერილი.

[108] განსხვავებული მონაცემები აქვთ მოყვანილი გონელი არახამიას და აბესალომ ტუღუშს, რომლის მიხედვითაც, ზუგდიდის მაზრაში პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმოსნების რაოდენობა ასე იყო გადანაწილებული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 16; საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 9 ხმოსანი (**არახამია, ტუღუში, 2015:** 140). აღნიშნულ მონაცემებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გაყვანილი ხმოსნები რაოდენობა არასწორად არის მითითებული. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არა 5, არამედ 3 ხმოსნის გაყვანა შეძლო.

თიმე სართანია; მიხეილი ივანეს ძე ბერულავა; მიხეილი ხუტუს ძე ცაგურია; ავქსენტი კვარაცხელია; **ხობის საარჩევნო უბანი**: *დიომიდე თოფურიძე, დიმიტრი ივანეს ძე გვასალია; ნესტორი მიხეილის ძე ალანია; მიხა ივანეს ძე ტურავა; იასონ ვარადებულის ძე აფაქიძე; ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე ბერიძე; კალისტრატე ასლანბერის ძე კობახიძე* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 149-150); *ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი*: *გიორგი ნესტორის ძე ჭედია*.

ამრიგად, ზუგდიდის მაზრაში ჩატარებული საერობო არჩევნები, შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორც დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარებული არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების მიმდინარეობისას დაფიქსირდა გარკვეული დარღვევები, მათ საბოლოო შედეგზე ზეგავლენა არ მოუხდენიათ, შესაბამისად, აღნიშნულ არჩევნებში სამართლიანად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ შეძლო გამარჯვების მოპოვება. 1920 წლის 25 თებერვალს ზუგდიდის მაზრაში ჩატარებული საერობო არჩევნებისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურმა ხელისუფლებამ – 1 548 875 მანეთი დახარჯა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 998: 161-162**)**.

1920 წლის 27 თებერვალს ზუგდიდის მაზრის გამგეობა აირჩიეს. გამგეობის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: გამგეობის თავმჯდომარე – *ლეო ანდრიას ძე შენგელაია.*[109] გამგეობის შემადგენლობა: *ვლადიმერ მოსეს ძე ვეკუა, ანტონ მაქსიმეს ძე ანჯაფარიძე, ვასიკო ბიქტორის ძე მონიავა, ივანე ჯაგუს ძე ბაძაღუა* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1068: 26; **ხორავა, 2021:** 186**)**. ლეო შენგელაიას აღნიშნული თანამდებობა მცირე ხნით ეკავა. 1920 წლის მაის-ივნისში მისი ადგილი *ვლადიმერ ვეკუამ* დაიკავა (**პროვინცია, 1920:** 4; **არახამია, ტუღუში, 2015:** 151**)**.

დამფუძნებელი კრების 1919 წლის 29 დეკემბრის დეკრეტის თანახმად, 1920 წლის 1 ნოემბერს ერობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადა ამოიწურა. ხოლო, 1921 წლის 1 იანვარს ქალაქების თვითმმართველობათა ხმოსნების რწმუნებულების ვადაც ამოიწურა. ქალაქის და ერობების თვითმმართველობათა ხმოსნების ხელ ახალი არჩევნები ორ-სამ თვეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რადგანაც ახალქალაქის მაზრის ერობაში (1920 წლის 4 ივლისი); ახალციხის ქალაქის თვითმმართველობაში (1920 წლის 21 მარტი) და ზუგდიდის მაზრის ერობაში (1920 წლის 25 იანვარს) არჩევნები 1920 წლის განმავლობაში ჩატარდა. შესაბამისად, მათი უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვეში სრულდებოდა. ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ

[109] განსხვავებული ცნობები აქვს მოყვანილი აბესალომ ტუღუშს, რომლის მიხედვითაც: *„ერობის თავმჯდომარედ ისევ ლეო შენგელაია* (ავტორი ამ შემთხვევაში გულისხმობს ლეო მიხეილის ძე შენგელაიას – ლეო ქიაჩელს) *იქნა არჩეული“* (**ტუღუში, 2012:** 132). აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 1920 წლის ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნების შედეგად, ერობის თავმჯდომარედ არა ლეო მიხეილის ძე შენგელაია არამედ, ლეო ანდრიას ძე შენგელაია აირჩიეს.

თვითმმართველობებს უფლებამოსილების ვადა მომდევნო არჩევნებამდე (1923 წლის 1 იანვრამდე) გახანგრძლივებოდათ **(სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 919: 8; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 104**)**.

§2. სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში არსებული წვრილი სასოფლო-საერობო ერთეულები და მათი ფუნქციები

საქართველოში სამაზრო ერობის კონცეფცია ითვალისწინებდა წვრილი ანუ საზოგადოებათა საერობო ერთეულის შექმნას. ამ ფორმით შესაძლებელი გახდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის, გარკვეული ფორმით, მმართველობაში ჩართვა. თითოეულ მაზრაში იმდენი წვრილი ერობა იქმნებოდა, რამდენი სასოფლო საზოგადოებაც არსებობდა მთელ მაზრაში. მაგალითად, სენაკის მაზრაში დაახლოებით 25-30 საერობო წვრილი ერთეული უნდა შექმნილიყო. თითოეული წვრილი ერთეულის არჩევნებში მონაწილეობას, მხოლოდ ამ საზოგადოებაში მცხოვრები ამომრჩევლები მიიღებდნენ. მაგალითად, თეკლათის საზოგადოება შეადგენდა ერთ საერობო ერთეულს და მის ფარგლებში მცხოვრები ამომრჩევლები მხოლოდ მათი საზოგადოების ერობის არჩევნებში მიიღებდნენ მონაწილეობას.

კანონის მიხედვით, თითოეული საზოგადოება 20-30 ხმოსანს ირჩევდა, იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებაში რამდენი მცხოვრები იყო. შესაბამისად, დიდი სოფლის საზოგადოება მეტ ხმოსანს ირჩევდა, ვიდრე პატარა. გადაწყვეტილებას იღებდა ხმოსანთა კრება ანუ ყრილობა. კრება იკრიბებოდა დროგამოშვებით (თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად). ყოველი ახალი კრების დანიშვნა დამოკიდებული იყო უშუალოდ ხმოსანთა კრებაზე. ხმოსნები პირველივე კრებაზე, ფარული კენჭისყრით, მათივე რიგებიდან წვრილი საერობო ერთეულის თავმჯდომარეს ირჩევდნენ. ყრილობას დღის წესრიგში არსებული საკითხების გადაწყვეტა ევალებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა კი საერობო გამგეობას ევალებოდა. აღმასრულებელ ორგანოს ერობის გამგეობა წარმოადგენდა. ერობის ყრილობის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მას ევალებოდა.

ერობის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით ფორმირდებოდა: *თავმჯდომარე და 2 ან მეტი მისი მოადგილე, წვრილი ერობის გამგეობა კი – თავმჯდომარე და წევრები.* მათ მოვალეობას საერობო კრების დავალებების შესრულება წარმოადგენდა. საერობო ხმოსანი, გამგეობის წევრები და ყრილობის თავმჯდომარე სამი წლის ვადით ირჩეოდნენ. გამგეობის მუშაობის მეთვალყურეებად კრება ეგრეთ წოდებულ სარევიზიო კომისიას ირჩევდა. წვრილი საერობო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობაში შედიოდა: *გამგებლობა საერობო გადასახადის, ფულის სახით იქნებოდა იგი თუ ნატურით; წვრილი საერობო ერთეულის თან-*

ხის და ქონების განკარგვა; მოწყობა, შენახვა და შეკეთება ადგილობრივი მნიშვნელობის შარა-გზების და მისი მოწყობილობის (ხიდი, ფონის მოწყობა, თხრილები და სხვა); მოწყობა ცეცხლის მქრობელი რაზმის, ზრუნვა სახალხო განათლებაზე, მოწყობა და შენახვა სკოლების და სხვა განსავითარებელ დაწესებულებათა; ღარიბთა მოვლა, მოწყობა საქველმოქმედო დაწესებულების; მონაწილეობა ადგილობრივი სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებაში; ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ, მინდვრების და ყანების დაცვა; მოსახლეობის იურიდიული დახმარება; საზოგადო წესიერების და სიმშვიდის დაცვა და სხვა **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 953: 10-24**)**.

1919 წლის 15 იანვრიდან სენაკის მაზრაში თემები ყველგან ჩამოყალიბებული იყო. ამ დროისათვის საერობო დებულება თემებისთვის არ არსებობდა, რის გამოც იძულებულნი იყვნენ მეფის რუსეთის მთავრობის მიერ შემუშავებული დებულებებით ეხელმძღვანელათ. რაც შეეხება წვრილი ერთეულის (თემის) ფუნქციონირებას, რასაკვირველია, იყო ნაკლოვანებებიც, რომელიც მეტ-ნაკლებად აფერხებდა საზოგადო მუშაობას. ეს კი, თავის მხრივ, ადგილობრივი ინტელიგენციის არარსებობით და ერთგვარი გამოუცდელობით შეიძლება აიხსნას. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, თემები, როგორც შემაკავშირებელი რგოლი საზოგადოებასა და მთავრობას შორის, იჩენდნენ შესაფერის უნარს და სიბეჯითეს. ეკონომიკური თვალსაზრისით კი მეტად შებოჭილები იყვნენ. მათ არ ჰქონდათ საკუთრივ საკმარისი თანხა, რომ მათთვის დაკისრებული მოვალეობები სრულფასოვნად შეესრულებინათ.

სენაკის მაზრაში თემის გამგეობები შემდეგ სოფლებში არსებობდა: *„ძველი სენაკი – კოტიანეთი, სორტა, საჩიქობავო; გეჯეთი – წყემი ნახევარი; ეკი – საწულეისკირო, უფალისკარი; თეკლათი – ნატოჩავო, ძონძირი, გოლასკური, სახარბედიო, შხეფი, ისულა, ტყირი და რეკა; ჭალადიდი – საღვამიჩაო, საჩოჩუო, საჯოლიო; აბაშა – კოდორი; კვათანა – კაპანა, მაცხოვრის-კარი, ნოღოხაში, რობა, საჩოჩიო* (აბაშისპირი)*, საკაჭარავო; სუჯუნა – საგვაზავო, ზანათი, საბოკუჩავო; ნოსირი – წყემი ნახევარი; ნაესაკოვო – ეწერი, პირელი კოდორი, ტყვირი, ცილორი, მეორე კოდორი, ეკალი, კორგისუბანი; სამიქავო – გეზათი, გულუხეთი, გუგუნაყათი, ქოლობანი, მაიდანი, ბულვანი; მარანი – გოუწყინარი, მეორე გუგუნაყათი, პირველი ილორი, მეორე ილორი, თხმენარი, ქვიშანჭალა; ონტოფო; სეფიეთი-ორკა; მარტვილი – ნახარებოვო, ლეციცხვაიე, ინჩხური, ნილეფხოვო, საელიავო; ნაგვაზავო – ხუნწი, სუხჩე, ნოჯიხევი; თამაკონი – გურძემი, ნამკოლოვო, თარგამაული; კინჩხა – გორდი, რონდიში, ღვედი, დიდღვაბუნა, ჟუშკი, მეორე ნოღა, სუმაჭახა; ნახუნავოს – ბომბითი, სერგიეთი; კიწია – ალავერდი, პირველი ნოღა; სალხინო – ვალდა, მეორე ეწერი, ჟინოტა, ლებაჩე, ლეცავე, ნაბულევი, ოჩე, ჩაჩსური, სკურდი; კურზუ – გალი, გოდოგანი, დაგვანა; ბანძა – ვედიდკარი, მუხურჩა;*

ლეხაინდავო-ონოღია – ნაჟახოვო, ნაგიბეროვო; უშაფათი; ფოცხო – მოხაში, ნასაჯუ, ლეგოგიე, ლესაჟე; ნოქალაქევი – ბეთლემი; ჯოლო-აბედათი – ყვაუთი; ლეძაძმე; ზემო ჭალადიდი – სირიაჩქონი, საქორქიო, საგვიჩიო, და ჭალადიდის მუხური" **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1083: 14-17**)**.

1920 წლის 14 თებერვლის მონაცემებით, ზუგდიდის მაზრაში თემები ჩამოყალიბებული იყო. მათი რიცხვი 45-ს შეადგენდა **(ახალი ამბები. ერობათა, 1920:** 3**)**. სათემო მმართველობის ნაკლოვანებას, სოფლად გამოცდილი კადრების სიმცირე წარმოადგენდა. იყო თვითნებობის შემთხვევებიც. მაგალითად: *გადასახადის გაწერა სურსათ-სანოვაგეზე, უკანონო დაჯარიმება და სხვა*. რადგანაც ზუგდიდის მაზრაში ბევრი თემი იყო, ჯერჯერობით სამაზრო ერობა ყველას მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. მძიმე იყო, თემების ეკონომიკური მდგომარეობაც. სანამ კანონმდებლობით თვითმმართველობათა უფლებები და კერძოდ, სათემოც განსაზღვრული არ იქნებოდა, მანამდე ძნელი იყო თემების მოწყობა და მათი განსაზღვრულ უფლებრივ კალაპოტში ჩაყენება.

ზუგდიდის მაზრაში შემდეგი თემები არსებობდა: *აბასთუმანი; ანაკლია; ახუთი; ახალი ხიბულა; ხაბუმე; ქარიატა; კორცხელი; ჭკადუაში; ხობი; ნოჯიხევი; ნიკოსია; ხიბულა; ხეთა; საჯიჯაო; ლია; ყულიშკარი; ნარაზენი; რიყე; ჭაქვინჯი; დარჩელი; დიდინეძი; ხორგა; კახათი; ლესიჭინე; ობუჯი; მუხური; ჯგალი; კირცხი; ჩხოროწყუ; კოკი; ზუგდიდი; ზანა; ლეწურწუმე; ჭოღა; ჯოღეჯიანი; ჭალა; ფახულანი; ხორში; ჯვარი; ცაიში; ქვალონი; ნაფიჩხოვო; შუა ხორგა; ორულუ-ერგეტა; წალენჯიხა* **(სეა სცა,** ფ. 1863, ა. 1, ს. 1083: 25-26; **სეა სცა,** ფ. 1921, ან. 1, ს. 152: 1-3).

§3. სენაკისა და ზუგდიდის მაზრების ერობების საქმიანობის ანგარიში (1918-1919 წწ.)

1919 წლის ოქტომბერში სენაკის მაზრის ერობის გამგეობამ საქმიანობის ერთი წლის ანგარიში წარადგინა.[110] ერთი წლის განმავლობაში სენაკის მაზრაში თავი იჩინა ისეთმა გადამდებმა ვირუსულმა დაავადებებმა, როგორებიც იყო: *„ისპანკა",*[111] *„პარტახტიანი ტიფი",*[112] *„ყვავილი",*[113] *„დიფტერია"*[114] და სხვა. შესაბამისად, ერობის გამგეობა ვალდებული

[110] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირველი საერობო კრება სენაკის მაზრაში 1918 წლის 15 სექტემბერს ჩატარდა **(ახალი ამბები. ახალ, 1918:** 3**).**

[111] **ისპანკა** – ვირუსული მომაკვდინებელი გრიპი, რომელიც მსოფლიოს 1918 წელს მოედო. ევროპაში მისი გავრცელება პირველად ესპანეთიდან მოხდა. ვირუსის სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს.

[112] **პარტახტიანი ტიფი** – ეპიდემიური ინფექციური დაავადება. იგი ხასიათდება ციკლური მიმდინარეობით, ცხელებით, სპეციფიკური ეგზანთემით, ცენტრალური ნერვული სისტემისა და სისხლძარღვების დაზიანებით.

[113] **ყვავილი** – მძიმე, მწვავე ვირუსული დაავადება. გამოხატულია გამონაყარით, სიმპტომებია: მაღალი ცხელება, თავბრუსხვევა, თავის და ზურგის ტკივილი, ზოგჯერ მუცლის ტკივი და ღებინება.

[114] **დიფტერია** – მწვავე ინფექციური დაავადება. იგი ხასიათდება ფიბროზული ანთებით დაზიანებულ ადგილებში.

იყო ამ დაავადებებთან ეფექტური ბრძოლა ეწარმოებინა. ექიმ *გოპაძესგან* მიღებული ეკონომიკური დახმარებით შესაძლებელი გახდა 25 საწოლიანი *„პანტახტიანი ტიფით“* დაავადებულთათვის ცალკე განყოფილების შექმნა. ყვავილის ეპიდემიის გამო, ერობამ ასაცრელი ვაქცინა შეიძინა, რითაც მაზრის მოსახლეობა აცრა. დიფტერიასთან საბრძოლველად შრატი შეიძინა. ასევე, შეიქმნა სანიტარული რაზმი. ისინი მთელი მაზრის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ და ავადმყოფობას ადგილზე, საველე პირობებში ებრძოდნენ. საჭიროების შემთხვევაში დეზინფექციასაც ახდენდნენ.

ყოველივე ზემოთ ხსენებულის პარალელურად სენაკის ერობამ შეძლო: ქალაქ ახალ სენაკში 20 საწოლიანი სამაზრო საერობო საავადმყოფოს გახსნა. ასევე, *შეიქმნა ოთხი სამკურნალო პუნქტი აბაშაში, ბანძაში, ნაოღალევში და ნოქალაქევში; ოთხი საექიმო ამბულატორია – ძველ სენაკში, სალხინოში, გორდში და ფოცხო-უშაფათში; საფერშლო რვა პუნქტი – ჭალადიდში, სუჯუნაში, აბაშაში, დიდი გეზათში, სეფიეთში, ეკში, კიწიაში და კურზუში* და *3 საბეითლო პუნქტი – სენაკში, აბაშაში* და *ნაოღალევში, სამი ექიმით – ბეითალით* და *ამდენივე ფერშალით* ფუნქციონირებდა.

სენაკის საბეითლო უბანი ტექნიკურად საკმაოდ მაღალ დონეზე იყო აღჭურვილი. მათ ჰქონდათ როგორც მედიკამენტები, ასევე ქირურგიული იარაღები. მაზრაში სააფთიაქო სისტემა სრულიად მოუწესრიგებელი იყო. იგი სპეკულაციის ბუდეს წარმოადგენდა. ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, ერობამ მაზრაში არსებული თითოეულ საავადმყოფოსთან უფასო აფთიაქები გახსნა. აქ პირველადი დახმარების საშუალებები და მედიკამენტები მოიპოვებოდა. ერობამ ამავდროულად შეძლო, *ბანძის საზოგადოების დახმარებით, ადგილობრივი აფთიაქის შეძენა*. ხოლო 1918 წლის 1 ნოემბრიდან *ლეძაძამის აფთიაქიც ერობის გამგებლობაში გადავიდა*. სენაკის მაზრაში საექიმო დახმარება როგორც ფასიანი, ასევე უფასო იყო: ყოველდღე, *დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე საავადმყოფოში ავადმყოფების გასინჯვა და მკურნალობა უფასოდ მიმდინარეობდა.* სხვა დროს თანხას თავად პაციენტი იხდიდა **(სენაკის სამაზრო ერობაში, 1919:** 59-60**)**.

ადმინისტრაციის ერობის მმართველობაში გადმოსვლისთანავე: *„ყველა საეჭვო პირი დათხოვილ იქნა; საზოგადოებებში კომისრების თანამდებობა გააუქმეს და მათი ფუნქციების შესრულება ადგილობრივ ერობის გამგეობას დაევალა; სამის ნაცვლად ექვსი სამილიციო უბანი იქნა შემოღებული; მილიციის პირადი შემადგენლობა გაძლიერებულ იქნა* და *ხელფასები გაეზარდათ“.* ერობამ ყურადღება მაზრის აგრონომიულ და ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებასაც დაუთმო. ამისათვის მათ გამგეობასთან სათანადო განყოფილება დააარსეს. მათ მოსიარულე ინსტრუქტორები დაიქირავეს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აძლევდნენ დარიგებებს და განმარტებებს, თუ რა ჯიშის ხეხილისთვის, ან

მცენარისათვის, როგორ უნდა მოევლოთ. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აგრონომის ინსტრუქტორები *„სინემატოგრაფის“* (კინემატოგრაფის) აპარატით დადიოდნენ მთელი მაზრის ტერიტორიაზე და მოსახლეობას სათანადო ლექციებს უკითხავდნენ.

სენაკის ერობის გამგეობამ ბუნებისა და ნიადაგის შესასწავლად შეიძინა მეტეოროლოგიური სადგურები, რომელიც *ძველი სენაკის* და *თამაკონის სამეურნეო სკოლებთან* *დაამონტაჟეს*. ასევე საფეიქრო სახელოსნოები *ლეხაინდრაო-ონოღიაში* და *ახალ სენაკში* *მოეწყო*. სენაკის მაზრაში ტექნიკურმა განყოფილებამ 1918 წლის 22 ოქტომბერს დაიწყო ფუნქციონირება. ამ დღიდან მათ შეძლეს მოეწყოთ ტექნიკური განყოფილებისათვის *კანცელარია; ჰყავდათ საქმის მწარმოებელი; „მოანგარიშე“* და *მანქანაზე მომუშავე; ჰქონდათ საანგარიშო წიგნებიც. წარმოებდა დილიჟანსის მოძრაობა ახალ სენაკსა და ნოქალაქევს შორის*. ამავე წლის 28 ოქტომბერს *საქსოვი* და *საოსტატო სახელოსნოები გაიხსნა. 20 დეკემბრიდან კი აბაშა–ბანძასა* და *ახალ სენაკ–ზუგდიდს* *შორის ავტომობილების მოძრაობა დაიწყო.*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ადგილობრივი სკოლები ერობებს გადაეცათ **(სონღულაშვილი, 2021:** 26**)**. შესაბამისად, სენაკის მაზრაში საერობო სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, აქ არსებული ყველა სკოლა ერობის გამგეობის ბალანსზე გადავიდა. 1919 წლის მაისის მონაცემებით, არსებული სკოლების რიცხვი 103-ს შეადგენდა. მათგან *სასწავლო ჰროცესის საწარმოებლად შესაფერ მოთხოვნებს, მხოლოდ 5% აკმაყოფილებდა; 22%-ს ესაჭიროებოდა შეკეთება, 50% სასწავლო ჰროცესის საწარმოებლად სრულიად შეუსაბამო იყო, ხოლო 13%-ს საკუთარი შენობა საერთოდ არ გააჩნდა* და *ისინი განთავსებულნი იყო სხვადასხვა ადგილას.*

ერობის მიერ სკოლის ახალი შენობები *ქვედა თეკლათში, ბეთლემში, წყემში, ონტოფოში, ნაესაკოვოში, კოდორში, ქოლობანში, გურძემში, უფალის კარში* და *ფოცხოში* *აშენდა.* ასევე ოციოდე სკოლის შენობა ისე შეკეთდა, რომ იქ სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელი გახდა. სენაკის მაზრა კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ საერობო გამგეობამ ქ. სენაკში საოსტატო სემინარია დააარსა, სადაც 32 ახალგაზრდა სწავლობდა **(სენაკის სამაზრო, 1919:** 62**)**. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერობამ საზაფხულო კურსები შემოიღო, სადაც 60 მასწავლებელი გადიოდა მომზადებას. გარდა ამისა, ქალაქ ქუთაისში გახსნილ კურსებზე 12 მასწავლებელი გააგზავნეს, რომლებმაც მასწავლებლის შესაბამისი ხარისხი მიიღეს და ადგილებზე დაინიშნნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავდა საყოველთაო განათლების კანონი, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ხუთი წლის მანძილზე. აღნიშნული კანონის მიხედვით, სენაკის მაზრაში 40-48 ახალი პირველ დაწყებითი სასწავ-

ლებელი უნდა გახსნილიყო, მაშასადამე, ყოველწლიურად 9 პირველდაწყებითი სასწავლებელი. 1919 წელს კი ერობის გამგეობამ შეძლო 10 პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნა *ქვედა თეკლათში, ძონძირში, საჩიქობავოში, ფოცხოში, ჟინოთაში, თარგამოულში, ზედა კინჩხაში, სუხჩეში, ბულვანში* და *ღვედში*. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ერობის გამგეობის მიერ ძველ სენაკსა და თამაკონში ორი სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნა, ხოლო ლეხაინდავო-ონოღიის საზოგადოებაში კი – საფეიქრო სასწავლებელი და ქალაქ სენაკში – საოსტატო სემინარია. 1919-1920 სასწავლო წლებში სენაკის მაზრაში 112 პირველდაწყებითი სასწავლებელი, 13 უმაღლესი დაწყებითი, 2 სამეურნეო, 1 საფეიქრო და 1 სემინარია ფუნქციონირებდა.

სენაკის მაზრის ერობის გამგეობამ შემდეგი გზებისა და ხიდების შეკეთება განახორციელა. ნოქალაქევის საზოგადოებაში, ყველა ხიდი და ბოგირი სენაკი-მარტვილის გზაზე შეკეთდა; ასევე შეკეთდა ძველი, მეორეხარისხოვანი სასოფლო გზა ოთხ ადგილას, რომელიც ნოქალაქევს აბედათთან აკავშირებდა. აბაშის საზოგადოებაში შემდეგი გზები და ხიდები შეკეთდა: პირველხარისხოვანი გზა, მდინარე ზანიდან ონტოფოს საზღვრამდე – სამი ვერსის სიგრძის, რომელიც აბაშას ონტოფოს საზოგადოებასთან აერთიანებდა; ბურდღუ ნოდიას ჭიშკრიდან დაწყებული პირველი ონტოფოს საზღვრამდე – ოთხი ვერსის სიგრძის გზა, რომელიც ონტოფო-კვათანის საზოგადოებებს აკავშირებდა; საგამსახურდიოს გზა მდინარე ზანიდან მაცხოვრის კარის საზღვრამდე – სამი ვერსის სიგრძის, რომელიც აბაშას კვათანის საზოგადოებასთან აკავშირებდა; სოფელ კოდორის, სეფიეთიდან აბაშის საზღვრამდე – 3 ვერსი სიგრძის გზა, რომელიც აბაშას და კოდორს სეფიეთთან აერთებდა; კოხთა პეტრენავას ეზოდან დაწყებული კაპანის საზღვრამდე – 2 ვერსი სიგრძის გზა, რომელიც შუა სოფელს კვათანის საზოგადოებასთან აკავშირებდა; აბაშის კანცელარიიდან დაწყებული მარტვილის გზატკეცილამდე, 2, 1/2 ვერსის სიგრძის გზა, რომელიც აბაშას კაპანასთან (კვათანის საზოგადოება) აკავშირებდა. კვათანის საზოგადოების ყველა მთავარი და სასოფლო მნიშვნელობის გზა შეკეთდა. პარალელურად აქ 22 ბეტონის ხიდი აშენდა. უშაფათის საზოგადოებაში 4 საჟენის სიგრძის *მთავარი გზა ნოქალაქევის აბანოდან უშაფათის სამმართველომდე გაიყვანეს; უშაფათის სამმართველოდან ეს გზა სამ შტოდ იყოფოდა და ლესიჭინის, ზანას და ეკის საზოგადოებას აკავშირებდა.* შეკეთდა ასევე სოფლის გზები.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ განახორციელა გეგმა, რომლის მიხედვითაც ყოველ საზოგადოებას თავისი ტელეფონის ხაზი უნდა ჰქონოდა. *მათ მთავარი ცენტრალური სადგური სამაზრო გამგეობაში დაეარსეს, ხოლო ქვესადგურები აბაშაში, ბანძაში, ნაოღალევში, ნოქალაქევში* და *ძველ სენაკში ააშენეს*. სამწუხაროდ, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ მაზრისთვის საჭირო რაოდენობის ტელეფონის აპარატის მიწოდება ვერ შეძლო. მიუხედა-

ვად ამისა, ერობამ დასახული მიზნის განხორციელება მაინც შეძლო და მან კერძო პირისაგან 17 ტელეფონის აპარატი შეიძინა. სენაკის ერობის გამგეობამ საკუთარ შენობაში სახელოსნო მოაწყო. აღნიშნული სახელოსნოსათვის საზეინკლო, სამჭედლო, სადურგლო იარაღები და დაზგები შეიძინეს **(სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 131: 8-9; **სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 953: 1-2; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 942: 35-75).

1919 წელს ზუგდიდის მაზრაში ერობის გამგეობის ადმინისტრაცია შეიქმნა. საწყის ეტაპზე მაზრის გამგეობამ ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასებით დაკმაყოფილება ვერ შეძლო, რამაც მექრთამეობას გაუხსნა ხელ-ფეხი. 1919 წლის დასაწყისისათვის გამგეობამ ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასებით დაკმაყოფილება შეძლო, რამაც მაზრაში გამეფებულ მექრთამეობას ბოლო მოუღო. ზუგდიდის მაზრის უსაფრთხოებას 120 მილიციელი იცავდა, მაგრამ ეს რაოდენობა ძალიან მცირე იყო იმ საფრთხესთან შედარებით, რაც მაზრას ემუქრებოდა (ბოლშევიკური აჯანყება და სხვა).

მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, ზუგდიდის მაზრის გამგეობამ შეძლო ცენტრალური ქირურგიული 20-საწოლიანი საავადმყოფოს გახსნა. მაზრაში ასევე ფუნქციონირებდა წალენჯიხის, ხობის და ჩხოროწყუს საავადმყოფოები. ერობამ შავი ზღვის რკინიგზის საავადმყოფო გადმოიბარა. აღნიშნული საავადმყოფოები ექიმების ნაკლებობას განიცდიდნენ. გამგეობის გადაწყვეტილებით, იმ ადგილებში, სადაც საავადმყოფოები ფუნქციონირებდნენ, აუცილებლად აფთიაქებიც უნდა აშენებულიყო. ხოლო თუ საავადმყოფოების სიახლოვეს ვინმეს კერძო აფთიაქი ჰქონდა, მათი კონფისკაცია გამგეობის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო.

გამგეობამ ასევე შეძლო, ზუგდიდი-ანაკლიის გზის შეკეთება, ასევე მოხერხდა ტელეფონის ხაზების მთელ მაზრაში გაყვანა. მაზრაში არ იყო რკინიგზა. ამიტომ ის მოკლებული იყო იმ ეკონომიკური შემოსავლის წყაროს, რომლითაც სხვა მაზრები სარგებლობდნენ, სადაც რკინიგზა იყო გაყვანილი **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 977: 200-201). ამიტომაც ერობამ მიზნად დაისახა მაზრაში რკინიგზის გაყვანა **(სეა სცა,** ფ. 1921, ან. 1, ს. 17: 4-70; **სეა სცა,** ფ. 1921, ან. 1, ს. 345: 29**)**. 1918 წლის 6 დეკემბერს ზუგდიდის მაზრაში რკინიგზის გაყვანის საკითხზე მსჯელობა დაიწყო. ქართულ ტექნიკურ საზოგადოებაში ინჟინერმა *ბესარიონ ალექსის ძე ჭიჭინაძემ* წაიკითხა მოხსენება თემაზე: *„ახალი სენაკი–ზუგდიდის რკინიგზა“.* მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინჟინრებმა: *ეპიფანე ნესტორის ძე ალშიბაიამ, ვასილ მიხეილის ძე კაკაბაძემ, მ. კრანცმა, პეტრე გრიგოლის ძე მამრაძემ, ისიდორე ივანეს ძე სტურუამ* და *სხვებმა.* საბოლოოდ გამოტანეს შემდეგი რეზოლუცია: *„შავი ზღვის სანაპირო რკინიგზას ფართო სატრანზიტო მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არ შეიძლებოდა მსგავსი პროექტის პატარა ქალაქების ადგილობრივ ინტე-*

რესებზე მორგება. შესაბამისად, შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის ლიანდაგის ზუგდიდამდე მიყვანა უარყოფილ იქნა“ **(ზუგდიდის, 1918:** 4; **ტუღუში, 2012:** 67**)**

1919 წლის 21 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტის დირექტორმა *ჭიჭინაძემ* გააკეთა მოხსენება, სადაც ასახული იყო ყველა ის ხარჯი, რომელიც საჭირო იქნებოდა ხეთიდან ზუგდიდამდე ლიანდაგის გასაყვანად: *„ლიანდაგის მოწყობა – 1 805 000 მანეთი; ხელოვნური შენობანი – 1 030 250 მანეთი; ზედნაშენი – 2 345 250 მანეთი; ლიანდაგის მოწყობილობა – 8 250 მანეთი; ტელეგრაფი – 79 000 მანეთი; დარაჯთა სახლები, ყაზარმები და გადასავალი ადგილები – 60 000 მანეთი; სადგურის მოწყობილობა – 707 500 მანეთი; წყალსადენი – 100 000 მანეთი; სადგურის კუთვნილებანი – 71 000 მანეთი; საადმინისტრაციო და საზოგადო ხარჯები – 1 047 000 მანეთი; სახელმწიფო კონტროლის შენახვა – 60 000 მანეთი.* ***სულ ჯამი*** *- 7 314 250 ან 7 315 000 მანეთი“* **(სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 16: 9-10). 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ სენაკი-ზუგდიდის რკინიგზის ხაზის გასაყვანად გათვალისწინებული *ხარჯთაღრიცხვა 2 560 000 მანეთით გაიზარდა* **(სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 114: 4).

1920 წლის 13 მარტს ქალაქ ზუგდიდის მოურავმა ილია დადიანმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზათა მინისტრს გაუგზავნა მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნული იყო: *„სრულიად გასაგებია ის მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელშიც იმყოფება რესპუბლიკა. ახალ მიმართულებაზე – ზუგდიდისაკენ კი საჭირო იქნება ახალი ლიანდაგის გაყვანა. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ სახელმწიფო, რომელიც თავისი მომავალი არსებობის ხანას დღეობით და თვეობით არ ითვლის, არამედ საუკუნეებით, არ მოერიდება ცოტაოდენ ზედმეტ ხარჯს, როცა ის საფუძველს უყრის თავისი ერის მომავალ ეკონომიურ აღორძინებას, მით უფრო, როდესაც ამის საჭიროებას გრძნობს ერი და არ იშურებს შრომას და გონებას ამ საქმეში რესპუბლიკას დახმარება გაუწიოს“.* თავის მხრივ, ქალაქის გამგეობა იღებდა ვალდებულებას რკინიგზის ზუგდიდში შემოსაყვანად ქალაქის მაცხოვრებლებისათვის სავალდებულო გადასახადი დაეწესებინა. გაწერილი გადასახადი ორ მილიონ მანეთს შეადგენდა. ეს თანხა საკმარისი იყო ქალაქ ზუგდიდამდე ლიანდაგის გასაყვანად. ამიტომ აღნიშნული თანხა მთავრობას გადაეცემოდა **(სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 102: 24-26**)**.

1920 წ. 22 აპრილს ქ. ზუგდიდის საბჭოს სხდომამ ქალაქ ზუგდიდში რკინიგზის შემოყვანის შესახებ ორი ვარიანტი განიხილა: *„პირველი ამაშუკელის – რომელიც 6 266 000 მანეთი ჯდებოდა და მეორე – შავი ზღვის რკინიგზის კომპანიის ვარიანტი, რომელიც 4 185 000 მანეთი ჯდებოდა“.* აღნიშნულ სხდომაზე ამაშუკელის ვარიანტი აღმოჩნდა მისაღები. ამაშუკელის ვარიანტის განსახორციელებლად საჭირო თანხის გადახდას ზუგდიდის გამგეობა თვითონ იღებდა თავის თავზე **(სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 102: 48-49; **სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1,

ს. 55: 5). 1920 წლის 22 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გზათა დეპარტამენტში განიხილეს ახალი სენაკიდან ზუგდიდის მიმართულებით რკინიგზის გაყვანის ზემოხსენებული ორივე ვარიანტი. მათ შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება მიიღეს: *„უპირატესობა მიენიჭა შავი ზღვის სანაპირო რკინიგზის საზოგადოების ვარიანტს* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 879: 318-328; **სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 102**:** 3-11-51). 1920 წლის 2 ნოემბერს ქალაქ ზუგდიდის საბჭომ გამგეობის და რკინიგზის კომისიის შეერთებული სხდომის ოქმი *„ქალაქ ზუგდიდში რკინიგზის შემოყვანის შესახებ“* განიხილა. საბოლოოდ მათ მთავრობის მიერ მოწონებული ვარიანტი მიიღო **(სეა სცა,** ფ. 1880, ან. 1, ს. 55: 20**).**

საბოლოოდ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზუგდიდის და სენაკის ერობის გამგეობამ, ფუნქციონირება მეტად რთულ პირობებში დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახლად შექმნილი იყო და არ არსებობდა ერობისთვის ცალკე აღებული სახელმძღვანელო კანონი. მაზრა კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიდა, ყოველივე ამას დაემატა ბოლშევიკების აჯანყება და სრული ანარქია. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ერობის რთული ეკონომიკური მდგომარეობა – დასახული გეგმების განსახორციელებლად საჭირო სახსრების უქონლობა. მაზრის ეკონომიკა სრულად მიბმული იყო სახელმწიფოსგან მიღებულ სესხებზე და მათ მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებულ მოგებაზე. მიუხედავად მსგავსი სირთულისა, ერობამ შეძლო დროის მცირე მონაკვეთში მაზრაში ისეთი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა, როგორებიცაა: ეპიდემიასთან ბრძოლა, საექიმო-სასანიტარო საკითხების მოგვარება, გზების და კომუნიკაციების მოწესრიგება, განათლების სისტემის მოწესრიგება, აგრონომიული საკითხების გადაჭრა და სხვა.

§4. კერძო საკუთრების კონფისკაცია სენაკის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში და ქ. ფოთში (1919-1920 წწ.)

1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, მთავრობას ეძლეოდა უფლება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იძულებით ჩამოერთვა კერძო მესაკუთრეებისთვის უძრავი ქონება. ცენტრალურმა მთავრობამ ადგილობრივ დონეზე ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობებს აღნიშნულით სარგებლობის უფლება მისცა. მათი გადაწყვეტილება კი შეთანხმებული და სანქცირებული უნდა ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლებისგან **(სეა სცა,** ფ. 1833, ან. 1, ს. 15: 4-5).

1919 წლის 9-11 დეკემბერს სენაკის მაზრის გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელსაც *გიორგი მაღნარაძე თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: ლავრენტი გეგენავა; ვალი-*

კო მონიავა; იპოლიტე ჩხეტია; ბესარიონ დუნდუა; გრიგოლ თოფურიძე; ლუარსაბ მიქაძე; ალექსანდრე კორძაია; ლევან დარციმელია; ილია პლოხორეს ძე ხაჟომია; კოსტა პირტახია; ისიდორე ადამია; ან. კიზირია; გიორგი მაღნარაძე; ევგენი ფულარია; ევროპი როგავა; პ. ქობალავა; ისდორე პერტია; ლუკა დავითაია; ვლადიმერ ხოფერია; ბარნაბა პავლეს ძე ძველაია; ალექსანდრე ცანავა; გრიგოლ ცეკვაშვილი; გიორგი ლავრენტის ძე ბოკერია; ვლადიმერ დემურია; აკაკი ფიჩხაია; ვ. გადილია; ბიქტორ ხარბედია და ისიდორე მალანია.

სხდომაზე განიხილეს ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) იძულებითი ჩამორთმევის საკითხი. მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამგეობის თავმჯდომარემ ისიდორე მალანიამ გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამაზრო ერობას სხვადასხვა განყოფილებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მოსათავსებლად შენობები და ადგილები ესაჭიროებოდა. თავის მხრივ, სენაკის ერობას მათ დასაქირავებლად ეკონომიკური რესურსი არ გააჩნდა, ამიტომ, იძულებული იყო კერძო მესაკუთრეებისთვის უძრავი ქონება ჩამოერთვა. სენაკის ერობის მიერ კონკრეტული პირებისთვის ჩამორთმეული ქონება გამოიყენებოდა შემდეგი დანიშნულებისთვის: ამბულატორიის და სამაზრო აფთიაქის მოსაწყობად; ჩამორთმეული მიწის ფართობზე სახალხო სახლის, აბანოს და სამაზრო საავადმყოფოს ასაშენებლად, სამაზრო მილიციის სამმართველოს და მისი რეზერვის მოსათავსებლად და სხვა.

აღნიშნულ სხდომაზე სენაკის ერობის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ქონება ჩამოერთვათ ცალკეულ პირებს:

- *მაკარ ვასკოვსკის – 502 საჟენი*[115] *მიწის ფართობი, ერთსართულიანი სახლი.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით აკაკის ქუჩა, დასავლეთით გიორგი მაღნარაძის და პავლე გრიგოლაიას მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – სახელმწიფო ხაზინის შენობა და სამხრეთით ალექსი ჭანტურიას და გრიგოლ ბენდელიანის მიწის ფართობი.* ქონება 36 000 მანეთად იყო შეფასებული. ამ სახლში ერობას უნდა განეთავსებინა ამბულატორია და სამაზრო აფთიაქი.
- *ალექსანდრე ბესარიონის ძე მხეიძეს კუთვნილი 250 საჟენი მიწის ფართობი, ხუთოთახიანი ქვის დუქნით.* ქონება 20 000 მანეთად იყო შეფასებული.
- *გიორგი ქავთარაძეს, 100 საჟენი მიწის ფართობი*. ქონება 150 მანეთად იყო შეფასებული.

[115] **საჟენი** – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებულებით საჟენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით ან 84 დიუმით. ეს უდრიდა 3 არშინს (71,12 სმ) ან 48 ვერშოკს (213, 36 სმ). საჟენისაგან წარმოებულია კვადრატული საჟენი (უდრიდა 9 კვადრატულ არშინს) და კუბური საჟენი (უდრიდა 27 კუბურ არშინს).

- *ივანე ზესაშვილს და ბესარიონ კოკაიას 100 საჟენი მიწის ფართობი.* ქონება 150 მანეთად იყო შეფასებული.
- *პეტრე დგებუაძეს 36 საჟენი მიწის ფართობი, რომელზეც ერთოთახიანი დუქანი იყო განთავსებული, ქონება* 20 000 მანეთად იყო შეფასებული.[116]
- *გიორგი ჩიჩუას 700 საჟენი მიწის ფართობი.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – გიმნაზიის ქუჩა, დასავლეთით – ივანე გაბუჩიას მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – გიორგი გამზარდიას მიწის ფართობი და სამხრეთით – ღელე.* ქონება 100 მანეთად იყო შეფასებული. აღმოჩნდა, რომ გიორგი ჩიჩუასთვის ჩამორთმეული მამული სინამდვილეში ივლიტა ჩიჩუას საკუთრებას წარმოადგენდა, რისი დამადასტურებელი საბუთიც მან წარადგინა კიდეც.
- *გიორგი ცაავას კუთვნილი 350 საჟენი მიწის ფართობი, რომელზეც ორსართულიანი ხუთოთახიანი სახლი და სხვა საოჯახო შენობა-ნაგებობები იყო განთავსებული.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – გიმნაზიის ქუჩა, დასავლეთით – ნიკო დგებუაძის მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – მიხეილ დემურიას მიწის ფართობი და სამხრეთით – ჭავჭავაძის ქუჩა.* ქონება 15 000 მანეთად იყო შეფასებული. აღმოჩნდა, რომ გიორგი ცაავასთვის ჩამორთმეული ქონება ეკუთვნოდა ექიმ კონსტანტინე ადამიას. მან წარმოადგინა სათანადო ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ აღნიშნული ქონება მან 5 დეკემბერს აუქციონზე 100 000 მანეთად შეიძინა. ერობას ზემოთ ხსენებული შენობა სამაზრო მილიციის სამმართველოსა და მისი რეზერვის განსათავსებლად ესაჭიროებოდა.
- *სოლომონ სვანიძეს 1 050 საჟენი მიწის ფართობი, მასზე განთავსებული ოთხოთახიანი ქვის შენობითა და პარკის საშრობით.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – ეგნატე ხუნწარიას და მურზა კოღოშვილის მამულები, დასავლეთით – პეტრე დგებუაძის და მიხეილ ფაჩულიას მამულები, ჩრდილოეთით – ზუგდიდი–ორპირის ქუჩა და სამხრეთით – ალექსანდრე ფარულავას მამული.* ქონება 24 000 მანეთად იყო შეფასებული. ერობას ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე სასურსათო საწყობის მოწყობა სურდა.
- *დავით და ერასტი მხეიძეებს 10 190 საჟენი მიწის ფართობი, რომელზეც განთავსებული იყო თორმეტოთახიანი თუნუქით გადახურული ქვის შენობა, ორი ქვის*

[116] ზემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის (გარდა მაკარ ვასკოვსკისა) ჩამორთმეულ მიწის ფართობზე ერობას სახალხო სახლი უნდა აეშენებინა.

ფრილერი 6 ოთახიანი, აგურით აშენებული სამზარეულო და ორი სასიმინდე. აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – დავით აღმაშენებლის ქუჩა, დასავლეთით – ღელე, ჩრდილოეთით* – შოთა *რუსთაველის ქუჩა და სამხრეთით რკინიგზის ლიანდაგი.* ქონება 10 000 მანეთად იყო შეფასებული. ერობას აღნიშნულ ტერიტორიაზე საოსტატო სემინარიის მოწყობა უნდოდა.

- *გიორგი ცაავას 1 841 საჟენი მიწის ფართობი.* ქონება 500 მანეთად იყო შეფასებული.
- *ბესარიონ კოკაიას და ივანე ზესაშვილის ორ-ორი ქცევა მიწის ფართობი.*[117] ქონება 300 მანეთად იყო შეფასებული **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 14, 68-69**).**

ზემოთ ხსენებულმა თითოეულმა მოქალაქემ, რომელთა ქონების კონფისკაციის გადაწყვეტილება სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო, სათანადო თხოვნის წერილით მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს. წერილში ისინი ითხოვდნენ, არ ჩამორთმეოდათ კუთვნილი ქონება **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 1-6, 9-13)

1920 წლის დასაწყისში სენაკის მაზრის ერობის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის ტერიტორიაზე არსებული ქონების კონფისკაციის შესახებ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა განიხილა. შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი შინაარსის განკარგულება გამოსცა: *„დაკმაყოფილებულ იქნეს სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის შუამდგომლობა და მოხსენებაში აღნიშნული უძრავი ქონება გარდა გიორგი ჩიჩუასი, რომელიც ეკუთვნის სხვას, გიორგი ქავთარაძეს და სოლომონ სვანიძის, რომელთა უწყებები არ წარმოუდგენიათ სენაკის ერობის გამგეობას და გიორგი ცაავას, რომელიც შეუძენია კონსტანტინე ადამიას, იძულებით ჩამორთმეულ იქნეს სენაკის სამაზრო ერობის საკუთრებად“* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 62-63).

1920 წლის 27 თებერვალს ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა გაიმართა. აღნიშნულ ყრილობაზე მოხსენებით გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია გამოვიდა. მოხსენება ეხებოდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის და პრინცესა ანტუანეტა მიურატის ქ. ზუგდიდში მდებარე ქონების ჩამორთმევას. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის მამული შეადგენდა: *56 დესეტინა მიწის ფართობს, რომელზეც განთავსებული იყო პარკი-ბაღი, ორი ორ-ორ სართულიანი ქვის სასახლე, ერთი ეკლესია და ერთი ხის სასიმინდე. ნიკოლოზ მინგრელსკის კუთვნილი აღნიშნული ქონების საზღვრები იყო: აღმოსავ-*

[117] **ქცევა** – მიწის ფართობის საზომი ერთეული დასავლეთ საქართველოში. იგი უდრიდა დაახლოებით 3 600 კვადრატულ მეტრს.

ლეთით და ჩრდილოეთით სოხუმის გზატკეცილი, დასავლეთით – მდინარე ჩხოუში, სამხრეთით – მოქალაქე ლევანი ჩიჩუას მამული და პრინცესა მიურატის მამული და ქალაქის გზა. ქონება 100 000 მანეთად იყო შეფასებული.

პრინცესა ანტუანეტა მიურატისთვის (ბებე) ჩამორთმეული მამული შეადგენდა *5 1/2 დესეტინა მიწის ფართობს, მასზე აღმართული ორი სახლით, რომელშიც მოთავსდა სამაზრო ერობის საავადმყოფო და ლაბორატორია (შენობაში ადრე განთავსებული იყო ციხე). ანტუანეტა მიურატისთვის ჩამორთმეული ქონების საზღვრები ასეთი იყო: ჩრდილოეთით და დასავლეთით მინგრელსკის მამულები, სამხრეთით ქალაქის გზა და აღმოსავლეთით – სოხუმის გზატკეცილი, მალხაზი დარასელიას და ალექსი ბერიძის მამულები.* ქონება 16 000 მანეთად იყო შეფასებული. მინგრელსკის უძრავი ქონება ერობას კანცელარიის, სკოლისა და მუზეუმის მოსათავსებლად, ეზო კი საცდელი მინდვრების მოსაწყობად ესაჭიროებოდა. პრინცესა მიურატის მამული ერობას საავადმყოფოსა და გადამდები სენით ავადმყოფთა სამკურნალოდ ესაჭიროება **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1085: 19, 50-51, 55-56; **სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 52**)**.

1920 წლის 27 აპრილს ქ. ზუგდიდის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: *გიორგი ჭედია, ილია დადიანი, ანტონ ანჯაფარიძე, ლეო შენგელაია, სარდიონ ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე, გრიგოლ შელია, მაქსიმე ვეკუა, მელქისედეკ კობახიძე, იასონ მუჯირი, ბაგრატ ჩილაჩავა, კალისტრატე კობახიძე, ნიკოლოზ ბუკია, ნიკო გეგელია, სოკრატ კეშილავა, ნიკოლოზ დარასელია, ვლადიმერ წულეისკირი, ეგნატე ნადარაია, ნესტორი ალანია, პავლე შენგელია* **(ჯიქია, 2015:** 43**)**, *პეტრე ჟვანია, ანდრია დგებუაძე.* აღნიშნულ სხდომაზე გიორგი ჭედიამ გააკეთა განცხადება, რომ შემოსული იყო 9 ხმოსნის განცხადება, რომლებიც მინგრელსკის და პრინცესა მიურატის ქონების კონფისკაციას ერობის სასარგებლოდ ეწინააღმდეგებოდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მწვავე დაპირისპირება გაიმართა ერობის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს შორის. ლეო შენგელაიამ განაცხადა, რომ ზუგდიდის სამაზრო ერობას განზრახული ჰქონდა მინგრელსკის მამულში გაეკეთებინა საცდელი საჩვენებელი მინდორი სანერგით. იქვე უნდა გახსნილიყო საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, ხოლო მინგრელსკის პარკი კი უნდა აღედგინათ, რაც ქალაქს დაამშვენებდა. ხალხს ერთადერთი ისტორიული განძი გააჩნდა მთავრის სასახლეებში, რომლის ბაზაზეც მუზეუმი უნდა მოწყობილიყო. სამაზრო ერობას კი მუზეუმის მოსაწყობად შესაფერისი მხოლოდ ეს შენობები გააჩნდა. ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის ზუგდიდის სამაზრო ერობის აპარატი მინგრელსკის ერთ-ერთ სასახლეში იყო განთავსებული და ის იქ უნდა დარჩენილიყო. რაც შეეხება პრინცესა მიურატის ერთ-ერთ

სასახლეს, სადაც იმხანად საავადმყოფო ფუნქციონირებდა, ლეო შენგელაიას აზრით, ის უნდა მომსახურებოდა როგორც ქალაქის მოსახლეობას, ასევე მაზრის მოსახლეობასაც. პრინცესა მიურატის ერთ-ერთი სასახლე ერობამ გადააკეთა და იქ გადამდებ სნეულებათა ავადმყოფებს მკურნალობდნენ. ხმოსანმა ნიკოლოზ ბუკიამ განაცხადა, რომ მინგრელსკის ბევრი მამული ჩამოერთვა, რომელიც გლეხობას გაუნაწილდა, შესაბამისად, მინგრელსკის ქალაქში არსებული ქონება ქალაქის საბჭოს საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ქ. ზუგდიდის საბჭოს განკარგულებაში არ იყო თავისუფალი მიწის ფართობი. ქალაქის ბუნებრივი ზრდის პარალელურად დაიწყებოდა ქალაქში ქარხნების მშენებლობა.

აღნიშნული მსჯელობის შემდეგ ქალაქის საბჭომ თერთმეტი ხმით ათის წინააღმდეგ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: *„ვინაიდან ეს მინგრელსკის და პრინცესას მამულები ერთადერთი არიან ქალაქის ფარგლებში, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებს ქალაქის თვითმმართველობის მოთხოვნილებას და ვინაიდან არსებული კანონით და სხვა საბუთების მიხედვით, მისი ჩამორთმევა ქალაქის უფლებას შეადგენს დაადგინა: ჩამოერთვას თანახმად 1919 წლის კანონისა პატრონთ ქალაქის სასარგებლოდ“* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 167-169).

1920 წლის 3 მაისს ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროში გააგზავნა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ქ. ზუგდიდის საბჭოს მიერ ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების არა სამართლიანობაზე. მოხსენების თანახმად, ქ. ზუგდიდის საბჭოს სხდომაზე დაირღვა 1919 წლის 11 ივლისს მიღებული კანონი უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ. კონკრეტულად დარღვეული იყო აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც *„დადგენილება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ის მიღებულია გამგეობის მოხსენებით“.* ქალაქის გამგეობას კი ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია. ამასთან ქ. ზუგდიდის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ ჩანდა მინგრელსკისა და მიურატის ჩამორთმეული ქონების დანიშნულება. დადგენილებაში ასევე არ იყო ჩამორთმეული ქონების საზღვარი და ფართობი მითითებული **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 166). მიუხედავად არაერთი მცდელობისა და მსჯელობისა, რომელიც გაიმართა ქ. ზუგდიდის საბჭოსა და ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის წევრებს შორის, თუ ვის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო მინგრელსკისა და პრინცესა მიურატის ქონების კონფისკაცია, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. 1920 წლის 4 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობამ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ *მინგრელსკისა და მიურატის იძულებით ჩამორთმეული უძრავი ქონება ზუგდიდის სამაზრო ერობას უნდა გადასცემოდა* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1085: 1).

1920 წლის 8 ნოემბერს ფოთის თვითმმართველობამ იშუამდგომლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მოეხდინათ მოქალაქე ფარნა კაჭარავას უძრავი ქონების ჩამორთმევა. აღნიშნული ქონება მდებარეობდა ქ. ფოთში ნოე ჟორდანიას ქუჩაზე (ყოფ. ივანოვის). *მიწის ნაკვეთის სიგანე 11 საჟენი, სიგრძე 26 საჟენი – სულ 286 ოთხკუთხედი იყო. მიწის ფართობზე აგურის ერთსართულიანი შენობა იყო აშენებული, რომელიც მოიცავდა 91 1/4 ოთხკუთხედი საჟენს. მასზე აგურის დუქანი იყო მიშენებული – სულ 9 23/3 ოთხკუთხედი საჯენი. ასევე, ორსართულიანი აგურის სახლი – სულ დაახლოებით 26 ოთხკუთხედი. ერთსართულიანი აგურის შენობა მანქანებისთვის – სიგრძე დაახლოებით 11 ოთხკუთხედი საჟენი. ძველი ხის ჰატარა სახლი, სივრცით 14 15/10 ოთხკუთხედი.* აღნიშნული ქონება ფოთის თვითმმართველობას ესაჭიროებოდა ქალაქის სახალხო თეატრის განსათავსებლად. **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 55). ქალაქ ფოთის თვითმმართველობის აღნიშნული შუამდგომლობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილა.

ქალაქ ფოთის თვითმმართველობამ, კიდევ ერთი შუამდგომლობა აღძრა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. აღნიშნული შუამდგომლობა ეხებოდა, მოქალაქე ანდრია (ჯაკუ) ქავთარაძის უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის საკითხს. ზემოთ ხსენებული ქონება ქალაქის თვითმმართველობას ესაჭიროებოდა ფოთის პროფესიული კავშირის შენობით უზრუნველსაყოფად.

ანდრია ქავთარაძის მამული შეადგენდა *ორი ქვის შენობას, რომელიც განთავსებული იყო 244.66 ოთხკუთხედ საჟენ მიწის ფართობზე. აღნიშნული შენობები წარმოადგენდა – ერთ, ერთსართულიან და მეორე, ორსართულიან თუნუქით დახურული სახლს. ეს მამული მდებარეობდა ქალაქ ფოთში, მიხეილის და ციციანოვის ქუჩებზე. იგი შეფასებული იყო 200 000 მანეთად* **(სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 43). 1920 წლის 16 დეკემბერს, ზემო ხსენებული შუამდგომლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა და მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც: *ფოთის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა ანდრია ქავთარაძის მამულის იძულებით ჩამორთმევასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა* (**სეა სცა,** ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 86).

ამდენად, 1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ქონების კონფისკაციის დადგენილების აქტიურ აღსრულებას შეუდგა ზუგდიდის, სენაკის და ქ. ფოთის სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობები. მათ არაერთგზის იშუამდგომლეს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, კონკრეტული ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით. ზუგდიდის მაზრაში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი ქონების მიმართ (ნიკოლოზ მინგრელსკის და პრინცესა ანტუანეტა მიურატის უძ-

რავი ქონება) ინტერესი როგორც ერობის გამგეობამ ასევე ქალაქის თვითმმართველობამ გამოთქვა. ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ნათელი გახდა, რომ ცენტრალური ხელისუფ-ლება თითოეულ შუამდგომლობას კრიტიკულად იხილავდა და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კონფისკაციის საკითხი უარყოფილი იყო.

დ ა ს კ ვ ნ ა

მეფის რუსეთი განაპირა მხარეებში საერობო სისტემის დანერგვის წინააღმდეგი იყო. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო. რუსეთის ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომლის მიდგომა საერობო რეფორმასთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავებული იყო მეფის ხელისუფლებასთან შედარებით. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარი კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად კავკასია რუსეთს დე-ფაქტო გამოეყო. საქართველოში შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ 1917 წლის ნოემბერში ერობის რეფორმის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც საქართველოში ერობის სამსაფეხურიანი სისტემა უნდა დანერგილიყო. ერობას უნდა მინიჭებოდა სამეურნეო ფუნქციებთან ერთად ადგილობრივ საქმეებში სახელმწიფო მმართველობის უფლებებიც.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა. სწორედ ამ დღიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის პროცესი დაიწყო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერობო არჩევნები 3 ეტაპად ჩატარდა: პირველი ეტაპი 1918 წლის ივლისიდან-დეკემბრამდე მიმდინარეობდა, მეორე ეტაპი – 1919 წლის იანვრიდან-ოქტომბრამდე, მესამე ეტაპი კი – 1920 წლის იანვარ-აგვისტოში. საერობო არჩევნებში მონაწილეობა სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო:

- № 1 – სოციალისტური ბლოკი: (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია);
- № 2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- № 3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.

სამეგრელოში (სენაკის მაზრა და ზუგდიდის მაზრა) ჩატარებული საერობო და საქალაქო არჩევნები (ახალ სენაკი, ფოთი, ზუგდიდი და ყულევი) საარჩევნო დებულების დაცვით ჩატარდა. მართალია აღნიშნული საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისას დაფიქსირდა გარკვეული დარღვევები, თუმცა მათ არჩევნების შედეგზე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო. სამეგრელოში ჩატარებულ საერობო არჩევნებში სოციალისტურმა ბლოკმა გაიმარჯვა, საქალაქო არჩევნებში ქ. ახალ სენაკში, ქ. ფოთში და ქ. ყულევში – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ, ხოლო ქ. ზუგდიდში – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევაზე ზრუნვა *საქართველოს ეროვნულმა საბჭომ* მალევე დაიწყო. ეროვნული საბჭო, ანუ საქართველოს პარლამენტი მიჩნეული იყო

დროებით სტრუქტურად, რომელსაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმო სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის. დამფუძნებელი კრების არჩევას საქართველოში ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა – საშინაო და საგარეო. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი მრავალპარტიული იყო და, ამავდროულად, მას ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა, ფორმალურად ის მაინც არ იყო დემოკრატიული არჩევნების წესით არჩეული. ამ გარემოებას კი მუდამ სადემაგოგოდ იყენებდნენ საქართველოს რესპუბლიკის და დემოკრატიის მოწინააღმდეგეები. რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, ახლო მომავალში უნდა შეკრებილიყო საერთაშორისო საზავო კონფერენცია, სადაც საქართველოს საკითხიც განიხილებოდა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე დელეგაცია გაეგზავნა ხელისუფლებას, რომელსაც მაღალი ლეგიტიმაცია ექნებოდა.

1919 წლის 3 იანვარს, საქართველოს პარლამენტის 77-ე კრების სხდომაზე, მიუხედავად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დიდი წინააღმდეგობისა, დამფუძნებელი კრების არჩევნების დღედ 14-16 თებერვალი განისაზღვრა. სამეგრელოში, საარჩევნო სიის მიხედვით, რეგისტრირებული იყო 136 349 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 77 421 ამომრჩეველმა მიიღო. მათგან 228 ბიულეტენი გაბათილდა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 53 568 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 873 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 14 445 ხმა;
- სომეხთა რევოლუციონერი პარტია – დაშნაკცუთიუნი – 13 ხმა;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 4 068 ხმა;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 50 ხმა;
- საქართველოს ეროვნული პარტია – 35 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 81 ხმა;
- დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი – 58 ხმა;
- ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა – 2 ხმა.

სამეგრელოს რეგიონში დამფუძნებელი კრების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. მთლიანობაში საარჩევნო პროცესმა დარღვევებისა და ექსცესების გარეშე ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ირღვეოდა საარჩევნო დებულების ზოგიერთი მუხლი, ეს დარღვევა არ იყო იმ სიმძიმის, რომ მას რაიმე ზეგავლენა მოეხდინა საერთო შედეგზე. შესაბამისად, სამეგრელოში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში დამსახურებულად გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

სამეგრელოში ერობების პრაქტიკული საქმიანობის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერობების გამგეობებმა ფუნქციონირება მეტად რთულ პირობებში დაიწყეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახლად შექმნილი იყო. შესაბამისად, არ არსებობდა ერობისთვის ცალკე აღებული სახელმძღვანელო კანონი. რეგიონი კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიდა. პარალელურად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლშევიკური აჯანყება დაიწყო, რომლის ეპიცენტრს სამეგრელოს წარმოადგენდა. ასევე გასათვალისწინებელია ერობის რთული ეკონომიკური მდგომარეობა. მათ ფაქტობრივად არ გააჩნდათ თანხები დასახული გეგმების განსახორციელებლად. მათი ეკონომიკა სრულად მიბმული იყო სახელმწიფოსგან მიღებულ სესხებზე და მათ მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობისაგან მიღებულ მოგებაზე. მიუხედავად მსგავსი სირთულისა, მათ შეძლეს, დროის მცირე მონაკვეთში გადაეჭრათ ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორებიცაა: ეპიდემიასთან ბრძოლა, საექიმო-სასანიტარო საკითხების მოგვარება, გზების და კომუნიკაციების მოწესრიგება, განათლების სისტემის მოწესრიგება, აგრონომიული საკითხების გადაჭრა, რკინიგზის გაყვანის საკითხი და სხვა.

სამეგრელოში (სენაკის მაზრა და ზუგდიდის მაზრა) საერობო და საქალაქო (ახალ სენაკი, ფოთი, ზუგდიდი, ყულევი) არჩევნები დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით ჩატარდა. არჩევნებში არ დაფიქსირებულა ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენა. სამეგრელოში არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავისი ფუნქციების შესრულებას შეუდგნენ. დიდი სირთულეების მიუხედავად, მათ ადგილობრივი მოსახლეობის არაერთი პრობლემა გადაჭრეს.

1919 წლის თებერვალში საქართველოში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ყველა პოლიტიკურ პარტიას საშუალება ჰქონდა ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია. ამომრჩეველთა აქტივობა სამეგრელოს რეგიონში მაღალი იყო. აქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. საქართველოს პირველმა არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ – საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე, არაერთი მნიშვნელოვანი კანონი მიიღო. სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობა შეჩერდა. შეჩერდა, ასევე, ყველა დაწყებული რეფორმა. ქართველი ერის ისტორიაში უმძიმესი ხანა დაიწყო.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

საარქივო მასალა:

1. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი*, ფონდი 1823, ანაწერი1, საქმე 1.
2. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833,* ან. *1, ს. 15*.
3. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1833, ან. 1, ს. 54-1.
4. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1833, ან. 1, ს. 131.
5. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1833, ან. 1, ს. 156.
6. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1833, ან. 1, ს. 919.
7. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1833, ან. 1, ს. 953.
8. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 1, ს. 5.
9. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 1, ს. 88.
10. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 1, ს. 92.
11. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 1, ს. 94.
12. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 1, ს. 119.
13. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 4.
14. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 5.
15. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 6.
16. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 8.
17. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 9.
18. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 11.
19. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 12.
20. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 17.
21. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 24.
22. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 25.

23. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 26.
24. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 27.
25. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 28.
26. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 29.
27. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 30.
28. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 31.
29. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 32.
30. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 33.
31. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 34.
32. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 35.
33. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 36.
34. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 37.
35. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 39.
36. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 44.
37. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 51.
38. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 57.
39. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 59.
40. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 61.
41. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 62.
42. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 63.
43. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 64.
44. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 65.
45. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 66.
46. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 73.
47. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 74.

48. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 75.
49. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 77.
50. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 80.
51. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 86.
52. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 87.
53. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 94.
54. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1834, ან. 2, ს. 119.
55. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 2.
56. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 5.
57. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 8.
58. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 9.
59. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 51.
60. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 84.
61. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 124.
62. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 127.
63. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 400.
64. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1836, ან. 1, ს. 401.
65. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 469.
66. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 471.
67. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 610.
68. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 879.
69. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 900.
70. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 901.
71. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 907.
72. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 908.

73. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 940.
74. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 942.
75. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 946.
76. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 953.
77. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 967.
78. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 977.
79. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 998.
80. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1019.
81. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1059.
82. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1068.
83. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1080.
84. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1083.
85. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1085.
86. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1411.
87. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1425.
88. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1863, ან. 1, ს. 1426.
89. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1880, ან. 1, ს. 16.
90. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1880, ან. 1, ს. 55.
91. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1880, ან. 1, ს. 102.
92. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1880, ან. 1, ს. 114.
93. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1921, ან. 1, ს. 17.
94. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1921, ან. 1, ს. 152.
95. **სეა სცა** – *საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,* ფ. 1921, ან. 1, ს. 345.

მემუარი:

1. **ჟორდანია** 1990 – **ნოე ჟორდანია.** ჩემი წარსული. თბილისი, გამომცემლობა *„სარანგი“*, 1990.
2. **რამიშვილი** 2012 – **ისიდორე რამიშვილი.** მოგონებები. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა. თბილისი, გამომცემლობა *„არტანუჯი“*, 2012.

სამეცნიერო ლიტერატურა და საგაზეთო პუბლიკაციები:

3. **1908 წლის** 1907 – *1908 წლის ბიუჯეტი.* 1907 – *„ისარი“*. ქართული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალური ორგანო. № 261, 27 ნოემბერი, 1907.
4. **ამიერ-კავკასიის** 1917 – *ამიერ-კავკასიის ერობა.* 1917 – *„ალიონი“*. ქართული პოლიტიკური-ლიტერატურული გაზეთი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფის – ალიონის ორგანო. № 54, 2 ნოემბერი, 1917.
5. **ამიერ კავკასიის ერობა** 1917 – *ამიერ კავკასიის ერობა***.** 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 148, 17 სექტემბერი, 1917.
6. **ამიერ კავკასიის ერობა და საერობო** 1916 – *ამიერ კავკასიის ერობა და საერობო თათბირი.* 1916 – *„ახალი კვალი“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების. № 21, 2 მაისი, 1916.
7. **ანთიმოზი** 1875 – **ანთიმოზი.** სამეგრელო. 1875 – *„დროება“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების. № 90, 10 აგვისტო, 1875.
8. **არახამია, ტუღუში,** 2015 – **გონელი არახამია, აბესალომ ტუღუში.** ზუგდიდი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანაში (1918-1921). – *ზუგდიდი. წარსული და თანამედროვეობა*. თბილისი, გამომცემლობა *„ივერიონი“*, 2015
9. **არჩევნების,** 1919 – *არჩევნების გარშემო. ამომრჩეველთა რიცხვი საქართველოში***.** 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 32, 9 თებერვალი, 1919.
10. **არჩევნები,** 1919 – *არჩევნები სენაკში.* 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 74, 2 აპრილი, 1919.
11. **არჩევნების შედეგები,** 1919 – *არჩევნების შედეგები პროვინციაში. სუჯუნის საზოგადოება.* 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 39, 19 თებერვალი, 1919.
12. **ახალი ამბები. ახალ-სენაკი,** 1918 – *ახალი ამბები. ახალ-სენაკი***.** 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 198, 17 სექტემბერი, 1918.
13. **ახალი ამბები,** 1919 – *ახალი ამბები***.** 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 73, 1 აპრილი, 1919.

14. **ახალი ამბები. ერობა,** 1907 – *ახალი ამბები. ერობა კავკასიაში.* 1907 – *„ისარი“*. ქართული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. სოციალისტ-ფედერალისტთა ცენტრალური ორგანო. № 276, 14 დეკემბერი, 1907.
15. **ახალი ამბები. ერობათა,** 1920 – *ახალი ამბები. ერობათა კავშირის ცნობით.* 1920 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 133, 16 ივნისი, 1920.
16. **ახალი ამბები. საერობო,** 1919 – *ახალი ამბები. საერობო არჩევნები.* 1918 – *„სოციალ-დემოკრატი“.* სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 366, 17 ივლისი, 1918.
17. **ახალი ამბები. ფოთის,** 1919 – *ახალი ამბები. ფოთის ქალაქის საბჭო.* 1919 – *„სოციალ-დემოკრატი“.* სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 51, 6 მარტი, 1919.
18. **ახალი,** 1918 – *ახალი ამბები. სენაკის მაზრის საერობო საარჩევნო კომისია.* 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 159, 30 ივლისი, 1918.
19. **ახალსენაკი,** 1919 – *ახალსენაკი***.** 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 138, 24 ივნისი, 1919.
20. **ახალ-სენაკის,** 1919 – *ახალ-სენაკის ქალაქის არჩევნები.* 1919 – *„სოციალ-დემოკრატი“.* სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 73, 2 აპრილი, 1919.
21. **ბენდიანიშვილი,** 2001 – **ალექსანდრე ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.). თბილისი, გამომცემლობა *„მემატიანე“*, 2001.
22. **გომართელი,** 1919 – **ივანე გომართელი.** ჩვენი მდგომარეობა. 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 17, 23 იანვარი, 1919.
23. **გურული,** 2003 – **ვახტანგ გურული.** საქართველოს ისტორია XX საუკუნე. თბილისი, გამომცემლობა *„არტანუჯი“*, 2003.
24. **გურული,** 2021 – **ვახტანგ გურული.** საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი IV. თბილისი, გამომცემლობა *„ქართული უნივერსიტეტი“*, 2021.
25. **დამფუძნებელი,** 1919 – *დამფუძნებელი კრება.* 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 6, 10 იანვარი, 1919.
26. **დამფუძნებელი კრების,** 1919 – *დამფუძნებელი კრების არჩევნები. ქ. ზუგდიდი.* 1919 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 38, 19 თებერვალი, 1919.
27. **დეკრეტი,** 1917 – *დეკრეტი. ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 207, 28 ნოემბერი,1917.
28. **ერობა და იმერეთის,** 1897 – *ერობა და იმერეთის თავად-აზნაურობის კრება.* 1897 – *„კვალი“*. ქართული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების. № 21, 18 აგვისტო, 1897.
29. **ერობა და საერობო,** 1916 – *ერობა და საერობო თათბირი.* 1916 – *„ახალი კვალი“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების. № 23, 16 მაისი, 1916.

30. **ერობა,** 1918 – *ერობა***.** 1918 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 224, 22 ნოემბერი, 1918.
31. **ერობა,** 1917 – *ერობა კავკასიაში.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 71, 14 იანვარი, 1917.
32. **ერობა კავკასიაში,** 1917 – *ერობა კავკასიაში.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 83, 28 ივნისი, 1917.
33. **ერობა კავკასიაში,** 1917 – *ერობა კავკასიაში.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 87, 4 ივლისი, 1917.
34. **ერობის ახალი,** 1901 – *ერობის ახალი პროექტი.* 1901 – *„ცნობის ფურცელი“*. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1896 წლის 20 ოქტომბრიდან 1906 წლის 25 მარტამდე. 1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო. № 1483, 3 ივნისი, 1901.
35. **ერობის გარშემო,** 1918 – *ერობის გარშემო.* 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 151, 20 ივლისი, 1918.
36. **ერობის გარშემო. სამაზრო,** 1918 – *ერობის გარშემო. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის და საერობო კომისიების საყურადღებოდ***.** 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრსიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 59, 14 მარტი, 1918.
37. **ერობის,** 1918 – *ერობის გარშემო.* 1918 – *„ერთობა“*. 1918 - სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 67, 23 მარტი, 1918.
38. **ერობის საქმეა,** 1919 – *ერობის საქმეა.* 1918 – *„სოციალ-დემოკრატი“.* სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 387, 14 აგვისტო, 1918.
39. **ერობის შემოღება,** 1905 – *ერობის შემოღება.* 1905 – *„ცნობის ფურცელი“*. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა. 1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო. № 2905, 10 სექტემბერი, 1905.
40. **ეროვნულ-დემოკრატიის,** 1919 – *ეროვნულ-დემოკრატიის გამარჯვება საქალაქო არჩევნებში.* 1919 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 22, 30 იანვარი, 1919.
41. **ეროვნულ-დემოკრატიული,** 1919 – *ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვება სენაკში.* 1919 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 22, 30 იანვარი, 1919.
42. **ეროვნული,** 1917 **–** *ეროვნული ყრილობის გარშემო***.** – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 201, 19 ნოემბერი, 1917.

43. **ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი,** 1917 – *ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი*. 1917 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 262, 28 ნოემბერი, 1917.
44. **ეროვნული საბჭოს,** 1917 – *ეროვნული საბჭოს არჩევა.* 1917 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 260, 25 ნოემბერი, 1917.
45. **ეროვნული ყრილობის,** 1917 – *ეროვნული ყრილობის რეზოლუცია*. 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 208, 29 ნოემბერი, 1917.
46. **ვადაჭკორია,** 1998 – **შოთა ვადაჭკორია.** პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917). თბილისი, გამომცემლობა *„პირველი სტამბა“*, 1998.
47. **ვანიშვილი,** 1989 – **შალვა ვანიშვილი.** ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წლებში. თბილისი, გამომცემლობა *„საბჭოთა საქართველო“*, 1989.
48. **ვენე,** 1917 – **ვენე.** ქართული ეროვნული ყრილობა. 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 205, 25 ნოემბერი, 1917.
49. **ვინ გაიმარჯვა,** 1918 – *ვინ გაიმარჯვა? საერობო არჩევნები სენაკის მაზრაში.* 1918 – *ერთობა*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 177, 22 აგვისტო, 1918.
50. **ვინ გაიმარჯვა სენაკის,** 1918 – *ვინ გაიმარჯვა სენაკის მაზრაში*. 1918 – *„სოციალ-დემოკრატი“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 390, 18 აგვისტო, 1918.
51. **ზუგდიდის,** 1918 – *ზუგდიდის რკინიგზის შესახებ*. 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 264, 6 დეკემბერი, 1918.
52. **ზუგდიდის საერობო არჩევნები,** 1920 – *ზუგდიდის საერობო არჩევნები*. 1920 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 29, 7 თებერვალი, 1920.
53. **ზუგდიდის საერობო,** 1920 – *ზუგდიდის საერობო არჩევნებისათვის*. 1920 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 15, 2 იანვარი, 1920.
54. **ზუგდიდის საქალაქო,** 1919 – *ზუგდიდის საქალაქო არჩევნები*. 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 37, 15 თებერვალი, 1919.
55. **ზუგდიდის ქალაქის,** 1919 – *ზუგდიდის ქალაქის საბჭოს არჩევნები*. 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 66, 23 მარტი, 1919.
56. **თამაზაშვილი** 1919 – **მიხეილ თამაზაშვილი.** მუშათა წერილი. დემოკრატიის ორი უდიდესი დღესასწაული. 1919 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური

და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 56, 12 მარტი, 1919.

57. **თოფურია,** 1984 – **აკაკი თოფურია.** ლეო ქიაჩელი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევები). თბილისი, გამომცემლობა *„განათლება“*, 1984.
58. **თუბალაური,** 1896 – **ნინია თუბალაური.** რამდენიმე სიტყვა ჩვენში ერობის შემოღების შესახებ. 1896 – *„ივერია“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა. 1977 წლის 3 მარტიდან გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, ხოლო 1886 წლიდან – გაზეთად გამოდიოდა. № 30, 9 თებერვალი, 1896.
59. **თუმანიშვილი,** 1881 – **გიორგი თუმანიშვილი.** რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა. გლეხობა და სახელმწიფო ხარჯი – ერობის მნიშვნელობა. 1881 – *„ივერია“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა. 1977 წლის 3 მარტიდან გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, ხოლო 1886 წლიდან – გაზეთად გამოდიოდა. № 9, სექტემბერი, 1881.
60. **ირემაშვილი,** 1919 – **იოსებ ირემაშვილი.** ერობა ჩვენში. 1919 – *„კავკასიის ქალაქი“*. იყო ორკვირეული გამოცემა, რომელიც მიმოიხილავდა მუნიციპალურ საკითხებს. გამოდიოდა 1918-1919 წლებში. შეიქმნა როგორც რუსეთის ქალაქთა კავკასიის სამხარეო ორგანიზაციის ჟურნალი, შემდეგ გადაკეთდა საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანოდ. № 1, 15 იანვარი, 1919
61. **ირემაძე,** 2016 – **ირაკლი ირემაძე, ზურაბ გაიპარაშვილი, სალომე ჭანტურიძე.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში. თბილისი, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2016.
62. **ირემაძე,** 2018 – **ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი, 2018.
63. **ირემაძე,** 2019 – **ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე.** ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თბილისი, 2019.
64. **კანონი,** 1919 – *კანონი. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების შესწორება***.** 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“.* თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 11, 16 იანვარი, 1919.
65. **კიკვიძე,** 1959 – **აბელ კიკვიძე.** საქართველოს ისტორია XIX-XX სს, წიგნი II. თბილისი, 1959.
66. **კუკულაძე,** 2016 – **გუგული კუკულაძე**. საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო). ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი. ბათუმი, 2016.
67. **კუპატაძე,** 2009 – **ბონდო კუპატაძე.** საქართველოს ხელისუფლების ისტორია. თბილისი, გამომცემლობა *„უნივერსალი“*, 2009.
68. **მანი,** 1919 – **მანი.** ზუგდიდის სამაზრო ერობა. 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 12, 17 იანვარი, 1919.
69. **მანი,** 1918 – **მანი.** პროვინცია. ზუგდიდი. 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 282, 28 დეკემბერი, 1918.

70. **მაცაბერიძე,** 2022 – **მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე, ირაკლი იაკობაშვილი, პაატა სურგულაძე, თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე.** საქართველოს დამფუძნებელი კრება ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება. თბილისი, შპს *„საჩინო“*, 2022.
71. **ნიკოლაძე,** 1960 – **ნიკო ნიკოლაძე.** რაზე უნდა იზრუნოს ერობამ?. – *თხზულებანი*, ტომი II. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა*, 1960.
72. **ნიკოლაძე,** 1897 – **ნიკო ნიკოლაძე.** ერობის მნიშვნელობა ჩვენში. 1897 – *„მოამბე“*. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი ლიბერალურ-ეროვნული მიმართულების ორგანო. № 6, ივნისი, 1897.
73. **ობჩელი,** 1917 – **ვ. ობჩელი (ვარლამ ბურჯანაძე).** ერობის საკითხი. 1917 – *„ალიონი“*. ქართული პოლიტიკური-ლიტერატურული გაზეთი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფის – ალიონის ორგანო. № 52, 26 ოქტომბერი, 1917.
74. **პაპუაშვილი,** 2013 – **თამარ პაპუაშვილი.** 26 მაისი. – წგნ.: *დამოუკიდებლობის 1028 დღე*. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2013.
75. **პროვინცია,** 1919 – *პროვინცია. ზუგდიდი***.** 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 122, 5 ივნისი, 1919.
76. **პროვინცია,** 1920 – *პროვინცია. ზუგდიდი.* 1920 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 133, 16 ივნისი, 1920.
77. **პროვინციის,** 1919 – **პ***როვინციის ცხოვრება. ქ. ახალსენაკი.* 1919 – *„სოციალ-დემოკრატი“.* სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. № 9, 7 ივლისი, 1919.
78. **რუსთა,** 1902 – *რუსთა შორის. ერობა წინად და ახლა.* 1902 – *„ივერია“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა. 1977 წლის 3 მარტიდან გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, ხოლო 1886 წლიდან - გაზეთად გამოდიოდა. № 14, 18 იანვარი, 1902.
79. **საარჩევნო,** 1919 – *საარჩევნო საძზადისი ფოთში. სია.* 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 24, 31 იანვარი, 1919.
80. **საერობო არჩევნები,** 1920 – *საერობო არჩევნები ზუგდიდის მაზრაში***.** 1920 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 15, 2 იანვარი, 1920.
81. **საერობო,** 1916 – *საერობო თათბირის გარშემო***.** 1916 – *„ახალი კვალი“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების. № 20, 25 აპრილი, 1916.
82. **საქართველოს დამოუკიდებლობის,** 1918 – *საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი***.** 1918 – *„თეატრი და ცხოვრება“*. ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. № 8, 2 ივნისი, 1918.
83. **საქართველოს ეროვნული,** 1917 – *საქართველოს ეროვნული ყრილობის დადგენილებანი.* 1917 – *„ალიონი“*. ქართული პოლიტიკური-ლიტერატურული გაზეთი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფის – ალიონის ორგანო. № 62, 30 ნოემბერი, 1917.
84. **საქართველოს ეროვნული ყრილობა,** 1917 – *საქართველოს ეროვნული ყრილობა. დღე პირველი.* 1917 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 257, 21 ნოემბერი, 1917.

85. **საქართველოს პარლამენტის,** 1919 – *საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი სხდომა.* 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 26, 2 თებერვალი, 1919.
86. **საქართველოს რესპუბლიკის,** 1919 – *საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების არჩევნების შედეგები***.** 1919 – *„კავკასიის ქალაქი“*. იყო ორკვირეული გამოცემა, რომელიც მიმოიხილავდა მუნიციპალურ საკითხებს. გამოდიოდა 1918-1919 წლებში. შეიქმნა როგორც რუსეთის ქალაქთა კავკასიის სამხარეო ორგანიზაციის ჟურნალი, შემდეგ გადაკეთდა საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანოდ. № 2, 1 თებერვალი, 1919.
87. **საქართველოს,** 1919 – *საქართველოს პარლამენტი. 3 იანვრის სხდომა.* 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 4, 5 იანვარი, 1919.
88. **სენაკის გამგეობა,** 1918 – *სენაკის გამგეობა***.** 1918 – *„თეატრი და ცხოვრება“*. ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. № 14, 20 ოქტომბერი, 1918.
89. **სენაკის თვითმმართველობის,** 1919 – *სენაკის თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნები.* 1919 – „ერთობა“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 46, 27 თებერვალი, 1919.
90. **სენაკის სამაზრო ერობაში,** 1919 **–** *სენაკის სამაზრო ერობაში.* 1919 – *„ერობა და ქალაქი“*. ერობათა და ქალაქთა კავშირის ორგანო. ორკვირეული გამოცემა, ჟურნალი გამოდიოდა თბილისში ქართულ და რუსულ ენაზე. ჟურნალი თავისი შინაარსითა და მიმართულებით, არსებითად, ჟურნალ *„კავკასიის ქალაქის“* პირდაპირი გაგრძელება იყო. № 1-2, 15 დეკემბერი, 1919.
91. **სენაკის სამაზრო,** 1918 – *სენაკის სამაზრო ერობის ყრილობა.* 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 215, 8 ოქტომბერი, 1918.
92. **სენაკის,** 1918 – *სენაკის სამაზრო ერობის ყრილობა.* 1918 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 208, 29 სექტემბერი, 1918
93. **სილაგაძე, გურული,** 1998 – **აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული.** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918. თბილისი, გამომცემლობა *„ინტელექტი“*, 1998.
94. **სკანდელი** 1871 – **ნ. სკანდელი (ნიკო ნიკოლაძე).** საზოგადო საქმეები. ერობა (Земство) მისი დანიშნულება და წესდება, ერობის უფლება და მოქმედება. 1871 – *„სასოფლო გაზეთი“*. 1971 წლიდან ორკვირეული სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური გაზეთი. № 18, 15 ოქტომბერი, 1871.
95. **სონღულაშვილი,** 2021 – **ნატო სონღულაშვილი.** საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). თბილისი, გამომცემლობა *„უნივერსალი“*, 2021 წელი.
96. **სოციალ-დემოკრატიული,** 1917 – *სოციალ-დემოკრატიული საოლქო ყრილობის რეზოლუციები. ერობის და ქალაქის თვითმმართველობანი.* 1917 – *„ალიონი“*. ქართული პოლიტიკური-ლიტერატურული გაზეთი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის Ჯგუფის ალიონის ორგანო. № 18, 29 ივნისი, 1917.
97. **სურგულაძე,** 1972 – **აკაკი სურგულაძე.** საქართველო 1900-1921 წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი VI. თბილისი, გამომცემლობა *„საბჭოთა საქართველო“*, 1972.

98. **სურგულაძე,** 1991 – **პაატა სურგულაძე.** ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბილისი, გამომცემლობა *„ცოდნა“*, 1991.

99. **სხვა და სხვა,** 1901 – *სხვა და სხვა ამბები***.** 1901 – *„კვალი“*. ქართული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების. № 41, 7 ოქტომბერი, 1901.

100. **ტუღუში,** 2012 – **აბესალომ ტუღუში.** ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან. თბილისი, გამომცემლობა *„არტანუჯი“*, 2012.

101. **უკანასკნელი,** 1919 – *უკანასკნელი ცნობები. ფოთი***.** 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 35, 13 თებერვალი, 1919.

102. **ფედერალისტები,** 1916 – *ფედერალისტები და საერობო თათბირი.* 1916 – *„ახალი კვალი“*. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულების. № 22, 9 მაისი, 1916.

103. **ფოთის,** 1919 – *ფოთის ქალაქის არჩევნების შედეგი.* 1919 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 34, 13 თებერვალი, 1919.

104. **ფოთი,** 1919 – *ფოთი. არჩევნები ფოთში.* 1919 – *„საქართველოს რესპუბლიკა“*. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1990 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. № 35, 13 თებერვალი, 1919.

105. **ქართული ეროვნული,** 1917 – *ქართული ეროვნული ყრილობა.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 204, 24 ნოემბერი, 1917.

106. **ქართული,** 1917 – *ქართული ეროვნული ყრილობა.* 1917 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 202, 21 ნოემბერი, 1917.

107. **ქ. სენაკის,** 1919 – *ქ. სენაკის საქალაქო არჩევნები.* 1919 – *„ერთობა“*. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის. № 28, 5 თებერვალი, 1919.

108. **ქრონიკა. საერობო,** 1918 – *ქრონიკა. საერობო არჩევნები***.** 1918 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 152, 31 ივლისი, 1918.

109. **ქრონიკა,** 1918 – *ქრონიკა.* 1918 – *„საქართველო“*. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. № 152, 31 ივლისი, 1918.

110. **ღლონტი,** 1915 – **თედო ღლონტი.** ერობა საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა *„შრომა“*, 1915.

111. **შველიძე,** 2018 – **დიმიტრი შველიძე.** ეროვნული საბჭო (პარლამენტი). წგნ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921): ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018.

112. **ჩხენკელი,** 1917 – **აკაკი ჩხენკელი.** დეკრეტი. ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. 1917 – *„ალიონი“*. ქართული პოლიტიკური-ლიტერატურული გაზეთი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ჯგუფის – *ალიონის* ორგანო. № 62, 30 ნოემბერი, 1917.

113. **ძაგანია,** 2002 – **ბადრი ძაგანია.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სენაკის მაზრაში 1918-1921 წლებში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია. თბილისი, 2002.

114. **ძაგანია,** 2014 – **ბადრი ძაგანია.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (რეგიონული ასპექტები). თბილისი, გამომცემლობა *„უნივერსალი“*, 2014.

115. **ძველი,** 1909 – *ძველი კითხვა ახალ პირობებში. ერობა ამიერ კავკასიაში***.** 1909 – *„მოსავალი“*. ქართული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი. № 6, 1 აგვისტო, 1909.

116. **ჭანტურია,** 2005 – **ნონა ჭანტურია.** ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია. თბილისი, 2005.

117. **ხვადაგიანი,** 2016 – **ირაკლი ხვადაგიანი.** საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919. თბილისი, შპს *„სეზანი“* , 2016.

118. **ხვადაგიანი,** 2018 – **ირაკლი ხვადაგიანი.** ერობა თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918 წელი, ტომი I. თბილისი, *საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია*, 2018.

119. **ხვადაგიანი,** 2021 – **ირაკლი ხვადაგიანი.** ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921. თბილისი, *საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია*, 2021.

120. **ხორავა,** 2021 – **ბეჟან ხორავა.** სამეგრელოს სოფელი 1918-1921 წლებში. წგნ.: – **დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმინტია, იოსებ შენგელია.** სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა. თბილისი, გამომცემლობა *„უნივერსალი“*, 2021.

121. **ჯანელიძე,** 2000 – **ოთარ ჯანელიძე.** დახვრეტილი თავისუფლება. თბილისი, 2000.

122. **ჯანელიძე,** 2002 – **ოთარ ჯანელიძე.** სპირიდონ კედია პოლიტიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა *„მემატიანე“*, 2002.

123. **ჯანელიძე,** 2013 – **ზაზა აბაშიძე, მიხეილ ბახტაძე, ოთარ ჯანელიძე.** საქართველო და ქართველები (საკითხავი წიგნი). თბილისი, *ბაკმი*, 2013.

124. **ჯანელიძე,** 2018 – **ოთარ ჯანელიძე.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 2018.

125. **ჯიქია,** 2015 – **ლევან ჯიქია.** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში. თბილისი, გამომცემლობა *„მერიდიანი“*, 2015.

126. **ჯიქია,** 2018 – **ლევან ჯიქია.** საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები (1919 წ.). საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები. VIII. ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს. თბილისი, 2018.

127. **ჯიშკარიანი,** 1964 – **პლატონ ჯიშკარიანი.** სენაკის მაზრის მშრომელები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო სესია (გამსვლელი სამეცნიერო სესია ქ. ცხაკაიაში) 1964 წლის მაისი მოხსენებათა თეზისები. ზუგდიდი, 1964.

128. **ჯონსი,** 2018 – **სტივენ ჯონსი.** დემოკრატიის ფორმირება საქართველოში 1918-1921. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისათვის?*. თბილისი, 2018.

129. **Дадянь,** 1904 – **Григор Дадянь.** Кутаисское дворянское депутатское Собраные. – *Кавказский календарь* на 1905 годь. Тифлись, 1904.

ელექტრონული რესურსები

130. **სტატისტიკური ცნობები,** 1918 – *სტატისტიკური ცნობები საქართველოს რესპუბლიკაში ერობის არჩევნების შესახებ*, 1918 (https://firstrepublic.ge/ka/theme/117).

131. **Положение о губернских и..**, 1890 – *Положение о губернских и уездных земских учреждениях 1890 г. – Фонд изучения наследия П.А. Столыпина* (http://музейреформ.рф/node/13679)**.**

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი № 1

სენაკის მაზრის პირველი საერობო კრების მასალები
1918 წლის 15-29 სექტემბერი.

კრებაზე გამოცხადდა 22 ხმოსანი. დღის 12 საათზე კრებას ხსნის სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მაღნარაძე, რომელმაც მიმართა ყრილობას შემდეგი სიტყვებით: სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, სენაკის პირველ სამაზრო საერობო ყრილობას ვაცხადებ გახსნილად. მასთან კომიტეტის დავალებით და პირადად ჩემის მხრით ვუსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას თავის მძიმე და პასუხსაგებ ასპარეზზე. მძიმე ვამბობ, რადგან აშკარაა, რომ თითოეულ თქვენგანს ნათლად აქვს წარმოდგენილი დღევანდელი ცხოვრების მეტად რთული ვითარება, პასუხისსაგები, ვინაიდან თითოეულ თქვენგანმა კარგად იცის ის მოვალეობა, რომელიც დაგაკისრათ ხალხმა არჩევნების საშუალებით, თავისი უაღრეს ნდობის გამოცხადებით. ეჭვს გარეშეა, რომ თითოეული თქვენგანი გულში ფიქრობს, ვაი თუ ვერ შევასრულო ხალხის ნდობა, ვერ გავამართლო მისი იმედებიო. მე გაბედულად მოგახსენებთ, რომ ამგვარი ეჭვები არც მწამს და არც ვიზიარებ მათ.

ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ ხალხი ერთხელ დამდგარი გამოღვიძების გზაზე, ხალხი, რომელიც ეზიარა ახალ იდეას ცხოვრების მიერ წარმოშობილს, ისევ არ დაუბრუნდება ძველს გზას. არ მომართავს თავის ბედის ჩარხს დახავსებული ცხოვრებისაკენ. ამის ნებას მან რომ ინდომოს კიდევაც – არ მისცემს ისტორიის განვითარების ულმობელი კანონი, რომელმაც არამც თუ უკან დახევა, შეჩერება ერთ ადგილზეც არ იცის. მართალია მის დროს არევ დარევას, უწესობას და ანარქიას ასე ფართოდ არ გაუშლია ფრთები, როგორც დღეს, სამაგიეროდ ანარქიას არასდროს შეხვედრია ისეთი სიმაგრე, ისეთი ციხე, როგორიც არის საერობო ორგანიზაცია, ყოველგვარი ანარქიის გამანადგურებელი.

ამ ღრმა რწმენით, საუკეთესო მომავლის იმედით, პირდაპირ აღფრთოვანებით ჩვენ შევყურებთ ერობის მომავალ მოღვაწეობას და წრფელი გულით, უსაზღვრო აღტაცებით უსურვებთ მას, რომ გააერთიანოს იმედები დემოკრატიისა, ჩვენი ახალგაზრდა, ნორჩი რესპუბლიკის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

სენაკის სამაზრო ერობის ყრილობა. „ერთობა“, 1918, 29 სექტემბერი, № 208, გვ. 3.

დანართი № 2

სენაკის მაზრაში ჩატარებული სამაზრო საერობო ყრილობის მასალები
1918 წლის 16-18 სექტემბერი

16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, იხსნება გ. მაღნარაძის თავმჯდომარეობით საერობო ხმოსანთა კრება, კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. მაღნარაძე, კრების თავმჯდომარის ამხანაგად კრებამ აირჩია ლ. დავითიანი. თავმჯდომარე კრებას მადლობას სწირავს ნდობისათვის და იმედს გამოთქვამს, რომ ის შეძლებს შესრულებას ამ მძიმე მოვალეობისა თვით ხმოსანთა დახმარებით. შემდეგ ამისა კრება ისმენს თავმჯდომარის მიერ შედგენილ დეპეშების შინაარსს ეროვნულ საბჭოს და მთავრობისათვის გასაგზავნად, რომელსაც კრება იწონებს და ავალებს თავმჯდომარეს დაჩქარებულად გაიგზავნოს.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ხმოსანი ი. სალაყაია კითხულობს დეკლარაციას: „უსაშინელესმა ომმა დაანგრია მრავალი პატარა ერები და არამც თუ პატარა ერები, თვით უზარმაზარი რუსეთიც. ამ ქარცეცხლში გამოიჩეკა ბედი ერთი პატარა ერისა, მობინადრე აზიასა და ევროპის შუა. ეს ქვეყანა არის საქართველო, რომელიც ჯერ-ჯერობით გადაურჩა ზემოდ ხსე-

ნებულ ერების ბედს. პატარა ერის მდგომარეობა დიდად სასოწარკვეთილია დღევანდელ დღეს. ჩვენი დემოკრატიის წინაშე სამი გზა იყო: მას უნდა ევლო ან დანგრეულ რუსეთთან, ან გამხდარიყო ოსმალეთის მონად, ანდა მიემართა გერმანიისათვის საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ჩვენმა დემოკრატიამ აირჩია მესამე გზა, არა იმიტომ, რომ იქ ძლიერია იმპერიალისტები, არამედ ამასთან იქ ძლიერია თვით დემოკრატიაც. რომელიც, მართალია დღეს ჩათრეულია უმაგალითო სისხლის ღვრაში, მაგრამ მოვა დრო და ის დადგება საკუთარ ფეხზე. ჩვენც სწორედ გერმანიის დემოკრატიის იმედი გვაქვს და გვწამს ის დაგვეხმარება. ძნელია სახელმწიფოს შექმნა საერთო ნგრევის და რღვევის პროცესში. ის იქმნება ასი წლობით და არა ერთბაშად. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ცენტრი, ამისთვის საჭიროა გავძლიერდეთ ადგილობრივ. ამისათვის ჩვენი პარტია საზოგადოების ყველა ცოცხალ ძალებთან შეთანხმებით მოქმედებს პროგრამა მინიმუმის ფარგლებში. დასახული მიზნის განსახორციელებლად ჩვენი პარტია მოითხოვს:

სწავლა განათლების გავრცელება, რაც შეიძლება ახლო ხანში უფასო და საყოველთაო, სავალდებულო; ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობაზე; სახალხო მეურნეობის აყვავება-განაყოფიერება; გაუმჯობესება გზების; ადმინისტრაციის მოწყობა და თვალყურის დევნება; სასამართლოს მოწყობა და უფასო სავექილო დახმარება; წვრილი საერობო ერთეულების მოწყობა და შეკავშირება რესპუბლიკის დანარჩენ ერთეულებთან; ზრუნვა სასურსათო საქმეზე და ბრძოლა სიძვირესთან; დემოკრატიული მთავრობის ხელის შეწყობა, მიწის რეფორმის გატარება; მოწყობა საკრედიტო, სამეურნეო და მომხმარებელი ამხანაგობათა კოოპერატიული მოძრაობისათვის ხელის შეწყობა; მუნიციპალური მეურნეობის, მაგალითად ტყის დამუშავების, ავტომობილების და კონკის მიმოსვლა, ელექტრონის სადგურების და სხვათა მოწყობა; ხალხში შემოსავლის და შეძლების კვალობაზე გადასახადის განაწილება; ბრძოლა გადამდებ სენთან, საქონლის ჭირთან, საქონლის და სახლების დაზღვევის მოწყობა და სხვა“.

შემდეგ კრებას ულოცავს ს.-რ. ფრაქციის სახელით ხმოსანი პ. ქავთარაძე, სამაზრო გლეხთა საბჭოს დავალებით კოსტა პარტახია, ს.-ფ. – მ. კეკელია, ქალაქის საბჭოს – რ. გამსახურდია.

კრება გადადის გამგეობის არჩევნებზე. არჩეულ იქნა გამგეობის თავმჯდომარედ ი. სალაყაია, წევრებად: ა. ფიჩხაია, პ. ქავთარაძე და გ. ცეკვაშვილი, ეს უკანასკნელი თავმჯდომარის ამხანაგიცაა. მათი ჯამაგირები: თავმჯდომარეს – 18 000 მანეთი წელიწადში, მაგრამ ი. სალაყაია უარს ამბობს 18 000 მანეთზე და კმაყოფილდება 15 000 მანეთით. წევრებს თორმეტ-თორმეტი ათასი წელიწადში.

დასასრულს წაკითხულ იქნა მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების შესახებ. კრება ადგენს მისი განხილვა მიენდოს სარევიზიო კომისიას, კრება იხურება დღის 3 საათზე.

17 სექტემბერს. კრება იხსნება დილის 12 საათზე, წაკითხულ იქნა ორი მილოცვის დეპეშა: თბილისიდან გზათა მინისტრის ლორთქიფანიძისაგან და ა. კორძაიასაგან. კრების დადგენილებით ჩამოსულ ხმოსანთ ეძლევათ დღეში 30 მანეთი და სამგზავრო ხარჯები. შემდეგ ხდება კომისიების არჩევნები, საფინანსო კომისიაში არჩეულ იქნენ: იოსებ სალაყაია, ვ. დემურია და ევგენი ფულარია. სარევიზიო კომისიაში: ლავრენტი გეგენავა, ბ. ხარბედია და ვ. დემურია. კრება იხურება დღის 3 საათზე.

18 სექტემბერს. კრებას ხსნის თავმჯდომარე გ. მაღნარაძე დილის 10 საათზე. დღიურ წესრიგის განხილვამდე ხმოსან ი. სალაყაიას შემოაქვს განცხადება, რომ სამხედრო საველე სასამართლოს სენაკში 17 სექტემბერს რამდენიმე პირთათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. ის წინადადებას იძლევა, რომ საერობო კრებამ თავისი არსებობის პირველი დღეების აღსანიშნავად იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ხსენებულ პირთათვის სასჯელის შემსუბუქებაზედ. ყრილობა ამ წინადადებას ერთხმად იღებს და აგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას მთავრობის თავმჯდომარესთან ასლი სამხედრო მინისტრს: „სენაკის სამხედრო საველე სასამართლომ 17 სექტემბერს რამდენიმე პირს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სენაკის მაზრის საერობო ყრილობა თუმცა ამ განაჩენს სამართლიანად თვლის იურიდიულის თვალსაზრისით, მაგრამ პატივსაცემად კაცობრიო-

ბის უმაღლეს იდეალებისა და თავის პირველ არსებობის დღეების აღსანიშნავად მოგმართავთ თქვენ შუამდგომლობით, რათა შემსუბუქებულ იქნეს სასჯელი პირებისა და ბრწყინვალე დღეები პირველი საქართველოში ერობის თვითმმართველობის მოწვევისა და იქნას დაჩრდილული სიკვდილით დასჯის აქტი.

ერობა თავისი კულტურული და განმანათლებელი მოღვაწეობით შეიტანს სხივებს შეგნებისა ბნელ მასაში, რომელიც ერთადერთი გარანტიაა, რომ ასეთი დანაშაულობანი არ განმეორდეს მომავალში. სენაკის მაზრის საერობო ყრილობა იმედოვნებს ეს პირველი მისი მომართვა მთავრობისადმი უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული“.

ეს დადგენილება ეცნო ქალაქ ზუგდიდში გენერალ გედევანიშვილს და სენაკის კომენდანტს და ეთხოვა მათ, რათა დროებით შეჩერებულ იქნას განაჩენის სისრულეში მოყვანა. შემდეგ კრება ისმენს სახალხო სკოლების ინსპექტორ ლ. გაგუას მოხსენებას მაზრის სკოლების ცუდ პირობების მდგომარეობაზე. ამ დღესვე არჩეულ იქნა შემდეგი კომისიები: საექიმო, სატექნიკო, სასურსათო, სწავლა-განათლების, ეკონომიკურ აღორძინების და საადმინისტრაციო და სასამართლო. კრება იხურება დღის 1 საათზე.

კრების გაგრძელება. კრება იხსნება საღამოს 7 საათზე, თავმჯდომარე გ. მაღნარაძის მოხსენებით წვრილ ერთეულების შემოღების შესახებ. მომხსენებელი შიშს გამოთქვამს, ვაი თუ საზოგადოების გადაჯგუფებამ არევ-დარევა გამოიწვიოს და საბაბი მისცეს ხალხის მტრებს და ერთხელ კიდევ გაილაშქროს მთავრობის წინააღმდეგ და მოჰყავს სხვა ბევრი არგუმენტებიც, რომ ეს ასე არ მოხდეს, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ მაზრაში იმდენი ერობა მოეწყოს, რამდენი საზოგადოებაცაა, ან და ეს საკითხი გადადებულ იქნას იმ დრომდე, სანამ სხვა ერობები გამოთქვამენ ამ საგანზე თავიანთ შეხედულებას. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, სადაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. საბოლოოდ ამ საკითხის გარჩევა მიენდო საგანგებოდ არჩეულ კომისიას.

დანარჩენი დღეები კრებამ მოანდომა ხარჯთაღრიცხვის განხილვას, გამოირკვა რომ, მაზრის ადმინისტრაციის შენახვა ერობას დაუჯდება 1 527 300 მანეთი წელიწადში. საერობო თვითმმართველობის შენახვა და მისი მოწყობა 232 400 მანეთი; სატექნიკო განყოფილებას – 1 460 400 მანეთი; სახალხო განათლებისა 4 465 700 მანეთი; მედიკო-სანიტარულ ნაწილისა – 1 795 900 მანეთი; ეკონომიკურ აღორძინებას – 1 013 800 მანეთი; სასურსათო ნაწილზე – 502 800 მანეთი; ფინანსურ-სტატისტიკურ ნაწილზე – 232 800 მანეთი. გასავალი უდრის – 12 324 487 მან. 20 კ. 15 დღის მუშაობის შემდეგ კრება დაიხურა 29 სექტემბერს, დღის 3 საათზე.

სენაკის სამაზრო ერობის ყრილობა. „ერთობა“,
1918, 8 ოქტომბერი, № 215, გვ. 2-3.

დანართი № 3

ქ. ფოთის მთავარი საარჩევნო კომისიის მიერ ადგილზე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად მოთხოვნილი თანხის ხარჯთაღრიცხვა
1919 წელი თებერვალი

საარჩევნო სიების დაბეჭდვა – 5 000 მანეთი; დამატებითი სიების დასტამბვა – 2 000 მანეთი; განცხადებები – 600 მანეთი; დღიური სამგზავრო (თბილისი-ქუთაისი) – 1 800 მანეთი; საარჩევნო სიების დასამზადებლად ბარათების შესადგენად მომუშავეთა დაქირავება – 3 000 მანეთი; შიკრიკებს ჯილდო – 1 000 მანეთი.

სულ ხარჯი – 13 400 მანეთი.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1834, ანაწერი 1, საქმე 119, ფურცელი 27.

დანართი № 4

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე მაზრის საარჩევნო კომისიისთვის სახელმძღვანელო ოქმის ნიმუში
1919 წლის თებერვალი

სამაზრო კომისიამ:

კომისიის შემადგენლობა (გვარი და სახელი); პარტიული შემადგენლობა; როდის დაიწყო მუშაობა ხმების დათვლაზე; რომელი სოფლის საზოგადოების კომისიის ოქმი განიხილა; რომელი სოფლის საზოგადოების კომისიის ოქმი დაამტკიცა მთლიანად; რომელი სოფლის საზოგადოების კომისიის ოქმში შეიტანა ცვლილება ან რა და რად; რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა სიამ მაზრაში ცალ-ცალკე; რამდენი ხმა იქნა კანონიერად ცნობილი უდავოდ მთელს მაზრაში; რამდენი ხმა იქნა გაბათილებული და რად; რამდენი ხმა იქნა ცნობილი კანონიერად და რამდენი გაბათილებული ხმის უმრავლესობით; ყველა ერთხმად გაბათილებული ბიულეტენები ან კანონიერად ცნობილი და გაბათილებული ხმის უმრავლესობით გადმოგზავნილ უნდა იქნას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; ამომრჩეველთა რიცხვი მთელს მაზრაში და სულ რამდენმა მიიღო მონაწილეობა.

სოფლის საზოგადოების კომისიამ:

შემადგენლობა სოფლის საზოგადოების კომისიისა (სახელი და გვარი); პარტიული შემადგენლობა; როდის გახსნა კომისიამ კრება; რომელ საარჩევნო უბნის კომისიის ოქმი განიხილა; ვინ ხსნის კონვერტებს; ვინ თვლის ხმებს; რამდენი ხმა იყო მიცემული საერთოდ; რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა საკანდიდატო სიამ ცალკე; რამდენი ბიულეტენი გაბათილებულ იქნა და მიზეზით; თითოეულ სიის მიერ მიღებული ბიულეტენები უნდა ჩაიწყოს ცალ-ცალკე კონვერტებში ან შეიკრას ბაწრით, დაილუქოს და გადაიგზავნოს სამაზრო კომისიაში, ზევიდან ნაჩვენები უნდა იყოს ნომერი სიისა და მიღებული ხმათა რაოდენობა; აგრეთვე გაბათილებულ და საეჭვოდ ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა; ამომრჩეველთა რაოდენობა სოფლის საზოგადოებაში და რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

სოფლის წვრილი ერთეულის კომისიამ:

საარჩევნო უბანი; კომისიის შემადგენლობა (სახელი და გვარი) პარტიული შემადგენლობა; რა დროს გახსნა და დახურა სხდომა კომისიამ 14, 15 და 16 თებერვალს; შეამოწმა თუ არა კომისიამ საარჩევნო ყუთის სიცარიელე და მთლიანობა; იყო თუ არა შენობა ღია დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე; რამდენი ამომრჩეველი იყო შეტანილი სიაში; ჩამოერთვა თუ არა ვინმეს ხმის მიცემის უფლება და თუ ჩამოერთვა ვის და რატომ; მიიღო თუ არა მონაწილეობა არჩევნებში ისეთმა პირმა ვინც შეტანილი არ იყო სიაში და თუ მიიღო რა საბუთით; რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში; რამდენი კონვერტი იყო მიცემული; ეთანხმებოდა თუ არა რიცხვი კონვერტებისა მიცემულ ხმათა რაოდენობას და თუ არა რა მიზეზით; იბეჭდებოდა თუ არა ლუქით 14 და 15 თებერვლის საარჩევნო ყუთი და შენობის კარები; ამოწმებდა თუ არა კომისია ბეჭდის მთლიანობას ყუთზე და კარებზედ 15 და 16 თებერვალს დილით და თუ რაიმე ცვლილება ნახა ბეჭედზე რა და როგორი; ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის რაიმე საწინააღმდეგო მოვლენას და თუ იყო ასეთი რამ სახელდობრ რა; ბიულეტენის გასაბათილებელ მიზეზად არ უნდა ჩაითვალოს სხვა და სხვაობა ქაღალდის ფერისა და ფორმატისა.

ამასთანავე გაცნობებთ:

კონვერტები უნდა მიეცეთ ამომრჩეველთ არჩევნების დღეებში საარჩევნო შენობაში; საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ყველა პარტიების ბიულეტენების მცირე რიცხვი მაინც; თუ ბიულეტენები შემოგაკლდათ უნდა მისცეთ ამომრჩეველს სუფთა საწერ ქაღალდის მე-16-ი საკანდიდატო სიის ნომრის დასაწერად.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1834, ანაწერი 1, საქმე 127, ფურცელი 30-32.

დანართი № 5

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე მთავარ საქალაქო და საუბნო საარჩევნო კომისიისთვის სახელმძღვანელო ოქმის ნიმუში
1919 წლის თებერვალი

მთავარი საქალაქო:

მთავარ კომისიის შემადგენლობა (გვარი სახელი); პარტიული შემადგენლობა; როდის დაიწყო მუშაობა ხმების საბოლოოდ დასათვლელად; რომელი საუბნო კომისიის ოქმი განიხილა; რომელი საუბნო კომისიის ოქმი დაამტკიცა მთლიანად; რომელი საუბნო კომისიის ოქმში შეიტანა ცვლილება ან რა ცვლილება და რად; რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა სიამ უბანში; რამდენი მიიღო თითოეულმა სიამ მთელს ქალაქში; რამდენი ხმა იქნა კანონიერად ცნობილი მთელს ქალაქში; რამდენი ხმა იქნა გაბათილებული და რად; რამდენი ხმა იქნა ცნობილი კანონიერად და რამდენი გაბათილდა ხმის უმრავლესობით; ყველა ერთ ხმად გაბათილებული ბიულეტენები ან ხმის უმეტესობით კანონიერად ცნობილი და გაბათილებული გადმოგზავნილ უნდა იქნას ცენტრალურ კომისიაში; რამდენი იყო ამომრჩეველი მთელს ქალაქში და რამდენმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

ქალაქის საუბნო კომისიამ:

რომელი უბნის კომისიაა; კომისიის შემადგენლობა (გვარი სახელი); პარტიული შემადგენლობა; როდის გაიხსნა კრება 14, 15 და 16 თებერვალს; შეამოწმა თუ არა კომისიამ საარჩევნო ყუთის სიცარიელე და მთლიანობა; იყო თუ არა შენობა ღია დილის 9 საათიდან, საღამოს ცხრა საათამდე; რამდენი ამომრჩეველი იყო შეტანილი საარჩევნო სიაში; ჩამოერთვა თუ არა ვინმეს ხმის მიცემის უფლება და თუ ჩამოერთვა ვის და რად; მიიღო თუ არა არჩევნებში მონაწილეობა ისეთმა პირმა ვინც შეტანილი არ იყო სიაში და თუ მიიღო რა საბუთით; რამდენმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში; რამდენი კონვერტი იყო მიცემული; ეთანხმება თუ არა კონვერტის რიცხვი ხმის მიმცემთა რაოდენობას და თუ არა რა მიზეზით; იბეჭდებოდა თუ არა ლუქით 14 და 15 თებერვალს საარჩევნო ყუთი და შენობის კარები; ამოწმებდა თუ არა კომისია ბეჭდის მთლიანობას ყუთზე და კარებზე 15 და 16 თებერვალს დილით და თუ რამე ცვლილება ნახა ბეჭედზე რა და როგორი; ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის რაიმე საწინააღმდეგო მოვლენას და თუ იყო ასეთი რამ სახელდობრ რა; ვინ ხსნიდა კონვერტებს; ვინ თვლიდა ხმებს; რამდენი ხმა იყო მიცემული საზოგადოდ; რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა საკანდიდატო სიამ ცალკე; რამდენი ბიულეტენი იყო უარყოფილი და რა მიზეზით; თითოეულ სიის მიერ მიღებული ბიულეტენები უნდა ჩაიწყოს ცალ-ცალკე კონვერტში ან შეიკრას ბაწრით და გადაიგზავნოს მთავარ საქალაქო კომისიაში. ზევიდან ნაჩვენები უნდა იყოს ნომერი სიისა და მიღებულ ხმათა რაოდენობა, აგრეთვე გაბათილებულ და საეჭვოდ ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა; ბიულეტენების გასაბათილებელ მიზეზად არ უნდა ჩაითვალოს სხვა და სხვაობა ქაღალდის ფერისა და ფორმატისა.

ამასთანავე გაცნობებთ:

კონვერტები უნდა მიეცეთ ამომრჩეველთ არჩევნების დღეს საარჩევნო შენობაში; საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ყველა პარტიების ბიულეტენების მცირე რიცხვი მაინც; თუ ბიულეტენები შემოგაკლდათ უნდა მისცეთ ამომრჩეველთ სუფთა საწერ ქაღალდის მე-16-ი, საკანდიდატო სიის ნომრის დასაწერად.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1834, ანაწერი 1, საქმე 127, ფურცელი 28-29.

დანართი № 6

სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობის მასალები
1919 წლის 5 აპრილი

კრებას დაესწრნენ: გ. მაღნარაძე, ი. სალაყაია, პ. ქავთარაძე, გრ. ცეკვაშვილი, ა. ფიჩხაია, ილია ხაჟომია, ლუკა დავითაია, მიხეილ კეკელია, ბესარიონ დუნდუა, ვლადიმერ დემურია, ალექსანდრე კორძაია, გრიგოლ თოფურიძე, გიორგი ბოკერია, გრიგოლ ქოიავა, კოსტა პირტახია, ევტროპი როგავა, ბიქტორ ხარბედია, ისიდორე პერტია, ყირიმ ჩიქოვანი, ლავრენტი გეგენავა, ვალიკო მონიავა, თედო ესართია, იასონ ჟორდანია, ლევან დარციმელია, ევგენი ფულარია, იპოლიტე ჩხეტია, ისიდორე ადამია, მიხეილ საბახტარაშვილი.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 12 საათსა და 20 წუთზე გ. მაღნარაძის თავმჯდომარეობით. მოკლე სიტყვით ის მიმართავს კრებას და გამოთქვამს სიამოვნებას იმის გამო, რომ საერობო ხმოსანთა ყრილობას მოეცა საშუალება ხელმეორედ შეკრების; პირველი ყრილობის დასრულების შემდეგ ვიდრე დღევანდლამდე ჩვენმა ქვეყანამ განიცადა ბევრი მძიმე მომენტი. იყო წუთები, როდესაც მისი ყოფნა არყოფნის საკითხი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მან შეძლო ამ კრიზისების გადატანა, რაც ერთგვარი გარანტიაა საუკეთესო მომავლისა, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენ უკვე გვყავს დამფუძნებელი კრება, რომელიც დარწმუნებული ვარ ღირსეულად გაუძღვება სამშობლოს. ნება მიბოძეთ მივესალმოთ მათ. კრება ამ წინადადებას ერთხმად იღებს.

შემდეგ თავმჯდომარე აცნობს ყრილობას დღიურ წესრიგს, რომელიც კრების მიერ მიღებული იქნა უცვლელად, რის შემდეგ ის აკეთებს საერთო ხასიათის მოხსენებას: „წინანდელ ყრილობაზე დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება, თქვენ მიანდეთ გამგეობას, მაგრამ ამ დადგენილებებს ისეთი დაბრკოლებები გადაეღობა წინ, რომელიც პირდაპირ მოულოდნელი იყვნენ. ხსენებულ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად ჩვენ გავემგზავრეთ თბილისში დიდი იმედებით და დარწმუნებულნი იმაში, რომ მთავრობისაგან მივიღებდით ყოველივე დახმარებას, მაგრამ სინამდვილეში დავინახეთ სულ წინააღმდეგი. მთავრობა ჩვენ წინადადებებს მეტად გულცივად შეხვდა და არც ერთი ჩვენი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული არ იქნა. ამ რიგად, ჩვენ დავრჩით მარტო საკუთარი ძალების ამარა. იმ ხანებში ერობათა საქმე, როგორც ახალი საქმე, სრულიად მოუგვარებელი იყო და მთავრობასაც, მართალი უნდა ითქვას, რომ არ ჰქონდა ამის თავი.

ჩვენ მივიღეთ დიდი ვაი ვაგლახით მთავრობისაგან მარტო 30 000 მანეთი, რომელიც იმ აუარებელ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელიც ჩვენ დაკისრებული გვქონდა, ცვარია ზღვაში. მომავლისათვის შეგვპირდნენ სესხის სახით 300 000 მანეთით დახმარებას და ამით ფიქრობდნენ ჩვენს მოშორებას. განვიზრახეთ გადასახადების შემოღება, მაგრამ მთავრობამ ამის ნება არ მოგვცა, ვინაიდან მას თვითონ ჰქონდა განზრახული ერთდროული 70 000 000 გადასახადის აკრეფა და აქედან კი რამდენიმე პროცენტის ჩვენთვისაც მოცემა. გვინდოდა სასურსათო სეპარაციების საშუალებით ცოტათი მაინც ხელის მომართვა, მაგრამ სასურსათო საბჭო და საქონლის გამცვლელი კომიტეტი აქაც მტრულად შეგვხვდა. საჭირო თანხის უქონლობის გამო იძულებულნი ვიყავით მოგვეხდინა ერთგვარი შეთანხმება ზუგდიდის კოოპერატივთა კავშირთან, გამოვიტანეთ ნაღდ ანგარიშში საბჭოდან საქონელი და ამ გზით მიღებული პროცენტების საშუალებით გამგეობის აპარატმა დაიწყო მუშაობაც. მომმარაგებელ კომიტეტის ქონებაზედაც გვეჭირა თვალი, მაგრამ ამის შესახებ კრინტი არ ამოგვაღებინეს.

ამ ერთი თვის წინათ თბილისში შესდგა ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც მრავალი სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვები ჰქონდა გადასაჭრელი.ამ ყრილობაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ საკითხს, დამოკიდებულება მთავრობასთან და სასურსათო საკითხი, გარდა ამისა იყო კიდევ მრავალი სხვა საერთო ხასიათის კითხვები, როგორიცაა მაგალითად, დაზღვევის საკითხი, სტატისტიკა და სხვა. ყველა ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო შეიქმნა მუდმივი სახელმძღვანელო ორგანოს დაარსება, რომელიც უკვე შესდგა ცენტრალური ერობათა ბიუროს სახით. ზოგიერთი სამინისტროს წარმომადგენელნი, ამ ბიუროს დაარსების წინააღმდეგნი იყვნენ,

რადგან მათ ერობები ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც მთავრობის განკარგულებათა ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები. მიწად მოქმედების სამინისტროს დღესაც ისე უყურებს ერობის გამგეობას, როგორც თავის უწყების ორგანოს და ჩვენ როგორც თავის მოხელეებს.

რაც შეეხება შინაურ მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი რიგზე მართლაც არა. არ არის შემუშავებული ბიუჯეტის საქმე, რომელიც უმთავრესად გადასახადებს ეყრდნობა. მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ ამისი ანუ გადასახადების დაწესების უფლება არა გვაქვს. რაც შეეხება სკოლებს, ასეთები მიღებული არიან ფორმალურად და არა არსებითად. საექიმო ნაწილი გვარიანადაა დაყენებული. ამ დარგში მუშაობამ კარგი შედეგი მოგვცა და მომავალში კარგ ნიშნებსაც იძლევა. ტექნიკური ნაწილი კი უნუგეშო მდგომარეობაშია. ეს გარემოება სხვა მიზეზებთან ერთად აიხსნება იმით, რომ ამ დარგს კისრად დააწვა სასურსათო საქმეების მოწესრიგება, სააგრონომო და იმავე დროს თავმჯდომარის მოვალეობათა ასრულების.

აგრარულ განყოფილებაში თუმცა ენერგიული მუშაობაა, მაგრამ ამას თვალსაჩინო შედეგები არ მოჰყოლია იმ მიზეზების გამო, რომ იქ თავს იყრის აუარებელი სხვა და სხვა ხასიათის საქმეები, იქ ერთად დომხალივით არეულია საადმინისტრაციო, სასამართლო, სამიჯნო და სხვა.

რაც შეეხება სასამართლოს, ასეთი ჯერ არა გვაქვს და ამ კრების მთავარ დანიშნულებას შეადგენს მოსამართლეთა არჩევა.

სტატისტიკური განყოფილება არ გვაქვს.

საერობო ერთეულები, მართალია, მოქმედებენ სუსტად, ამის მიზეზი გახლავთ ერთი, რომ ეს საქმე ახალია, და მერე მათ აკლიათ სახსარი და თვით კონსტიტუცია ამ საკითხზე მეტად ბუნდოვანია.“

სიტყვა ეძლევა გამგეობის თავმჯდომარეს ი. სალაყაიას: „გამგეობამ დაიწყო მუშაობა ამ ექვსი თვის წინად. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე გვქონდა დაკისრებული, ვიცოდით, რომ ერობას დააწვებოდა მთავრობისაგან მოხსნილი ტვირთი. აგრეთვე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ჩვენი ერობა იყო იმ ხანებში პირველი, სხვაგან ერობები ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო და ამ მხრივ დამხმარე არავინ არ გვყავდა. მოკლებული ვიყავით ყოველივე პრაქტიკას და ამავე დროს ვიყავით უუფლებონიც. აი ასეთ ჩარჩოებში მოექცა ჩვენი მუშაობის საქმე. როდესაც ბიუჯეტი წარმოუდგინეთ მთავრობას დასამტკიცებლად, იქ გვითხრეს: „ჯერ ასეთი ჩვენ არ გვაქვს შემუშავებული და თქვენ როგორღა დაგიმტკიცოთო“. შევეცადეთ პარლამენტის საფინანსო კომისიასთან კანონპროექტის დაჩქარებას. ამ კომისიაში სამუშაოდ დაგვჭირდა ძებნა ერობათა წარმომადგენლების. ჩვენ მოვთხოვეთ მთავრობას თითო მილიონი სუბსიდია, მაგრამ სამი კვირის შემდეგ მოგვცეს მხოლოდ 30 000 მანეთი, ხოლო სესხის სახით უნდა მოგვცეს 250 000 მანეთი. ეს ფული ნიშნების უქონლობის გამო ჯერაც არ მიგვიღია. ეს იყო რაც გავაკეთეთ პირველ ხანებში.

თავიდანვე ჩვენ სრულიად არ ვფიქრობდით თუ სასურსათო საქმე შეიქნებოდა ერობის არსებობის მთავარ წყაროდ. სასურსათო ოპერაციების საშუალებით ჩვენ შევძელით ხელის მობრუნება და თუ დღეს ჩვენს მაზრას აქვს რამდენიმე საავადმყოფო, თუ რაიმე გაკეთებულია სამოსწავლო ან ტექნიკურ განყოფილებაში, თუ მაზრაში მოვაწყვეთ წვრილი საერობო ერთეულები, ყველაფერი ეს შეძენილია სასურსათო ოპერაციების საშუალებით.

ჩვენი ინიციატივით შესდგა, თბილისში ერობათა წარმომადგენლების თათბირი, მოვახდინეთ მთავრობასთან შეერთებული კრება სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვების გამოსარკვევად ამ თათბირმა, თავისი ნაყოფი გამოიღო და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში კანონები პარლამენტში უმტკივნეულოდ გატარდება.

გარდა ამისა საჭირო შეიქმნა ცენტრში ისეთი ორგანოს დაარსება, რომელიც მანდ ჩვენს მაგივრობას გასწევდა, რომ არ დაგვჭირდეს ყოველ წვრილმან საქმეზე სიარული და უმიზნო ხარჯების გაწევა. გადაწყდა შემდგარიყო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც აირჩია თავისი ბიურო. ყრილობაზე მთავრობის წარმომადგენლებთან თავი იჩინა უთანხმოებამ, მაგრამ

ერთ-ერთ დათმობისა და კომპრომისების შემდეგ მაინც გამოინახა საერთო ენა. მომავალშიაც ჩვენ შევეცდებით უფრო რადიკალურად დაცვას ჩვენი პოზიციისას. ბიუროს ხელში გადმოვიდა სასურსათო საბჭო, მაგრამ გადმოვიდა სწორედ იმ დროს, როდესაც მდგომარეობა სურსათის მხრივ კატასტროფული იყო, ქონება უნდა ყოფილიყო, ჩვენის აზრით, რამდენიმე ასი მილიონის, მაგრამ გამოირკვა, რომ საბჭოს საწყობები უკვე სრულიად დაცარიელებული ყოფილა, ხოლო თანხა ქონია მას მარტო 5 000 000 მანეთი. ძნელია თქმა იმისა, თუ რამდენად მოვაწესრიგებთ შექმნილ პირობებში სურსათის და მომარაგების საქმეს, მაგრამ ერთი ცხადია, ჩვენ არ მოვატყუებთ არც სახელმწიფოს და არც ხალხს. თუ ამ საქმიდან ვერაფერი გამოვიდა, იმ 2 000 000 მანეთს მაინც არ დავხარჯავთ, რომელიც იფლანგებოდა საბჭოს მიერ ყოველ თვიურად მომსახურეთა შესანახავად.

რაც შეეხება შინაურ მუშაობას, აქ პირობები იყო ყოვლად აუტანელი, მაგრამ შედარებით მაინც კარგად მოვაწყვეთ საექიმო ნაწილი, სამოსწავლოში, მართალია, ცოტა გაკეთდა, მაგრამ მეტის გაკეთება შეუძლებელიც იყო, ვინაიდან ეს საქმე ცუდადაა დაყენებული მთელს რესპუბლიკაში.

მიმოსვლის გასაადვილებლად ჩვენ ავამოძრავეთ ერთი დილიჟანსი და ერთი ავტომობილი. უკანასკნელმა კი ზარალი გვიჩვენა და ამის გამო იძულებული ვიყავით ის შეგვეჩერებინა.

რაც შეეხება სხვა დანარჩენ დარგებს, აქ უნდა ითქვას რომ ასეთები ვერ მოეწყო როგორც უსახსრობის, აგრეთვე საჭირო პირთა უმუშევრობის გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაზრაში უკვე მოეწყო წვრილი საერობო ერთეულები, მაგრამ მათ როგორც ჩვენ აკლიათ პრაქტიკასთან ერთად საარსებო საშუალებანი, თუ ეს ერთეულები ვერ გამაგრდა, სამაზრო ერობის მუშაობაც უნაყოფო იქნება.

ადვილად შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ პირობებში ჩვენს მუშაობას რაიმე დეფექტები ჰქონდა, შეიძლება ასეთი დეფექტები მომავალ მუშაობაშიაც განმეორდეს, მაგრამ ამით გული არ უნდა გავიტეხოთ და ერთხელ აღებული გზა საჭიროა სასურველ დაბოლოებამდე მივიყვანოთ“.

შემდეგ კრება შეუდგა თითოეული დარგის ცალ-ცალკე მოხსენებათა მოსმენას, საექიმო-სასანიტარო ნაწილზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი პ. ქავთარაძე:

„პატივცემულო ერობის ხმოსანნო, თქვენ უკვე მოგახსნეს საერთოდ ჩვენი გამგეობის მუშაობა, ყველა ის დაბრკოლებები და წინააღმდეგობანი, რომლის გადალახვა მოუხდა, დღიდან თქვენი წასვლისა, საექიმო სასანიტარო განყოფილებას: ჩვენ უნდა გაგვეხსნა ქალაქ სენაკში 60 საწოლიანი და დაბა აბაშაში 30 საწოლიანი საავადმყოფოები, 8 საექიმო პუნქტი, 15 საწოლიანი თითო და სამი საფერშლო პუნქტი, აგრეთვე უნდა მოგვეწყო ქალაქ სენაკში სამაზრო აფთიაქი-საწყობით. ხოლო ყველა ზემო აღნიშნული გეგმის განსახორციელებლად ნება გვქონდა თქვენგან დაგვეხარჯა 1 843 900 მანეთი, მაგრამ თქვენ უკვე იცით, რომ მთელი ჩვენი ბიუჯეტი ჰაერზე ჩამოკიდებული შეიქმნა, რადგან მთავრობამ თქვენ მიერ დასახულ სესხზე ცივი უარი გვითხრა და დახმარება ვერ აღმოგვიჩინა. გადასახადის გაწერაზეც თანხმობა არ მოგვცა, რადგან თვითონ სურდა ერთდროული გადასახადების დაწესება და იქიდან დაგვპირდა ცოტაოდენი პროცენტი, მაგრამ დღემდე არც კი შესდგომია ამის მოწესრიგებას, ხოლო დასახული მიზანი როდის იქნება განხორციელებული ალაჰმა უწყის. როგორც ვხედავთ გამგეობა იძულებული გახდა მთელი მისი მოქმედება შეეკვეცა, საექიმო განყოფილებამაც ერობის ფინანსურ მდგომარეობას ანგარიში გაუწია და გააკეთა ის, რისი ასრულებაც მისი აზრით აუცილებელი იყო: თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ჩვენი ერობის მუშაობის დაწყებისთანავე მაზრას მოედო ე. წ. ახალი ავადმყოფობა, ინფექცია, რომელმაც ხალხში შიში შეიტანა, იგი ჭირად მონათლეს და ერთმანეთს არ ეკარებოდნენ, ჩვენმა განყოფილებამ გამოუშვა მოკლე დარიგება, დაიქირავა 2 ექიმი და სამი ფერშალი ეპიდემიასთან საბრძოლველად, რომ ეს ზოგან არ კმაროდა და მივმართეთ მთავრობას დახმარებისთვის აგრეთვე შუამდგომლობა აღვძარით, რომ თბილისსა და ქუთაისის მომმარაგებელ კომიტეტებიდან მედიკამენტები და საავადმყოფოებისათვის საჭირო ინვენტარი მოეცათ, მაგრამ დღემდე ეს ჩვენი შუამდგომლობა დარჩა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ზოგიერთი საავადმყოფოს მოწყობილობას; სამწუხაროა, მაგრამ არ შე-

მიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ერობა, რომელსაც ბედმა საერთო ქონებასთან ახლო ყოფნა არგუნა, ხელმძღვანელობს კუთხური პატრიოტიზმით. თქვენ იცით, რომ ქუთაისის გუბერნიას შვიდი მაზრა შეადგენს, რომლის რიცხვშიც ჩვენც ვართ, ამიტომ მთელი ქონება ქუთაისის მომმარაგებელ კომიტეტისა და აგრეთვე ყველა საგუბერნიო დაწესებულებათა უნდა დაყოფილ იყოს თანასწორად, მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, რომ ყოველ მაზრას შეძლება ჰქონოდა თავის მცხოვრებისთვის მზრუნველობა გაეწია, მაგრამ დღემდე მიუხედავთ ჩვენი დაჟინებით მოთხოვნისა ეს არ მომხდარა, ხოლო ჩვენდამი მოსული ცნობით ქუთაისის ერობას თავისთვის გამოაქვს მედიკამენტები, საავადმყოფოებისთვის საჭირო ინვენტარი და თავის მაზრაში აფთიაქებსა და საავადმყოფოებს აწყობს, სხვა მაზრის ჭირ-ვარამისათვის კი თავს არ იტკივებს. თუ რამდენად დასაშვებია ასეთი საქციელი ერთი ერობისა მიერ მეორისადმი ეს თქვენ განსაჯეთ.

საექიმო-სასანიტარო განყოფილება დღიდან თავის მოქმედების დაწყებისა ცდილობდა სამაზრო საავადმყოფოს გახსნას, მაგრამ მოგახსენებთ, არ იქნა საშველი, ვერ მივიღეთ დროზე ჩვენი კუთვნილი ინვენტარი და ამიტომ მხოლოდ 16/11 ქალაქის თვითმმართველობასთან შეთანხმებით გავხსენით ჯერ-ჯერობით 20 საწოლიანი საავადმყოფო, სადაც 15 საწოლი ფასიანი, ხოლო 5 უფასოა ღარიბთათვის. საავადმყოფოს გამგე ექიმად მოწვეულია ექიმი ხოფერია, მეორე ექიმის თანამდებობას ასრულებს ექიმი ჩხეტია, რომელიც ჯამაგირს იღებს ქალაქის თვითმმართველობიდან. ქირურგი ჯერ არ მოგვიწვევია, რადგან დანიშნული ჯამაგირით ვერ ვიშოვეთ, ხოლო მისი მოწვევა ჩვენის აზრით აუცილებელია.

ამ თვენახევრის განმავლობაში ამბულატორიული წამლობა მიუღიათ 226 ავადმყოფს, აქედან ქალაქ სენაკის მცხოვრები იყო – 107, სენაკის მაზრის – 93, ზუგდიდის მაზრის – 28, ქუთაისის – 1. გარდა ამისა, საავადმყოფოში ამ ხნის განმავლობაში მწოლიარე ყოფილა 29 ავადმყოფი, რომელთაც გაუტარებიათ 374 დღე, ამ რიცხვიდან 75 დღე უფასოა.

დღიდან დაარსებისა 1 აპრილამდე დახარჯულა 18 574 მანეთი და 34 კაპიკი, გარდა წამლებისა და შესახვევ მასალისა. შემოსულა 5 860 მანეთი.

ამრიგად, თვე ნახევარში დახარჯულა 12 715 მან და 34 კაპ. გარდა ამისა დაბა ბანძაში მოვაწყვეთ 12 საწოლიანი საავადმყოფო ერთი ექიმით და ორი ფერშლით. ძველი-სენაკი, ნოქალაქევი, სალხინო და მარანში განყოფილებას გაგზავნილი აქვს სამკურნალოებისთვის ზოგიერთი საჭირო ნაწილი და აღნიშნულ ადგილებში, გარდა მარნისა, ჰყავს თითო ექიმი ფერშლით, რომლებიც დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ავადმყოფს უფასოდ იღებენ, ამ ადგილებშიც სამკურნალოებს მოვაწყობთ, ინვენტარის მიღებისთანავე. ზემო ჩამოთვლილს ემატება დაბა აბაშასა და ნაოღალევის. ამ რიგად განყოფილებას აქვს 4 მოწყობილი საავადმყოფო, ჰყავს 8 ექიმი, 17 ფერშალი და 3 ბებია ქალი.

სომეხ-ქართველთა ომის დროს ერობას ჰყავდა, განყოფილების თაოსნობით მოწყობილი, სანიტარული რაზმი გაგზავნილი ფრონტზე, რომელიც თვეში დაუჯდა 4 500 მანეთი. ჩვენს განყოფილებას ახალ-ციხის ფრონტზეც ჰყავდა გაგზავნილი სანიტარული რაზმი, ექიმი ჭეიშვილის მეთაურობით სენაკის გვარდიის საჭიროებისათვის. თქვენ იცით, რომ ისე როგორც თავს გვესხმიან ხან ჩრდილოეთიდან ხან სამხრეთიდან, გადამდები სენიც საქართველოს ხან ერთი მოედო ხან მეორე. ის იყო ძლივს მინელდა ახალი ავადმყოფობა, გაჩნდა მეორე უფრო საშიშარი სენი პარტახტიანი ტიფი, ჩვენს მაზრაში ამ სენით პირველი ავადმყოფნი ჩამოსულნი იყვნენ ზოგი ტყვეობიდან და უფრო თბილისიდან, ამ უკანასკნელში ჭარბობდნენ ვაჭრები; ახლა მოგეხსენებათ სპეკულაციის ხანაა და ყოველი მოქალაქე აღებ-მიცემაშია გაბმული, აქ რასაც იშოვიან ფქვილი, კვერცხი და სხვა გააქვთ თბილისში და იქიდან კი მოაქვთ ეგრეთ წოდებული დეზერტირების ბაზარში შეძენილი ნივთები, ამან კი ძლიერ შეუწყო ხელი სენის სწრაფ გავრცელებას. ჩვენმა გამგეობამ ადგილობრივ ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად მოაწყო რაზმი და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუკეთა ვრცელი მოხსენება, სადაც მიუთითა აუცილებელ ზომების მიღებაზე და ჩვენ პასუხად საგანგებო რწმუნებულ ექიმ გოპაძესგან მივიღეთ 20 000 მანეთი ავანსის სახით, რის შემწეობით გავხსენით

პარტახტიანი ტიფიანისთვის განყოფილება 25 საწოლით სადაც უკვე წევს 9 ავადმყოფი, ამ საავადმყოფოშიც ქალაქის თვითმმართველობას თავისი წვლილი შეაქვს.

განყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სოფლად კერძო აფთიაქებიც ბოროტ-მოქმედებენ, ამის გამო და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ იმ დიდძალ ხარჯების დასაფარავად, რომელსაც განყოფილება ეწევა საექიმო პერსონალების და სამკურნალო ქსენონების შესანახად და აგრეთვე ხალხს, რომ ნამდვილი წამალი მიეცეს, განიზრახა აფთიაქის მოწყობა მაზრაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმის სირთულისა და ზემოთმოყვანილ მედიკამენტების მიუღებლობისა, სისრულეში ვერ მოიყვანა, გარდა სოფელ ბანძისა, სადაც სოფლის საზოგადოებამ შეიძინა ყოფილი სააფთიაქო მაღაზიის ინვენტარი ფერშალ გაბუნიასგან და აწყობს აფთიაქს. აფთიაქი იქნება განყოფილების სრულ კონტროლისა და გამგებლობის ქვეშ, ხოლო შემოსავალი მოხმარდება იმავე სოფლის საავადმყოფოს.

სოფლად საქონლის ჭირის გაჩენის გამო, სენაკის მაზრის საზოგადოებიდან, განყოფილების რჩევით და ინიციატივით ქუთაისის სამაზრო ერობასთან არსებულ ასაცრელ შრატის დამამზადებელ სადგურის განკარგულებაში გაგზავნილია 30 სული ხარი, განყოფილებამ უკანასკნელად გაუგზავნა საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ ფონდიდან 8 000 მანეთი. სადგურიდან კი მივიღეთ სულ 260 ლიტრი შრატი საქონლის ასაცრელი, ეს ჩვენი აზრით ძლიერ ცოტაა, მე შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი მაზრასავით პირნათლად არავის არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა სადგურის წინაშე და საჭირო იყო, რომ ქუთაისის სადგურს ამისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია. დასასრულს საჭიროდ მიმაჩნია, გაგაცნოთ, რომ განყოფილებამ მოიწვია ერთი კვირის წინ ერობის ექიმთა ყრილობა, სადაც სხვა საჭიროებასთან ერთად განვიხილეთ დებულება საექიმო-სასანიტარო საბჭოს შემადგენლობისა, რომლის ზოგიერთი მუხლები შევცვალეთ და დადასტურებულად ექიმთა ყრილობა ამას თქვენ გიდგენთ.“

ტექნიკურ ნაწილზე მოხსენებას აკეთებს გრ. ცეკვაშვილი:

„ტექნიკურ განყოფილებამ დაიწყო თავისი მოქმედება გასული წლის 22 ოქტომბერს, მას შემდეგ მან გადადგა შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები:

მოეწყო ტექნიკური განყოფილებისათვის კანცელარია, ჰყავს საქმის მწარმოებელი, მოანგარიშე და მანქანაზე მომუშავე. აქვს შემოსულ და გასულ ქაღალდების წიგნები, აგრეთვე საანგარიშო წიგნებიც. რაოდენობა შემოსულ და გასულ ქაღალდების ჯერ-ჯერობით უდრის საერთო რიცხვით 550-ს. არ არის არც ერთი აუსრულებელი ქაღალდი. მიწერ-მოწერანი არის 21 სხვა და სხვა საქმეებად დაყოფილი, თავის მოსამსახურეებზე დღემდის დაუხარჯავს 35 873 მანეთი და 75 კაპიკი.

მოაწყო ახალ-სენაკ-ნოქალაქევს შუა დილიჟანსის მოძრაობა, რომლის მოგვარება დაუჯდა მას 6 ცხენით 12 850 მანეთი. დილიჟანსს მიუცია მიმდინარე წლის 1 აპრილამდე 33 598 მანეთი და 50 კაპიკი, წმინდა დარჩა 4 529 მანეთი და 57 კაპიკი.

გასული წლის 20 დეკემბრიდან მოაგვარა ავტომობილების მოძრაობა აბაშა-ბანძა და ახალ-სენაკ-ზუგდიდს შუა. შემოსულა ავტომობილებიდან პირველ მარტამდე 24 111 მანეთი და 50 კაპიკი, გასულა ავტომობილებზე და დაიხარჯა 9 932 მანეთი და 26 კაპიკი. მიიღო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისაგან 3 ავტომობილი;

გაიხსნა საქსოვი და საოსტატო სახელოსნოები გასული წლის 28 ოქტომბერს. საქსოვმა სახელოსნომ დაამზადა რამდენიმე ათეული ჩულქი, სახელოსნოებში ხმარებაშია საუკეთესო იარაღები სხვა და სხვა გვარის რიცხვით 110-მდე. თვით საოსტატო სახელოსნო დღეს დღეობით თავისი მოქმედებით ემსახურება სამაზრო გამგეობის ყველა განყოფილებებს და მასთან საჭიროების დროს აწარმოებს ზემოთ ხსენებული ავტომობილების შეკეთებას.

ქუთაისის გუბერნიის კომისრის მფრინავ რაზმთან არსებულ განსაკუთრებულ ბატარეისაგან და ქუთაისის მომმარაგებელ კომიტეტისაგან მიიღო სხვა და სხვა საჭირო საქონელი და იარაღები თვალსაჩინო ღირებულების. შეიძინა ერობის საჭიროებისათვის: სახარატო სახვრეტი დაზგები; გრუზოშინები პოკრიშკები კამერები და სხვა.

აღძრა რამდენიმეჯერ შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რათა მათ აღმოეჩინათ შესაფერი დახმარება ლურსმნების და სხვა საჭირო საგნების გამოგზავნით მაზრაში არსებულ ხიდების შესაკეთებლად, მაგრამ ცდამ ამ ნიადაგზე მაინც და მაინც დიდი ნაყოფი არ მოგვცა.

ამ მდგომარეობამ მაიძულა მთავრობის ტექნიკური განყოფილების უფროსი წავსულიყავი ქალაქ თბილისს საქონლის შესაძენად. შევიძინე და ჩამოვიტანე მიმდინარე წლის 22-ს მარტს ჩამოვიდა 11 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი და იარაღები, მასთან ორი ავტომობილი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ მუშაობაში, გზების გაყვანის და ხიდების გაშენების საქმის მოგვარებაში. საერთოდ ჩამოტანილ საქონელს დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ სააღმშენებლო მუშაობისათვის; ამ მხრივ იგი დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მათი ღირებულება, ფულად რომ ვიანგარიშოთ, თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ ფასს საქონლებზე, უდრის 1 მილიონ მანეთს და შეიძლება მეტსაც; აღძრულია შუამდგომლობა შავის ზღვის რკინის გზის სამმართველოსთან, რათა მან გადმოგვცეს საჭირო რაოდენობა ცემენტისა და მოტორების.

ვინაიდან მის კომპეტენციას დროებით შეადგენდა სასურსათო განყოფილების საქმეების გაძღოლაც ამ ნიადაგზე მან მოაწყო მაზრის საჭიროებისათვის გარეშედან საგრძნობი სათესლე ხორბლეულობის შემოზიდვა და თავის დროზე მიწოდებით დიდი დახმარება გაუწია მაზრის მცხოვრებთ. შეძენილი ხორბლის რაოდენობა უდრის 607 ფუთს და 22 გირვანქას, დაახლოებით 70 ათას მანეთს. გამგეობამ ორი ოპერაციიდან 8%-ის ანგარიშში მიიღო 8 728 მანეთი.

ჩაიბარა პირველი აპრილიდან გრიგოლეთის გზატკეცილის სუფსიდან-მალთაყვამდე და ნოქალაქევ-ახალ-სენაკის გზატკეცილის მთელი არხივი და ბომბუას ხიდი. მოახდინა ხიდების აღწერა და მათ შესაკეთებლად ხის მასალის რაოდენობაც გამოიანგარიშა, რომლის შესაძენად მიიღო სათანადო ზომები.

აღნუსხვა თუ რა გაუკეთებია ტექნიკურ განყოფილების სახელოსნოს დღიდან მისი დაარსებისა. სახელოსნოს ზოგიერთი იარაღების შეკეთება და მისი მოწყობა – 240 მან; თავლის საჭიროებისათვის – 55 მან; საწყობის საჭიროებისათვის ზოგიერთი იარაღების შეკეთება და გაკეთება – 52 მან. 50 კაპ; ავტომობილების შეკეთება – 585 მან; სასურსათო საბჭოს ზოგიერთი ნივთების შეკეთება – 35 მან; დილიჟანსის შეკეთება – 100 მან; მთავარი კანცელარიის ნივთების შეკეთება – 200 მან; საექიმო განყოფილების საავადმყოფოს ზოგიერთი საგნების გაკეთება – 260 მან; ქალაქის თვითმმართველობის საჭიროებისათვის - 50 მან; სხვა და სხვა პირების – 37 მან.

ჯამი – 1 625 მანეთი.

სახალხო განათლების ნაწილზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ა. ფიჩხაია: ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც შეუდგა გამგეობა თავის მოვალეობათა ასრულებას. მე მოგახსენებთ თუ რა მდგომარეობა იყო სწავლა-აღზრდის საქმე, მაზრაში რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში და რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. წინანდელი საერობო ყრილობის დავალება იყო, რომ სკოლები მიეღო ერობას, ვისგანაც ჯერ-არს რომ აღვეძრა იქვე შუამდგომლობა სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფილიყვნენ მატერიალურად, რომ მოგვეწყო მათთვის კურსები. მოგვეწყო მოსწავლეთა ექსკურსიები და მრავალი სხვა. გამგეობა შეუდგე ამ კითხვათა ცხოვრებაში გატარებას და უნდა ითქვას, რომ გაკეთდა ცოტა, მაგრამ ეს აიხსნება ერთის მხრით, ასეთი მოკლე დროით და მეორე მხრით იმ აუტანელ პირობებით, რომელშიაც მოექცა ჩვენი მუშაობა. პირველი ჩვენი ნაბიჯი იყო სკოლების მიღება და 1 იანვრიდან იურიდიულად ყველა დაბალი დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი მასწავლებლები, გარდა ქალაქ ფოთისა და სენაკის სასწავლებლების, გადმოვიდა ერობაში, კრედიტი დაბალი სასწავლებლის უდრის 1 237 212 მანეთს. 8 უმაღლეს სასწავლებლის მიღებაზე და კრედიტების გახსნაზე მთავრობამ უარი გვითხრა. მივიღეთ, მეთვალყურის კანცელარია და გადმოვიტანეთ სენაკში და შემდეგ შეუდექით სკოლების ფაქტობრივ ჩაბარებას, მაგრამ თითოეული სკოლის მიღებას უნდა დაახლოებით ორი დღე. ხოლო ყველა სკოლების ჩაბარებას მოუნდება 6-7 თვე ამასთან ერთად მათი მიღება ითხოვს

დიდ ხარჯებს, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ჩვენ შეუდექით წინასწარ მზადებას გაუგზავნეთ ყველა სასწავლებელს სიები და ამნაირად ეს საქმე უფრო გავაადვილეთ და იმედი გვაქვს 1 თვეში ჩავიბარებთ მათ შვიდი თვის მაგივრად, სკოლების დასათვალიერებლად და სარევიზიოდ გავაგზავნეთ ვლ. გაგუა.

ჩვენ დაკისრებული ყრილობისაგან გვქონდა 10 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გახსნა, გაიხსნა 9. მათი შენახვა დაჯდება ნახევარი მილიონი მანეთი წლიურად თუ ამ ხარჯებში მთავრობა არ დაგვეხმარება, მათი ბედი ძალიან უნუგეშოა. უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გახსნა რომ მიზან შეწონილი იქნას საჭიროა, სამი რამ: შესაფერისი შენობა, მოწაფეთა საკმაო რიცხვი და სათანადო მომზადებული მასწავლებლები. სამივე გვაკლია ჩვენ.

პროფესიონალური და ტექნიკური სასწავლებელი არ გაგვიხსნია იმიტომ, რომ არც საღსარი იყო და ვერც სპეციალისტები ვიშოვეთ. ჩვენ დაუგზავნეთ ყველა სასწავლებელს საანკეტო ფურცლები საიდანაც გამოირკვა, რომ სკოლის გარეშე დარჩენილ სასკოლო ასაკის ახალგაზრდობა ყოფილა 11 000-მდე, როდესაც სკოლაში მოწაფეთა რიცხვი უდრის 10 000. აქედან ცხადია სანამ სავალდებულო სწავლაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს საჭიროა ჯერ სკოლის გარეშე დარჩენილთა სკოლაში შეფარებაზე ვიზრუნოთ. ეს მოითხოვს საჭირო შენობებს და სხვას. სანამ ეს არ გაკეთებულა, მიზან შეუწონლად დავინახეთ სამინისტროს წინაშე აღგვეძრა შუამდგომლობა სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ. მაგრამ დასახული გეგმებიდან ერთი რამ აუცილებლად უნდა ვქნათ, გავხსნათ საოსტატო სემინარია. ამის შესახებ გავმართეთ მოლაპარაკება ზუგდიდის ერობასთან, მაგრამ ის როგორც ეტყობა უსაღსრობის გამო გაურბის ამაში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ ჩვენ მას მაინც უნდა შეუდგეთ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე. მას მოუნდება 120 000 მანეთი, გარდა ამისა უნდა მოვაწყოთ მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსები. ამ კურსებისთვის იყო გადადებული 5 000 მანეთი, მაგრამ ეს საკმარის არ არის და უნდა გადაიდოს არა ნაკლებ 50 000 მანეთი.

რაც შეეხება მასწავლებლების მდგომარეობას, ვინ არ იცის, რომ ისინი ნივთიერად უზრუნველყოფილნი სრულიად არ არიან. ჩვენ გვქონდა მიღებული მათთვის 500 მანეთი თვიური ჯამაგირი, ახლა ისინი იღებენ 400 მანეთს. საჭიროა მომავალ სექტემბრიდან მაინც მივცეთ განსხვავება 100 მანეთი. თუ კი მათი მდგომარეობა მომავალშიაც ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია სკოლების დაცარიელება მასწავლებელთაგან. გარდა ამისა უნდა ვეცადოთ გავაგზავნოთ საზოგადოებებში ლექტორები, აი დაახლოებითი გეგმა იმისა, რის გაკეთებასაც ასე თუ ისე შევძლებთ მომავლისათვის“.

საადგილ-მამულო ნაწილზე მოხსენებას აკეთებს ამ განყოფილების გამგე ა. ანჯაფარიძე: „ამ საქმეს ახასიათებს სამი უმთავრესი მხარე: 7 მარტის კანონის გატარება ცხოვრებაში; 23 იანვრის კანონის გატარება; მოსამართლის როლი ადგილ-მამულის კითხვის გარშემო. ამ ფარგლებში მიმდინარეობს მთელი მუშაობა. 7 მარტის კანონი პირველ ხანებში ბევრს არა სწამდა, არ სწამდა ერთის მხრით მათ ვის წინააღმდეგაც იყო იგი მიმართული და მეორის მხრით ვისიც სასარგებლოდ. ამიტომ ამას მივაქციოთ მთავარი ყურადღება. მაზრაში მუშაობდა 6 მამულ მიმღები კომისია. პირველად დავისახეთ მიზნად მსხვილი მამულების ჩამორთმევა, დანარჩენი გადავდეთ შემდეგისათვის. მიღებული მამულების რაოდენობა სულ 45 045 დესეტინა, მათ რიცხვებში ტყეები უმთავრესად მარტვილის რაიონში 26 000 დესეტინამდე. დანარჩენი კი ვარგისი სამუშაო ადგილებია. ასეთი ადგილები უმთავრესად მდებარეობს აბაშის და ბანძის რაიონებში. ზამთრის მოახლოებისას კომისიების მუშაობა შეწყდა და უნდა განახლდეს ამ გაზაფხულში. თუ შევადარებთ მიღებულ მამულის რაოდენობას სხვა მაზრებთან, გამოდის რომ სხვაგან ამდენი მამულები არსად ჩაუბარებიათ.

მეორე მთავარი და უძნელესი სამუშაო იყო მოსავლის ღალის აკრეფის საქმე. ეს საქმე რთულია, იმიტომ რომ არ გვქონდა სტატისტიკა იმაზე თუ ვის მიეცა მიწა, რამდენი და სად, ამიტომ შევადგინეთ ყოველ საზოგადოებებში ამ ცნობების შემკრები კომისიები და მათი ცნობებით ღალის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 18 590 ფუთი. მისი აკრეფა სამინისტროს მიერ დაეკისრა ცენტრა-

ლურ სასურსათო საბჭოს რწმუნებულს. ამ რიცხვიდან აკრეფილია 10 124 ფუთი სიმინდი დანარჩენი მიუღებელია. მარტვილის რაიონიდან სიმინდი არ გამოგვიტანია იქ მოსალოდნელი შიმშილობის გამო. საერთოდ ჩამორთმეულია ნახევარი და ამდენივე დარჩა ჩამოსართმევი.

23 იანვრის კანონის გასატარებლად საჭიროა მაზრის აგრარულ რაიონებად დაყოფა: ამის შესახებ სამინისტროს აქვს შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვით ჩვენი მაზრა უნდა დაიყოს 9 აგრარულ რაიონებად, მაგრამ ეს საკმარისი არაა და უნდა გადაისინჯოს. ამ კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის ჩვენ უკვე შეუდექით წინასწარ სამზადისს. შევადგინეთ მიწის განმანაწილებელი კომისია და მივეცით მათ სათანადო ინსტრუქციები. მიწის განაწილების დროს თავი იჩინა თვით მუშებში უკმაყოფილებამ, ყველას უნდა რაც შეიძლება მეტი ადგილი მიისაკუთროს, მეორე უკმაყოფილება ისაა, რომ ის საზოგადოებები სადაც ბევრი ადგილები მდებარეობს, თვითონ უნდათ შეინარჩუნონ და სხვებს არ მიეცეს. თუ ასეთ მიდრეკილებებს ბოლო არ მოეღო, მოსალოდნელია ამ უკმაყოფილებათა უფრო გაღრმავება.

მესამე მხარე გახლავთ მოსამართლის როლი, განყოფილებაში შემოდის აუარებელი საჩივრები სხვა და სხვა ხასიათისა, ეხება ეს კერძო მესაკუთრეთ თუ საფონდო ადგილებს. მათ განხილვას, განმარტებათა მიცემას და სხვას, ერთობ დიდი დრო უნდება, გარდა ამისა სადავო კითხვები თხოულობს საქმის ადგილობრივად გამოძიებას. ეს საქმე შეფერხებულია ერთის მხრივ, სახსრის უქონლობის გამო და მეორეს მხრით ადგილობრივად საჭირო ორგანოთა უყოლობის მეოხებით. თუმცაღა ამ ბოლო დროს შემოღებულ იქნა მაზრაში წვრილი საერობო ერთეულები, მაგრამ მათ ვერ გაიგეს მიწერ-მოწერების სრული შინაარსი და ხშირად წინააღმდეგ დასკვნებს იძლევიან.

მაზრის აგრარულ რაიონებად დაყოფის შემდეგ, იქ უნდა შესდგეს კომისიები, რომლებიც ერთი და იმავე დროს მოახდენენ, როგორც მამულის ჩამორთმევას, აგრეთვე მის განაწილებასაც, ეს საქმე დიდად პასუხსაგებია და რომ იქ ბოროტმოქმედებებს ადგილი არ ექნება, საჭიროა სათანადოდ მომზადებული და ზნეობრივად სპეტაკ პიროვნებათა დანიშვნა. საჭიროა აგრეთვე სამიჯნო განყოფილების დაარსება, ინსტრუქტორების მოწვევა და შტატის გადიდება, რათა საშუალება მოგვცეს საქმე სასურველად ჩავატაროთ“.

ადმინისტრაციული ნაწილის შესახებ მოხსენებას აკეთებს მაზრის კომისარი დ. ცხაკაია: მაზრა მივიღე 10 სექტემბერს, მაზრის ჩაბარების დროს ანარქიასთან მებრძოლი მფრინავი რაზმი დაშლილი არ იყო, ის შედიოდა მილიციის შემადგენლობაში და ასე ორივენი ერთად ებრძოდნენ ანარქიას. ამ ბრძოლასთან საჭირო იყო კანონიერი ზომებით სარგებლობა, მაგრამ სინამდვილეში ანარქიის წინააღმდეგ ანარქიული ზომებივე იყო ხმარებაში. ამ რიგად რაზმი შეიქმნა დასაშლელი და 12 ოქტომბრიდან კიდევაც დაიშალა ის. როდესაც დავათვალიერე მაზრის რაიონები, იქ დამხვდა თითო ოროლა მილიციელი. შევუდექი მაშინვე მილიციელების დაქირავებას, მაგრამ მათი ჯამაგირი ისეთი მცირე იყო, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა მშრომელი მილიციელების დაქირავება. განვიზრახე შტატის შემოკლება და მილიციელთა რიცხვი 80 - კაცამდე შევამცირე, რომ ამ გზით მათთვის ჯამაგირი გამედიდებინა. ეს პროექტი დამტკიცებულ იქნა და მათი ჯამაგირი 375 მანეთი შესდგა. საჭირო იყო, რომ მათ ჰყოლოდათ ცხენები, მაგრამ ამ ჯამაგირით მათ ვერ შეძლეს თავის და ცხენების შენახვა და მიზანსაც ვერ მოვაღწიე.

ადმინისტრაციას თავის დროზე ჯამაგირი არ მიუღია, იანვრიდან ადმინისტრაცია უჯამაგიროდ მსახურობს, მივმართე მთავრობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ამავე დროს გვიხდებოდა მობილიზაციის საქმეში მუშაობა, რომელიც ჩვენს მაზრაში სასურველად ჩატარდა. რომ ჯეროვან ნიადაგზე დაყენებულ იქნას ადმინისტრაციის საქმე ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი მატერიალურად უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში არაა მოსალოდნელი არავითარი ნაყოფი.

ყრილობა გაიხსნა 5 აპრილს საღამოს 6 საათზე, ყრილობის თავმჯდომარე გ. მაღნარაძე: კითხულობს შემოსავალ-გასავლის ნუსხას, საიდანაც ჩანს, რომ გამგეობის სალაროში შემოსულა სხვა და სხვა სახით 744 300 მანეთი და 80 კაპიკი, გაცემულა 652 198 მანეთი და 70 კაპიკი, ნაშთი 1

მარტისთვის 92 102 მანეთი 10 კაპიკი. სასურსათო ოპერაციას მიუცია წმინდა მოგება 40 795 მანეთი და 26 კაპიკი.

სიტყვა ეძლევა ხმოსან მ. საბახტარაშვილს: „ყრილობის თავმჯდომარისა და გამგეობის თავმჯდომარის მოხსნებიდან ჩანს, რომ სასტიკი ბრძოლა გაჩაღებულა ერობების და მთავრობის წარმომადგენელთა შორის, ეს ბრძოლა გარდა იმისა, რომ ყოველივე აზრიანობას მოკლებულია, გაუგებარია როდესაც ის ხდება ერთი და იმავე მიმართულების დაწესებულებათა შორის. ამ ბრძოლას აუცილებლად მოჰყვება შედეგად ის რომ არსებითად ერობათა კავშირი ვერაფერს აკეთებს, ხოლო მთავრობას კი შეიძლება ხიფათი განუმზადოს. მთავრობას სწადია დაეხმაროს ერობას, მაგრამ რა ქნას როდესაც ის თვითონ ჩავარდნილა გაჭირვებაში. ერობები მას ანგარიშს არ უწევენ და სულ სხვა ენით დაუწყეს მას ლაპარაკი: ნაცვლად არსებული კრედიტების გადმოცემისა, თქვენ მოსთხოვეთ მას 12 მილიონი, მოახდინეთ სასურსათო საბჭოს რეორგანიზაცია და უარეს ხელში ჩააგდეთ. ჩემის აზრით, სრულიად ზედმეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს ერობათა ცენტრის დაარსება, უკეთესი იქნებოდა დაარსებული ყოფილიყო მთავრობასთან სამეურნეო განყოფილება, რომელიც ერობათა ცენტრზე უკეთ შეძლებდა საქმის მოგვარებას. სასურსათო პოლიტიკის გატარების დროს ერობები უკვე დაადგნენ ყალბ გზას, მაგალითისათვის, ზუგდიდის ერობის მიერ სიმინდის გატანის აკრძალვა“.

აღნიშნული საპასუხოდ, გამგეობის თავმჯდომარემ ი. სალაყაიამ და ყრილობის თავმჯდომარემ გ. მაღნარაძემ შემდეგი სიტყვა წარმოთქვეს: „ერობამ ბიუჯეტი შეადგინა, იმიტომ რომ ეს უნდა წარგვედგინა მთავრობასთან, გამგეობას არ ჰქონდა უფლება სხვანაირად მოქცეულიყო, ვინაიდან, ჩვენ საარსებო სახსარი არ გვქონდა, ჩვენ მოვითხოვეთ აგრეთვე ის კრედიტებიც, რომელსაც მთავრობა ჩვეულებრივად ხარჯავდა, მაგრამ მთავრობასთან დამოკიდებულებაში ვერ გამოვერკვიეთ. ცენტრი არაფერს თმობდა, სამაგიეროდ ჩვენ ჩვენსას მოვითხოვდით, ამ ნიადაგზე მოგვიხდა შეტაკება.

რაც შეეხება სასურსათო საბჭოს, მას ხალხის წინაშე ნდობა არ ჰქონდა ამისათვის ის უნდა აგებულიყო სხვა პრინციპებზე, ეს მოხდებოდა მაშინ, თუ ის დაემყარებოდა პასუხისმგებელ ორგანიზაციებზე, როგორიც არის ერობა, ქალაქის თვითმმართველობები, კოოპერატივთა კავშირები და სხვა. შესაძლოა ჩვენ სასურსათო საქმე ჯეროვნად ვერ მოვაწყოთ, მაგრამ სამაგიეროდ ერთს მაინც ვიზამთ: არ მოვატყუებთ არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას. გარდა ამისა ჩვენ წინაშე დადგა მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოვლა არას გზით არ შეუძლია ერთ რომელიმე ერობას, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ გვარად საჭირო გახდა ცენტრის შექმნა და კიდევაც დავაარსეთ დროებით რესპუბლიკის ერობათა ბიურო, რომელსაც დავალებული აქვს ერობათა საქმეების გაძღოლა და ხელმძღვანელობა, აგრეთვე დამოკიდებულების გამორკვევა მთავრობასთან.

დასასრულს კი ყრილობამ შემდეგი გეგმები დასახა: „სენაკის მაზრის საერობო ხმოსანთა მეორე ყრილობამ მოისმინა რა ერობის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, წარსულ მოქმედებისა და მომავალი მოქმედების გეგმის შესახებ დაადგინა: იწონებს – რა მათ.

ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ: ვინაიდან ერობის არსებობა და მუშაობა ისეთ პირობებში, როცა მას დაკისრებული აქვს ხალხის აუარებელი საჭიროებათა დაკმაყოფილება და ამისათვის კი დღემდე არავითარი განსაზღვრული შემოსავალი არ გააჩნია: ამისათვის ეთხოვოს დამფუძნებელ კრებას, რომ მან ერობათა საბიუჯეტო უფლების საკითხი განიხილოს რაც შეიძლება დაჩქარებით პირველ რიგში; მოგვარდეს სავალდებულო სესხის საკითხი, რომლის კონკრეტული შემუშავება დაევალოს გამგეობას.

სასკოლო საკითხზე: ვინაიდან მაზრაში მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი ისე მცირეა, რომ სასწავლო ასაკის ბავშვთა რიცხვის 55% სკოლის გარეშეა დარჩენილი და ამასთანავე ზოგი მასწავლებელი მოკლებულია სათანადო მომზადებას: დაევალოს საერობო გამგეობას, რომ მან ამ ზაფხულშივე მოაწყოს სენაკში სამოსწავლებო ორ-თვიანი კურსები და 1 ენკენისთვიდან კი ზუგდი-

დის სამაზრო ერობასთან და ფოთის ქალაქის თვითმმართველობასთან შეთანხმებით ან დამოუკიდებლად გახსნას სენაკის საოსტატო სემინარია; მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ დაეხმაროს რითაც შესაძლებელი იქნება სოფლებს სასკოლო შენობების აგებაში, მათ შეკეთებაში და საჭირო ინვენტარით მოწყობაში. იზრუნოს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; იზრუნოს, რომ სანამ სამეურნეო სასწავლებლების გახსნა მოხერხდებოდეს, მოაწყოს სამეურნეო განყოფილებები პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლებთან.

ადმინისტრაციის შესახებ: მიიღოს გამგეობამ საჩქარო ზომები ადმინისტრაციის გამარტივების და მისი ნივთიერი მდგომარეობისა და ღირსების გაუმჯობესებაზე. სხვათა შორის მისი შემადგენლობის შემცირებისა და ამით მიღწეული ეკონომიის საშუალებით, გააუქმოს მაზრის კომისრის თანამდებობა და მისი მოვალეობანი გაანაწილოს საერობო გამგეობისა და მილიციის უფროსს შორის. საექიმო-სასანიტარო საკითხის შესახებ: დაჩქარებულ იქნას განზრახული საავადმყოფოების და საექიმო პუნქტების დაარსება. მხოლოდ საღსარის უქონლობის გამო, საავადმყოფოებში ჯერ-ჯერობით წამლობა ხდებოდეს 2/3 ნაწილის ავადმყოფებისა საფასურით სტაციონარული ავადმყოფებზე 20 მანეთი და 1/3 კი უფასოდ. მასთანავე კინჩხაში გაიხსნას 15 საწოლიანი საექიმო პუნქტი.

მოსამართლეთა არჩევნების შესახებ: ვინაიდან მთავრობის მიერ განზრახული ოთხი მომრიგებელი მოსამართლე ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებს მაზრის საჭიროებას, აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა მაზრა გაიყოს 5 სამოსამართლო უბნად და ამის მიხედვით მოწვეულ იქნას ხუთი მომრიგებელი მოსამართლე. აგრარული რეფორმის შესახებ: ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარების დასაჩქარებლად არჩეულ და მოწყობილ იქნას მეოთხე გამგეობის წევრი.

ჯამაგირის გადიდების შესახებ: ერობის მოსამსახურეთა და მასწავლებელთათვის. ყრილობამ, სარეკომენდაციო კომისიის მოხსენების თანახმად, მიიღო რა მხედველობაში, რომ ერობის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილების საქმის მწარმოებელს ეძლევა თვიურად 700 – მანეთი, ხოლო საექიმო განყოფილების საქმის მწარმოებელს და მთავარი კანცელარიის მდივნის თანაშემწეს ეძლევათ თვიურად 600 – მანეთი. დაადგინა: გაუთანასწორდეს მათ ჯამაგირი, დაენიშნოს რა საექიმო განყოფილების საქმის მწარმოებელს და მდივნის თანაშემწეს, თითოეულს 700 – მანეთი თვიურად, ერობის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ კომისიამ წარმოადგინა და ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი:

მოსამსახურეები გაიყოს სამ კატეგორიად: პირველი კატეგორია, ვინც იღებს 500 – მანეთამდის, მიემატოს 4%; მეორე კატეგორია, ვინც იღებს 501-დან 700 მანეთამდე, მიემატოს 25%; მესამე კატეგორია, ვინც იღებს 701-დან 1000 მანეთამდე, მიემატოს 15%. ერობის გამგეობის თავმჯდომარის წლიურ ჯამაგირს 18 000 მანეთს, მიემატოს ბინის ფულის სახით, თვიურად 375 – მანეთი. აგრეთვე გამგეობის წევრებს მიემატოს ბინის ფულის სახით 250 მანეთი თვიურად.

მასწავლებლების შესახებ: კომისიის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებათა თანახმად ყრილობამ დაადგინა მიეცეს მასწავლებლებს, პირველი ყრილობის დადგენილების თანახმად 500 - მანეთი თვიურად, 1 სექტემბრიდან 1918 წლის და მიემატოს 1 აპრილიდან ამა 1919 წლის, იმის თანახმად, რომ ეს მომატებული აქვს ერობის გამგეობის მოსამსახურეებს კატეგორიის მიხედვით, როგორც ეს ზემოთ ნაჩვენებია.

კრებამ აირჩია 4 კაცი, ერობათა ცენტრში წარმომადგენლებად: გ. მაღნარაძე, პ. ქავთარაძე, ი სალაყაია და ა. კორძაია.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 940, ფურცელი 2-19.

დანართი № 7

ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის მასალები
1919 წლის 4 ოქტომბერი

ყრილობა გახსნილ იქნა საღამოს 5 საათზე ყრილობის თავმჯდომარე კალ. კობახიძის მიერ. აღნიშნულ ყრილობაზე, ერობის საერთო მოქმედებაზედ აკეთებს მოხსენებას გამგეობის თავმჯ-დომარე ლ. შენგელაია: ის მიუთითებს, რომ ზუგდიდის მაზრა კულტურულის მხრით იყო ერთი ჩამორჩენილთაგანი მთელს რესპუბლიკაში. ჩამორჩენილი იყო სწავლა განათლებს საქმე, მეურ-ნეობა, საექიმო სასანიტარო საქმე და სხვა. გამგეობა ცდილობდა მოეგვარებინა ყოველივე ეს, მაგ-რამ მიუხედავად დიდის ცდისა მან ეს ვერ შეძლო უსახსრობისა და უკაცობის გამო. თემის ერობანი უმეტეს საზოგადოებებში უკვე არჩეულია, დანარჩენმა საზოგადოებებმა კი არ მოისურვეს არჩევ-ნებში მიეღოთ მონაწილეობა, ამის მიზეზი კი არის ის, რომ მაზრაში შეგნებული ელემენტი ცოტაა და ვინც არის ისიც არ აწარმოებს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. მაზრაში თავი იჩინა მასიურმა დეზერტირობამ, რამაც გამოიწვია ჯარში მყოფ სხვა მაზრის ჯარის-კაცთა საჩივარი მთავრობას-თან, რის შედეგიც იყო ის, რომ მეორე პოლკის უფროსს პოლკოვნიკ თუხარელს მიეცა უფლება გა-მოეგზავნა ზუგდიდის მაზრაში ეგზეკუცია მაზრიდან დეზერტირების გამოსაყვანად. ეგზეკუციის მიერ დაისაჯნენ არა მარტო დეზერტირები არამედ მათი ჭირისუფლებიც, რაც გამგეობამ აცნობა სათანადო მთავრობას და იმედია, რომ მიღებულ იქნება ზომები. ზუგდიდის მაზრა ყოველთვის ითვლებოდა ყაჩაღთა ბუდედ, რევოლუციის შემდეგ ბოროტ-მოქმედებამ ერთი ორად იმატა. ერო-ბის გამგეობამ ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და შესაძლებლობის ფარგლებ-ში ბევრი რამ გააკეთა. ყაჩაღობის მთლად აღმოფხვრა კი არც ისე ადვილია, ვინაიდან ჩვენში მუშაობს ერთგვარი ტრადიცია. ბოროტ-მოქმედებთან ბრძოლას ისიც უშლის ხელს, რომ მაზრაში მოიდგა ფეხი ერთ გვარმა ტენდენციამ, რომ პირად სარგებლობას ხშირად აყენებენ საზოგადო ინტერესებზე მაღლა. ყველა ამას მალამო უნდა დასდოს სათემო თვითმმართველობამ.

დასასრულს გამგეობის თავმჯდომარე მიმართავს ხმოსნებს და აცხადებს, რომ გამგეობა და მათ (ხმოსნებს) შორის არ იყო სათანადო ხიდი, არ იყო შეთანხმებული მუშაობა, ძალიან ხშირად ერობის ხმოსნები გულგრილად ექცეოდნენ ერობის საქმეებს. ყველა ეს არა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და იმედია შემდეგში ეს ხიდი გაიდება და ერობის გამგეობა და ხმოსნებს შორის დამყარდება შეთანხმებული მუშაობა.

გამგეობის თავმჯდომარეს წინადადება შემოაქვს ახლავე იქმნას არჩეული კომისიები. ხმის უმეტესობით სწყდება ახლავე იქმნას არჩეული კომისიები. ირჩევენ კომისიებს: ადმინისტრაცია და სასამართლოს კომისიაში: იასონ მუჯირი, ნიკოლოზ ბერიძე და ერასტო ჯინჯოლავა. სახალხო გა-ნათლების კომისიაში: ლავრ. კოდუა, ივანე ოსიძე და მაქსიმე ვეკუა. საბიუჯეტო კომისიაში: ანდრია პატარაია, ბიქტორ სარიას, ვლადიმერ კაკულია, ი. ახვლედიანი, ალ. ჩიქავა და ვას. კუტალია. ერო-ბის მომსახურეთა და მასწავლებელთა ჯამაგირის გამანაწილებელ კომისიაში: ვლად. კაკულია, ბიქტორ სარია და იოსებ კვარაცხელია.

ამავეს ყრილობაზე, ლ. შენგელაიამ გაკეთა მოხსენება ადმინისტრაცია და სასამართლოზე მაზრაში: უბნის მოსამართლენი არჩეულ არიან და მოქმედებენ ყოველგან გარდა დარჩელის უბ-ნისა, რომლის უბნის მოსამართლის არჩევა მოხდება ამ სესიაში. ახალი-ხიბულის უბნის მოსამარ-თლის პუნქტის არჩევაში არ მოხდა შეთანხმება ერობის გამგეობასა და მომრიგებელ მოსამართლე ბერიძეს შორის. თანახმად ყრილობის დადგენილებისა გამგეობამ ასეთ პუნქტად აირჩია ახალი-ხიბულა, მაგრამ მომრიგებელ მოსამართლემ აირჩია თავის სადგომად ამავე საზოგადოების ს. ზუ-ბი, რაზედაც მან გამოითხოვა თანხმობა ოლქის მოსამართლეთა ყრილობისაგან და იქ მოაწყო რე-ზიდენცია. გამგეობას კი არ შეეძლო დათანხმებულიყო ამ პუნქტს, ვინაიდან ყრილობაში იყო დავა ახალი-ხიბულისა და ნაფოსტს შორის და ზუბი კი ნახსენებიც არ იყო. უბნის მოსამართლენი ნივ-თიერად უზრუნველ ყოფილნი არ არიან და ერობის ყრილობის მიერ დანიშნული სუბსიდია ვერ აუმჯობესებს მათ მდგომარეობას. საჭიროა ყრილობამ აღძრას შუამდგომლობა, რომ მაზრაში და-

არსდეს მეშვიდე უბნის სასამართლო ლია-ჯვარის რაიონში, რომ ამით სამართალი დაუახლოვდეს ხალხს. ამავე მიზნისათვის საჭიროა რომ ყრილობამ აღძრას შუამდგომლობა, რომ ზუგდიდის მაზრა იქმნას გამოყოფილი ცალკე სამოსამართლო ოლქად. ადმინისტრაცია შეძლების და გვარად მუშაობს და მუშაობას მოაქვს საკმაოდ სასურველი შედეგები. ამ თავდადებული მუშობის მსხვერპლი გახდა მაზრის კომისრის ამხანაგი ივ. კეშილავა. საჭირო სახსრის უქონლობის გამო ერობის გამგეობა ვერ შოულობდა შესაფერ მოსამსახურე პირებს და ესეც აბრკოლებდა საქმეს, ის მცირე თანხაც, რომელსაც მთავრობა იძლეოდა მილიციელების შესანახად ვერ მოდიოდა თავის დროზედ, მაზრის ხაზინის უქონლობის გამო. გამგეობის ცდა, რომ ზუგდიდში გაიხსნას ხაზინა უკვე აღწევს მიზანს და საიმედოა მოკლე ხანში განხორციელდეს მაზრის მილიციის რეორგანიზაცია ამ ნაირად: რაიონის მილიცია მოისპოს და დარჩეს მხოლოდ მაზრის და თემის. მაზრა უნდა გაიყოს 7 უბნად, თითოეულ უბანში იქნება მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწე ათი მილიციელით.

სხდომა გაიხსნა 5 ოქტომბერს 1919 წელს, სხდომას ესწრებოდნენ: გამგეობა მთელი თავის შემადგენლობით და შემდეგი ხმოსნები: ტ. ლატარია, ანტ. ალანია, იოს. ახვლედიანი, ვლ. კაკულია, ხარ. ლაშხია, ლავ. კოდუა, ნ. ბერიძე, ანდრია პატარაია, ივანე ბაძაღუა, იასონ მუჯირი, ივ. ოსიძე, მიხ. კაკულია, ვას. კუტალია, ერასტო ჯინჯოლავა, ბიქტორ სარია, კალისტრატე კობახიძე, სამსონ შონია, მაქსიმე ვეკუა, იოსებ კვარაცხელია და ბაგრატ უგულავა. აღნიშნულ სხდომაზე მსჯელობა გაიმართა წინა დღის შენგელაიას მოხსენებაზედ, აღნიშნულის შესახებ შემდეგი სიტყვა წარმოთქვა ერასტო ჯინჯოლავამ: სოფლის მილიციაში ფეხი მოიდგა მექრთამეობამ, რომელმაც გადააჭარბა ყოველივე იმას, რაც ხდებოდა რევოლუციამდე. იყო შემთხვევები, როცა სოფლის კომისრები ათასობით იღებდნენ ქრთამს. გამგეობა ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევს, არ დადის სოფლებში რომ გავლენა მოახდინონ სოფლის ადმინისტრაციაზედ.

ხმოსანი უგულავა: ხალხში ფეხი მოიდგა უარყოფითმა შეხედულებამ ერობაზედ, რასაც უნდა მიეწეროს სხვა შორის ისიც, რომ რამდენიმე სოფლის საზოგადოებამ უარი განაცხადა სათემო ერობის არჩევნებში მონაწილეობაზედ. მიზეზი ყოველივე ამისა სხვათა შორის არის ისიც, რომ ერობის გამგეობა აწარმოებს კაბინეტურ მუშაობას, არ უნდა გავიდეს ხალხში და აჩვენოს თავისი სახე, რომ გაფანტოს ის ათასგვარი ჭორები, რომელსაც ერობაზედ ავრცელებენ ათასნაირი პროვოკატორები. ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად მუშაობდა, მაგრამ საჭიროა მორალური ზეგავლენაც.

ბ. სარია: ადმინისტრაცია ვერ სდგას სათანადო დონეზედ. მართალია ადმინისტრატორობა არ არის ადვილი საქმე, მაგრამ თუ კი ვინმე კისრულობს მოვალეობას კიდევაც უნდა აასრულოს, რაც ფაქტობრივად არ ხდება. ჯგალში იყო ასეთი შემთხვევა, რომ მცხოვრებლებმა ალყა შემოარტყეს ყაჩაღებს, ხოლო სოფლის კომისარი და მილიციელები დაიმალნენ. ასეთ პირობებში ძნელია ერობის პრესტიჟის დაცვა. მილიციას ჩვენ მადლობას ვერ ვეტყვით იმ მიზეზით, რომ სოფლის ადმინისტრაციაზედ კარგი არავის არ უთქვამს და სოფლის ადმინისტრაციის მოქმედებაზედ შეუძლებელია პასუხისმგებელი არ იყოს მილიციის უფროსიც. იყო შემთხვევა როდესაც ხალხმა თვით გაასამართლა ყაჩაღი ფიფიას მშობლები და ეს საქციელი მოიწონა მილიციის წარმომადგენელმა. დეზერტირების დაჭერის დროს იყო არა მარტო მათრახი არამედ ქრთამიც. იყო შემთხვევა, როცა მოქალაქე 500 მანეთს იხდიდა ქრთამს იმისთვის რომ მიეღოს სოფლის კომისრისაგან ოჯახის სიების აღწერილობა, ეს საბუთი მას სჭირდებოდა, რომ მიეღო მაზრის ერობისაგან ოჯახის ერთად ერთი მარჩენალობის მოწმობა, მაგრამ ამ უკანასკნელიც უყურადღებოდ რჩებოდა და ფული (ქრთამი) ტყუილად იკარგებოდა. გასაკვირი არ არის თუ ყველა ამის შემდეგ ხალხი უკმაყოფილოა ერობით.

ხმოსანი. ი. ბაძაღუა: (მაზრის კომისარი) როდესაც სოფლის კომისრების უმოქმედობაზედ არის ლაპარაკი მაშინ ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მათ 6 თვეა რაც ჯამაგირი არ მიუღიათ. ასეთ პირობებში მიღება სასტიკ რეპრესიულ ზომებისა სოფლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო. საქმე იმითაც რთულდება, რომ მეზობელ მაზრებში (სენაკი, სამურზაყანო) მილიციელები გაცილებით მეტს იღებენ ვიდრე ზუგდიდისა. ზაფხულში როცა ყოველი ფოთოლი ინა-

ხავს ყაჩაღს, ძნელია მისი დევნა უაგენტებოდ, მას კი საღსარი არ ჰქონდა, რომ გაეჩინა აგენტები. ასეთ არა ხელსაყრელ პირობებში ადმინისტრაცია მუშაობდა შეძლების და გვარად და საგრძნობ შედეგებსაც აღწევდა. მან იცის რომ სოფლის კომისრები იღებეს ქრთამს და თუ რაიმე საბუთს იგდებდა ხელში ის პასუხისგებაში აძლევდა მათ. უკვე იყო ასეთი რამდენიმე შემთხვევა. კაპიტან ჩაჩანიძის (დეზერტირთა დამჭერი რაზმის უფროსი) მოქმედების წინააღმდეგ მან მიიღო ზომები, ამაზე მან მისწერა ადმინისტრაციულ ინსპექტორს, სამინისტროს და ერობაში ხომ ყოველ დღე მოდიოდა, ის დიდს იმედს ამყარებს თემის ერობებზე, რომელთა შემოღების დაჩქარებაზედ მან მოხსენებით მიმართა ერობის გამგეობას. ყრილობამ უნდა აღძრას შუამდგომლობა, რომ მაზრის მილიცია იქმნეს დაკმაყოფილებული. ყრილობამ უნდა მიიღოს აგრეთვე ერობის გამგეობის მიერ წარმოდგენილი გეგმა მაზრის მილიციის რეორგანიზაციისა. ფრიად დამაფიქრებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ბოლშევიკებმა სოფლებში უკვე დაიწყეს გამოსვლები, რა მიზეზითაც უკანასკნელ დღეებში იმატა ძარცვა-გლეჯამ.

გამგეობის წევრი. მ. მოსიძე: იმ ოთხ თვეში, რომლის განმავლობაშიც ის მსახურობს ერობის გამგეობის წევრად, ის დარწმუნდა რომ მაზრის მილიციაში მსახურობენ, როგორც სასურველი პირნი, ისევე ყოვლად უგვანონიც. მთელი უბედურება იმაშია, რომ სოფლის კომისრების დიდი უმეტესობა ვერა სდგას სასურველ სიმაღლეზედ. არ ასრულებს მოწერილობას არც ერობის გამგეობის და არც მაზრის მილიციის უფროსის. გამგეობას არა აქვს საღსარი რომ მილიციელები თავის დროზე დააკმაყოფილოს. ამ მიზეზით ერთხელ გამგეობა იძულებული იყო მასწავლებელთა ჯამაგირი მიეცა მილიციელებისათვის, რისთვისაც მასწავლებლებმა გაფიცვაც კი გამოაცხადეს.

გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია: რომ გამგეობის წევრები სოფლებში არ დადიოდნენ ეს მართლა რომ დანაკლისია, მაგრამ ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გამგეობის წევრებს ფიზიკურად არ ჰქონდათ შეძლება სოფლებში წასულიყვნენ რა კი ერობის შინაგან მოწყობას პირველ ხანებში დიდი დრო სჭირდებოდა, მასთან გამგეობას ყოველთვის აკლდა ერთი ან ორი წევრი. შემდეგ კი გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს სოფლებში სიარული. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე ბოროტ-მოქმედებაზედ გამგეობას ზომები არ მიეღო, ის იმედოვნებს, რომ მილიციის რეორგანიზაცია უკეთეს ნიადაგზე დააყენებს ადმინისტრაციის საქმეს.

აღნიშნულ ყრილობაზე მოხსენება სახალხო განათლებაზე გააკეთა გამგეობის წევრმა ს. ცხაკაიამ: თანახმად სამაზრო ყრილობის დადგენილებისა გამგეობა შეჰკითხებია სამურზაყანოს და სენაკის მაზრის ერობის გამგეობას, თუ რა შემწეობას აღმოუჩენდნენ ისინი საოსტატო სემინარიას, უკეთუ ეს ზუგდიდში გაიხსნებოდა. არც ერთ ერობას არ უპასუხია, მხოლოდ სენაკის ერობას სემინარია გაუხსნია თავისთვის. ზაფხულში გამგეობას მოუწყვია მასწავლებელთათვის ერთ თვიური კურსები სადაც მონაწილეობა მიუღია მასწავლებელთა საგრძნობ ნაწილს, რაზედაც დახარჯულა ორმოც ათას (40 000) მანეთზე მეტი. რაკი ერობის გამგეობამ ვერ შეძლო შეესრულებინა ყრილობის დადგენილება მასწავლებელთათვის პირველი იანვრიდან 750 მანეთის მიცემაზედ, მათ გამოაცხადეს გაფიცვა თუ კი არ იქნებოდეს დაკმაყოფილებულნი. გამგეობამ მოახერხა მასწავლებლების ნაწილობრივ დაკმაყოფილება, რის შედეგადაც გაფიცვა მოიხსნა დროებით 14 ოქტომბრამდე. მასწავლებელთაგან წარმოდგენილ მოთხოვნაში დასახელებულ ჯამაგირს 1 500 მანეთს გამგეობის აზრით ერობის სალარო ვერ აიტანს, მისი აზრით შესაძლებელია მიეცეს მათ მხოლოდ ათასი მანეთი. ინსტრუქტორი დანიშნულ იქნა დაგვიანებით ივლისში რის შემდეგ მას გაუკეთებია რაც შეეძლო, დაუვლია 28-მდე სკოლა და სხვა ერობამ უკვე გახსნა წიგნის საწყობი, მაგრამ ბაზარზე წიგნების უქონლობის გამო შეძლო შეეძინა მხოლოდ 129 ათას მანეთის წიგნები და სხვა ხელსაწყოები. საჭიროა შეკეთებულ იქნას სკოლის შენობები უიმისოდ კი შეუძლებელი იქნება ნორმალური მეცადინეობის წარმოება. ერობა ახლავე უნდა შეუდგეს საყოველთაო სწავლის შემოღების თადარიგს. ამაზე უკვე დაწყებულა მუშაობა ძველი მთავრობის დროს, მაგრამ რევოლუციის დროს ეს შეჩერებულა. იმ მაღალ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები, რომელნიც ხაზინის მიერ არ იყვნენ მიღებულნი ერობამ თანახმად ყრილობის დადგენილებისა 1 აპრილიდან მისცა დადე-

ბული ჯამაგირის 35% რამაც შეადგინა 45 000 მანეთი. ჯერ ოფიციალური ცნობა არ არის, მაგრამ მთავრობის სიტყვიერი დაპირებით არის იმედი, რომ ხაზინა გაიღებს 50% ზემო დასახელებულ სასწავლებელთა შესანახად. თუ კი მთავრობამ მისი დაპირება არ შეასრულა, ერობას უსაღსრობისა გამო, არ შეუძლია შეინახოს ისინი თავის ხარჯით.

6 ოქტომბერი 1919 წელი, ყრილობაზე მოხსენებას სატექნიკო საკითხზე აკეთებს, სატექნიკო ნაწილის გამგე, გამგეობის წევრი შ. მოსიძე: ყოველ დარგს, რომელსაც აწარმოებს ერობა, აქვს თავისი მნიშვნელობა და არ შეიძლება არც ერთის დამცირება. თავისი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ განყოფილებასაც. თუ საზღვარგარეთ ერთი სოფლიდან მეორეში ტრამვაით დაიარებიან, ჩვენ იძულებულნი ვართ ფეხით ან ურმით ვიაროთ. ივნისის თვეში, როცა მან ჩაიბარა სატექნიკო განყოფილება, ეს ერობაში არსებობდა მხოლოდ ქაღალდზედ. იყო ორი ტექნიკი, რომელთაგან შემდეგში ერთი საპაიორი აღმოჩნდა და მეორე მეღუმელე, სხვა კაცები ვერ ეშოვათ. ამ ჟამად ამ დარგში დაქირავებულია ორი მომზადებული პირი და განზრახულია მოწვეულ იქნას ერთი მთავარი გამგე. განზრახულია ერობასთან გაიხსნას ორი სახელოსნო, ერთი რკინის და მეორე ხის, რომელნიც მოამზადებენ საოჯახო იარაღებს. ეს საშუალება ჯერ ერთი, რომ ერთი ექვსად გააიაფებს იარაღებს და მერე აწევს თვითმმართველობის პრესტიჟს. თუ კი ახლამდე არ შეიძინა გამგეობამ რკინის სახელოსნო ეს იმისათვის, რომ ამას სჭირდებოდა 500 ათასი მანეთამდე, რომელიც მან ვერ იშოვა, ერობის გამგეობამ სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილის შესაკეთებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხაზინის საკუთრებას შეადგენს, დახარჯა ას ორმოც ათას (140 000) მანეთამდე. სასურველია, რომ ეს კრედიტი რომელიც მთავრობამ გადადო ამ გზატკეცილის შესაკეთებლად მილიონ ნახევარ მანეთამდე, გადაეცეს ზუგდიდის ერობას, როგორც უფრო დაინტერესებული პირი უკეთ მოაწყობს ამ საქმეს. გამგეობას განზრახული აქვს მაზრა დაყოს უბნებად, რომლებსაც ეყოლება მეთვალყურე, რომელნიც თვალყურს ადევნებენ თავის უბანს და სადაც გზის შეკეთება იქნება საჭირო, ამაზე შეატყობინებენ მაზრის ტექნიკოსს, რომელიც მიიღებს საჭირო ზომებს.

გამგეობის წევრი, ანტ. ანჯაფარიძე, აკეთებს მოხსენებას აგრარულ განყოფილებაზედ: აგრარული რეფორმა მაზრაში ტარდება უმტკივნეულოდ, ჯერ-ჯერობით წარმოებს მხოლოდ მიწების ჩამორთმევა, რომელიც შარშანაც დაიწყო, მაგრამ შეჩერდა ანარქიის მიზეზით. სოფლებში დავაარსეთ კომისიები უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე პირებისაგან. მაზრაში მუშაობს 7 აგრარული კომისია, მაგრამ ერთში (მუხურის) მუშაობა შეჩერებულმა მიწის მზომლის უყოლობისა გამო. მუშაობა ფერხდება და გვიანდება იმ მიზეზით, რომ მაზრაში მიწები გამიჯნული არ არის და მიწის მზომლებს უხდებათ რთული მუშაობა. მუშაობას ართულებს წვრილი მიწის მფლობელობაც და მასზე საჭირო ცნობების უქონლობა. გადასახადთა ინსპექტორის ქონებული ცნობები სიმართლესთან ძალიან შორს არიან. მემამულე დაინტერესებული იყო, რომ ნაკლები გადასახადი გადაეხადა და არ იძლეოდა მართალ ცნობებს. ამ მიზეზით მოხდა საგანგებო აღწერა მიწის მფლობელობისა მაზრაში, მაგრამ ვერც ამან მიაღწია მიზანს, ვინაიდან ხალხს ისევ შეეშინდა ბაჟების და ამწერს სწორის ცნობები არ მისცეს, მიმღებ კომისიებს ერთი და იმავე დროს უხდება ორ ნაირი მუშაობა: მიწების ჩამორთმევა და მიწად მფლობელობის გამოკვლევა. გამგეობა თვალ-ყურს ადევნებდა კომისიათა მუშაობას და თუ სადმე შეამჩნევდა ბოროტ-მოქმედებას ითხოვდა კომისიების თავმჯდომარეებს. ყოფილა ასეთი შემთხვევები, რომ სოფლებიდან ჩამოსულან დელეგატები და უთხოვიათ, რომ მათი სოფლის მიწები, როგორც უვარგისნი გადარიცხულ ყოფილიყვნენ მესამე ხარისხში, მაგრამ როცა გამგეობას გამოუძიებია ადგილობრივ, მათი გაცხადება არ გამართლებულა. მიწების მიღებისთანავე გამგეობა შეუდგება დარიგებას. ტყეების საქმეც რაოდენადმე ექვემდებარება ამ განყოფილებას. ეს საქმე ვერ არის სათანადოდ მოწესრიგებული და გამგეობა იღებს ზომებს. თეთრი მთის სამკურნალო წყლები ჯერ კიდევ სადაო არის ზუგდიდისა და სენაკის ერობათა შორის. ცაიშის აბანო უკვე ჩაიბარა ერობამ, მაგრამ ის სრულად მოუწყობელი აღმოჩნდა, რა მიზეზითაც მისი შეკეთებას 16 000 მანეთამდე დასჭირდა. ის შემოსავალი, რომელიც შემოდის ერობას ამ აბანოდან ფარავს მხოლოდ დღიურ ხარჯებს და წელს ერობა დახარჯულ 16 000 ვერ გაინაღდებს.

დღიურ ხარჯები დიდია იმ მიზეზით, რომ შეგნებული მუშები ვერ ვიშოვეთ, ხოლო შეუგნებელნი ყოველ დღიურად უმატებენ დღიურ ქირას. შემდეგისათვის გამგეობას იმედი აქვს იშოვის უკეთეს წყლის საქაჩავს და ამისი საშუალებით ნაკლები შეშით მოაწყობს საქმეს. აღძრულია საკითხი წალენჯიხის აგრარული კომისიის მიწის მზომლის პასუხისგებაში მიცემაზედ, ვინაიდან გამოირკვა რომ ის არ აძლევდა კომისიას მართალ ცნობებს მემამულეთა მიწის სივრცეზედ.

6 ოქტომბერი 1919 წლის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომაზე აგრონომიულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ა. ანჯაფარიძე: ამ დარგში მიმდინარე წელს თითქმის არაფერი გაკეთებულა, ვინაიდან ამ ნაირი მუშაობა შეიძლებოდა დაწყებულ იყო წარმატებით მხოლოდ შემოდგომიდან და ერობა კი შეუდგა მოქმედებას მხოლოდ გაზაფხულიდან. მარიამობისთვეში მოხდა თათბირი მაზრაში აგრონომიულ საქმის მცოდნე პირთა, რომლებმაც გამოიმუშავეს წესები ამ დარგის მაზრაში მოწყობისა. ეს დებულებანი შემდეგ იქნენ მიღებული გამგეობის მიერ. ამ გეგმით მაზრა მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დაყოფილ იქნება სამ ნაწილად. იქნება ერთი გამგე აგრონომიულ საქმისა მაზრაში, რომლის ხელ-ქვეითი იქნება 10 ინსტრუქტორი. საცდელი მინდვრები იმ წესით, როგორც ეს იყო მოწყობილი რუსეთში, ჩვენში ხალხს სარგებლობას ვერ მოუტანს, აქ უნდა მიღებულ იქმნას სხვა ნაირი სისტემა, სახელდობრ ინსტრუქტორებმა უნდა მონახონ ხალხში მომხრენი, რომელნიც შემოიღებენ მეურნეობას თანახმად ინსტრუქტორის ჩვენებისა. ამ უკანასკნელთ შემდეგ გამოჩნდებიან წამბაძველნი და ამნაირად ცოტ-ცოტათი ხალხი შეეჩვევა რაციონალურ მეურნეობის წარმოებას. საჭიროა ერობასთან იქმნას გახსნილი სამეურნეო მანქანათა იარაღი, რისთვისაც უნდა გადაიდოს ერთ დროულად 200 000 მანეთი, უნდა აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ყოფილი სამეგრელოს თავადის დიდი სასახლე, რომელიც 4 წელიწადია დაკეტილია და ფუჭდება, გარემო მდებარე მიწებით გადაეცეს ერობას სამეურნეო სასწავლებლის გასახსნელად და თუ მიწა ეს ეყოფა, მაშინ შეგვიძლია ამ საქმეს მოვახმაროთ ჯოღეჯიანში, აქედან 4 ვერსტზე მდებარე, 500 დესიატინა საფონდო მიწისა. აგრეთვე უნდა აღიძრას შუამდგომლობა, რომ ქალაქს გადაეცეს ქალაქ ზუგდიდის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის, აგრონომიული განყოფილება თავისი მოწყობილებით. რომელსაც ედავება ერობას ქალაქის თვითმმართველობა. ეს განყოფილება დაარსებულა იმ მიზნით, რომ აქ უნდა გახსნილიყო დაბალი სამეურნეო სასწავლებელი და ამ მიზეზით ამ განყოფილების საჭიროებისათვის მაზრის სოფლის საზოგადოებად გაუღიათ 39 000 მანეთი, ხოლო მაშინდელი დაბის მცხოვრებთ გაუღიათ მხოლოდ 3 დესიატინა მიწა.

ზუგდიდის მაზრის ერობის ყრილობის სხდომის 7 ოქტომბერს 1919 წლის, მოხსენებას მედიკო-სანიტარულ დარგზედ აკეთებს გამგეობის წევრი შ. მოსიძე: როცა ერობა გაიხსნა, მაზრაში იყო ორი საავადმყოფო წალენჯიხის და ხობის, მაგრამ ეს საავადმყოფოები იყვნენ ფერშლების ანაბარა, ვინაიდან ექიმები ჯარში გაეწვიათ მოარულ სენთან საბრძოლველად გამგეობამ დაიქირავა სპეციალურად მფრინავი რაზმი, რომელიც მოქმედებდა აგვისტოს დამლევამდის, შემდეგ კი რაზმის შემადგენლობა ჩარიცხულ იქმნა ერობის შტატის სამსახურში. გამგეობამ ჩაიბარა მთავრობის განკარგულებით შავი ზღვის რკინის გზის საავადმყოფო თავის შტატით, რომელიც შევსებულ იქნა მოსამსახურეებით. ავადმყოფთა რიცხვმა საავადმყოფოში მოიმატა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ავადმყოფობისათვის დღიური საფასური 50 მანეთიდან დასწიეს 30 მანეთამდე. გამგეობას ძალიან გაუჭირდა ექიმების შოვნა რა კი ყველა ელოდებოდა ზუგდიდის მაზრაში ჩამოსვლას. ჯერ-ჯერობით დიდი გაჭირვებით გამგეობამ იშოვა ექიმები წალენჯიხის, ხობის და ჩხოროწყუს საავადმყოფოებისათვის, უკანასკნელისათვის მცხოვრებთა ხარჯით შენდება შენობა. ნაშოვნია ექიმი მეხუთე უბნისათვის, ხოლო მეექვსისათვის კი გამგეობამ ახლამდის ვერ იშოვა. ერობის გამგეობასთან არსებობს მედიკო-სანიტარული საბჭო, რომელმაც შეადგინა წესდება მაზრაში საექიმო საქმის მოწყობის შესახებ. ეს წესდება განიხილა გამგეობამ და მცირედი შესწორებით მიიღო. საჭიროა იმ პუნქტებში მაინც სადაც არსებობს საავადმყოფოები გაიხსნას ერობის აფთიაქები და თუ ამ ალაგებში კერძო აფთიაქები არსებობს, ერობამ უნდა ჩამოართვას

მეპატრონეებს რეკვიზიციის წესით თანახმად არსებული კანონისა. ზუგდიდის საავადმყოფოში ავადმყოფები იხდიან დაწოლისთვის დღე-ღამეში 30 მანეთს, ხოლო გასინჯვისათვის 10 მანეთს. ავადმყოფი უჯდება ერობას ერთ დღე-ღამეში 41 მანეთი. უფასო წამლობა ავადმყოფებისათვის გამგეობამ დღევანდელ პირობებში ვერ შეძლო, გარდა უკიდურეს ღარიბებისა. რესპუბლიკაში საექიმო სასანიტარო ხარჯების დასაფარავად მთავრობამ შემოიღო სანიტარული გადასახადი, რომლის ჯამი მაზრისათვის უნდა აღნუსხოს ყრილობამ და გაანაწილოს სოფლის საზოგადოებათა შორის. შემდეგ კი თვით თემის ერობანი გაანაწილებენ გადასახადს თემის მკვიდრთა შორის. სოფლის საავადმყოფოებში განზრახულია მწოლიარე ავადმყოფებისათვის 20 მანეთი და გასინჯვისათვის 10 მანეთი.

ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომის 8 ოქტომბრის 1919 წლის, მოხსენებას სასურსათო დარგზე აკეთებს გამგეობის წევრი ნ. ბუკია: გასულ წელს მაზრაში სიმინდის კარგი მოსავალი იყო, რომელიც არა თუ ეყოფა მაზრას, არამედ შეიძლება გატანაც რესპუბლიკის სხვა მაზრებში, რომ მოეწესრიგებინა სიმინდის გატანის საქმე მაზრიდან, ერობის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება, რომ მოეწესრიგებინა სიმინდის გატანის საქმე მაზრიდან, ერობის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება რომლითაც ერობის ნებადაურთველად არავის ეძლეოდა მაზრიდან სიმინდის გატანის უფლება.

ამ დადგენილებით გამგეობას სხვათა შორის მიზნად ჰქონდა, რომ მაზრა არ დაცარიელებულიყო სიმინდისაგან და ამის შემდეგ ჩრდილო სამეგრელოში, სადაც არასოდეს არ ყოფნის საკუთარი სიმინდი, არ ჩამოვარდნილიყო შიმშილობა. თანახმად ყრილობის აპრილის სესიის დავალებისა, გამგეობამ მოსთხოვა სოფლის კომისრებს, თუ რომელ საზოგადოებას რამდენი სიმინდი სჭირდებოდა და მოთხოვნილების მოლოდინში შეისყიდა 7 ათას ფუთამდე სიმინდი, მაგრამ არც ერთმა სოფლის საზოგადოებამ არ წარმოადგინა მოთხოვნა, პირ-იქით სწერდნენ, სიმინდი საჭიროა არ არის. ამის შემდეგ გამგეობა შეუდგა სიმინდის გადაზიდვას რესპუბლიკის სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ერობის გამგეობის მოწმობებით გაუტანიათ მაზრიდან 15 მარტიდან 15 სექტემბრამდე სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს 90 400 ფუთი სიმინდი და იმავე დროს თვით ერობას შეუსყიდია და გადაუგზავნია რესპუბლიკის დამშეულ რაიონების საჭიროებისათვის 41 728 ფუთი. სიმინდის საქმის მოწესრიგებისათვის გამგეობისათვის ხელი შეუშლია მთავრობას, მისდა უნებურად, ვინაიდან სპეკულანტები უკმაყოფილონი ზუგდიდის ერობით მიდიოდნენ მთავრობასთან და იქიდან მოჰქონდათ მოწერილობა ერობასთან, რომ გამგეობას ნება დაერთო მათთვის სიმინდის გატანისა. სპეკულანტები კი ნაცვლად იმისა რომ დაწესებულებებისათვის ჩაებარებინათ სიმინდი, ახერხებდნენ და საზღვარგარეთ გაჰქონდათ. გარდა სიმინდისა გამგეობას შეუძენია და დაურიგებია მაზრაში ფართლეულობა, ჩითი, ნარმა, თივთიკი, ნავთი, მარილი და სხვა.

შემდეგისათვის გამგეობას შეუმუშავებია შემდეგი გეგმა: 15 სექტემბრიდან გამოუცხადებია სიმინდის თავისუფალი ვაჭრობა რა კი საშიშარი იყო რომ პეპელა გამოვიდოდა მასთან რა კი ნოტიო ზაფხულისა გამო მომავალ წლისათვის მოსალოდნელია შიმშილი. შეუდგა თადარიგს სათესლე ხორბლის შესაძენად. ამისათვის მან მიმართა სოფლის საზოგადოებას, რომ წარმოედგინათ სია იმ პირთა რომელნიც მოისურვებდნენ ხორბლის დათესვას, მაგრამ არც ერთი კომისრისგან პასუხი არ მოსულა, რაც უნდა მიეწეროს კომისართა უმოქმედობას. ამავე მიზნისათვის გამგეობამ დააგზავნა სოფლებში აგრონომ ინსტრუქტორები და გამგეობას იმედი აქვს, რომ მათი შრომა იქნება ნაყოფიერი. გარდა ამისა გამგეობამ მოახერხა და ნებართვა აიღო მთავრობისაგან რომ შეესყიდა თუთუნი, დაფნა, თხილი და სხვა საზღვარგარეთ გასატანად.

ხე-ტყის წარმოებაზედ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შ. მოსიძე: ერობას დააწვა უამრავი მოვალეობა, რომლის ხარჯების დასაფარავადაც უნდა გამოენახა რაიმე წყარო და იმანაც (გამგეობამ) მიმართა ისეთ საქმეს, რომელსაც შედარებით უფრო ადვილად მოუვლიდა. გამგეობამ შეისყიდა მოჭრილი ხე-ტყე მრეწველებისაგან, რომელთა შეეკრა ნატურალური ხელ-შეკრულებით.

შეიძინა თუ არა მასალა, გამგეობამ აიღო იჯარით ორი სახერხი მანქანა: შამგონაში დგებუაძე და ჭანტურიასაგან და ანაკლიაში ანთაძისაგან. მესამე ქარხანა კი საკუთრებად შეიძინა ვილეიშისაგან, რაზედაც დახარჯა სამას ათასზე მეტი მანეთი: ამ უკანასკნელი ქარხნის დადგმა ანაკლიაში გამოიწვევს დიდს ხარჯებს, მაგრამ ეს ხარჯები იქნება ნაყოფიერი და მოსაგები, ვინაიდან ამ ქარხნის დამზადებული მასალა გაცილებით იაფო დაუჯდება ერობას ვიდრე სხვების. 29 ივლისს გამგეობა შეეკრა პირობით ტექნიკ სკლიაროვს, რომელსაც უნდა შეეკეთებინა ქარხნები და გასამრჯელოდ მიიღებდა ერთი თვის განმავლობაში ერთი ქარხნის წმინდა მოგების 10%, მაგრამ სკლიაროვის მოქმედებამ ვერ დააკმაყოფილა გამგეობა, ვინაიდან მის დროში ქარხნის შენახვა მეტი უჯდებოდა ერობას ვიდრე სხვა მრეწველებს, ხოლო მასალებს ამზადებდა სხვაზე ნაკლებს. გამგეობა იძულებული იყო დაეთხოვა სკლიაროვი და მოეწვია ამ ნაწილის გამგედ სხვა პირი, რომლის ხელში საქმე გაცილებით უკეთ მიდის. გარდამავალი ხანის წყალობით კერძო ინიციატივა შებოჭილია, კერძო ქარხნები დაკეტილია, ბაზარში საქონელი არ არის და ერობა შეიძლება გახდეს ამ დარგში მონოპოლისტად და ეს კი მეტად ხელ-საყრელია, ვინაიდან საზღვარგარეთ ხე-ტყის ფასმა შესამჩნევლად იმატა. გამგეობა შეეკრა პირობით ორ პირს, ერთი თოდუას, რომელმაც უნდა შემოიტანოს საზღვარგარეთიდან 100 000 ფუთი თეთრი ხორბლის ფქვილი და რაოდენობიდან ერობას უნდა მისცეს 31 ათასი ფუთი, რის საფასურადაც მიიღებს ერობისაგან 200 000 კუბ ფუტს დამზადებულ ხე-ტყის მასალას. თუ მივიღებთ სახეში ადგილობრივ პურის ფქვილის ფასს უნდა ვიანგარიშოთ, რომ ერობა ამ შემთხვევაში იღებს კუბ. ფუტზე 40 მანეთს; მეორე პირობით, რომლითაც შეეკრა ერობა გეგეჭკორს და ხვარძიკიას კუბ. ფუტს ვყიდით 35 მანეთად, ასე რომ მოსალოდნელია დიდი მოგება. გამგეობის მიერ შეძენილი ქარხანა მთელი თავისი მოწყობილობით დაჯდება 622 ათასი მანეთი, მაგრამ ქარხანა ამ ხარჯს დაფარავს 6 თვის განმავლობაში. ჯერ-ჯერობით გამგეობის მიერ შეძენილი ხეები ფასობს თავის ღირებულების ფასებში ერთი მილიონ მანეთად.

ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომის 11 ოქტომბერს 1919 წელს, სათემო ერობებზე მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ლ. შენგელაია: მაზრაში ჯერ-ჯერობით გამოჭრილა 42 თემი და შეიძლება კიდევ მიემატოს 1-ი. 29 თემმა უკვე აირჩია ერობა დანარჩენებმა კი ჯერ-ჯერობით უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზედ. მიზეზი ამისა მრავალგვარია და სხვათა შორის ისიც, რომ გლეხი სხვა სახელმწიფოებშიაც და ჩვენშიც არის წინააღმდეგი ყოველგვარი სახელმწიფოებრიობისა. ამას ემატება იცის, რომ სხვა და სხვა პროვოკატორები, ზოგ-ჯერ თვით კომისრებიც ავრცელებენ ერობაზედ ინსინუაციებს. თემის ერობათათვის გამგეობას უკვე დამზადებული აქვს ბეჭედი შთემფერები. თემის ერობის აურჩევლობაში სხვათა შორის ბრალი მიუძღვის ერობის საარჩევნო ინსტრუქტორებს, რომელთა ჯამაგირი მიიღეს ერობიდან და არაფერი გაუკეთებიათ. გარდა ამისა რომ ერთ ჯერ ან ორ ჯერ წავიდნენ სოფლად. არჩეული თემის ერობათა მდგომარეობაც ვერ არის სასურველი, ვინაიდან ხმოსნები პირველადვე გულგრილად ეპყრობიან თავის მოვალეობას. ამას უნდა დაუმატოთ ისიც რომ თემის ერობებს არა აქვთ არავითარი საღსარი. გამგეობის პროექტით თემის ერობები მოეწყობიან შემდეგ ნაირად: თემის ერობის გამგეობა იქნება შემდგარი სამი კაცისაგან: თავმჯდომარე, მდივანი და ერთი წევრი, რომელიც შეასრულებს გამგეობის სხვა და სხვა მონდობილობას. არჩეულ პირი გამგეობის წევრი ვერ დავავალებთ ისეთ რამეს რაც შელახავს მის პრესტიჟს და ვერ დავიკისრებთ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. თემის ბატონ პატრონი ინება თემის ერობა და მისი გამგეობა ხოლო ამ უკანასკნელისაგან იქნება დამოკიდებული მთლად ადმინისტრაციული მოხელე. გამგეობის აზრით თემის ერობის გამგეობის წევრს უეჭველად უნდა ჰქონდეს ჯამაგირები რომ ისინი იძულებულნი არ შეიქმნან მიმართონ თავის სარჩენად არა საკადრის საშუალებას. ზოგიერთმა თემებმა, რომელნიც უწინ წინააღმდეგნი იყვნენ, ახლა განაცხადეს სურვილი აირჩიონ თემის ერობა, ზოგმა კიდევაც აირჩია. საჭიროა სოფლებში ნაკლებად იყოს პარტიობა და ეკონომიური მუშაობა ერობის გარშემო წარმოებდეს პარტიის გარეშე.

ხმოსანი ნ. ბერიძეს: სასიამოვნოდ მიაჩნია რომ გაბატონებული პარტიის წარმომადგენელი მოუწოდებს სოლიდარობისაკენ, მაგრამ საუბედუროდ თვითონ ისინი არღვევენ სოლიდარობას, მაგალითად ქვალონის თემში სადაც ესერებს ჰყავთ რვა ხმოსანი მენშევიკებმა არ დაუთმეს მათ გამგეობაში არც ერთი ადგილი.

გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია აკეთებს მოხსენებას ერობის ფინანსურ ანგარიშზედ ერობის მუშაობის დაწყებიდან 1 სექტემბრამდე. მუშაობის დაწყების დროს ერობას არ ჰქონდა არავითარი საღსარი, გარდა მთავრობისაგან მიცემული საქონლისა, რომ გამგეობას ეს საქონელი ვაჭრულ ფასებში გაეყიდა მაშინ მთელ ხარჯებს დაფარავდა, მაგრამ ის ასე არ მოქცეულა. ერობის ფინანსური მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რადგანაც მოსამსახურეთა რიცხვი იზრდებოდა და მასთან ხელი მოვკიდეთ ხე-ტყის ოპერაციას, რომელმაც დიდი ხარჯები მოითხოვა. მიუხედავად გაჭირვებისა გამგეობამ დღემდის მოაღწევინა ერობას. მთავრობისაგან სესხი მივიღეთ სამ-ჯერ, რომელმაც ცოტაოდენი დახმარება გაგვიწია.

1919 წლის 12 ოქტომბერს ზუგდიდის მაზრის ერობის ყრილობის სხდომაზე საბეითლო სადგურზე, მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შ. მოსიძე: საქონლის მოვლა მოშენება არის ერთი უმთავრესად საჭიროებათაგანი მიწის მუშის მეურნეობაში. უკანასკნელ დროში მეტად გახშირდა საქონლის ჭირი, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს მიღებული ზომები, ამასთანავე უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიში. გამგეობას საქმის უკეთ მოსაგვარებლად საჭიროდ მიაჩნია მაზრა გაიყოს სამ რაიონად, რომელთაგან თითოეულში იქნება ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. ზუგდიდის სადგურში საქმე უფრო ფართოდ უნდა იყოს დაყენებული, აქ უნდა ხდებოდეს გამოკვლევა ავადმყოფობისა მისი მიზეზებისა და სხვა. ყველა ამას საჭიროა ხარჯები, რომელნიც უნდა დავფაროთ სანიტარულ გადასახადისაგან. საბეითლო სადგურებისათვის საჭიროა გვქონდეს საკუთარი შენობა. ზუგდიდში ამისათვის უნდა შეძენილ იქმნას აბასთუმნის ქუჩაზედ ნინუას სახლი და მიწა, რომელიც გამოდგება ამ მიზნისათვის.

საადმინისტრაციო და სასამართლოს კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ხმოსანი ნ. ბერიძე, ყრილობა იღებს კომისიის წარმოდგენილ დებულებებს მცირე შესწორებით: ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციას და მილიციელებს სათავეში უდგას ერთი მაზრის მილიციის უფროსი, მას ჰყავს მაზრაში შვიდი თანაშემწე, თითოეული თანაშემწე განაგებს თავის უბანში ადმინისტრაციულ საქმეებს. თითოეული მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწის განკარგულებაში იმყოფება ერთი უფროსი და ათი უმცროსი ცხენოსანი მილიციელები გარდა ხობის უბნისა, სადაც ათი მილიციელების ნაცვლად იქნება 14 მილიციელი, ვინაიდან ფოსტის ტარების და ტუსაღების წაყვან-წამოყვანის საქმე სენაკ-ზუგდიდის შუა მოითხოვს სხვა უბნებთან შედარებით ზედმეტ მილიციელებს. მაზრის მილიციის უფროსს ჰყავს რეზერვში სამი უფროსი და 30 უმცროსი ცხენოსანი და 26 ქვეითი მილიციელი. ქვეითი მილიციელების დანიშნულებაა: ფოსტის, სატუსაღოს ერობის და ხაზინის დაცვა და სამხედრო საკრებულოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მილიციის უფროსს ჰყავს შტატის კანცელარიისა საქმის მწარმოებელი, მისი თანაშემწე, რეგისტრატორი, საწერ მანქანაზე მბეჭდავი, გადამწერი და მსახურები. ამას გარდა თითოეულ თემს ჰყავს თითო მილიციის უფროსი და ორორი ქვეითი მილიციელი.

თანამდებობათა სახელწოდება: მილიციის უფროსი – 1; მისი თანაშემწეები – 7; უფროსი ცხენოსანი მილიციელები - 10; უმცროსი ცხენოსანი მილიციელები – 104; ქვეითი მილიციელები – 26; სათემო მილიციის უფროსები – 43; სათემო ქვეითი მილიციელები – 86. მაზრის მილიციის უფროსის კანცელარია: საქმის მწარმოებელი – 1; საქმის მწარმოებლის თანაშემწე – 1; რეგისტრატორი – 1; საწერ მანქანაზე გადამბეჭდავი – 1; გადამწერი – 1; მსახურები – 7. მაზრის მილიციის უფროსს ეძლევა კანცელარიისა და მილიციელებისათვის ბინა, განათება, გათბობა და საკანცელარიო ხარჯები, ასევე ეძლევა შვიდი მილიციის თანაშემწეებს. მაზრის მილიციის უფროსის, მისი კანცელარიის და რეზერვში მყოფ მილიციელების სამყოფ ადგილად რჩება ქალაქ ზუგდიდი, რაც შეეხება უბნის მილიციას ეს იქნება მოძრავი ძალა, რომელიც იცვლის თავის საცხოვრებელ ადგილს, რა

საკვირველია თავის უბნის ფარგლებში საჭიროების მიხედვით. დროებით კი მაზრა ნაწილდება შემდეგ ნაირად: ზუგდიდის უნაბში შედის თემები ზუგდიდის, ცაიშის, ნიკოსიაის, ყულის-კარის, კორცხელის, ჯოღეჯიანის, კახათის და რიყეს; დარჩელის უბანში შედის თემები: დარჩელის, ანაკლია-განაჯიას მუხურის, კოკის და დიდი ნეძის; ხობის უბანში შედის თემები: ნოჯიხევის, ხორგის ქარიატას, ხეთის, ქვალონის, და ხორშის; დიდ-დობერის უბანში შედის თემები: ზანის, საჯიჯაოს, ხიბულის, აბასთუმან-ნარაზენის, ახალი-ხიბულის და კირცხის; ჩხოროწყუს უბანში შედის შემდეგი თემები: ჩხოროწყუს, ლეწურწუმეს, ახუთის, ჭოღის, ხაბუმის, ნაფიჩხოვოს და ლესიჭინის; წალენჯიხის უბანში შედის თემები: წალენჯიხის, ჯგალის, ობუჯის, მუხურის; ლიის უბანში შედის თემები: ლიის, ფახულანის, ჯვარის, ჭალის და ჭკადუაშის.

მაზრის სამომრიგებლო სასამართლოების მოწესრიგებაზე ყრილობას გამოაქვს შემდეგი დადგენილებანი: 1. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ზუგდიდის მაზრას ჰქონდეს ცალკე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა; 2. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ზუგდიდის მაზრაში იქმნას გახსნილი მეშვიდე სამომრიგებლო უბანი სვანეთის მთის კალთებში მდებარე სოფლებისათვის (ჯვარი-ლიის უბანი) რომელნიც თავისი გეოგრაფიულ მდებარეობით დაშორებულნი არიან მაზრაში არსებულ სხვა უბნებს.

1919 წლის 12 ოქტომბერი, ზუგდიდის მაზრის ერობის ყრილობაზე სახალხო განათლების კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ხმოსანი მოსიძე, ყრილობა იღებს ამ საკითხზე შემდეგ დებულებებს: ევალება გამგეობას აწარმოოს წინასწარი მუშაობა: დაამზადოს საჭირო მასალა და შეადგინოს გეგმა საყოველთაო სწავლის შემოღებისათვის; ერობას უნდა ჰყავდეს 3 თანასწორ უფლებიანი ინსტრუქტორი; ერობამ უნდა იზრუნოს, რომ შეძლების და გვარად ყოველ სკოლებთან მოეწყოს ბიბლიოთეკები, როგორც საბავშვო წიგნებით ისე სამასწავლებლოთი; ყოველ სკოლისათვის მისი საბიბლიოთეკო ხარჯებიდან გამოწერილი იყოს პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა და საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“ ან „ჯეჯილი“; მომავალი სამოსწავლო წლისათვის წლისათვის აუცილებლად გაიხსნას ქალაქ ზუგდიდში საოსტატო სემინარია; მომავალ შობის არდადეგებზედ მოეწყოს მოკლე ვადიანი კურსები გალობის, ხაზვახატვის და ხელ-გარჯილობის. აგრეთვე მოეწყოს ექსკურსია რესპუბლიკის ქალაქებში მასწავლებელთათვის, რომელნიც ამას აუცილებლად საჭიროებენ; მიღებულ იქმნას ზომები, რომ მრევლიანი მღვდლები არ იქმნას მასწავლებლად სკოლებში, როგორც პირველ დაწყებით ისე უმაღლეს დაწყებითში; ის მასწავლებლები, რომლებიც ავადმყოფობის გამო არ არის სასურველი ჰიგიენის მხრივ. განთავისუფლებულ იქმნან თანამდებობიდან და ერობის გამგეობამ იზრუნოს მათზედ მატერიალურად, სანამდის სახელმწიფო არ გამოსცემს კანონს მათ შესახებ; მოიხსნას ყოველგან მეხუთე განყოფილებები, გარდა იმ სკოლებისა, სადაც ამას ადგილობრივ შეხვდება დაბრკოლება; ერობამ შეძლების და გვარად იზრუნოს სკოლის გარეშე განათლებაზედ (საკვირაო სკოლები და სხვა); მართვა გამგეობის მხრივ სკოლები სრულიად ემორჩილებიან სამაზრო ერობას. გამგეს ნიშნავს ერობა, წვრილ ერთეულებს ევალებათ გაიღონ სკოლებისათვის შეშა. სხვა საოჯახო ხარჯები და მასთან დარაჯების ქირა უნდა იქმნას გაღებული სამაზრო ერობის მიერ, ვინაიდან სკოლების ფანჯრებში მინები ჩამსხვრეულია და შეძენა კი ძნელია, ერობის გამგეობას ევალება იზრუნოს, რომ მინები აუცილებლად იქმნას შეძენილი, ხოლო თუ კი სკოლას სჭირდება 15 მინაზე მეტი, საფასურს გაიღებს თემის ერობა; სახალხო განათლების განყოფილებისათვის ერობას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ერთი ტექნიკი; ერობის გამგეობამ სახალხო განათების განყოფილებისათვის მუდმივად უნდა იყოლიოს 3 ცხენი ინსტრუქტორთა რიცხვის მიხედვით; მაზრაში არსებული ხაზინის მიერ მიუღებელი 8 მაღალ დაწყებითი სასწავლებელი გამგეობამ მიიღოს თავის გამგებლობაში, 50% საჭირო ხარჯებისას გაიღებს ხაზინა, ხოლო დანარჩენი 50% უნდა შეავსოს ერობამ სწავლის ფულით, რომელიც ყოველგან იქნება ერთგვარი და რომლის რაოდენობაც განსაზღვრა ერობის გამგეობამ; მიენდოს გამგეობას შეძლების და გვარად მოაწყოს აფთიაქების სოფლის სკოლებთან; როცა ექიმთა განსაზღვრული კომპლექტები შეივსება მაზრაში, მაშინ მათ ევალებათ, როცა მასწავ-

ლებელი ცხენს გამოუგზავნის მათ უფასოდ უწამლონ როგორც ამ უკანასკნელთ ისე მათ ოჯახებსაც მანამდე კი ეს დამოკიდებული იქნება ექიმთა სინდისზედ; ხაზინის მიერ მიუღებელ სასწავლებლებს (მაღალ დაწყებითს) მიეცეს ჯამაგირის 35% 1 იანვრიდან (აპრილიდან უკვე მიცემულია); მიენდოს გამგეობას იზრუნოს მაღალ დაწყებითი სასწავლებელთა გახსნაზედ პირველ რიგში დარჩელის და ლიის უბანში და აგრეთვე კირცხ-ჭაქვინჯში.

1919 წლის 13 ოქტომბერს, ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობა ისმენს მედიკო-სანიტარულ კომისიის თავმჯდომარის ხმოსან ა. პატარაიას მოხსენებას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოაქვს შემდეგი დადგენილებანი: გარდა მაზრაში არსებულ 6 საავადმყოფოსა, გაიხსნას მეშვიდე საავადმყოფო სოფელ ლია და ჯვარს შუა, ეგრეთ წოდებულ „ოხარკალუში“; დაარსდეს საექიმო პუნქტები, სადაც იქმნებიან ექიმი, ფერშალი და 1 მსახური შემდეგ სოფლებში: ახუთში, ხაბუმეში, კახათში, ცაისში, ზანაში, ხეთაში, კორცხელში, კირცხი-ჭაქვინჯში, აბასთუმან-ნარაზენში და ჭალა ფახულანში. კირცხი-ჭაქვინჯისათვის პუნქტი დაარსდება ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირას, ჯანჯღავას დუქანთან, აბასთუმან-ნარაზენისათვის - აბასთუმანში, ხოლო ჭალა-ფახულანისათვის პუნქტის გამონახვა მიენდო გამგეობას; საკითხი იმაზე თუ სად გაიხსნას პუნქტი პირველ რიგში მიენდო გამგეობას; თუ საექიმო პუნქტებისათვის ექიმის შოვნა ვერ მოხერხდა მიენდოს გამგეობას, რომ დანიშნულ იქმნას ფერშლები მაინც; მიენდოს გამგეობას მოწვეულ იქნას მაზრისათვის ერთი კბილის ექიმი.

ხე-ტყის წარმოების კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ხმოსანი ე. ჯინჯოლავა, ხე-ტყის წარმოების საქმე ჯერ-ჯერობით დაწყების ხანაშია. გამგეობას შეუძენია ათი ათასზე მეტი ხე, რომლიდანაც ჩაუბარებია მხოლოდ 4 ათასი. იმ პირობის ძალით, რომლითაც შეეკრა გამგეობა ხე-ტყის მრეწველებს. გამგეობას შეუძლია მიღებული ხეები უფასოდ დაინარჩუნოს. თუ გამგეობა გამოიჩენს ამ დარგის საქმიანობის უნარს, წარმოებას შეუძლია დაუტოვოს ერობას დიდი მოგება.

ამ საკითხზედ ყრილობა იღებს შემდეგ დებულებებს: ერობის გამგეობა დგება ხის პატრონების ადგილზედ. ხე-ტყის ანაკლიაში ჩამოტანის საქმეში რასაც აწარმოებს მხოლოდ თავისი პირად განკარგულებით ხის პატრონების ხარჯზედ; ხე მიიღება ანაკლიაში ხის პატრონის თანდასწრებით, შესაფერის ოქმის შედგენით; მეტივეები, კეტის მუშები და სხვანი მიიღებენ ერობის კასიდან ხვედრი გასამრჯელოს თანახმად დღევანდელი მორიგების პირობებისა სახელდობრ ვერშოკზედ რვა მანეთი, მას შემდეგ როდესაც წარმოადგენს ერობის გამგეობაში ერობის აგენტის მიერ შემოწმებულ საბუთს, სადაც აღნიშნული იქნება თუ რამდენი ხე შემოიტანა მან ანაკლიაში, სასურველი იქნება ხე-ტყის პატრონის წარმომადგენელი აწერდეს ხელს; ხე-ტყის პატრონებს ნება ეძლევათ თავის საჭიროებისათვის გაიხმარონ ხის მორები იმის მიხედვით თუ რამდენი აქვთ მათ ხე შემდეგი წესით: ვისაც აქვს 100 ან ნაკლები ხე მიეცემა 10%, 100-500 - მდე 5% და 500-ზე ზევით – კი 3%. ხეები მიეცემათ პატრონთ თემის ერობათა მოწმობებით, რომ მათ ეს სჭირდებათ თავიანთი საჭიროებისათვის; ღარიბ მრეწველებს ხის მორების ფასი მიეცემა დაუბრკოლებლივ; აღიძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რომ მიეცეს ზუგდიდის მაზრის ერობას საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად ჩუბისხევის რაიონში იჯარით ხეების მოჭრის უფლება. ეთხოვოს სვანეთის მეტყევეს შეაჩეროს ახალ განკარგულებამდე ზემოთ ხსენებული ჩუბისხევის დაჩიდან ხეების იჯარით გაცემა; დაინიშნოს ერთი გამგეობის წინაშე პასუხისმგებელი, გამოცდილი და პატიოსანი მუშების თავმდგმური და მისი თანაშემწე; მეტივეებს ეძლევათ დღიური 70 მანეთი, ხოლო ჯოხით მომუშავეებს 50 მანეთი; როგორც ხე-ტყის საქმისათვის, ისე ერობის სხვა საჭიროებისათვის გამგეობამ მოიწვიოს გამოცდილი იურისტკონსული.

აგრონომიულ კომისიის თავმჯდომარე ხმოსან ა. ჩიქავას მოხსენების შემდეგ ყრილობას გამოაქვს მაზრაში ამ დარგის მოწყობაზედ შემდეგი დადგენილებანი: პირველ შეძლებისთანავე მაზრა დაიყოს სამ აგრონომიულ რაიონად; გაიყოს მაზრა ათ საინსტრუქტორო ნაწილად. მაზრაში უნდა იყოს 2 უფროსი ინსტრუქტორი და 10 უმცროსი; მოეწყოს მაზრაში ერთი საჩვენებელი-საცდელი მინდორი მაზრის აგრონომის ხელმძღვანელობით; ინსტრუქტორებმა ყოველ თემში უნდა მოაწყონ

საცდელი მინდვრები კერძო მეურნეობის ხარჯით; მოეწყოს ერთი ცენტრალური სანერგე, საიდანაც მაზრის მცხოვრებთ მიეცეს ნერგები შეღავათიან ფასებში; ყოველ თემში მოეწყოს საცდელი მინდვრები პირუტყვთა საკვები მცენარეების მოსაშენებლად; იქნეს შეძენილი მცხოვრებთათვის შეღავათიან ფასებში დასარიგებლად კარგი ღირსების აბრეშუმის თესლი; მოეწყოს სანიმუშოები გაუმჯობესებული წესით ფუტკრის მოვლისა; შეძენილ იქმნას სამკურნალო მცენარეები, რომ წამლები მიეცეს მცხოვრებთ შეღავათიან ფასებში; გადაიდოს 10 000 მანეთი სასოფლო სამეურნეო ბროშურების და ფურცლების გასავრცელებლად; მოეწყოს სამეურნეო იარაღების საწყობი მცხოვრებთათვის შეღავათიან ფასებში დასარიგებლად; აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ზუგდიდში საშუალო სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ, გამგეობას კი მიენდოს შესაფერი ბინის და ადგილის გამონახვა; გამგეობამ მიიღოს ზომები, რომ ქალაქ ზუგდიდის მაღალ დაწყებით სკოლასთან არსებული საბაღოსნო განყოფილება გადაეცეს სამაზრო ერობას.

1919 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის ხდომაზე რკინიგზის ზუგდიდამდე გაყვანის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია: მთავრობამ გამოიყვანა რკინის გზა სენაკიდან ხეთამდე და იქ შეაჩერა. მთავრობა პირობას იძლევა, რომ თუ ჩვენ მოვახერხებთ და გამოვიყენებთ რკინიგზას ხეთიდან ზუგდიდამდე, გადმოგვცემს ყოველ ასაშენებელ მასალას და აშენების შემდეგ გადმოგვცემს მატარებლის შემადგენლობას, ეს საქმე ჯერ ჯერობით არ გვარდება. მას უნდოდა შეედგინა სააქციონერო კომპანია, ერობა შეიძენდა ერთი მილიონის აქციებს და ამისათვის მან მიმართა ზუგდიდელ ვაჭრებს, მაგრამ მათ ვერ შეიგნეს საქმის ვითარება, ვერ გაითვალისწინეს რომ შექმნილ პირობებში მთელი ცენტრი მოძრაობისა გადადის ზუგდიდიდან ხეთაში და ამის შემდეგ ზუგდიდს ყოველივე მნიშვნელობა ეკარგება. ეს უკანასკნელი მოვლენა კი საზარალო იქნებოდა მთელი მაზრისათვის.

ყრილობა ადგენს: ერობამ იკისროს რკინიგზის გამოყვანა ხეთიდან ზუგდიდამდე და ამაზე ეცნობოს მთავრობას. სთხოვოს მთავრობას რომ რკინიგზის ასაშენებელი მასალები დარჩეს ზუგდიდში. არჩეულ იქნას კომისია, რომელიც ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიასთან ერთად და აგრეთვე თემის ერობასთან შეთანხმებით მიიღებს ზომებს ხეთიდან ზუგდიდამდე რკინიგზის გამოსაყვანად, შეაგროვებს ამისათვის საჭირო თანხას და სხვა.

1919 წლის 16 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუციები: მთავრობიდან ათ მილიონიანი ფონდიდან სესხის მიღებაზედ: ყრილობამ იღებს რა მხედველობაში ზუგდიდის მაზრის განსაკუთრებულ მდგომარეობას შემდეგი მიზეზების გამო: მაზრაში არ არის რკინიგზა, რომლის მიზეზითაც ის მოკლებულია ბევრ იმ სიკეთეს, რომლითაც საშუალება აქვთ ისარგებლონ იმ მაზრებმა, რომელთა ტერიტორიაზედ გადის რკინიგზა; ზუგდიდის მაზრის ერობამ მოკიდა ხელი ხე-ტყის წარმოებას, რისთვისაც შეიძინა ხის სახერხი მანქანები და სხვა იარაღები ამ წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაზრის ეკონომიური მდგომარეობისათვის. ზუგდიდის მაზრის ერობამ გაიღო თავისი წვლილი 169 ათასი მანეთი სახელმწიფო საქმისათვის ესე იგი სენაკი-ზუგდიდის გზატკეცილის შესაკეთებლად; სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ ყოველ მის ნაწილს თანაბრად შეეძლოს ისარგებლოს საერთო კულტურით, რასაც ამ ჟამად მოკლებულია სამეგრელო და განსაკუთრებით კი ზუგდიდის მაზრა მკვიდრთა ქართული ენის უცოდინარობის გამო და ამ მიზეზით ამ მაზრაში სახალხო განათლების დაყენების საქმეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და ამას კი თანამედროვე პირობებში სჭირდება დიდი თანხა, რომ საშუალება მივცეთ მაზრის მკვიდრთ, იმდენად შეისწავლონ ქართული ენა, რომ საშუალება ჰქონდეთ ამ ენაზე ეზიარონ კულტურას; მიმდინარე წელში ზუგდიდის მაზრამ დიდი ამბავი დასდო რესპუბლიკას შიმშილობის დროს სიმინდის მიწოდებით, მომავალ წელს კი თვითონ მოელის შიმშილი. რის წინააღმდეგაც ახლავე უნდა იქმნას მიღებული ზომები და ამას კი სჭირდება დიდი თანხა, ყველა აქ მოყვანილ მიზეზთა გამო ყრილობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ ათ მილიონიანი ფონდიდან მიეცეს მას სესხად არა ნაკლებ ერთი მილიონი მანეთისა.

იმ პირობით, რომ ეს სესხი აინაზღაუროს მთავრობამ ერობის ხვედრი წილიდან ერთდროული მიწის გადასახადისა.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1921, ანაწერი 1, საქმე 345, ფურცელი 1-36.

დანართი № 8

სენაკის სამაზრო ხმოსანთა მესამე ყრილობის მასალები
1919 წლის 6 დეკემბერი

ყრილობა გაიხსნა 6 დეკემბერს, საერობო კანცელარიის შენობაში, გიორგი მაღნარაძის თავმჯდომარეობით. ყრილობაზე გამოცხადდნენ შემდეგი ხმოსნები: 1. ლუკა დავითაია, 2. ლ. გეგენავა, 3. ლ. დარციმელია, 4. ბ. დუნდუა, 5. ი. ადამია, 6. გ. მაღნარაძე, 7. ლ. ტუღუში, 8. პ. ქობალავა, 9. ევ. ფულარია, 10. კ. პირტახია, 11. ალ. ცანავა, 12. გ. ბოკერია, 13. ლუარაბ მიქაძე, 14. ან. კიზირია, 15. ევ. როგავა, 16. ის. პერტია, 17. პ. ქავთარაძე, 18. ვ. დემურია, 19. ი. ხაჟომია, 20. ვ. მონიავა, 21. ა. ფიჩხაია, 22. ვლ. ხოფერია, 23. გრ. ცეკვაშვილი, 24. გრ. თოფურიძე, 25. ი. ჩხეტია, 26. ბ. ხარბედია და 27. ვ. გადილია.

დღის წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიის, 3. 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4. სანიტარული გადასახადი, 5. სესხი, 6. ერობის ბანკის დაარსება, 7. მიმდინარე საკითხები.

სახალხო განათლების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი აკ. ფიჩხაია: „პატივცემულო ხმოსნებო, ერთი წელიწადია რაც ჩვენს მაზრაში არსებობს ერობა და მე უნდა წარმოგიდგინოთ თქვენ ანგარიში იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ დარგში და რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის გამგეობა ცხოვრებაში გასატარებლად. მაზრაში არსებული პირველი და უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, გარდა ქალაქებში არსებულებისა, გადმოვიდა ჩვენს გამგებლობაში. თითოეულ სასწავლებლის ჩაბარება ხდებოდა ადგილობრივად და ამიტომ სკოლების ფაქტობრივი ჩაბარება გაგრძელდა ერთ წელს. საინტერესოა გაგაცნოთ ჯერ სკოლის შენობათა მდგომარეობა. ამ მხრივ შენობები შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: პირველი, ეს ისეთი შენობები, რომლებიც ასე თუ ისე აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, მათი რაოდენობა შეადგენს 5 %, მეორე, რომელთაც სჭირდებათ შეკეთება – 22%, მესამე – სრულიად უვარგისი – 50%, მეოთხე, რომელთაც საკუთარი შენობა სრულიად არ მოეძებნებათ და მოთავსებულნი არიან სხვაგან – 13%. მაისის დასასრულს იყო 103 დ. დ. სასწ.

აი, დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში იყვნენ სკოლის შენობები მაზრაში. იკითხავთ, რა ზომები მიიღო გამგეობამ. ზომა, ჩვენს მიერ მიღებული, იყო ორნაირი: პირველი – გახლავთ თვით საზოგადოებაში შეტანა შეგნების, რომ საზოგადოება თვითონ უნდა ამოძრავდეს ამ საქმის გარშემო, გამოიჩინოს მეტი ენერგია და დაეხმაროს სკოლის შენობის შეკეთება-გაშენებაში. ამასთანავე გამგეობა აძლევს მათ მატერიალურ დახმარებასაც, მაგალითად: აძლევდა მათ ცემენტს, ფიცრებს და სხვა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საქმეს საზოგადოება და ადგილობრივი ორგანიზაციები დიდი სიხარულით ეკიდებიან. გარდა ამისა აშენებულ იქნა ახალი შენობები შემდეგ ადგილებში: ქვედა თეკლათი, ბეთლემი, წყემი, ონტოფო, ნაესაკოვო, კოდორი, ქოლობანი, გურძემი, უფალის-კარი, ფიცხო. სულ შეკეთებულ იქნა ოციოდე სკოლის შენობა ისე, რომ შიგ მეცადინეობა შესაძლებელი.

საკითხავია, რანაირი იყო მეცადინეობა სკოლებში, სკოლების მიღება-ჩაბარების დროს, ჩვენ ვახდენდით მათ რევიზიას და ჩვენ საშუალება გვეძლეოდა სკოლების ვითარებას გავცნობოდით ადგილობრივად. პირველ დაწყებით სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი იყო 6 161, ამასთან ქალი 2 932, ესე იგი 32%, მათში მასწავლებელთა რიცხვი იყო 232, აქედან საშუალო განათლების 58, საოსტატო სემინარიიდან 25, დაბალ განათლების 159. უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი იყო 1 500, მასწავლებლები 55, აქედან უმაღლესი სასწავლებლის სხვა და სხვა კურ-

სებიდან 7, სამოსწავლებლო ინსტიტუტიდან 2, საშუალო განათლების 23, სემინარიის 16, დაბალი განათლების 7. მამაკაცთა რიცხვი იყო 40, დედაკაცთა 15.

უნდა ითქვას, რომ მასწავლებლები ცოტა გამონაკლისით ყველანი იდგნენ თავიანთ დანიშნულების დონეზე, თუ მივიღებთ მხედველობაში ჯოჯოხეთურ პირობებს, რომელშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა. ჩვენ როდესაც გავიგეთ და დავრწმუნდით მასწავლებელთა ვითარებაში, საჭიროდ ვცანით მათთვის საზაფხულო კურსების დაარსება. უნდა განვაცხადოთ, რომ ამ კურსების მოწყობა ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდა, ვინაიდან გამოცდილი ლექტორები ვერ ვიშოვეთ, მაგრამ მეტ წილად ადგილობრივი პედაგოგების დახმარებით კურსები მაინც მოეწყო. კურსებზე იყო 60 მსმენელი. გარდა ამისა გავგზავნეთ მთავრობის მიერ ქალაქ ქუთაისში გახსნილ კურსებზე 12 მასწავლებელი. ამ უკანასკნელებმა ყველამ მიიღო მასწავლებლის ხარისხი და ადგილებზე დავნიშნეთ.

მაზრაში გაიხსნა ამ სამოსწავლო წლიდან 10 პირველი დაწყებითი სასწავლებელი, რომ განგვეხორციელებინა მთავრობის მიერ დაკანონებული საყოველთაო სწავლა აღზრდის საქმე. უნდა მოგახსენოთ, რომ ხსენებული კანონი მთავრობას აქვს გადაწყვეტილი გაატაროს ცხოვრებაში ხუთი წლის განმავლობაში. ჩვენს მაზრაში ამ კანონის მიხედვით უნდა გაიხსნას 40-48 ახალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. მაშასადამე ყოველ წლიურად ჩვენ დაახლოებით უნდა გავხსნათ 9 პირველ დაწყებითი სასწავლებელი, გავხსენით კი ამ მიმდინარე წელს 10 პირველ დაწყებითი სასწავლებელი – შემდეგ ადგილებში: ქვედა თეკლათი, ძონძირი, საჩიქობავო, ფოცხო, ჟინოთა, თარგამოული, ზედა კინჩხა, სუხჩე, ბულვანი და ღვედი, ამ სასწავლებლებში დაინიშნა სულ 13 მასწავლებელი. მომავლისათვის კი თითოეულ სასწავლებელში ყოველ წლიურად უნდა გაიხსნას ახალი განყოფილებები და დაინიშნოს ახალი მასწავლებლები.

ამათ გარდა გავხსენით, ორი სამეურნეო სასწავლებელი: ძველ-სენაკსა და თამაკონში. ამას მოჰყვა დახურვა ხსენებულ ადგილებში ყოფილი სათავადაზნაურო და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლების, ვინაიდან ისინი ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ დანიშნულებას. ლეხაინდრავო-ონოღიის საზოგადოებაში გავხსენით საფეიქრო სასწავლებელი. ქალაქ სენაკში ჩვენ გავხსენით საოსტატო სემინარია და შიგ ამ ჟამად ხდება ნორმალური მეცადინეობა. ამ სემინარიაში ჩვენ უნდა მოგვცეს ღირსეული მასწავლებლები და ამისათვის ჩვენ მას დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ვიმედოვნებთ, რომ ის თავის დანიშნულებას შესაფერისად გაამართლებს. ჩვენ ვაწვდით სკოლებს სახელმძღვანელოებს და რვეულებს, მაგრამ უსახსრობის გამო, სავსებით ვერ დავაკმაყოფილეთ მოთხოვნილება, მაგრამ იმედი გვაქვს მომავალში ამ ნაკლსაც თავიდან ავიცილებთ.

ახლა მინდა მოგახსენოთ, თუ რა მდგომარეობაშია სწავლა-აღზრდის საქმე ამ წლის დასაწყისში. საზოგადოება იღვიძებს, მას სწყურია სწავლა და თუ ის წინათ ხალისით აშენებდა ღვთის ტაძარს, დღეს ის იმავე ხალისით აშენებს ტაძარს მეცნიერებისას. ეს მოვლენა ჩვენ გვაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ სწავლა-აღზრდის და კულტურული აღორძინების საქმე ჩვენში მტკიცე ნიადაგზე დგება. მდგომარე 1919-1920 სასწავლო წლებში მაზრაში იყო 112 პირველ დაწყებითი სასწავლებელი, 13 უმაღლეს დაწყებითი, 2 სამეურნეო, 1 საფეიქრო და 1 სემინარია.

პირველ დაწყებით სასწავლებელში, შარშან იყო 9 093 მოწაფე, წლეულს მიემატა 2 400, მათში ვაჟი – 7 523, ქალი – 3 960. თუ მივიღებთ მხედველობაში სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო რიცხვს, დავინახავთ, რომ 40% ამ რიცხვისა სკოლის გარეშეა დარჩენილი, და რომ ესენი ყველა მოვათავსოთ სკოლებში, საჭიროა გაიხსნას მაზრაში 48-50 სასწავლებელი. თუმცაა არის ისეთი ადგილებიც, სადაც ახალი სასწავლებლების გახსნა არ დაგვჭირვებია: თეკლათი, კიწია, და თამაკონის საზოგადოება. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მაზრის მთაგორიან ადგილებში, მოწაფე ქალთა რიცხვი თვალსაჩინოდ ნაკლებია, რკინიგზასთან ახლო მდებარე ადგილებთან შედარებით. ეს აიხსნება იმით, რომ დასახელებულ რეგიონებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ცრუ მორწმუნეობას, თითქოს ქალისათვის განათლება ზედმეტი ბარგი იყოს.

დაბალ სასწავლებლებში მასწავლებელთა რიცხვი შარშან იყო 232, წლეულს მიემატა 48, სულ 280. იმ სასწავლებლებში, სადაც მოწაფეთა რიცხვი, არსებულ ნორმას აღემატებოდა, ან ერთ

მასწავლებელს უხდებოდა ორ განყოფილებაში მეცადინეობა, დავნიშნეთ ახალი მასწავლებლები, დაახლოებით 35-40 მასწავლებელი. ამ 280 მასწავლებელში არიან საშუალო განათლების 49, სემინარიიდან 9, დანარჩენი კი დაბალ განათლების. მათი საერთო რიცხვიდან, 190 არის მამაკაცი, მათში მღვდელი არის 28, ხოლო ქალი – 90. მათგან ადგილობრივია 172 და 108 გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით და ვართ უუფლებო მასწავლებლების დანიშვნისა, იძულებულნი ვიყავით, მათთვის სკოლის კარები გაგვეღო, ვინაიდან სწავლის სურვილი საზოგადოებაში დიდი იყო, ბევრი ბავშვი მოაწყდა სკოლას და უარის თქმა გამოიწვევდა ხალხში ერთ გვარ არევ-დარევას. ასეთი მასწავლებლები, რიცხვით სულ 20 კაცამდე, დავნიშნეთ სრულუფლებიან და გამოცდილ მასწავლებლებთან, რომ იმათი ხელმძღვანელობით ეწარმოებინათ თავიანთი საქმე.

მასწავლებელთა მდგომარეობა მატერიალურად პირდაპირ აუტანელი და კატასტროფულია: მას ეძლევა თვიურად 800 მანეთი, რომელიც ამ საზღაპრო სიძვირის დროს წვეთია ზღავში. სხვა საშუალება მათ არ ჰქონდათ. ამიტომ მასწავლებლობას ეტანებოდა ყველა ბედის მომდურავი, ვისაც სხვაგან საქმის უნარი არ ჰქონდა. განყოფილების კარებთან თქვენ დაინახავდით მღვდელს, მედავითნეს, რომელსაც ჟამნი და დავითნის მეტი ხელში არაფერი სჭერია, დაინახავდით აგრეთვე უწლოვანო ახალგაზრდასაც, რომელსაც მოხუცი მამა წინ მოუძღოდა.

აი ასეთი ელემენტები ბოლოს უღებს განათლების საქმეს. წინანდელი განათლებული მასწავლებლები სკოლას მოშორდნენ. მისი ადგილების დაჭერას ლამობენ უუნარო პირები და თუ მომავალში ამ მიდრეკილებას ბოლო არ მოეღო და სკოლა დების მომდურავებით ავავსეთ, მაშინ სკოლა წარმოადგენდეს იქნება სრულ არარაობას და განზრახული საყოველთაო განათლებას დანიშნულ დროისათვის ვერ განვახორციელებთ. სწავლა-განათლება ბურჯია დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამიტომ მას დიდი ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოვექცეთ. ამ საქმის მატარებელი არის ღირსეული მასწავლებელი და რომ ჩვენ ასეთები ვიყოლიოთ, საჭიროა მათი მატერიალურად უზრუნველყოფა და ამ მხრით ისინი არ უნდა დაიჩაგრონ. თუ სხვა დარგის მუშაკებს სიძვირის ზრდასთან შეფარდებით უმატებენ სასყიდელს, სამართლიანობა მოითხოვს ასეთი დახმარება იმათაც არ მოაკლდეს.

მაზრაში იყო 12 უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, ახლა არის 13, მოსწავლეთა რიცხვი 1 900, ამათში ვაჟი 1 350, ქალი – 550, მასწავლებელთა რიცხვი 55. ყველა ესენი არიან მაღალი სასწავლებლის სხვა და სხვა კურსებიდან და სემინარიიდან, ამათში მამაკაცი 40, ქალი – 15. მთავრობა ინახავს 4 სკოლას, ხოლო დანარჩენ 9 კი საზოგადოება. ეს უკანასკნელი უნუგეშო მდგომარეობაში არიან. თუმცა მთავრობა დაგვპირდა მათი შესანახი ხარჯების ნახევრის გაღებას, მაგრამ ჯერ ეს არ შეუსრულებია და თუ მან დაპირება ვერ შეასრულა, მაშინ მთელი ხარჯების გაღება თვით ერობამ უნდა მიიღოს თავის თავზე, მათი დახურვა შეუძლებელია. ამ 13 სასწავლებელში საკუთარი შენობა აქვს 5, დანარჩენი კი მოთავსებულნი არიან დაქირავებულ შენობაში. თუ ერობას მოუხდა ამ სასწავლებლების შენობის აგება, საჭირო იქნება 1, 1/2 მილიონი მანეთი.

რა გეგმას ისახავს გამგეობა მომავალში: სამი რამ: 1. უნდა მოეწყოს შენობები. თუ ეს არ იქნა, შეუძლებელია სწავლა-აღზრდის საქმის მოწყობა, ამისათვის საჭიროა თვით საზოგადოების ამოძრავება. ერობამ კი თავის მხრივ, მათ უნდა შესაძლებელი დახმარება გაუწიოს ამ საქმეში. ჩვენ უკვე ნაბიჯები გადადგმული გვაქვს, ვაძლევთ სამშენებლო მასალებს და ვამზადებთ სასკოლო პარტებს, 2. გასახსნელია ყოველ წლიურად 9 ახალი სასწავლებელი, რისთვისაც ახლავე უნდა მომზადდეს ნიადაგი და 3. ვინაიდან მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი არის დაბალი განათლების, საჭიროა მათთვის მოეწყოს ყოველწლიური კურსები.

ამასთანავე უნდა მოეწყოს ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, სენაკში მოვაწყოთ ცენტრალური საწყობი სახელმძღვანელოების და მივაწოდოთ ხელმისაწვდომ ფასებში საჭირო სასწავლო ნივთები. ჩვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ დაუმუშავებელი, ჩვენ არა გვყავს სპეციალისტები. ამნაირად ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ სპეციალურ სასწავლებლების გახსნას.სკოლის გარეშე განათლებაზე ვერაფერი მოვასწარით, მიღებულია ზომები, მოეწყოს საკვირაო სკოლები, სახალხო

სამკითხველოები და სხვა. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ პროფესიონალურ სკოლას ფოთში გამგეობა უწევს 24 000 მანეთს დახმარებას ყოველ წლიურად. ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვეძლო და რაც გაკეთდებოდა ამ წელიწადს, მომავლისთვის არ გადაგვიდვია“.

სატექნიკო დარგის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი გრ. ცეკვაშვილი: „პატივცემულო ხმოსნებო, ტექნიკურ განყოფილებას მოუხდა თავისი მუშაობის დაწყება განსაკუთრებულ პირობებში: მას არ გააჩნდა არავითარი საკუთარი თანხა, მთავრობისაგან არ იღებდა დახმარებას, და იძულებულ იყო ყოველგვარ საღსარს მოკლებული, დაეწყო მუშაობა, მაშინ როდესაც დანარჩენი განყოფილებანი მთავრობისაგან იღებდნენ განსაზღვრულ თანხებს, დახმარებებს და სხვა, ჩვენ იძულებულნი ვიყავით და ვართ დღესაც შემთხვევით შემოსავალზე, სხვა განყოფილებების ხარჯზე ვიცხოვროთ. ასეთ პირობებში, სათანადო მოქმედებების გაჩაღება ყოვლად შეუძლებელია: უსაღსრობა ცუდად მოქმედებს თვით მუშაობის წარმოებაზე, შეაქვს ამ დარგში ერთგვარი უსისტემობა. არ იცი რამენი თანხა, როდის უნდა მიიღო. ასეთი მდგომარეობა, კი მუშაობის ნიადაგზე სისტემატურ წარმოებას შეუძლებელ ყოფს დაყენებას და აძლევს მას შემთხვევით ხასიათს, მაშინ, როდესაც ტექნიკური მუშაობა წარმოებს სეზონებით და მოითხოვს მუშაობას წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

მსგავსი უნუგეშო მდგომარეობის თავის დასაღწევად შესაძლებელი იყო საკუთარი წარმოების მოწყობა და მით საარსებო საშუალების გაჩენა, მაგრამ ეს ჩვენ χერ-χერობით ვერ შევძელით. წარმოების დაწყებას, ამ საზღაპრო სიძვირის დროს, სჭირდება დიდძალი ძირითადი თანხა და სანამ წარმოება შემოსავლიანი გახდებოდეს, საჭიროა დროც. ამისთვის ჩვენ არც თანხა გვქონდა და არც დრო. შექმნილ მდგომარეობის გამო, მიმდინარე საანგარიშო წელიწადი ჩვენთვის იყო მძიმე და ამიტომაც იძულებულნი შევიქმენით მრავალი თქვენი დავალებათაგანი, რომელთა შესრულება ვერ შევძელით, გადაგვეტანა მომავალ საანგარიშო წლისათვის იმ იმედით, რომ მომავალი წელიწადი ჩვენთვის გაცილებით უკეთესი იქნება თავისი პირობებით. მომავალ საანგარიშო წელს კი ჩვენს განყოფილებას მრავალი სამუშაო აქვს შესასრულებელი. დროთა ვითარებაში უყურადღებობის გამო გზები გაფუჭდა და ხიდები ჩაინგრა, მრავალი სკოლის შენობები დაძველდა და გაფუჭდა.

საბედნიეროდ ამ უკანასკნელ ხანებში ცხოვრება დგება ნორმალურ კალაპოტში და საზოგადოება თვით ებმება სამშენებლო საქმეებში. გაჰყავთ გზები, აშენებენ სკოლებს, აკეთებენ ხიდებს, გაბედულად იწყებენ მსხვილ ქარხნების გახსნაზე ზრუნვას, წარმოების დაწყებას და სხვა. მსგავსი მდგომარეობა პირდაპირ ავალებს გამგეობას ასეთი ცხოვრების მომდინარეობას აუღოს სწორი ალღო და გაუძღვეს მაზრას მისთვის საჭირო საქმეების მოგვარებაში და ამ საერთო განახლების დროს საზოგადოების მოქმედებას მისცეს სწორი და მიზანშეწონილი მიმდინარეობა.

ახლა მოგახსენებთ იმას, თუ რა გავაკეთეთ ამ საანგარიშო წელს. საანგარიშო წელს, მთელი ჩვენი ყურადღება მიიპყრო საგზაო საქმის მოგვარებამ. როგორც იცით გზა არის კულტუროსნების და ეკონომიკური აღორძინების აუცილებელი პირობა, ვისაც კარგი გზა აქვს, ის განვითარებულია, მდიდარია. ჩვენს მაზრას კარგი გზები არ ჰქონდა. რაც იყო გაშენებული, ისიც ხიდებთან ერთად, უყურადღებობით ერთობ გაფუჭებული იყო. ჩვენ რომ ამ დარგში საზოგადოებას არ მივშველებოდით, მაზრის განაპირა მხარეები მოსწყდებოდნენ ცენტრს, მაგრამ ასეთი არა სასურველი მოვლენა შესაძლებლობის ფარგალში ავაშორეთ საზოგადოებას.

ჩვენ ჩავიბარეთ ქუთაისის საგუბერნიო საინჟინრო სამმართველოსაგან შემდეგი მე-4 ხარისხის საერობო გზა-ტკეცილები: სენაკ-ნოქალაქევის სიგრძით – 21 ვერსტი; სამტრედია-ორპირის – 24 ვერსი; სუპსა-მალთაყვის – 10 ვერსი; ბამბუას ხევის ხიდი. ყველა ეს გზა ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაში არიან და მოითხოვენ დაუგვიანებლად კაპიტალურ შეკეთებას. რაც შეეხება, სამტრედია-ორპირის გზატკეცილს, მას ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ვინაიდან ის გაყვანილია რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ და საზოგადოებისათვის ეკონომიკურ მნიშვნელობას მოკლებულია, და აქვს უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა. ჩვენ ენერგიულად შევუდექით, სენაკ-ნოქალაქევის გზატკეცილის შეკეთებას. ამ გზას უდიდესი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ჩვენი

მაზრისათვის. ამ გზაზე არის გაშენებული ოცი ხის ხიდი, თავდაპირველად გადავწყვიტეთ ეს ხიდები გამოგვეცვალა და ნაცვლად ახლები გაგვეშენებინა. ამ მიზნით ვიყავით სოფელ ბორგაში (ზუგდიდის მაზრა) ხე-ტყის მასალის შესაძენად, მაგრამ იქ ფასები მათზე ერთობ გაზვიადებული აღმოჩნდა. შემდგომ გამგეობამ იქონია მსჯელობა ამ საგანზე და გადავწყვიტეთ, ნაცვლად ხისა, რკინა-ბეტონის ხიდების გაშენება, კიდევაც ავაშენეთ ორი ხიდი. ერთი ამ ხიდთაგანი დაჯდა 60 000 მანეთი, ხოლო მეორე 25 000 მანეთი. ციფრების განსხვავება იმით აიხსნება, რომ პირველ ხიდს საძირკველი არ ჰქონდა და ის ასაშენებელი გაგვიხდა, მეორეს კი ასეთი აშენება არ სჭირდებოდა და მხოლოდ ზედა პლიტა გაუკეთეთ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ რკინა-ბეტონის ხიდები მუდმივია, რაც დრო გადის თანდათანობით უფრო მაგრდება, მაშინ მათზე დახარჯული თანხა არ უნდა გვედიდოს. მარტო რკინა თითო ხიდზე 120 ფუთია დახარჯული. დანარჩენი ხიდები მხოლოდ დროებით შევაკეთეთ, იმ განზრახვით, რომ მომავალში გადავაკეთოთ რკინა-ბეტონით.

შევაკეთეთ ნოქალაქევის რკინის ხიდი, დაიხარჯა 5 000 მანეთი. მასთან ჩვენ ერთ წუთსაც არ გვქონდა დავიწყებული ყრილობის დავალება გაგვეყვანა გზა-ტკეცილი ნოქალაქევიდან კურზუმდე. ამ გზაზე უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენს „მუკოტახილის“ გზა სიგრძით 1 300 საჟენი, და თავდაპირველად შევუდექით მის ჩამომტვრევა-გაფართოებას. ამ გზის შეკეთების დროს ჩვენ უმთავრესად ვეყრდნობოდით ნატურალურ ბეგარას. იმ გასაოცარმა აღფრთოვანებამ, რომელიც გამოიჩინა საზოგადოებამ ხსენებული გზის შეკეთების დროს მოგვცა საშუალება ეს საქმე საანგარიშო წლის ბოლომდე სანახევროდ გაგვეკეთებინა. საზოგადოების დიდი უმრავლესობა გვაძლევდა მუშახელს გაცილებით მეტს, ვიდრე ამას ჩვენ მოველოდით. საგზაო მუშაობის სეზონს უნაყოფოდ რომ არ ჩაევლო, ჩვენ მივმართეთ ყველა სათემო ერობებს გაეჩაღებინათ საგზაო მუშაობა თავიანთ საზოგადოებებში, ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მათ ეს დავალება პირნათლად შეასრულეს, ჩვენი განყოფილება კისრულობდა ამ მიზნისათვის ხელმძღვანელობის გაწევას, საჭირო მასალების და იარაღების მიწოდებას. აქ მოკლედ მოვიყვან ცხრილს მათ მუშაობაზე საგზაო დარგში.

ნოქალაქევის საზოგადოებაში შეკეთებულია ყველა ხიდები და ბოგირები სენაკ-მარტვილის გზაზე, საზოგადოებას ეს დაუჯდა დაახლოებით 3 000 მანეთი. შეკეთებულია ძველი მეორე ხარისხოვანი სასოფლო გზები, ოთხ ადგილას, რომელიც აერთებენ აბედათთან, დანარჩენი სამი გზა შიდა საზოგადოების ფარგალშია მოხვედრილი; აბაშის საზოგადოებაში შეკეთებულია შემდეგი გზები და ხიდები: პირველ ხარისხოვანი დიდი მოსე მდინარე ზანიდან ონტოფოს საზღვრამდე - სამი ვერსი, აერთიანებს აბაშას ონტოფოს საზოგადოებასთან. ბურდღუ ნოდიას კარიდან დაწყებული პირველ ონტოფოს საზღვრამდე ოთხი ვერსი, აერთებს ონტოფო-კვანათის საზოგადოებებთან – საგამსახურდიო გზა მდინარე ზანიდან მაცხოვრის კარის საზღვრამდე – სამი ვერსი, აერთებს აბაშას კვათანის საზოგადოებასთან შუა სოფლის გზა მაცხოვრის კარის საზღვრამდე ორი ვერსი აერთებს აბაშას კვათანის საზოგადოებასთან. სოფელ კოდორის მოსე სეფიეთიდან აბაშის საზღვრამდე 3 ვერსი, აერთებს აბაშას და კოდორს სეფიეთთან. კოხთა პეტრენავას ეზოდან დაწყებული კაპანის საზღვრამდე 2 ვერსი, შუა სოფელს აერთებს კვანათი საზოგადოებასთან, აბაშის კანცელარიიდან დაწყებული მარტვილის გზატკეცილამდე 2, 1/2 ვერსი, აერთებს კაპანასთან (კვათანის საზოგადოება); კვარათის საზოგადოებას თითქმის შეკეთებული აქვს ყველა მთავარი და სასოფლო გზები, მასთან აქვს გაშენებული 22 ცემენტის ხიდი; უშაფათის საზოგადოებაში გაყვანილია 4 საჟენიანი, თავისი განით მთავარი გზა ნოქალაქევის აბანოდან უშაფათის სამმართველომდის; სამმართველოდან ეს გზა სამ შტოდ იყოფა და აერთებს ლესიჭინე, ზანა და ეკის საზოგადოებასთან. სოფლის გზები შეკეთებულია ჩვეულებრივად. ძველი ხიდები უშაფათის საზოგადოებაში არ არის და ახლის გაშენება კი დღეს-დღეობით არ დაწყებულა. ასეა დანარჩენ საზოგადოებებშიაც.

მასთან ხშირად მოგვდიოდა სხვადასხვა საზოგადოებებიდან მოთხოვნილება გაგვეგზავნა მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად ტექნიკოსი, გზების და ხიდების შეკეთებაში, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ერთი ტექნიკოსის მეტი არ გვყავდა, ყველა მოთხოვნილებებს ვერ ვაკმაყოფილებდით, მასალებს და იარაღებს კი შეძლების და გვარად დაუბრკოლებლივ ვაწვდიდით.

აქ აღვნიშნავ იმასაც, რომ წყალდიდობის დროს მდინარე ტეხური მაზრის ერთ ნაწილს სავსებით აშორებდა ცენტრს. შეუძლებელი ხდებოდა ასეთ დროს მდინარეზე გასვლა ურმით ან ცხენით. ეს კი საზოგადოებას აყენებდა დიდ ზარალს. აქაც აღმოუჩინეთ საზოგადოებას დახმარება. აღვძარით მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მიეცათ მათთვის უფლება მდინარე ტეხურზე გაშენებულ რკინიგზის ხიდით სარგებლობისა, ჩვენ ვღებულობდით ჩვენს თავზე რკინიგზის ხიდის ამ მიზნისათვის სათანადოდ შეკეთებას. დიდის ლოდინის შემდეგ ასეთი ნებართვა მივიღეთ. მივიღეთ მონაწილეობა მაზრის ფარგლებში ზუგდიდ-სამურზაყანოს გზატკეცილის შეკეთებაში, გამოვიყვანეთ საზოგადოებიდან მეურმენი და მოვაყრევინეთ ხრეში. უსასყიდლოდ მივიღეთ მონაწილეობა შავი ზღვის რკინიგზის შეკეთება-დამთავრებაში.

აგრეთვე ჩვენ გვქონდა გადაწყვეტილი, გაგვეყვანა რკინიგზის ლიანდაგები კურზუმდე, რათა შეგვძლებოდა ტყეების ექსპლუატაციის მოხდენა. კიდევაც მივმართეთ სამინისტროს დაეთმოთ ჩვენთვის დასახელებული მიზნისათვის 50 ვერსი რელსები, საჭირო რაოდენობის ორთქმავალები და ვაგონეტები, რაზედაც ნებართვა უკვე მივიღეთ, მაგრამ ქუთაისის ერობამ ზემოთ დასახელებული საგნები არ დაგვანება.

აი, მოკლედ ყველა ის, რაც გავაკეთეთ საგზაო დარგში ამ საანგარიშო წლის ბოლომდე. 15 სექტემბრიდან დღემდე კიდევ გავაშენეთ ორი რკინა-ბეტონის ხიდი, მე 5 ვერსზე ავწიეთ ხიდის ბოძი და მით გზატკეცილი შევასწორეთ. ცნობილ სააგარაკე ადგილებზე „ჩეგოლა-ლებარდე“ ვაკეთებთ ცხენით სამიმოსვლო გზას. ქობალიანის ნამოსახლარამდის ეს გზა მცხოვრებლებმა უნდა შეაკეთონ, შემდეგ კი მოიჯარემ, რომელსაც უკვე პირობით შევეკარით. მოიჯარეს ჩვენ ვაძლევთ საჭირო ასაფეთქებელ მასალას, იარაღს და მივეცით ხელფასად 20 000 მანეთი: მომავალ ზაფხულისათვის გვექნება აქაც ვარგისიანი გზა ცხენებით სამიმოსვლო. დავამთავრეთ ჩამოტეხილი გზის შეკეთება, ვინც იცნობდა ამ გზას, მისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ენერგიის დახარჯვას გამოიწვევდა ჩვენთვის მისი სათანადო შეკეთება. საუკუნოებით გაუვალი ვიწრო ბილიკი დღეს ფართო შარა-გზას წარმოადგენს. 1 300 საჟენის სიგრძეზე ეს გზა სიგანით ორ-სამ საჟენს უდრის, ზოგან მეტიცაა. საშიშ ალაგას ქვის კედლებია ამოყვანილი, გაკეთებულია საჭირო ადგილებზე პარაპეტები, მოკირწყლულია და ახლა ეს ოდესღაც ბილიკი და სახიფათო სამიმოსვლო გზა, ვარგისიან გზატკეცილად არის ქცეული.

ახლა მოკლედ მოგახსენებთ, თუ რა გეგმა აქვს დასახული ჩვენს განყოფილებას საგზაო დარგში მომავალს საანგარიშო წელის განმავლობაში. როგორც შარშან, ისე ახლაც ხმოსანთა ყრილობამ უნდა გაიმეოროს და უნდა მისცეს ჩვენ გამგეობას კატეგორიული დავალება, აუცილებლად გაიყვანოს გზატკეცილი კურზუმდე მიუხედავად ყოველგვარი ხარჯისა და შრომისა. მოგეხსენებათ, რომ კურზუ-სალხინოს რაიონი არის ერთი უმდიდრესი კუთხეთაგან ჩვენი მაზრისა, სადაც ბლომად მოიპოვება ხე-ტყე, მადნეულობა, სამკურნალო წყლები, საბალახო მთები და სხვა. უნდა უეჭველად მივიჭრათ ამ დღეს-დღეობით მოუვალ სიმდიდრის შუა გულში, ენერგიული და მიზან შეწონილი მოქმედებით უნდა ამოვიღოთ და ვისარგებლოთ იმ აუარებელი სიმდიდრით, რომლით ეს მხარე ასე უხვად დაჯილდოებულია.

ძველ-სენაკ ნოსირის შესაერთებლად საჭიროა იქნას გაშენებული მდინარე ტეხურაზე ფოლადის ბაწრის ხიდი. აგრეთვე უნდა გავაშენოთ ნოქალაქევის აბანოსთან რელსებისაგან საურმე ხიდი. ტარჩენზე და აბაშაზე უნდა გაშენდეს რელსების ხიდი, ნახევარ ხარჯის გაღებას კისრულობენ ბანძის საზოგადოების გამგეობანი; აბაშა-ბანძის გზაზე გასაშენებელია სამი რკინა-ბეტონის ხიდი, ნახევარს ხარჯს აბაშის რაიონის საზოგადოებათა გამგეობანი იღებენ თავის თავზე.

მდინარე წაჩხურზე უნდა დავამთავროთ სამი ხიდი, რომელნიც გვაძლევენ საშუალებას ვისარგებლოთ ქვიბია-ასხის მთებით. ზემოთ დასახელებული სამი ხიდის გაშენება პრინცესას დაუწყია, საძირკველი სამივეს აქვს, საჭიროა მხოლოდ მათი დამთავრება რაც ძლიერ იაფად დაგვიჯდება. ამ ხიდების შესაკეთებელი თანხა და მასალები უნდა უეჭველად მოგვცეს მიწად-მოქმედების სამინისტრომ, ვინაიდან დასახელებული მთები დიდს შემოსავალს აძლევს მთავრობას, რაც ხიდე-

ბის გაშენების შემდეგ გაორკეცდება. აი ის გეგმა, რაც უეჭველად უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი 1920 წლის განმავლობაში.

როგორც აქამდის ისე მომავალში თქვენ უნდა მოგვცეთ საშუალება დასახულ მიზნის მისაღწევად ვისარგებლოთ ნატურალური ბეგრით. უეჭველია ის, რომ სადაც გზები კეთდება ნატურალური ბეგრით, იქ უკანასკნელი მშვენივრადაა გაკეთებული. საგზაო დარგთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრანსპორტის მოგვარებაც. გასულ საანგარიშო წელს ჩვენ ამ დარგში გადავდგით შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები: მოვაწყვეთ დილიჟანსის და ავტომობილების მოძრაობა ახალ-სენაკ ნოქალაქევის და აბაშა-ბანძა შუა, ჩვენს მიზანს შეადგენდა საზოგადოებისათვის მიმოსვლის ხარჯები შეგვემსუბუქებინა შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ადგილებზე – შუა გზები და ხიდები ერთობ გაფუჭებული იყო და მასთან ჩვენ ვერ ვიშოვეთ სანდო პირები, რომელნიც ამ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს სიყვარულით მოეკიდებოდნენ, იძულებულნი შევიქმენით შეგვეჩერებინა მათი მოძრაობა. დილიჟან-ავტომობილის მოძრაობა შევაერთეთ დაახლოებით აპრილის პირველ რიცხვებში.

მომავალ 1920 წლის განმავლობაში უნდა მოეწყოს ყველა სამილიციო უბნებთან საერობო საფოსტო პუნქტები. თითოეულ პუნქტს დასჭირდება 4 ცხენი, ეტლი თავისი მოწყობილობით და უნაგირით. ამ საქმის მოსაგვარებლად პირველ-დაწყებითი ხარჯები თვით სამაზრო გამგეობამ უნდა გაიღოს. დასახელებულ ცხენებით ყველა მოსამსახურე პირებს შეუძლია დაწესებულ ფასებში სამიმოსვლოდ სარგებლობა. ამ ცხენებით ფოსტის გადატანას ვიღებთ ჩვენ ჩვენს თავზე. ხარჯების ნაწილი უნდა გაიღოს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამაც. მასთან ჩვენ დავეხმარებით ყველა თემს და მათ აუცილებლად უნდა მოაგვარონ თავიანთ შორის სამიმოსვლო საშუალება.

ახლა მოგახსენებთ იმას თუ რა გაგვიკეთებია სამშენებლო დარგში ამ და იმ საანგარიშო წელს. საჭიროა მოეწყოს სქელი სახვევი ქაღალდის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც ერთობ შემოსავლიანი იქნება ერობისათვის. ნედლი მასალა ბლომად მოგვეპოვება და თითქმის ჩვენში არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ასეთია მაგალითად სიმინდის ჩალა და ღეროები, რომელიც უხვად იკარგება ჩვენში, უკანასკნელის გამოუყენებლობის გამო. აგრეთვე შეუდგებით კურზუს ტყის ნაწილობრივ ექსპლუატაციას. დავდგამთ ნოქალაქევში ხე-ტყის ქარხანას, სადაც მდინარის საშუალებით იქნება ხეები ჩამოტანილი. თეთრი ნახშირის დამუშავების შესახებ ჩვენს მიერ იქნება მთავრობის წინაშე აღძრული შუამდგომლობა მოგვცეს კონცესია, რათა მისი საშუალებით მარტვილის ჩანჩქერი გამოვიყენოთ ელექტრონს სადგურისათვის, აქ ჩვენ დავიხმარებთ კერძო ინიციატივასაც.

ჩვენ ვაძლევდით დიდ მნიშვნელობას ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის გავრცელებას მაზრის ფარგლებში. ამ მიზნით ჩვენ არა ერთხელ აღვძარით შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მოეცათ ჩვენთვის საჭირო მასალები, რაც მთავრობის მიერ იქმნა დაკმაყოფილებული. ზაფხულს გამოაგზავნეს სრულ ჩვენს განკარგულებაში ტექნიკოსი მაზრაში მუშაობის საწარმოებლად, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ნაკისრ მოვალეობის შესრულებას ჩვენის ხელმძღვანელობით. წვრილ ერთეულმა უფასოდ დასთხარეს ორმოები და დაამზადეს საჭირო რაოდენობის ბოძები, მთელი ხარჯების ნახევარს ვკისრულობთ ჩვენ. ჩვენ ამ ნიადაგზე გვაქვს შემუშავებული გეგმა, რომლით ყოველ საზოგადოებას ექნება თავისი ტელეფონის ხაზი. მთავარი ცენტრალური სადგური დაარსებულია, სამაზრო გამგეობაში, ხოლო ქვესადგურები აბაშა, ბანძა, ნაოღალევი, ნოქალაქევი და ძველ-სენაკში, რომლით შეკავშირებული ვართ მაზრის განაპირა მხარეებთან. ამ სფეროში მუშაობა ახლა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. სამწუხაროდ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ რამდენიმედ შეგვიშალა ხელი, ვინაიდან საჭირო რაოდენობის ტელეფონის აპარატი არ მოგვაწოდა მათი გამოლევის გამო. ჩვენ იძულებული შევიქმენით კერძო პირისაგან შეგვეძინა ასეთები, კიდევაც შევიძინეთ 17 კარგი ღირსების ტელეფონის აპარატები 30 000 მანეთად. რაც შეეხება ტელეგრაფის განყოფილებათა გახსნას, ასეთი გავხსენით მარანში, ნოქალაქევში. ახლო მომავალში გაიხსნება კიწიასალხინოშიდაც.

მომავალ საანგარიშო წელს ჩვენ შევეცდებით მოვფინოთ მაზრა ტელეფონის ბადით. ამ მიზნით დაწესებულებებს და კერძო პირებსაც, თუ მოისურვებენ დაუდგამთ ტელეფონის აპარატს. ეს დარგი ერობისათვის იქნება შემოსავლიანი. განზრახული გვაქვს უახლოეს დროში ტელეფონის საშუალებით შეუკავშირდეთ ქუთაის-რაჭა-ლეჩხუმი-ზუგდიდის მაზრებს, სამტრედიას, ფოთს და თვით თბილისსაც. მუშაობა ამ ნიადაგზე უკვე დაწყებულია. რაიონის სადგურამდე თითქმის დამთავრებულია ტელეფონის ხაზის გაყვანა ამ საგანზე შეუთანხმდით ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს. საჭირო ხარჯების ნაწილს გავიღებთ ჩვენ. სახელოსნოს საჭიროებისათვის გადავაკეთეთ შენობა შესაფერისად. შევაკეთეთ ერობის გამგეობის შენობა, ნოქალაქევის აბანო, ერობის სამაზრო საავადმყოფო, და მაზრის მილიციის ბინა.

გვახსოვდა ჩვენი სკოლების უნუგეშო მდგომარეობაც. ზამთარი ახლოვდებოდა და სკოლები მოითხოვდნენ შეკეთებას, მასალაზე კი ერთობ გაზვიადებული ფასები არსებობდა და ამიტომაც საზოგადოებას მათი შეძენა არ შეეძლო. აქ ჩვენ მივეშველეთ მათ, შევიძინეთ შავი ზღვის-სანაპირო რკინის გზის სამმართველოდან ბარაკები, რომელიც ძლიერ იაფ ფასებში დაურიგეთ საზოგადოებებს; მაგალითად თეკლათის, ონტოფოს ძველ-სენაკს, ნოქალაქევს და სხვა. ეს მასალები აგრეთვე რკინა-ბეტონის ხიდების საჭიროებისათვის, სახელდობრ-ჩარჩოებად გამოვიყენეთ, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა მათზე ხარჯები. შევადგინეთ ქართული სტილით გეგმა კოტიანეთის სკოლის და მისი ხარჯთ-აღრიცხვა.

ხე-ტყის მასალების გასაიაფებლად ბორჯომიდან ჩამოვიტანეთ ერთი ვაგონი მასალა. მომავალში ეს დარგი შეეცდება ყველა განყოფილებებს გაუწიოს დახმარება ტექნიკური ძალების და სამშენებლო მასალების მიწოდებით. აგრეთვე ეს დარგი იკისრებს გაუწიოს ხელმძღვანელობა სახალხო სახლის და სხვა კაპიტალური შენობების აგებაში, როგორიცაა მაგალითად: აბანოები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვა, ვინაიდან სამაგისო ტექნიკური ძალა მოგვეპოვება.

გასულ წელს ჩვენ ვერ მოვასწარით ჩვენი მაზრის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება. 1920 წელს გადაწყვეტილი გვაქვს მოვახდინოთ ჭალადიდის ტყის ნაწილობრივი ექსპლუატაცია. ამ მიზნით ჩვენ შევიძენთ, ან იჯარით ავიღებთ ერთ-ერთ ფოთის ხე-ტყის ქარხანას. გადადგმული გვაქვს ნაბიჯი აგურ-კრამიტის ქარხნების მოსაწყობად. ამ მიზნით სხვა და სხვა ადგილებიდან დავაგროვებთ ნიმუშებს, გავგზავნით თბილისში ლაბორატორიაში თიხის ღირსების შესამოწმებლად და შევიძენთ კრამიტის დაზგას.

ჩვენს მაზრაში არ მოიპოვება რიგიანი სახელოსნო, მისი მოწყობა აუცილებელი იყო, ვინაიდან არ შეიძლებოდა ადგილობრივად უბრალო საგნის შეკეთებაც და იძულებული ვიყავით ამ მიზნით თბილისში გვემოგზაურა, რაც იწვევდა აუარებელ ხარჯს და დროის დაკარგვასაც. გათვალისწინებული გვქონდა, რომ სანამ არ გვექნებოდა კარგად მოწყობილი სახელოსნო, შეუძლებელი იყო სატექნიკო დარგში ფართო მუშაობის წარმოება. ამისათვის თავიდანვე შეუდექით ამ ნიადაგზე მუშაობას და დიდი შრომის და კვლევა-ძიების შემდეგ თბილისში ნისიად ბ. ს. ს. ხარჯზე შევიძინეთ დაზგები, საზეინკლო იარაღები და სხვა საჭირო მოწყობილობანი მექანიკური სახელოსნოს მოსაწყობად, რომლის მოწყობა დავამთავრეთ აპრილის რიცხვებში. მოვათავსეთ ერობის საკუთარ შენობაში სადაც ხმარებაშია საუკეთესო საზეინკლო, სამჭედლო, სადურგლო იარაღები და დაზგები.

დასახელებულ სახელოსნოში ვაწარმოებდით სამეურნეო იარაღების, ავტომობილების და რკინის ლოგინების შეკეთებას, ვუწევდით დახმარებას საზოგადოებას სხვა და სხვა მათთვის საჭირო საქონლების შეკეთებაში. აქვე დავამზადეთ ერობის გამგეობისათვის საჭირო ავეჯეულობა. მანვე გაგვიწია დიდი დახმარება რკინა-ბეტონის ხიდების აშენებაში. დავამზადეთ სრულიად ახალი 24 ცალი სამეურნეო იარაღი, სკოლების საჭიროებისათვის ავეჯეულობა, სამასამდე „პარტა“, მაგიდები და სხვა. მომავალში კი უფრო ფართო მასშტაბით გვსურს ვაწარმოოთ მუშაობა სკოლებისათვის საჭირო ინვენტარის დასამზადებლად, ამ მიზნით უნდა შევიძინოთ ორი ახალი დაზგაც. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბაზარზე არ იშოვება სამეურნეო იარაღები და თუნდაც, რომ იშოვიდეს

ფასები მათთვის ძლიერ გაზრდილია. მაგალითად ჩვენი დამზადებული ფარცხი ღირს – 700 მანეთი, მაშინ როდესაც ხოშტარიას ქარხნიდან ამავე ხარისხის – 2 500 მანეთი.

აუარებელი მოთხოვნილებანი, რაც ადვილი ასახსნელია. ჩვენი გლეხი ხედავს, რომ მისი ნაწარმოები დღეს დიდს ღირებულებას წარმოადგენს და ისიც ცდილობს გაუმჯობესებული საშუალებით მეტი მოსავალი მოიყვანოს. ფულიც მას ბლომად აქვს და ამიტომ ჩვენთვის ადვილი ასახსნელია ის აუარებელი მოთხოვნილება სამეურნეო იარაღებზე, რომელიც ასე უხვად მოსდის ჩვენს აგრონომიულ განყოფილებას. მივიღეთ მხედველობაში ყველა ზემოთ დასახელებული მოვლენანი და გადავწყვიტეთ მომავალ საანგარიშო 1920 წელს, ჩვენი სახელოსნო გადავაკეთოთ სამეურნეო იარაღების ქარხანად, ვინაიდან დღეს შეუძლებელია გარეშედან საჭირო იარაღების შეძენა და ამიტომაც ხელი უნდა შევუწყოთ შინამრეწველობის განვითარებას. შესაფერი პროექტი უკვე შემუშავებული გვაქვს; აგრეთვე მოლაპარაკება გვქონდა ხოშტარიასთან დაეთმო ჩვენთვის საჭირო მოწყობილობა, რაზედაც სრული თანხმობა მივიღეთ. ამასთან წარმოგიდგენთ ხარჯთ-აღრიცხვას და თქვენ თუ დაგვრთავთ ნებას, ჩვენ დაუყოვნებლივ შევუდგებით ამ საქმის განხორციელებას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში სასურველად დავამთავრებთ ამ საქმეს.

ჩვენ მუდამ გვახსოვდა, რომ ჩვენი ქვეყნის აღორძინება შეიძლება მხოლოდ საწარმოვო ძალთა განვითარებით. ამისათვის კი გვჭირდება მომზადებული პირები, სპეციალისტები, რასაც სამწუხაროდ ჩვენი მხარე მოკლებულია. მიუხედავად დიდი ძებნისა ჩვენ ვერ ვიშოვეთ ქართველი ინჟინერი, მექანიკოსი და სხვა დარგის ხელოსნები, იძულებული ვიქენით მოგვეწვია რუსები, რომლებმაც ზარალი მეტი არა მოგვცა რა. უცხოელები ჩვენ არას გამოგვადგება, ჩვენ თვით უნდა მოუარონ ჩვენს თავს, ჩვენს ახალგაზრდებს უნდა შევაყვაროთ ხელობა. ამ მიზნის მისაღწევად სექტემბრიდან ვფიქრობდით სახელოსნო სასწავლებლის გახსნას, მაგრამ წარმოიდგინეთ ის საოცარი მოვლენა, რომ მთელს საქართველოში ვერ ვიშოვეთ სასწავლებლის გამგედ ქართველი, თუმცა გამგეობა მზად იყო გასამრჯელოს არ დარიგებოდა. ჩვენ ახლაც ვცდილობთ ვიშოვოთ სასწავლებლის გამგე, არ დავზოგავთ არავითარ შრომას და მომავალს საანგარიშო წელს გავხსნით სახელოსნო სასწავლებელს.

მასთან ჩვენ მომავალ საანგარიშო წელს საფეიქრო სკოლის საჭიროებისათვის გავაკეთებთ დაზგებსაც, საერთოდ ამ დარგის განვითარებას დიდ ტექნიკურ დახმარებას გაუწევთ ჩვენი სახელოსნოს სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებას შეძლებისდაგვარად უწყობდა და მომავალშიაც შეუწყობს მცხოვრებთ ხელს ტექნიკური რჩევა-დარიგების მიცემით, ცემენტის, ლურსმნის და სხვა საჭირო საქონლების და ნივთების მიწოდებით. გადაწყვეტილი გვაქვს გავხსნათ უახლეს დროში საწყობი, სადაც გაიყიდება მცხოვრებთათვის ჩვენს სახელოსნოში დამზადებული სხვა და სხვა საგნები, აგრეთვე, იაფ ფასებში: რკინა, ლურსმანი, ცემენტი და სხვა საქონელი.

ნოემბრის მიწურულში ჩემ აქ არ ყოფნის დროს პირდაპირ სახელოსნოს ხელმძღვანელმა ინჟინერ დანილოვიჩ და მექანიკოს მოროზოვმა როგორც წინასწარმა გამოძიებამ დაამტკიცა მინდობილ საქმისადმი დაუშვებელ დაუდევრობით 12 ძალიანი სახელოსნოს მოტორი დაამსხვრიეს. საქმე გამორკვეულია და დამნაშავენი უთუოდ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. ახალი მოტორის შესაძენად ზომებია მიღებული.

გადავდივართ რა იმის აღნიშვნაზე, თუ რა დახმარება გაუწიეთ, წყალ დიდობით დაზარალებულ საზოგადოებას: მოგეხსენებათ, რომ ყოველ გაზაფხულობით, მდინარე ცხენის წყალი, წყალდიდობის გამო დიდს ზარალს აყენებს საზოგადოებას, მაგალითად წლეულს წყალდიდობამ ერთობ გაანიავა ჭირნახული რამდენიმე ას დესეტინაზე და მით საზოგადოების უმრავლესობა აიძულა სხვაგან გადაბარგებულიყო. ჩვენ ამ მხარეს წინასწარ მივაქციეთ ყურადღება, გვინდოდა მივშველებოდით საზოგადოებას, გაგვემაგრებინა ხსენებული მდინარის ნაპირები დამბებით და ამ მიზნით კიდევაც აღვძარით შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, მაგრამ სამწუხაროდ მთავრობის მიერ გაღებულმა დახმარებამ დაიგვიან და ზემოთ დასახელებული ჭირნახულის განიავების და ადგილობრივ მკვიდრთა სხვაგან გადაბარგების მოწმენი გავხდით. აქ უნდა დაინიშნოს ისიც, რომ მდინარე

თვით რკინიგზის ლიანდაგებსაც ემუქრება. ცხენის წყალს არც რიონი ჩამორჩა, მან უკვე ნაესაკოვო და სუჯუნის საზოგადოება ერთობ წალეკა. თუ რა გზით იქნას გამაგრებული მდინარე ცხენის წყლის ნაპირები, ამის შესახებ მთავრობაში პროექტი მუშავდება. ჩვენის მხრით აღუთქვით მთავრობას დახმარება, ცოტა კრედიტიც გადავდეთ. მასთან მოვახდინეთ 12 ვერსტის მანძილზე ნაესაკოვოს და სუჯუნის საზოგადოებაში რიონის ნაპირების ტექნიკური გამოკვლევა, შევადგინეთ პროექტი და გეგმა მისი მარცხენა ნაპირების, სოფელ კოდორის გასწვრივ გამაგრების შესახებ, მოვახდინეთ „ნიველიროვკა“, დავდგით „მაიაკები“ დამბის გასაკეთებლად. მივეცით წინადადება საზოგადოებას დაამზადონ დასახელებულ ნაპირების გასამაგრებლად საჭირო რაოდენობის მასალები, რომლის შემდგომ ჩვენ დაუყოვნებლივ შეუდგებით მის გამაგრებას. მომავალში ჩვენ ყოველ ღონეს ვიღონებთ, რათა საზოგადოება იქნას დახსნილი წყალდიდობით გამოწვეულ უბედურებისაგან.

ამ მიზნით ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილი დავაარსოთ ორ ადგილას, ცხენის წყლის და რიონის ნაპირზე, იქ, სადაც იწყება და თავდება ჩვენი მაზრის ფარგალი, წყლის საზომი სადარაჯოები, სადაც ყოველ დღე ორჯერ აღინიშნება სანიშნოზე მდინარის მეტ ნაკლებობა, აგრეთვე მოვიწვევთ „გიდროტეხნიკს“ წყალდიდობასთან სისტემურ ბრძოლის საწარმოებლად.

აგრონომიული დარგის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ვლ. ხოფერია: აგრონომიული განყოფილება შედარებით დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა გამგეობასთან, იმან დაიწყო თავისი მოქმედება ამა წლის 15 მაისიდან. უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ ამ დარგის ასაღორძინებლად საჭიროა მიწის ეკონომიური დამუშავება, ამ მხრივ განყოფილების მიერ გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები: საზოგადოების ერობებთან არის მიჩნეული საცდელი და საჩვენებელი მინდვრების მოსაწყობად – მიწა, საფონდო ადგილებიდან, რაოდენობით 3-5 ქცევამდე დამუშავებულია ნოსირში რამდენიმე ქცევა მიწა დაახლოებით 20 ქცევა, სადაც არის დათესილი სანიმუშოდ პური; ხეხილის სანერგეები არის მოწყობილი თამაკონის სამეურნეო სკოლასთან და აგრეთვე ძველი სენაკის სამეურნეო სკოლასთან, ძვირფასი მცენარეთა ნერგები არის დაკვეთილი და გაზაფხულზე დარგვის სეზონისათვის გვექნება – 16 000 ძირი, მანდარინი, ფორთოხალი, ჩაი, დაფნა, ბჟოლა და სხვა. აგრონომიული კაბინეტის მოწყობა თან და თან ხდება, არის შეძენილი უფასოდ ყოფილი აგრონომიული ორგანიზაციისაგან, კოლექციები, წიგნები და წიგნაკები – 287 ცალი, შეძენილია მეფუტკრეობის და მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელო წიგნები, აგრეთვე აგრონომიული ორგანიზაციიდან ზოგიერთი საჭირო ნივთები და აგრეთვე კინემატოგრაფიული აპარატი, თავისი ეკრანით და ლენტებით სხვა და სხვა სამეურნეო დარგის სურათებით; სამეურნეო პოპულარული ბიბლიოთეკებისათვის არის გამოწერილი ქართულად შედგენილი წიგნაკები, თესლის მნიშვნელობა, რომელიც დაურიგდება ხალხს ლექციების დროს, აგრეთვე განყოფილება თარგმანის საჭირო წიგნებს პოპულარული ხასიათისას.

აგრონომიული პუნქტის მოწყობა: ბუნების და ნიადაგის შესასწავლად არის შეძენილი გამართული მეტეოროლოგიური სადგურები ძველ-სენაკში და თამაკონის სამეურნეო სკოლებთან 12 000 მანეთის ღირებულების და აგრეთვე გამოწერილია პირველი კლასის მეტეოროლოგიური სადგური ახალ-სენაკში ასაშენებლად; ხილის საშრობის მოწყობისათვის ჩვენთვის საჭირო იყო მოხელეები რისთვისაც განყოფილებამ გაუგზავნა შესასწავლად 4 კაცი, მსურველებისაგან სხვადასხვა საზოგადოებიდან; აგრონომიული პუნქტები არ იყო მოწყობილი რაიონის აგრონომების უყოლობის გამო მსურველი კანდიდატი არავინ აღმოჩნდა.

მოსამსახურეთა პერსონალის შენახვა: სამაზრო აგრონომის განყოფილება არ გვყავდა, ვინაიდან მცირე ჯამაგირების გამო, უკეთეს ადგილზე მყოფ აგრონომები არ მოვიდნენ ჩვენს ერობაში; უბნის აგრონომებიც არ ჰყავდა იგივე მიზეზით; უბნის აგრონომის თანაშემწეები უბნის აგრონომის მოუწყობლობის გამო არ იქნენ მიღებულნი, არის მხოლოდ მიღებული ერთი თანაშემწე და მეორე დროებით ამავე განყოფილების საქმის მწარმოებლად არის დატოვებული, ვინაიდან განყოფილებას საქმის მწარმოებელი სპეციალისტი სჭირდება მეურნეობაში.

სამეურნეო იარაღების და სასუქის და წამლების შეძენა: სამეურნეო იარაღები მიიღო განყოფილებამ ყოფილი აგრონომიული ორგანიზაციიდან, 7 გუთანი, 5 დისკის ფარცხი, ერთ რიგიანი სათესი მანქანა, 32 ცალი სამარგელი, 12 ცალი ორ რიგიანი სათესი, 1 ცალი სიმინდის საფშვნელი, 9 ცალი – ზიგზაგის ფარცხები, 10 ცალი კულტივატორი, 5 ცალი ვენახის საწამლავი მანქანა, წვრილმანი იარაღები და ნაწილები. ამ იარაღების ნაწილი არის ერობის საწყობში სენაკში და ნაწილი კი წვრილ ერთეულების განკარგულებაში და კერძო პირებს აქვთ სახმარებლად. აგრეთვე იქნა შეძენილი, ხოშტარიას ქარხნიდან 4 – გუთანი, ცენტრალური ერობათა კავშირიდან გუთნები და სხვა სამეურნეო მანქანები. 30 000 მანეთის ერობის სახელოსნოში იქნა დამზადებული, ფარცხები 20 ცალი და შემდეგისათვისაც მზადდება. უკანასკნელ ხანებში მიიღო ერობამ სამეურნეო საზოგადოებიდან სამეურნეო იარაღები და სხვა საქონელი, რამდენიმე ათასის ღირებული 25 000 მანეთის, მინა მრეწველობის დარგში განყოფილებამ მოიწვია ინსტრუქტორი.

საფეიქრო სახელოსნო არის მოწყობილი ლეხაინდრაო-ონოღიის საზოგადოებაში, საზოგადოების მიერ სადაც ხელმძღვანელობს ერობის ინსტრუქტორი, აგრეთვე წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს მოწყობილი საფეიქრო სახელოსნო ახალ-სენაკში, რომელსაც განყოფილება დახმარებას უწევს, უფასოდ იარაღის შეკეთებაში და მისცა ერთდროული დახმარება 10 000 მანეთი სახელოსნოს საჭიროებისათვის, აგრეთვე აღმოუჩინეს დახმარება ფოთის პროფესიონალურ სკოლას წლიურ 24 000 მანეთი. ერობა იძენს მატყლს რათა იაფ ფასებში მიაწოდოს საჭირო მასალა მსურველებს და სახელოსნოებს – ინსტრუქტორი უწევს ხელმძღვანელობას აგრეთვე კერძო ფეიქრებს. მაზრაში არის მოწვეული მოსიარულე მეურნე ინსტრუქტორი რომელმაც დაიარა მთელი მაზრა და კრებების საშუალებით აცნო ხალხს მეურნეობის გაუმჯობესების მნიშვნელობა, აგრეთვე უკანასკნელ ხანებში ატარებს კინემატოგრაფს, სამეურნეო სურათებით სხვადასხვა სოფლებში. აგრეთვე ერობამ შეიძინა საფუტკრე თიანეთში 50 000 და მოიწვია მეფუტკრეობის ინსტრუქტორი, განზრახულია ძველ-სენაკის სამეურნეო სკოლასთან გაიხსნას ყოველწლიურად თვიური კურსები მეფუტკრეობაში, სადაც მოიწყობა მეფუტკრეები ცოდნის გაუმჯობესებული მეფუტკრეობაში ჩარჩოებიანი სკის დამზადებაში აგრეთვე ამ კურსებზე იქნება ლექციები სხვადასხვა მეურნეობის დარგში, რომელსაც აქვს მიზნად სკოლის გარეშე განათლება.

მეურნე-მუშების ხელის შეწყობით განყოფილებამ შეიძინა 90 000 მანეთის აბრეშუმის ჭიის თესლი და მაზრაში დაანაწილა. სამაზრო ერობამ გახსნა ორი სამეურნეო სასწავლებელი ძველ-სენაკში და თამაკონში. მთესავლობის გამო და აგრეთვე ხორბლეულობის გავრცელებისათვის მაზრაში იქნა შეძენილი სათესლე ხორბალი და გატარებული პურის სარკვევი მანქანაში, რათა კარგი ღირსების პური მიგვეწვდინა მსურველთათვის დასათესად. განყოფილებმა მიაქცია სათანადო ყურადღება სიმინდის მავნე სენის მოსპობაში, რისთვისაც განყოფილებამ შეიძინა სამიწათმოქმედო სამინისტროში გოგირდი, უკანასკნელის საშუალებით იქნა მოწამლული სიმინდი. ერობის საწყობში შესანახად იანვრიდან განყოფილებას აქვს განზრახული მოაწყოს მოსიარულე ქარავანი სათანადო პერსონალის თან-გაყოლით, შეასწავლის ხალხს სიმინდის წამლობას. განყოფილებას აქვს განზრახული ერობის სახელოსნოში მოაწყოს სამეურნეო იარაღის დამზადება ფართო მასშტაბით, თოხები, სახნისები, ნაჯახები, ფაცხები და სხვა რთული მანქანები“.

საექიმო სასანიტარო დარგის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი პ. ქავთარაძე: „საექიმო სასანიტარო დარგში მოქმედების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით წინა ყრილობაზე მოგახსენეთ. ახლანდელი ჩემი მოხსენება იქნება ერთობ მშრალი და ციფრებზე დამყარებული. ამ ჟამად მაზრაში არის: ერთი სამაზრო საავადმყოფო ქალაქ ახალ-სენაკში, ოთხი სამკურნალო პუნქტი: აბაშა, ბანძა, ნაოღალევი და ნოქალაქევში, ოთხი საექიმო ამბულატორია: ძველ-სენაკში, სალხინო, გორდი და ფოცხო უშაფათი. საფერშლო პუნქტები არის რვა: ჭალადიდი, სუჯუნა, აბაშა, დიდი გეზათი, სეფიეთი, ეკი, კიწია და კურზუში. სამაზრო საავადმყოფოსათვის საჭირო იყო ექიმი-ქირურგი, მაგრამ ასეთი პირის მოწვევა დღემდე ვერ მოხერხდა, ამ დღეებში მოწვეული იქნა ქირურ-

გი, მცირე ქირურგიას დღემდე აწარმოებენ საავადმყოფოს ექიმები, რთულ შემთხვევებში იწვევდნენ ქუთაისის ექიმ როდზევიჩს.

საანგარიშო წელს განყოფილებამ მთავარი ყურადღება მიაქცია აბანოების და სააგარაკო ადგილების მოწყობას. შეკეთებულ იქნა ნოქალაქევის აბანო, რომელიც ეგრე პოპულარულია ხალხში, გამგეობამ გააგზავნა საგანგებო ექიმი, რომელსაც ევალებოდა ყოველი მომსვლელი ავადმყოფების გასინჯვა, რომ გაგვეგოთ თვით ავადმყოფობათა კატეგორია. გამოირკვა, რომ სულ მოსულა 780, ამათში 250 ჭლექიანი, კუჭის და წელების 200, გულის 130, ნერვების 100, ქალების 100. ნოქალაქევის აბანოს წყლის ანალიზი ამტკიცებს, რომ ის მარგებელია კუჭის, წელების და ქარების ავადმყოფობასთან. აქედან ცხადია, რომ ამ აბანოს უფრო ეტანება ისეთი ავადმყოფი, რომელიც აქ არ უნდა მოდიოდეს. გამგეობას განზრახვა აქვს მთავრობისაგან აიღოს ეს აბანო გრძელ ვადიანი იჯარით, სამკურნალო წყალი მოაწყოს რიგიანად, გაამრავლოს სააბანო განყოფილებები, დასჭრას ახლო მდებარე ადგილები და ზედ გააშენოს საჭირო შენობები. უნდა აშენდეს მდინარე ტეხურზე აბანოსთან რკინის ხიდი, რომლის უქონლობა ძლიერ აბრკოლებს მისვლა-მოსვლა.

ბანძის აფთიაქი ადგილობრივი საზოგადოების საშუალებით შეიძინა ერობამ და დღეს იმყოფება მის სრულ გამგეობაში. ლეძაძამის აფთიაქი 1 ნოემბრიდან გადმოვიდა ერობის ხელში; ერობამ მისცა მათ დახმარება 30 000 მანეთი, წამლის მიწოდებით და დაუნიშნა ცალკე მმართველი პროვიზორის თანაშემწე. იმ განხეთქილების გამო, რომელიც რომელიც ამ აფთიაქის გარშემო ხდება სამ საზოგადოების: ლეძაძამე, ფოცხო და უშაფათს შუა, ამ აფთიაქმა იზარალა, გამგეობას განზრახული აქვს მისი სხვაგან გადატანა.

უპატრონოს და მიგდებულ ბავშვების მოვლასა და შენახვას დღემდე კისრულობდა მთავრობა, 1920 წლიდან კი ეს ევალება სამაზრო ერობას. ასეთ ბავშვთა შემნახველთ არ მიუღიათ სამი წლის ანგარიში, ბოლო დროს მოვიდა 1919 წლის დასარიგებელი თანხა, ხოლო 1917 და 1918 წლების კრედიტები უნდა გაეხსნას ერობას ახლო მომავალში, ბავშვთა შესანახი თანხა გადადებულია ძველებური საზომით, რომელიც მომავალ წლისათვის არ გამოდგება და ყრილობის მიერ უნდა იქნეს გაგრძელებული. ვეტერინარი ექიმი გამგეობას ჰყავს: სენაკში და აბაშაში თითო და ამდენივე ფერშალი, ნაოღალევის უბნისთვის ვეტერინარი ექიმი და ფერშალი გამგეობას დღემდე ვერ უშოვია“.

კრება მეორე დღეს 7 დეკემბერს გაგრძელდა, აგრარულ რეფორმათა განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ განყოფილების გამგე ან. ანჯაფარიძე: „აგრარულ რეფორმათა განყოფილებას, მოქალაქენო, ისტორიამ დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა დააკისრა, ასე რომ მთელს რესპუბლიკაში ეს განყოფილება დიდ მნიშვნელოვანია: მიწის საკითხი რომელსაც ეს განყოფილება განაგებს, ყველგან იყო მთავარ საკითხად, განსაკუთრებით გლეხობა მოელოდა მისგან შველასა და ხსნას და უნდა აშკარად აღვნიშნოთ, რომ მას ესე იგი ამ საკითხს, ჩვენში მიეცა ის მიმართულება, რომელიც გლეხობას აკმაყოფილებდა და რომელსაც მთავრობაც და დემოკრატიაც მხარს უჭერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ერთი ურთულეს საკითხთაგანი ვერ მოწესრიგდა და ვერ დადგა სასურველ დონეზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მაშინ დასამარდა ყოველივე.

ამ განყოფილებას უწინარეს ყოვლისა ევალება განახორციელოს 7 მარტის და 28 იანვრის კანონები, და ეს არის უმთავრესი მისი სამუშაო, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა გვეუბნება და გვაჩვენებს. მაშინ, როდესაც ზემოთ ნაჩვენები კანონების ცხოვრებაში უმტკივნეულოდ გატარება უნდა შეადგენდეს მთავარ ძარღვს ამ განყოფილების მუშაობისას, უკანასკნელი ხშირად და უმეტეს შემთხვევაში დროს ანდომებს სხვა და სხვა ამ საკითხის გარშემო ატეხილ დავის გარჩევას, თუმცა, რასაკვირველია, ამ დავის არსებითად გარჩევაში განყოფილება არ შედის, მაგრამ ერთნაირი ახსნა-განმარტება უნდა მისცეს, რაც არა მცირე დროს მოითხოვს და რაც უმთავრესი მიზეზთაგანია ამ განყოფილების მუშაობისა ცოტათი მაინც, ამ განყოფილებას მუშაობის წლის განმავლობაში ჰქონდა ეგრეთ წოდებული სეზონი: გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის, უკანასკნელი კი, (შემოდგომის) მუშაობა, უფრო განსხვავდება: 28 იანვრის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად განყოფი-

ლებაში შემუშავდა ერთიანი გეგმა, რომლითაც გვინდოდა ეს კანონი სისრულეში მოგვეყვანა. გაზაფხულზე განყოფილების უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო მიწების სამუშაოდ განაწილებაზე და ამიტომ ამ დროს მიწების ჩამორთმევის საკითხი დროებით გადაიდო. ამ დროიდან კი თავი იჩინა უკმაყოფილებამ, უფრო კი იქ სადაც იყო საფონდო მიწები. უკმაყოფილებამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო გლეხობაში, როდესაც ერთი მეორეს დაუპირისპირდნენ „კულაკები“ და უბრალო გლეხობა, პირველი ამათგანი ცდილობდა, რასაკვირველია, მეტი მიწის ხელში ჩაგდებას. განყოფილებამ ამას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და შეიმუშავა ინსტრუქცია, თუ როგორ აწარმოოს მიწების სამუშაოდ გადაცემის საკითხი, იმართება ამისათვის საზოგადოებებში კრებები, სადაც ხალხს ეძლეოდა საჭირო ახსნა-განმარტება მიწის კანონების შესახებ, ამნაირად უნდა ითქვას, რომ განყოფილებამ მთელი ენერგია მოანდომა ამ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებას. როცა ეს ასე თუ ისე მოგვარდა, განყოფილებამ მაზრა დაყო 10 რაიონად და მოაწყო კომისიები. აქ შეგვხვდა ერთგვარი დაბრკოლება, ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელი: მიუხედავად ჩვენი მრავალგზის შუამდგომლობისა, მიწის მზომავები ვერ გამოგვიგზავნეს დროზე, გამოგვიგზავნეს მხოლოდ ორი, ახლა თუმცა ცოტ-ცოტა გვემატება, მაგრამ საჭირო კადრი მათი ჯერაც შევსებული არ არის. აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ უფრო მცოდნე და გამოცდილი მიწის მზომლები ამ ადგილს გაურბოდნენ, ასე რომ იძულებული გავხდი ახალი, გამოუცდელი პირებით დავკმაყოფილებულიყავით. აი, მეორე მიზეზთაგანი, რაც აფერხებს ჩვენი განყოფილების მუშაობას.

ყველას მოგეხსენებათ თუ რა რიგ წვიმიანი ზაფხული იყო ამ წელს. ამ ავდარმა საგრძნობლად ხელი შეუშალა კომისიების მუშაობას, რომელიც ისედაც კოჭლობდა მიწის მზომლების უყოლობით, რომელთაც გვიან-გვიან გზავნიდნენ ჩვენთან. წინათ თუ დიდ მემამულეებს ართმევდა კომისია მამულს, რაც შედარებით უფრო ადვილი იყო, წლეულს მას საქმე მიეცა წვრილ მემამულეებთან, რომელთა მამულები სხვა და სხვა ნაჭრების სახით სხვა და სხვა ადგილებში იყო გაფანტული და არ იყო ეს ერთ სამუშაო ფარგალში მოქცეული. ამ უკანასკნელთაგან მიწების ჩამორთმევამ, უნდა ითქვას დაასუსტა კომისიის მუშაობა, ამ კომისიას აქტიურ მონაწილეობა-დახმარებას გლეხობა არ უწევდა, თუმცა ეს მისია მათ კანონით ევალებოდათ. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ დავას წლეულს ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, და ეს საკვირველი არ არის, რადგანაც წელს აშკარად და ნათლად დაინახეს, რომ აქ ნამდვილად კეთდება საქმე. თავდაცვის გრძნობამაც წამოყო თავი, დავა უმეტეს შემთხვევებში ეხებოდა ზომაზედ მეტი მიწის შენარჩუნების საკითხს.

კიდევ ერთი მთავარი დაბრკოლება ამ განყოფილების მუშაობისა არის გაუმიჯნავ ადგილებში მუშაობა, რომელიც დიდძალ დროს ითხოვს და თან საქმესაც აძნელებს და ართულებს. ამ ჟამად საერთოდ მიღებულია 1 668 დესეტინა, კომისიას კიდევ აქვს დაახლოებით 2 თვის სამუშაო, რის შემდეგ შეუდგებით მიწების ფაქტობრივად განაწილების საქმეს, თუმცა ახლაცაა რაიონები, სადაც შესაძლებელია განაწილების დაწყება, მაგალითად: აბედათი, აბაშა, კინჩხი და სხვა.

შემოდგომის მუშაობას ახასიათებს ღალის აკრეფის საკითხი, წინათ ამ საკითხის მოსაგვარებლად არსებობდა სხვადასხვა ინსტიტუტი, ახლა კი ყველაფერი დამოკიდებულია ამ განყოფილებაზე. აქ უნდა შემუშავდეს და ამ განყოფილებიდან მიიღონ ცნობა შესახებ იმისა, თუ ვის მიეცა დასამუშავებლად მიწა, რამდენი, რამდენი ღალა ერგებოდა, მიიღო თუ არა სავსებით და სხვა. ეს მუშაობა დასრულდა მხოლოდ ნოემბრის გასულს, ვინაიდან ზოგიერთი წვრილი ერთეულები ამ საქმეში არ გვიწევდნენ საჭირო დახმარებას. მიღებული ცნობებით, დასამუშავებლად მიღებული მიწებიდან გვერგება ღალა 14 999 ფუთი სიმინდი, სამუშაოდ დარიგდა დაახლოებით 12-14 ათასი ქცევა, დაახლოებით 5 000 ქცევაზე მოსავალი სულ გაფუჭდა.

დასასრულს უნდა მოგახსენოთ, რომ ეს განყოფილება თვალყურს ადევნებს ტყის დაცვის საკითხს და საზოგადოდ ტყის საქმეებს. განყოფილება კარგად ხედავს და გრძნობს, რომ ეს საკითხი არაა სათანადოდ მოგვარებული, მის გარშემო ბევრ მითქმა-მოთქმას და ბოროტ-მოქმედებასაც აქვს ადგილი, მაგრამ, განყოფილება ამ შემთხვევაში უღონოა ამ ბოროტ-მოქმედების ასალაგმავად გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები, ვინაიდან ტყის საქმეები და საკითხი ჯერ სავსებით არაა გა-

მორკვეული, თუმცა განყოფილება კანონის ფარგლებში იღებს ყოველ გვარ ზომებს ტყის მოურავების და დარაჯების აღვირახსნილობის წინააღმდეგ“.

სასურსათო განყოფილების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ განყოფილების გამგე რაჟდენ გამსახურდია: „სასურსათო განყოფილება დაარსდა ამა წლის 15 თებერვალს, ხოლო ორგანიზაციამ მისი მოქმედება დაიწყო 15 აპრილიდან. მიზეზები მოქმედების დაგვიანებისა ადვილი გასაგებია: უფულობა, ბაზრის ცვალებადობა და მექანიზმის მოუწესრიგებლობა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგაც ვერ შეძლო ერობამ ამ საქმის იმ დონეზე დაყენება, როგორც საჭიროა და სასარგებლოდ მიაჩნდა მას, როგორც კერძოდ ერთობისათვის, ისე, სახელმწიფოს ინტერესებისათვის. კარგად მოგეხსენებათ, რომ გასულ წელი, ბედნიერი წელის იყო სამეგრელოსათვის, როგორც მაძღარი მოსავლიანი წელი, სამეგრელო ეს დაუშრეტელი სალარო იყო სიმინდისა, რომელსაც აწყდებოდა მთელი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, როგორც მშიერი, ისე მაძღარი ელემენტებიც. პირველნი, რომელთაც სურდათ თავისი და გაძვალტყავებული ცოლ-შვილისათვის საზრდოს შეძენა და მეორე, შექმნილ მდგომარეობით ესარგებლა და მცირე თანხით დიდძალი ქონება შეეძინა. მთავრობას თითქოსდა ანგარიში გაეწია ამისათვის, აელაგმა წრეს გასული სპეკულაცია და დახმარებოდა დამშეულებს; ამ აზრით მან აკრძალა რკინიგზით, პარტიებით სიმინდის გატანა მაძღარ რაიონებიდან კერძო პირების მიერ, მაგრამ ამავე დროს ნება დართო 5-5 ფუთობით გატანისა, და ამან კი გამოიწვია წვრილი სპეკულაცია. ესე იგი წვრილფეხა სპეკულანტები ახერხებდნენ ასობით ფუთი სიმინდი გაეტანათ და, მაშასადამე საშუალება ჰქონდა გაცილებით მეტი ფასები მიეცათ ვიდრე მთავრობა და მისი რწმუნებულები იძლეოდნენ. ასე რომ ბაზრის ტონის მიცემით შეიქმნენ სპეკულანტები, ერობას დარჩენოდა ერთი საშუალება ან უნდა მეტოქეობა გაეწია და ასდევნებოდა ფასებში ან და მოეთხოვა ერთიანად გზის დაკეტვა. პირველის ნებას ცენტრალური საბჭო არ აძლევდა, ხოლო მეორე მოთხოვნა არ შეუსრულა. დარჩა ამ რიგად შუაში გახიდული, ნახევარ ზომის ამარა. ყველა ამასთან თავის დროზე ფულის უქონლობა, რაც იყო იმის გადმოგზავნის მოუწყობლობა, ძლიერ უცელავდა ხელს. ყველა ამ დაბრკოლებებს რომ გაითვალისწინებთ და გადაავლებთ თვალს ერობის მოქმედებას ამ დარგში, დარწმუნდებით, რომ გაკეთებულია მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ, როდესაც სასურსათო საქმე გადმოვიდა ერობის ხელში, მაშინ იყო სიმინდის ფასი ადგილობრივად 80-90 მანეთი, დაიწყო თუ არა მოქმედება ერობამ თან და თან დასწია იგი 60 მანეთამდის, თუმცა შემდეგ ზემო მოყვანილ მიზეზთა გამო ისევ აიწია, მაგრამ იმ სიდიდეზე მაინც ვერ აიწევდა.

ამ ხნის განმავლობაში მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებს, ერთობებს და სხვებს, მივაწოდეთ 100 000 ფუთზე მეტი სიმინდი შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში და თან მოსავლიან წლის შიშით შევქმენით ცოტაოდენი ფონდი, რომიდან, გარდა დარიგებულისა, ერობის საწყობში არის კიდევ 3 000 ფუთამდე სენაკში და 10 000 ფუთამდე სოხუმის ოლქში. სენაკის სიმინდი უკვე დაზღვეულია დაპეპლისაგან და სრულიად გამოსადეგია საჭმელად. ამნაირად, გარდა ამისა, აღმოუჩინეთ დამშეულ მეზობლებს შეძლებისდაგვარად დახმარება, მომავალ საანგარიშო წელში გადავდივართ საკუთარი ფონდით, რომელიც საძირკვლად დაედება ჩვენს სასურსათო მოქმედებას მომავალში. ამის გარდა ერობას შემოუტანია და დაურიგებია მცხოვრებლებისთვის სხვადასხვა საქონელი, როგორიცაა ნავთი, შაქარი, საპონი, ჩაი, მარილი, ნარმა და სხვა რის შეძენა შეიძლებოდა ჩვენს ბაზარზე. ასეთია გასული წელი. ახლა თავის თავად ვიკითხავთ, თუ რას ვფიქრობთ მომავალზე და რა გეგმა გვაქვს მოქმედებისა ამ მხრივ შემუშავებული.

მომავლის გათვალისწინება გაცილებით უფრო უარეს სურათს გვიყენებს თვალწინ ვიდრე გასული წელი. წელს შემოსავალი მეტის მეტად მცირე იყო, როგორც მოგეხსენებათ და ძალიან სიმარჯვე იქნება, თუ იგი ჩვენს ხალხს რვა თვეს ეყოს, ოთხი თვის სარჩო კი გარეთ უნდა ვეძიოთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს ირგვლივ არსად არ ვხედავთ შველას, ამ მხრივ ყოველგან უნუგეშო მდგომარეობა არის. რამდენიმე დარჩენილი სიმინდი კიდევ შავი ზღვის პირად სამურზაყანო-აფხაზეთში, მაგრამ არ ვიცით, როგორი შენახულია იგი და გადმოზიდვაც ბევრი ხე-

ლოვნური და ბუნებრივი დაბრკოლებებით არის გაძნელებული; ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება აქეთკენ არის მიპყრობილი რისი ყიდვაც კი მოესწრება და შეიძლება, აქედან უნდა შევიძინოთ. დანარჩენი კი უნდა შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან; შორეულიდან იქნება ის თუ ახლობლიდან, ამას საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა დაგვანახებს.

მთელი სიმძიმე სასურსათო პოლიტიკისა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობამ დაიჯეროს, რომ ერთად ერთი უტყუარი, ბეჯითი გამტარებელი სახელმწიფო პოლიტიკისა, არის ერობა, რომ მთავრობა ყველა თავის ფართო სახელმწიფოებრივ პოლიტიკის გატარების დროს, სასურსათო საკითხში იქნება ეს თუ სხვა რამეში, უნდა ემყარებოდეს ერობას, როგორც ერთად ერთი ფართო დემოკრატიულ სახელმწიფო ორგანიზაციას, როგორც თვითმმართველობას, რომელიც უნდა ამოძრავდეს, შეეჩვიოს თავის მოქმედებას და შეუსისხლხორცდეს ხალხს-დემოკრატიას. ამისთანა ორგანიზაციაზე ორგანიზაციაზე დამყარებული მთავრობა კი მძლავრია, ურყევი იქნება შინ და საშიში, მოსარიდი გარეთ. ერობა ჩვენში ნორჩია, მას სჭირდება მეტი ნდობა მთავრობისაგან, მეტი დახმარება და ხელის გაწყობა, რომ იგი მოღონიერდეს, ფეხი მოიმაგროს, წელში გასწორდეს და გადაიქცეს ბურჯად სახელმწიფოსი. ერობას საკუთარი თანხა ჯერ-ჯერობით არ გააჩნია, მაშასადამე უდავოა, რომ მთავრობა უნდა მიეშველოს მას, გაუხსნას ფართო კრედიტი და ამით საშუალება მისცეს ააწყოს აპარატი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ერობასაც გამოადგება და სახელმწიფოსაც თუ მთავრობისაგან სესხით დახმარებას მივიღებთ, იმ შემთხვევაში შეიძლება ახლა შესდგეს სიმინდის ფონდი 100 000 ფუთამდის, ეს ფონდი იქნება აქ, სანამდის მწვავე ხასიათი არ მიუღია შიმშილობას, შემდეგ კი შეიძლება იქ მივაშველოთ, სადაც გასაჭირს დავინახავთ. ასე რომ ეს მარტო ჩვენი რეზერვი კი არ იქნება, არამედ სახელმწიფოსი, ისე როგორც სხვაგან შეგროვილი შეიძლება მწვავე კრიზისის დროს ჩვენ გამოვიყენოთ. დიდ იმედებს ვამყარებთ აგრეთვე ჩვენ გასაზიდ საქონელზე, როგორც თუთუნზე ისე სხვა საქონელზე. გაზიდულ საქონლის ნაცვლად შემოდის საზღვარგარეთელი ნაწარმოები და პურის ფქვილი, რომელიც გაგვიადვილებს ჩვენ მიერ დასახელებულ ოპერაციების მოხდენას. ჩვენ აზრად გვაქვს შემდეგში მოვაწყოთ ჩვენი ორგანიზაცია ისე, რომ ვაჭართ სპეკულანტთა შუამავლობა მოვიშოროთ, მოვაგროვოთ კოოპერატივებთან ერთად ჩვენი ხალხის ნაწარმოები და მივაწოდოთ უკანასკნელთ საჭირო საგნები პირველ ხელიდან შეძენილი. ყოველივე ეს გაგვიადვილებს კრიზისის გადატანას და მიგვაღწევინებს ნორმალურ მდგომარეობამდის. მაგრამ ამას შეძლებს გამგეობა, მაშინ, თუ თქვენ ბატონებო, თქვენს არჩეულ პირთ გვერდში ამოუდგებით ამ საბედისწერო ჟამს, გაიზიარებთ ქვეყნის ჭირ-ვარამს და როგორც ერთი კაცი, შეერთებულის ძალ-ღონით, შეებრძოლებით კარზე მომდგარ უბედურებას.

ახლა გადავიდეთ იმ საშუალებაზე, თუ რით აპირებს გამგეობა სასურსათო ოპერაციების მოწყობას და გაძღოლას. მაზრის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად, საჭიროა დიდი სამოქმედო თანხა. უმთავრესი ჩვენი იმედები ამ მხრივ, მთავრობამ უნდა მოგვცეს მოკლე ვადიანი სესხი არა ნაკლებ 7 000 000-სა, მაგრამ ეს თანხა ჩვენთვის საკმარისი არ არის. მაშ დანარჩენი თანხა ჩვენ უნდა ვეძიოთ და აქ არის უმთავრესად საჭირო თქვენი ერთსულოვანი დახმარება: ჩვენ უნდა ავამოძრაოთ დაგროვილი კაპიტალი და უნდა მივმართოთ შინაურ სესხს. თუ ეს მოსაზრებები თქვენის დახმარებით გატარებულ იქნა ცხოვრებაში, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასურსათო კრიზისი, როგორც სანოვაგეზე ისე ტანსათბუნზე და სხვა ხალხის პირველად მოთხოვნილების საგნებზე თითქმის დაძლეულად უნდა ჩაითვალოს.

გამგეობა ფიქრობს გაიტანოს საზღვარგარეთ ბაზარზე, ზუგდიდის სამაზრო ერობისა და ზუგდიდ-სამურზაყანოს კოოპერატივებთან ერთად 10 000 ფუთი თუთუნი, რომლის მთელი შემოსავლით მოტანილი იქნება სხვა და სხვა საჭირო საქონელი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული იქნება ძალიან იაფ ფასებში, მისცემს გამგეობას დიდ თანხას სამოქმედოდ. აი ყველა მოსაზრებებით გადადის გამგეობა მეორე საანგარიშო წელს და ფიქრობს თქვენი დახმარებით დასახულ ზომებს სავსებით გაატარებს ხალხის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და მათ ინტერესების დასაცავად“.

ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ყრილობის დავალებით სამაზრო მილიციის უფროსი პეტრე ჩოჩია: „უნდა ითქვას, რომ საზოგადოდ ადმინისტრაცია ყველგან ვერ სდგას სასურველ სიმაღლეზე, მიზეზი ამისა საერთოა: ყველა დარგშია ცოტაოდენი მოუწყობლობა და ასეა ადმინისტრაციაშიც, თუმცა ეს სასურველი არ არის. მაზრაში არის დღეს ერთი უფროსი და მისი თანაშემწე, მთელი მაზრა დაყოფილია 6 უბნად, ამ ნაირად მაზრა უბანთან შეერთებულია, ხოლო მაზრას არ ჰყავს სოფლებში თავისი წარმომადგენელი, რითაც იბადება ერთგვარი უხერხულობა, მაგალითად სოფლად რამე შეთქმულება ან ავაზაკობა მოხდეს, მაზრის მილიციის უფროსი გაიგებს მხოლოდ შედეგებს, და ისიც შესაძლებელია კერძო პირისაგან. ერობის შემოღებით ადმინისტრაციას ჩამოერთვა და ჩამოშორდა ბევრი ისეთი საქმეები, რომელსაც მას ავალებდა ძველი მთავრობა და რომლის რიგიანად მოგვარებას ადმინისტრაცია ვერ შეძლებდა, ასეთია ხიდების, სკოლების, საავადმყოფოების გაკეთება და სხვა. ამათ ნაცვლად დღეს ადმინისტრაციას დაკისრებული აქვს აღმოფხვრა, წეს-რიგის და მშვიდობიანობის დამყარება მაზრაში. რომ ეს დავალება ადმინისტრაციამ პირნათლად შეასრულოს საჭიროა მაზრა და მაზრა და რაიონების თემებთან შემაერთებელი ძაფი, რომელიც დღეს, ვიმეორებ, არ არის. ასეთი იყო წინანდელი კომისარი, დღეს კი მისი ადგილი უჭირავს თემის გამგეობას, სამი პირისაგან შემდგარს, და მას ჰყავს დამხმარედ ორი მილიციელი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ემორჩილება თემის გამგეობას. ამ ნიადაგზე ხშირად ხდებოდა ერთგვარი უთანხმოება ადმინისტრაციასა და წვრილ ერთეულთა შორის, მაზრაში შეთანხმება ადრე მოხდა, სოფლად კი ამ შეხლა-შემოხლას დღესაც აქვს ადგილი, რომელიც იწვევს არევ-დარევას, რაც სასურველი არ არის.

მილიციელების სამსახურში მიღების დროს ხშირად არა სასურველ მოვლენას წააწყდება კაცი. თემის გამგეობა აძლევს კეთილ საიმედო პიროვნების მოწმობას ისეთ პირებს, რომლებიც ადმინისტრაციაში მიღებული ცნობებით არ არიან ასეთი მოწმობების ღირსი. რასაკვირველია, ადმინისტრაცია, როცა საბუთებით ხელში დარწმუნდება ასეთი პირების არა საიმედო ყოფაქცევაზე, და მოქმედებაზე არ აყოვნებს მათ გადაყენებას თანამდებობებიდან, თუ კი ასეთი საბუთი მათ უჭირავთ მათ პასუხისგებაში აძლევს; ასეთივე ზომები კვლავაც მიღებული იქნება, რომ ადმინისტრაცია იქნეს გაწმენდილი მავნე და საეჭვო ელემენტებისაგან.

ადმინისტრაციის ნივთიერად დაკმაყოფილებას თუმცაღა მთავრობა იღებს თავის თავზე, მაგრამ მაზრის მილიციელები ამ ჟამად იმყოფებიან ცუდ მდგომარეობაში, ჯერ კიდევ არ არის მათთვის რიგიანად მოწყობილი ბინა, ცხენებისათვის თავლა მომზადებული არ არის, ბინაში აწვიმს და ცივა, უბნებში კი მდგომარეობა უარესია. ჯამაგირს ხშირად თავის დროზე ვერ იღებენ მილიციელები, მიუხედავად მათი მცირე ჯამაგირისა, მიზეზი არის სათანადო კრედიტის დაგვიანებით გახსნა. სხვა მრავალ ზომათა გარდა, რომელიც ადმინისტრაციის გასაჯანსაღებლად მიღებულ იყო ამა წლის ნოემბრის თვეში თბილისში მომხდარ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ყრილობაზე, საჭიროდ მიმჩნია დაწესდეს მილიციელებისათვის ერთიანი ფორმა, რომ ხალხს შეეძლოს გაარჩიოს იგი უბრალო და ხშირად ამ სახით მოვლენილ ბოროტ-პიროვნებებისაგან“.

გამგეობის მოქმედების შესახებ საერთო მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ის. მ. მალანია: „ერობის მუშაობა საპასუხისმგებლოა, ცხოვრებამ მას დააკისრა დიდი და ბევრი საქმე. ჩვენ არა ვართ მარტო თვითმმართველობა, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, ვართ მმართველობაც. მმართველობამ ჩვენ დაგვავალა ჯარის კაცთა გაწვევა მიღება და ჭმევაც, ადმინისტრაციის ჩაბარება და სხვა. ერთი სიტყვით სახელმწიფოს ბიუჯეტი და ერთად ერთი ორგანო ადგილობრივად არის ერობა და სახელმწიფოც ამას ეყრდნობა, რასაკვირველია, სამაზრო ერობას არ შეუძლია მარტოდ მარტო შეასრულოს მთელი მასშტაბით მასზე დაკისრებული მოვალეობა, თუ მას ამ შემთხვევაში არ დაეხმარება წვრილი ერთეულები, რომელიც ჩვენს მაზრაში ყველაზე ადრეა შემოღებული. მართალია, წვრილი ერობების მუშაობა არ შეიძლება ყველგან ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, ზოგიერთ ადგილებში ისინი მოიკოჭლებენ, მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია, თუ გავითვალისწი-

ნებთ იმ მდგომარეობას, რომ ეს საქმე ჩვენთვის ახალია და უცნობიც, მაგრამ მაინც სოფლად ეტ-ყობა და არის ნიშნები, რომ ისინი მუშაობენ და ხალხის ნდობით უყურებს საერობო მუშაობას.

ჩვენმა ერობამ განიზრახა და საშვილიშვილო საქმე გააკეთა. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „მუკოტახილის“ გზის გაკეთება ნატურალური ბეგრის შემოღებით. ჩვენ ამ საქმის დაწყებისას შიში გვქონდა, მაგრამ როცა ხალხმა დაინახა, რომ ჩვენ მისთვის ვაკეთებთ და ვმუშაობთ, დიდი აღფრ-თოვანებით მიიღო ამ მუშაობაში მონაწილეობა და იქ, სადაც ველოდით 100-200 კაცის სამუშაოდ გამოსვლას, გამოდიოდნენ 300, ხოლო სადაც 300 ველოდით, მოდიოდნენ 600. ვინ გნებავთ რომ აქ არ მუშაობდნენ: დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ მოხუცებული, მღვდელი თუ მასწავლებელი, ყველას სურვილი ჰქონდა, საერთო მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა. ყველა ეს იმის მაჩვენე-ბელია, რომ თუ ხალხს უჩვენებ ისეთს საქმეს, რომელიც მისთვის ხელსაყრელია და სარგებლობის მიმცემი, ის ითვისებს ამას,მაგრამ მაგარი ის არის, რომ 100 წლის მონობამ ხალხი შეაჩვია მოტ-ყუებას და მას ვერ წარმოუდგენია და არ სჯერა, რომ გაკეთდება რაიმე სახალხო საქმე, რომ ვინმე ხალხს რაიმეს გაუკეთებს.

წვრილი ერთეულები მაზრაში ჩამოყალიბდნენ საზოგადოების ფარგლებში, მათი განსაზღვ-რის დროს მოხდა შეტაკება, მაგრამ ხალხი არ თანხმდებოდა საზოგადოების შეერთებას. ხარჯების სიძნელე გვიყენებდა თვალწინ საკითხს თემის გამგეობის წევრთა გასამრჯელოს შესახებ. თემის გამგეობის უჯამაგირო წევრ ვერ დავეყრდნობოდით. რადგან დემოკრატიას არ სწამს იგი, ერთი კაცი აგვერჩია ჯამაგირის დანიშვნით, ესეც შეუძლებელი იყო, ვინაიდან ეს კოლეგიალური დაწე-სებულებაა და მისი წევრთა რიცხვის რაოდენობა სამზე ნაკლები მიუღებელია, ეს არის თვით კო-ლეგიის თვისება. სანამ არ არის სათანადო კანონი გამოცემული, თემის გამგეობის შენახვა დავა-კისრეთ თვით საზოგადოებას, მასთან განზრახული გვაქვს მიეცეს წვრილ ერთეულებს დაწესე-ბული ხაზინის შემოსავლიდან იმდენი პროცენტი, რამდენსაც მიიღებს თვით სამაზრო ერობა. ამით ჩვენ გვინდა ჩავუყაროთ საფუძველი თემის ბიუჯეტს. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ ვიშოვეთ საერობო ინსტრუქტორები, ხოლო ადგილობრივად შეგნებული ძალების უყოლობის გამო საზოგადო მუშაობა ფერხდება და ბრკოლდება. ამ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად გარდა იმისა, რომ ვსარგებლობდით თქვენი დარიგებით, დავდიოდით და ვათვალიერებდით ად-გილობრივად, ვაძლევდით საჭირო განმარტებას და დარიგებას და ვხელმძღვანელობდით ხმოს-ნების რამე პრაქტიკული შენიშვნებით ადგილებიდან, თუ კი ასეთი იყო, თუმცა კი, უნდა გამოვტ-ყდეთ რომ ხმოსნები წინააღმდეგ თავის მოვალეობისა, ძალიან ნაკლებ ცნობებს აწვდიდნენ გამ-გეობას ადგილობრივ მუშაობის შესახებ, რასაც გამგეობა ხშირად იგებს მხოლოდ თემების შემ-წეობით და კერძო გაგზავნილი მოხელეების საშუალებით.

ადმინისტრაცია სავსებით ერობის ხელშია გადასული. საკითხი, ადმინისტრაციის შესახებ მართლაც საჭირ-ბოროტო საკითხია, არა მარტო ერობის, თვით სახელმწიფოს ბედიც მასზეა და-მოკიდებული. თუ ჩვენ შევძელით კარგი ადმინისტრაციის შექმნა, მაშინ ჩვენ ვიცნობთ ჩვენს თავსაც და ისინიც, ვისაც ჩვენი ცნობა ჯერ კიდევ არ უნდათ, იძულებულნი იქნებიან გვიცნონ. სა-ზოგადოდ ევროპა და პარიზია დღეს ჩვენი ბედის გადამწყვეტი, და თუ მან დაინახა, რომ აქ, ჩვენში უკვე არსებობს წესი და მშვიდობიანობა, მაშინ ჩვენი საქმეც გადაჭრილია, და ყველაფერი ეს და-მოკიდებულია რიგიანი ადმინისტრაციის მოწყობაზე. აქ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ დარგშიაც არ აღმოგვაჩნდნენ არამც თუ გამოცდილი, პატიოსანიც კი. ბევრი ბოროტ-მოქმედნი აღმოჩნდნენ რო-მელიც შეიარაღებულნი იყვნენ სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან საიმედო მოწმობებით. რამდე-ნიმე მილიციის უფროსები დავითხოვეთ და დღეს ციხეში არიან, საზოგადოდ მეტად სასტიკი ზო-მები გვაქვს მიღებული ბოროტ-მოქმედების მოსასპობად და ასალაგმავად.

მეორე საჭირბოროტო საკითხი არის ქურდობა. ხალხი მაშინ დააფასებს ერობას, თუ დარწ-მუნებულია, რომ როცა ის დაწვება, გარეთ დარჩენილი მისი ნივთები არ დაიკარგება. თუ ხალხს არავინ აწუხებს, ისიც უკმაყოფილოა; ის პირველად იღებს საკუთარ ზომებს და სასურველ შედეგ-საც იძლევა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან რაც გინდა კარგი მილიცია იყოს, თუ ხალხი მას ზურგს არ

უმაგრებს, ვერაფერს გახდება თვითონ, ხალხს შეუძლია ქურდობის აღმოფხვრა. მილიცია და უბნების გამრავლება აქ ვერაფერს შველის. ხალხში კიდევ არის დარჩენილი ძველი ტრადიცია, რომლის ძალით, როცა ქურდს გამოეკიდება და მისდევს მილიცია, ხალხი მას იფარავს, და ეს მოვლენა დღესაც იწვევს მასში ერთგვარ სიმპათიას.

წესის გასამტკიცებლად მნიშვნელობა აქვს სასამართლოს, ჩვენი მეტად ახალგაზრდა და ნორჩი სახელმწიფო მხოლოდ უკანასკნელ ხანს დაგვირგვინდა სენატის დაარსებით და ამით ჩამოყალიბდა ყველაფერი. ამ დარგში ჩვენ გვყავს სამი წლით არჩეული მომრიგებელი მოსამართლეები. უნდა ვაღიაროთ, რომ მათ არჩევნებში შეცდომა მიგვიძღვის. ისინი არჩეულნი არიან სამი წლით და ამ ვადამდე მათი გამოცვლა და გადაყენება თუ ასე შეიძლება ითქვას, თვით ღმერთსაც არ შეუძლია, თუ, რასაკვირველია, ბოროტმოქმედება არ დაუმტკიცდა. მოსამართლეები არიან დამოუკიდებელნი და ისინი მართლაც ამ დამოუკიდებლობას ბოროტად იყენებდნენ, რაზეც გვაქვს უკვე ცნობები. ერთი ასეთი მოსამართლის შესახებ იუსტიციის სამინისტროს უკვე გაეგზავნა შუამდგომლობა და ეთხოვა დაენიშნა რევიზია, რომლის მოხდენის უფლება, როგორც გამოირკვა, არ ქონია მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს. ეს არის აბაშის უბნის მომრიგებელ მოსამართლე – გამყრელიძე, რომელიც, მიღებული ცნობით, ისეთ საეჭვო პირებს უშვებს საქმის დასაცველად, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ. მეორეა ნაოღალევის უბნის მოსამართლე გამსახურდია, რომელსაც მიწისმფლობელობის კანონი სრულიად არ სწამს და შვება იმას, რაც მოენდომება, აუქმებს კომისიის დადგენილებებს და სხვა. ჩვენ ამისათვის იძულებულნი ვიყავით სამინისტროსთვის მიგვემართა და გვეთხოვა გამოეგზავნათ მოსამართლეებისათვის განმარტება, რომ მათ უფლება არა აქვთ ამ საქმეში (მიწის საკითხი) ჩარევისა. ვიმეორებთ, რომ მოსამართლეების გამოცვლა ვადამდე არ შეიძლება, მაგრამ მე მწამს, რომ მათ ზნეობრივი მხარე სრულიად კიდევ არ დაუკარგავთ, და ამიტომ იმ ყრილობამ, რომელმაც ისინი აირჩია, უნდობლობა თუ გამოუცხადა, ისინი თვითონ დაანებებენ თავს ამ სამსახურს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეტად ძნელ პირობებში უხდება ერობას მუშაობა, დიდი დროა საჭირო, რომ ყველაფერი ეს გამოსწორდეს და სასურველ ნიადაგზე დადგეს. ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს სტატისტიკური განყოფილება და არც ამისათვის სათანადო მომზადებით აღჭურვილი პირები მოგვეპოვება. ამ განყოფილების დაარსება კი აუცილებლობას შეადგენს: ჩვენ არ ვიცით მაზრაში მცხოვრებთა რაოდენობა; რამდენია მიწა, რა ითესება, რა მოდის და სხვა. ამ ჟამად თბილისში დაარსდა სტატისტიკური კურსები, სადაც ჩვენ მიერ გაგზავნილია 4 კაცი, ვიმედოვნებთ, რომ ეს კურსები გაგვიწევს დახმარებას, მოგვცემს ცოტათი მაინც მომზადებულ პირებს და ამნაირად ამ დარგშიაც მოეწყობა მუშაობა.

ჩვენი მუშაობა არ უნდა იყოს თვალახვეული: ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა აქვს ერობას, რა ფინანსებზეა დამყარებული მისი მუშაობა, რა შემოსავალი აქვს და სხვა. ფინანსური საქმე საზოგადოდ არეული იყო, გამგეობამ ბევრი ეცადა საჭირო პირი მოეძებნა, იძულებული ვიყავით ასეთი პირისთვის, თუ კი მას ვიშოვიდით, მიგვეცა ის ჯამაგირი, რასაც თვითონ მოითხოვდა. მაგრამ ამ საქმის მცოდნე კაცი ქართველებში ვერ ვიშოვეთ და იძულებულნი გავხდით უცხო პირი მოგვეწვია. ის დაბრკოლება და საქმის არევ-დარევა, რომელიც წინანდელმა ბუღალტერმა (კოკაიამ) დაგვიტოვა, ახლანდელმა მისმა მოადგილემ თავგამოდებული და დაუღალავი მუშაობით ცოტათი მაინც გადალახა, ასე რომ ის დაბურული ტყე, რომელიც დატოვა კოკაიამ, დღეს გაკაფულია, მოჩანს უკვე გზა და ამ გზაზე უნდა გავიდეთ“.

სანიტარული გადასახადის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი პ. ქავთარაძე: „ბატონებო, შარშან საექიმო კომისიამ ერთნაირი კომპრომისი დაუშვა და მივიღეთ ამ ნაირი პრინციპი: ამბულატორია და წამლები ორ საათამდე იყოს უფასო, შემდეგ კი ფასიანი. ერობის ექიმთა ყრილობამ ამა წლის აპრილში აღიარა და მიიღო პრინციპი უფასო ექიმობისა, ჩვენ არ გვინდოდა რამე გადასახადი დაგვეწერა ხალხზე, მაგრამ შემდეგ კი გამოიცა კანონი, სანიტარული გადასახადის შესახებ. ამავე დროს საექიმო დარგში მომუშავეთა, თქვენს მიერ დანიშნული ჯამაგირი ერ-

თობ მცირე შეიქმნა და საზღაპრო სიძვირე თითქმის უკანასკნელ წერტილამდის ავიდა, ამავე მიზეზით ხარჯთ-აღრიცხვა ძლიერ გადიდდა დღეს. ჩვენ მომავალში აზრად გვაქვს გაიხსნას კიდევ სამი საექიმო პუნქტი. ესე იგი იქნება 11 ექიმი, გარდა ამისა ყველა თემებში უნდა მოეწყოს საფერშლო პუნქტები; უნდა აშენდეს ხალხის ჯანმრთელობისათვის 3 აბანო: ახალ-სენაკში, აბაშაში და ბანძა-ნაოღალევში, ვინაიდან გადამდები ავადმყოფობა უფრო ვრცელდება სიბინძურისაგან. განზრახულია მომავალში აგრეთვე აშენება შესაფერი სამაზრო საავადმყოფოსი, რაც დაჯდება 2 000 000 მანეთი. ყველა ეს ხარჯები უნდა, სხვათა შორის, დაიფაროს სანიტარული გადასახადით. ამ გადასახადიდან, როცა ეს განაწილდება მიცემულ კანონის წესით, თითო ოჯახს მოუწევს დაახლოებით 150 მანეთი, მის აკრეფას ხალხში დააბრკოლებს, ჩვენის ფიქრით, პირველად შიმშილობა, რომელმაც უკვე იჩინა თავი მაზრაში და რომელიც მწვავე ხასიათს იღებს და მეორე ის გარემოება, რომ ჯერ არც ერთი გადასახადი არაა მაზრაში აკრეფილი და ზოგიერთ ადგილებში შეიძლება გაწერილიც არ იყოს. ამ გადასახადის შესახებ, რომელიც შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს ისედაც დამშეულ ხალხს“.

სესხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ი. მალანია: „მოქალაქენო როგორც უკვე უწყით, მთავრობას პრინციპულად გადაწყვეტილი აქვს და გადადებული 10 000 000 მანეთი, რომელიც მიეცემა ყველა ერობას სესხის სახით. ამ თანხიან ჩვენი ერობაც, რასაკვირველია მიიღებს თავის წილს. სესხი იქნება უპროცენტო და დაიფარება ერობის შემოსავლიდან და სხვა და სხვა გვარი გადასახადებისაგან. დაახლოებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, ამ 10 000 000 ფონდიდან 500 000 მანეთი, რომელიც ცოტათი მაინც ხელს მოგვიმართავს სასურსათო საკითხის მოსაგვარებლად და რომლის მისაღებად საჭიროა ყრილობის მიერ დასტურის მიცემა. ამისათვის გამგეობა სთხოვს ყრილობას დაავალოს მას მოსთხოვოს მთავრობას უპროცენტო სესხი 500 000 მანეთი“. კრებამ მიიღო ამ საგნის შესახებ მოხსენება და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „დაევალოს სენაკის სამაზრო ერობის გამგეობას, მოსთხოვოს მთავრობას, უპროცენტო სესხი ერობათათვის, გადადებულ 10 000 000 სესხიდან 500 000 მანეთი, რომელიც უნდა დაიფაროს მთავრობის მიერ ნაჩვენებ შემოსავლის წყაროდან“.

ერობის ბანკის დაარსების შესახებ, მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ი. მალანია: „ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ ამ ომიანობის დრო საშინლად გამეფდა სპეკულაცია, მას ეწევიან თითქმის ყველგან და ყველანი. დაგროვდა და დატრიალდა დიდძალი ფული ხალხში, რომელიც მას უკან არ აბრუნებს და ინახავს ბალიშ-მუთაქებში და ამნაირად მოგროვილი ფული რჩება სრულიად უნაყოფოდ. ეს არის, ჩვენი მოსაზრებით, ერთ ერთი მიზეზთაგანი ფულის კურსის დაცემისა და ამას უნდა ანგარიში გაუწიოთ. ვინც ინახავს ფულს ამ რიგად, ის ერთგვარ შიშსაც განიცდის და დაზღვეული არ არის ბოროტ-განმზრახველ მოსალოდნელ საცემისაგან. საზღვარგარეთ – ევროპაში, ძლიერ გავრცელებულია ბანკები, სადაც იქაურები ინახავენ ფულს და ეძლევათ ასეთ პირებს ყოველნაირი გარანტია. იქ ფულის ხმარებას და ტრიალ თითქმის გაურბიან. ჩვენში კი ასე არ არის, ჩვენი ბანკები თუმცა მოწესრიგებულია და მათ ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელის, მაგრამ ხალხს ფული მაინც არ შეაქვს და ამ ნაირად უკანასკნელს ხალხის თვალში სრული ნდობა კიდევ არა აქვს. თბილისში ერობების წარმომადგენელთა ყრილობამ ამ საკითხს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და გამოთქვა სურვილი ყველა ერობისათვის საერთო ბანკის დაარსების შესახებ, რომლის განყოფილება უნდა იქნეს სენაკის სამაზრო საერობო ბანკი, რომლის დაარსებას ვფიქრობთ და რომელიც დიდ დახმარებას გაგვიწევს აღებ-მიცემობის საქმის წარმოებაში, შეგვაძლებინებს ხელი მოვინაცვლოთ, სესხი ავიღოთ და სხვა. ბატონებო, ერთად ერთი სახელგაუტეხელი და ხალხის სრული ნდობით აღჭურვილი დაწესებულება არის ერობა, და ხალხი, რომელიც ნდობით და რწმენით უყურებს ამ ერობას, დარწმუნებული ვარ, ასეთივე ნდობით შეხედავს ერობის დაარსებულ ბანკსაც. ხშირად ერობის სალაროში დაგროვებულია ნახევარ მილიონ მანეთამდე ფული, ასეთივე ხდება ადგილობრივ კოოპერატივების და ქალაქის სალაროებშიაც, ასეთი ფული ძევს სრულიად უნაყოფოდ, რაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიუტევებელია,

ამ ნაირად დღევანდელი პირობები მოითხოვს ერობის ბანკის დაარსებას. ჩვენ არ გავდივართ ხალხში, არ ვთხოვთ მას დიდძალ თანხას, პირიქით მას შეუძლია შემოიტანოს ბანკში შესანახად 5-10 მანეთი, ამასთან შიში, დაცემა და ფულის გატაცებისაგან უზრუნველყოფილია. როგორც შემომტანი ისე მის მიერ შემოტანილი თანხაც. გამგეობას ხშირად უხდება ფულის სხვაგან გადაგზავნა და ამ მხრივ ის ეწევა ზედმეტ ხარჯს, ვინაიდან იძულებულია, ყოველგვარ საშიშროების თავიდან ასაცილებლად აგზავნოს სხვა და სხვა პირები. ამ გვარი ბანკის დაარსება გარდა იმისა, რომ გავაჩაღებთ და მოვაწყობთ აღებ-მიცემობის საქმეს, გავაკეთებთ დიდ სახელმწიფოებრივ საქმესაც: შემცირდება ფულის ბეჭდვა, რითაც, უეჭველია, აიწევს ფულის კურსიც.

ამ ბანკს ექნება აქციონური ხასიათი, მისი ძირითადი თანხა იქნება 3 000 000 მანეთი, რომელიც გაყოფილი იქნება აქციებად; თითო აქცია ეღირება 250 000 მანეთი, თვით ერობა შეიძენს ძირითადი თანხის ნახევარს, ესე იგი 1.5 მილიონს, ხოლო მეორე ნახევარი კი გავრცელებული იქნება კოოპერატივებში და ხალხში. ამ ნაირად ამ ბანკის ნახევარი იქნება ჩვენი და უმრავლესობასაც შევადგენდეთ იქნება ჩვენ. აქციის ღირებულებას (250 000) მისი შემძენი შემოიტანს არა ერთად, არამედ აქაც მიეცემა მას შეღავათი ფულის ნაწილობით შემოტანას. ჩვენ ვიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომ ეს აქციები არ შეიძინონ სპეკულანტებმა და ამას ჩვენ მოვაწყობთ აქციაზე წინასწარ ხელის მოწერის დაწესებით. თვით ბანკის წესდება არის საზოგადო ნორმალური, ესე იგი ისეთი, როგორიცაა სხვა საერობო ბანკებისათვის მიღებული: აქ შეეძლება კაცს მოახდინოს ყოველგვარი ოპერაციები, იყიდოს, გაყიდოს, საწინდარი მიიღოს, დააგროვოს და სხვა“.

კრებამ სავსებით გაიზიარა მოხსენებაში მოყვანილი დებულებები და დაადგინა: „დაარსდეს სენაკის სამაზრო ერობის ბანკი და დამტკიცდეს ამის შესახებ წარმოდგენილი წესდება“.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი,
ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 942, ფურცელი 35-75.

დანართი № 9

ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნების ბიულეტენი



ზუგდიდის მაზრა ზუგდიდის
პირველი საარჩევნო ოლქი

ხმას ვაძლევ სოც-რევოლიუციონერთა პარტიის სიას

№ 3

1. ჩხოლარია. დიმიტრი ალექსანდრეს ძე
2. ოდიშარია. ივლონ ივანეს ძე
3. კაკულია, ვლადიმერ ბატას ძე
4. ახვლედიანი, იოსები ლევანის ძე
5. კოდუა. ლავრენტი დავითის ძე
6. ფარცვანია, დიანოსი ონისიმეს ძე

კანდიდატი:

1. ნარმანია, პლატონი ჩაგუს ძე

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწერი 2, საქმე 66, ფურცელი 114.

რკინიგზის ქ. ზუგდიდამდე გაყვანის გეგმა



საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწერი 2, საქმე 66, ფურცელი 114.

ქ. ზუგდიდის გეგმა



საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 1085, ფურცელი 46.

ქ. სენაკის გეგმა



საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 610, ფურცელი 15.

სენაკის გამგეობა

სენაკის გამგეობა: 1. იოსებ სალაყაია (თავმჯდომარე), 2. გრიგორ ცეკვაშვილია, 3. პეტრე ქავთარაძე, 4. აკაკი ფიჩხაია.

ფოტო აღებულია გაზეთიდან „თეატრი და ცხოვრება“, 1918, 20 ოქტომბერი, № 14, გვ. 1.

დანართი *№ 14*

საქართველოს პირველი საერობო ყრილობა
სენაკის მაზრა

ხმოსნები: ნ. (მიხეილ, - ბ. ლ.) კეკელია (ს.-ფ.), ლავრენტი გეგენავა, ალექსანდრე ცანავა, იოსებ სალაყაია, გიორგი ბოკერია, ბარნაბა ძველაია, ისიდორე პერტია, პ. ქობალავა, ლუკა დავითაია (ს.-დ.-ბი), იპოლიტე ჩხეტია, (ს.-ფ.) გრიგოლ თოფურიძე, კოსტა პირტახია, გრიგოლ ქოიავა, ევროპი როგავა, ყირიმ ჩიქოვანი (ს.-დ.-ბი), პეტრე ქავთარაძე, ლევან დარციმელია, ბესარიონ დუნდუა (ს-რ-ბი).

ფოტო აღებულია გაზეთიდან „თეატრი და ცხოვრება“, 1918, 20 ოქტომბერი, № 14, გვ. 11.